



1873

ეცოდა ნიგერ

କରୀପାଲଙ୍କା

ସାଲିତ୍ରେହାତୁଳନ ଶୁରନାଳି

ଗାଥାପ୍ରେମିଳୀ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

1873

ବୈଜ୍ଞାନିକ ପରିଚାଳନା

ତତ୍ତ୍ଵବିଦ୍ୟାଲୟ

ମେଲିକିଶ୍ଵିଲୀର ଫା. ଏବ. ସକ୍ରାନ୍ତ

1873

ԱՐԴՅՈՒՆԱ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Июля 1873.

მეორე შიგნის შინაარსი.

გვერ.

I.—გლახის ნამბობი, მოთხრობა. თა-	
ვი VI—VIII ილ. ჭავჭავაძისა	1.
II.—„დამქროლა ქარმან სასტიკმან“, ლექსი ნ. ბარათაშვილისა	57.
III.—სხვა და სხვა გვარი სიყვარული, ლექსი აკ. წერეთლისა	58.
IV.—ჩვენი ცხოვრების ყვავილი, მოთ- ხრობა. თავი XVI—XXI. გ. —თელისა. 61.	
V.—სიმღერა განდგომილთა (პლეშჩევი- დამ) ლექსი	177.
VI.—შეილი მეცხრამეტე საუკუნისა. ეს- კიროსის წიგნებიდამ	179.
VII.—რამდენიმე ზანა პოემისა „აჩრდი- ლი“ (XI—XIV) — ილ. ჭავჭავაძისა	208.
XVIII.—გვართა ბრძოლა საქართველოში, გ. გორისელისა	215.

უ გ თ ა 3 რ ე ს ი შ ე ც თ ი რ ა ე ბ ი

1873 წლის „კრებულის“ მეორე წიგნში.

გვერდზედ.	სტრიქონში.	დაბცჭილია.	უნდა იყოს.
✓ 4 ზევიდამ	3	კარგი ხანი	კარგა ხანი
✓ 7 ქვევიდამ	3	პირობაზედ	ძირობაზედ
✓ 7 ქვევიდამ	1	ყელმოლირებული	ყელმოლერებული
✓ 8 ზევიდამ	11	არავის	· · · · · · ·
✓ 11 ზევიდამ	13	ვეხასიდამ	ვენახიდამ
✓ 14 ქვევიდამ	9	თუ რომ	თუ რამ
✓ 29 ქვევიდამ	6	გენდობი	ვენდობი

გლობის ნაშტობი.

VI

«ე იძ ღვდელზედ სიტყვა ძალიან გაფიგძე-
 ლე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ.
 თრიოდე ნათელი დღე მე იმასთან გაშიტარებია,
 გონებისა და ადამიანობის თვალი,—ავად, თუ
 კარგად,—იმასთან ამიხილებია, ჩემის ბნელის
 ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ
 ამოსულა,—და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნუ რა
 დამაყვედროს რა. ამიტომ შიყვარს მე იმ ღვ-
 დელზედ ლაპარაკი, როცა კი ვლაპარაკობ ხოლ-
 მე. სული ისევ სულობს, როცა იმას ვახსნებ.
 დამიჯერეთ, რომ მე იმის ხსენებაზედ ამ ქვეყ-
 ნად კიდევ მაღლი ღვთისა მწამს, კიდევ მგონია,
 რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან
 მე ძაფი არ გამწყდომია. დალოცა ღმერთმა ის
 კაცად-კაცი!....

ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზედ, მაგა
რამ ნაასალიც ვერ გითხარი: იმისი გული და
ამბავი ზღვა არის და მე უბედურმა კოვზით
ზღვის ამოწურვა მოვინდომე. უბედობაში ნუ
ჩამომართმევ, შენი ჭირიმე. თუ მოგაწყინე თავი,
ნუ გამკიცხამ და მაპატივე.

ხუთი წელიწადი გაგვითავდა ჩვენ, რაც ქა-
ლაქში ვიყავით. მეექვსე წელიწადი რო დაიწყო,
დიდი ბატონის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა.
მაშინ დათიკო იქნებოდა ცხრამეტისა, თუ ოცის
წლისა. მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი
ინაღვლა და მგონი იტირა კიდეც. ჩემსავით
დაობლდა და ჩემსავით ნაღველი მალე გადაიყა
რა. დიდხანს აღარ უფიქრნია, ფიცხლავ შინი-
დამ ცხენები დაიბარა და სამუდამოდ შინ წა-
მოსვლა დააპირა. მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა,
დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქარ-
თული ტანისამოსი ჩაიცვა. სულ გამოიცვალა
ახალს ტანისამოსში. შშვენიერი შესახედავი
ყმაწვილი კაცი დადგა.

არ გასულა ხუთი-ექვსი დღე დაბარების შემ-

დეგ, რო ცხენები ჩამოგვივიდნენ. მეორეს დღეს
უნდა ქალაქიდამ გავსულვიყავით. მე ღვდლის,
სანახავად წავედი.

— გაბრიელს გაუმარჯოს! შემომძახა ღვდელ-
მა, როცა შევალე კარები და შევედი იმის პატა-
რა ოთახში: ამბავი-ხამბარი, ჩემო გაბრიელ!

— დიდმა ბატონმა თქვენი ჭირი წაიღო, —
მოვახსენე მე: დათიკომ შინიდამ ცხენები დაი-
ბარა და ხვალ შინ წასვლას გაპირობთ.

— მერე, დათიკო სწავლას თავს ანებებს?

— თავს ანებებს.

ღვდელს ეს ამბავი მეტად ეწყინა. წამოდგა-
ტახტიდამ და თავის ოთახში წინა და უკან სია-
რული დაიწყო. პატარა ხანს უკან მითხრა:

— სწყუროდეს, წყალსა ვინ დალვრის კაცი
უშმაგო, ცნობილი, ჩემო გაბრიელ! საკვირვე-
ლია, რომ მე ის ყმაწვილი ვერ მოვიკარე!....
ეხლა შინ იქნება?

— შინ გახლავს.

გადიცვა მაშინვე ანაფორა და წამოვიდა და-

თიკოსაკენ. მეც უკან გამოვყევ. დათიკოსთან ლვდელმა არ შემოყოლია.

დათიკოსთან ლვდელმა კარგი ხანი დაჰყო. როცა გამოვიდა, მე წინ დავხედი.

— ვერა გავაწყე რა,— მიბძანა მე ლვდელმა ნაღვლიანად: თავის სიტყვის კაცი ყოფილა. ღმერთმა სიკეთის შეძლება მიჰსცეს.

დილაზედ ჩავალაგეთ ბარიგი, დავამზადეთ ცხენები და, მინამ წავიდოდით, ლვდელთან გავიწეუცი. კურთხევის ჩამოსართმევად.

— მიღიხარ, მიღიხარ, გაბრიელ?! მითხრა ლვდელმა დალონებითა.

— გიახლებით. მაშ რა ვქნა? ვკითხე მე იმ რიგად, რომ ეთქო, ნუ! წახვალო, იქნება არც კი წავსულვიყავ.

— უნდა წახვიდე. სხვას ვერასა იქ: შენი ნება შენს ხელთ არ არის.

მე ალარა ეუთხარი რა. მიეედი ლოცვა-კურთხევა ვჰქითხოვე. იმან პირ-ჯვარი გადამწერა და მიბძანა:

— მშვიდობით ჩემო გაბრიელ! მართალი

იყავ და სიშართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით!

მომეხვია მე, როგორც მამა შვილსა; დავკოცნეთ ერთმანეთი და გავიყარენით. ეჭ, ბატონო, ქვეყანა ძნელ შესაფერი ყოფილა!

ორ დღეს უკან ჩვენის სოფლის ბოლოებში მიყედით. მზე ჯერ ჩასული არ იყო და მთის წვერზედ ცეცხლივით ენთო. მე ჩვენს სოფელში მისვლა ძალიანაც არ მიმიხაროდა: მე იქ აღარა ვინა მყვანდა. მაგრამ ჩემის მიწა-წყლის სიობ რომ დამკრა, გული ამიტოკდა. ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რო დავინახე, ავივსე ლხენითა და სიამითა. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა, გულში რაღაც მმზანი ჩრდილია იყო, თითქო ნაღველი სიხარულში გაიშალაო და სიხარული-ნაღველშია. გული ოდნივ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გარდამექცა გულის-ყური, ყველაფერი ჩემს გარსა თითქო

წალაპას კარგისა და დიდი ხნის დავიწყებულს
ამბავს მიამბობდა. იმ დროს რო კაცს ჩემთვის
ხმა გაეცა, — მეწყინებოდა.

მე ხომ იმ ქვეყნისათვის ტიალ ოხერი ვიყავ
და იმ ქვეყნისა კეთილი არა მახსოვედა რა, მაგ-
რამ მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ
ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-ყყალს არ
მოშორებია, — ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყ-
ნის შეუ ხომ ეხლა ხიდი ჩატეხილია და დღესა
თუ ხეალე სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის
მოწყალებად ჩაეთველიდი, რომ მე ჩემის მიწა-
წყლის კალთაში სული დამელია. ვაი სადაური
საღა ვკვდები!...

შინ რო მივედით, დათიკომ მეორეს დღესვე
დამიბარა და მითხრა:

— ჩემო გაბრიელ მე შენს ანაბარასა ვარ. აი
ეს სახლი, ეს კარი, საქონელი, მამულ-დედული
შენთვის ჩამიბარებია. ღვთის მოწყალება გვაქვს,
მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრე.

ეს რომ მითხრა, ერთი კარგი ხელი ტანისა-

მოსი ჩაჩუქა; მე რომ ის ჩავიცვი თავადის შეილ-ში ვერ გამომარჩევდით.

ჩავიბარე ყოველი ფერი, ყოველი ფერი ხელ-ში დავიჭირე და ღვთის შეწევნით საქმე ისე მო-ვიყვანე რომ სახლიდამ ბეწვის ოდენაც არა იკარგებოდა რა. მართალია, ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შევძულდი, ბევრი მოვიმდურე ყმა, თუ მოჯამაგირე, მაგრამ, ღმერთია მოწამე, უ-სამართლობა არა ვისათვის გამიწევია. ორ წელი-წადში საქმე ისე მოეწყო, რო დათიკო კაი ოჯა-ხის შეილად დაისახებოდა იმ ახლო-მახლო თა-ვადის შეილებში. ღვთის წინაშე უნდა თქვას კაცმა, რომ დათიკოც პირშავად არ იყო ჩემთან, ტოლაზეანაკად მინახამდა და ძალიან მაღლობე-ლი იყო ჩემი.

ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვე-ნიერის სანახაობისა, გულ უხვი, გულ მარდი, გუმაფი და ვაჟ-კაცი. თოფისა და იარაღის ხმა-რებაში იმ პირობაზედ იმას ორიც არა ჰსჯობ-და; ის რო ყარაბახულ ცხენზედ შეჯდებოდა ყელმოლირებული ალვის ხესავით ადამიანს თვა-

ლი ზედ დარჩებოდა. ყველა ფრით ძალიან ლა-
მაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავა-
სენი ჰსჭირდა, — და იმ სენმა ისე იმას არა ავნო,
როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და იმისთა-
ნაებში ნამუს გაქნილიცა. რაკი გულში ვისინე
ქალის ფიქრს ჩაიდებდა თავის გულის-წადილი-
სათვის არა ფერს დაერიდებოდა, არა ფერს არ
ითაკილებდა, არა ფერს და არავის დაზოგავდა;
ყველაფერს და ყველას ხიდად გაზდებდა დაუნდო-
ბლად და თითონ გაივლიდა. მე მგონია ის უ-
ბედური არავის არ დაინდობდა მაგისთა-
ნაებში — ასეთი თავ-დაუჭერელი იყო, რაკი პირ-
წყლიან გოგოს დაინახამდა. ბევრს გლეხის გო-
გოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის
შეილს თავზედ ლაფი დაასხა. სხვა ფრივ კი
ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი ის იყო.

მე რომ ის არა მყვარებოდა, ცუდად დაუმი-
წებდი იმ მოხდენილ მხარ-ბეჭა, რომ ამოდენა
სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!... მაშინ ჩემი ბედიც
იქნება სხვა რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ
რა მექნა? ის სხვა ყოველფერში მაღლიანი ბი-

ჭი მეტად მიყვარდა. არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი. ქვეყანა. წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლადა მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოაჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა. შენ რაღასა აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეოებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც მემლვრევოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადაუეხარისხენით. ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპოვე.

ჩვენის სოფლის ბოლოს ერთი კაი ოჯახის შეილი იდგა, ჩვენის ბატონის ყმა. პეპია ერქვა სახელიად. კეთილი სადმე კაცი იყო, ხან-შესული, დროული, გლეხ-კაცობაში სახელიანი და პატივცემული.

იმას, შენი ჭირიმე, იქნება მარტო ჩემ საუბედუროდ, ერთი ახირებულად მაღლიანი, ჯერანიერით ლამაზი გოგო ჰყვანდა. ის იყო პეპიას

სული და გული და იმის მეტიც აღარავინ შეწენა
ჩენოდა ახლად დაქვრივებულს პეპიასა. ბევრმა
კარგად აშენებულმა გლეხმა ჰსონოვა ქალი, მაგ-
რამ არავის მიათხოვა, თითქო სხვისათვის არ
ემეტებოდა ის ობოლი მარგალიტი. გოგო იყო,
შენი ჭირიმე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა:
თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტან-წვრილი
და მაღალი. ბევრი თავადის შეილის ქალი ინ-
ტრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა,
იმის გიშრის თვალსა, იმის გიშრის თმასა, ლელ-
წამს ტანსა!... მარილიანი რამ იყო ჩემ საუბე-
დუროდ.

აკი გამიწყრა ჩემი გამჩენი და პეპიას ქალს
თვალი სადღაც მოჰკარი. თვალის მოკვრა და
გულში სიყვარულის ცეცხლის ჩავარდნა ჩემთვის
ერთი იყო. როგორც თოფის წამალი ნაპერ-
წკლისაგან, ისე ავთვეთქდი სიყვარულისა და ნატ-
ვრისაგან.

რაღა გაგიგრძელოთ, თურმე ნუ იტყვით,— იმ
გოგოსაც ჩემი ფიქრი მიჰსცემოდა. ეხლა რაღა

ვარ, შენიჭირიდე! მაშინ ოცის თუ უცდაერთო
წლის გათამამებულ ბიჭსა ადამიანობა მეტყო-
ბოდა. კვეხნით არ ვიტყვი და თვალად-ტანად
არც არაფერი მე მიჭირდა.

ერთხელ კალოზედ კევრზედ იღვა და მე რომ
ამოვუარე, ჩუმ-ჩუმად შემომცინა. როგორც კო-
კორი მზისგან, გული ისე გადამეშალა და ამი-
ყვავდა; ამომივიდა მზე. გამინათლდა ქვეყანა.
ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალ-
და ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და აღარ
ამცქანცქალებია. ეჭ, პირ-მქუშო წუთის სოფე-
ლო, ისიც ხომ მომიშალე!...

შუალედ იყო. ვეხსილაშ მოვლიოდი და ორ-
ლობებში რო შემოვედი, ჩეშს მზეს ორლობის
თავში თვალი შევასწარ: თურმე მამისათვის კა-
ლოზედ ჯერი მიჰქონდა. გულმა ცემა ერთს
წუთს შესწყვიტა, დამეცა ბურანი, თვალთ და-
მიბნელდა,—და ის ვაჟ-კაცი წავბარბაცდი და
წავაწყდი ლობეს. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე
მე მოვიკრიფე ლონე და გონზედ მოვედი. ეს
რაც დამემართა, ერთის წუთის საქმე იყო. იმა-



ნაც მე თვალი მომკრა; შეკრთა, როგორც მშეკ-
ლი მონადირესაგან და უცებ უკან გატრიალდა.
მე ბევრი არ მიფიქრია: ვისხლიტე ფეხი და გა-
მოვუდეგ. ისე ფეხ-აკრეფით ჩქარა მიდიოდა,
თითქო უკან მტერი ეგულებაო. დავეწივე კაკ-
ლებ ქვეშ გამინდვრებულზედ და მივძახე:

— ქალო! რა მიგარბენინებს? მგელი ხომ არა
ვარ, ბიჭი ვარ, ადამიანი.

იმან ხმა არ გამცა და არც შემომხედა. თავ-
მომწონე ბიჭი ვიყავ და გული ყელში მამებჯი-
ნა. ვიშვირე ფეხი და ორ გადახტომაზედ წინ-
მოვექეც.

— ნუ გარბი, შენი კვნესა მე! — ვუთხარი მე
და გამოვუწივე ყელი: შენ ხელთ მომიცია
ჩემი საბელი ყელისა.

იმან წარბი შეიკრა და ისე მრისხანედ და
მწყრალად შემომხედა, რომ თვალს თვალი ვერ
გავუსწორე. მე შევკრთი, მე ვაჟი-კაცი შეუშინ-
დი იმ პატარა, უღონო გოგოსა!... ძლიერი ყო-
ფილა უძლოდაც ადამიანის შეილი!...

გლახის ნამბობი

— გზა!... მითხრა ამაყად და ბძანებითა: მამა
მყავს და ნამუსი მაქვს.

— ღმერთმა ნურც ერთსა და ნურც მეორეს
ნუ მოგაშოროს, — ვუპასუხე მე გულ-მართლად,
მაგრამ იმედ-გადაწყვეტილად: მე სამტროდ არა
ვარ მოსული, ღმერთო ხომ შენ იცი! ჩემი გული
და წადილი ისეთი წმინდაა, რომ კელაპტრად
ხატს აენთება. მე მარტო ის მინდოდა, რომ
ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხთ ქვეშა გზად გამე-
შალა. არ ინდომე?! ღმერთმა მშვიდობა მოგცეს,
ლაშაზო ქალო, და მე თუნდა შენის ჭირის სა-
ნაცლოდ ვიყო. გზაო, მიბძანე შენ. დამითმია
გზა!... გზა მშვიდობისა!... ლხინი შენ და ჭირი
მე.

ესთქვი ეს თუ არა, ჩამოვეცალე. იმან ფეხი
წინ არ წადგა და ერთხელ კიდევ თვალი გად-
მომავლო. წყრომა ალარა ჩანდა იმის ტბა-თვალ-
შია. სიხარულის სიომ გადამირბინა გულზედ,
ბედმა ჩემკენ მოიხედა. კიდევ გული მომეცა და
გახალისებულმა ვუთხარი:

— ქალო! რად მიკარგავ გზა და კვალსა? რი-

სა გეშინიან, რო ვერხვივითა თრთი? ცა რის-
 ხვით თავზედ დამექცეს, ფეხ-ქვეშ დედა-მიწა გა-
 მერღვეს, თუ გაბრიელმა შენზედ ავი ფიქრი
 გულს გაიტაროს! ..

— დამეხსენ!... მითხრა იმან იმგვარად, რომ
 ვისაც მართლადა დასხნა უნდა, ისე იმ რიგად
 არ იტყოდა.

— არ დაგეხსნები, მინამ ჩემის გულის წა-
 ლილს არ შეიტყობ. ნუ ფთხი უგუნური ტრი-
 დივითა. შენი სიყვარული გულს ჩამივარდა: მე
 ქმარი და შენ ცოლი, ჩემო მარგალიტო! ოლონდ
 ჩემის გულის პასუხი კი მითხარ და ჩემი ობო-
 ლი თავი მოკვდეს, თუ რომ გაბრიელმა შენ
 გაწყენინოს.

იმან პასუხი არ მამცა. მეც ალარ მოვეშვევი.

— თავი მამიკვდეს, თამრო,— დავიწყე მე
 ხელახლად: თავი მამიკვდეს, თუ შენის მეტი
 ცოლი მე მოვინდომო, ხმა ამოილე, შენი კვნე-
 სა მე, შენი!... ერთი ობოლი ბიჭი ვარ, რასაცა
 მხედავ ესა ვარ. ნუ დამაწყევლინებ ჩემ გაჩენის
 დღესა, ნუ დამღუპამ, შენ გენაცვალოს ჩემი თა-

ვი! მე ქმარი და შენ ცოლი!... მითხარი რამ,
შენი ჭირიმე, თორებ ლამის ლოდინში სული
შენთა ფეხთა ქვეშ გამიფთხეს.

ხმა არ გამცა.

— თამრო! შემომხედე, ამ ერთმა ლოდინის
წუთმა რა რიგად დამაღწო. გამაგონე შენი სი-
რინოზის ხმა. სულ-განაბული, გულ-კვდომითა
გიგდებ ყურს და ველი პასუხს. მითხარ!... მით-
ხარ, გინდივარ, თუ არა და შენს გამჩენს დაავა-
ლე! თუ არ გინდივარ, თქმა ნუ გიჭირს!...
გეპრალები!... ერთი ობოლი ბიჭი ვარ, მაგრა წამ
შენის პირისაგან თქმულს ღვთის რისხვასაც ავიპო-
ტან, არამც თუ უბედო ბედის წყრომასა ნუ ნუ
დამაღწე ლოდინითა, ხმა გამე, ხმა!..

ეს რო ვუთხარი, ხელი მკლავში ჩავავლე.
ხელი რომ იმის ტანს მოხვდა, ერთმა რაღაც
ელვამ ტვინიდამ გულამდე უცბად გამირბინა,
ერეოლამ ძარღვებში დამიარა. ის შეტოკდა,
მაგრამ არ ინდომა თავის მკლავისა ჩემის ხელი-
დამ გამოცლა. არამც თუ მიწყინა, გამიღიმილა
კიდეც. იმისი მარგალიტი კბილები, ლარივით

გამწკვრივებული ორ ლალ ტუჩებ შუა ცის სარ-
ტყელად მეჩვენა. გული სიხარულით ამევსო. ვაი
რა დღე იყო და რა რიგად დამიღამა მე ის წუ-
თის-სოფელმა!..

— გამიშვი, ადამიანო! — მითხრა იმან ღიმი-
ლითა: ცუდად ნუ გადამკიდებიხარ, ქვეყანა და-
დის, სირცხვილია.

— სირცხვილი იმას, ვინც საძრახისი ინდო-
მოს. არ გაგიშვებ. რო გაგიშო, ჩემი სულიც
თან უნდა გაგაყოლო. რასაც მე გეშუდარები,
იმის პასუხი მითხარ და ინაცვალე ჩემი თავი
კიდეც!...

— რა გითხრა, ადამიანო?

— ან ჰო და ან არა და მომკალ კიდეც!...

— შენს სიკვდილს კიდევ ჰოს თქმა მირჩევ-
ნია, შე უბრალოდ იმედ-გადაწყვეტილო!

წამოიძახა იმან უეცრად და მკვდარი გამა-
ცოცხლა. თქვა იმან ეს თუ არა, გამისხლტა
ხელიდამ და როგორც ნიავი თვალიდამ წამი-
ვიდა. გამიფრინდა ჩემი ნოეს მტრედი, მწვანე
შტო კი ხელთ დამიგდო; გამიფრინდა და თვა-

ლი ჩემი მიეკერა იმ ორ ღობეს, რომელსაც ის
ბოლოს შეუბრუნდა და მიეფარა.

ღმერთმა უშველოს!... ადამიანს ხანგრძლივ
რო შევხდეს ამ წუთის სოფელში იმისთანა დრო,
ეს წუთის სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ
წუთის სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყვე-
ლაფერი წუთობითა ჰსცოდნია უბედურების
მეტი. ის ის იყო ჩემს ბეჭს იმის ოდენი სიხარუ-
ლი ვეღარსად დავსტუყე. წარვიდა იგიცა, ვი-
თა სიზმარი ლამისა, წარვიდა და იმის ნაცვლად
რასაცა მხედამთ, ის მომეცა... იმ სიხარულის ხა-
ტი ეხლა შიგ გულში უქმადლა მიკიდია. დამა-
წაფა სოფელმა უკვდავების წყაროსა და ბოლოს
შხამად ამომადინა: ტყუილად კი არ არის ნათ-
ქვამი:

«მიძღომნი საწუთოსანი შისთა ნივთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმუსთლოდ ბოლოს არ მოუწებიან.»
ეს, მოგაწყინე თავი ამდენის ჩივილითა, შე-
ნი ჭირიმე. მაგრამ რა ვქნა? ჭირთა თქმა, ლხი-
ნიაო.

VII

ერთხელ, კვირა დღე ცყო, დათიკო წირვაზედ
წავიდა და იქიდამ ვიღასაც სადილად მიეწვივა.
მეც ავიღე თავი, პეპიას ბალჩას ავუარე. გადა-
ვიხედე, კაკლის ჩრდილ ქვეშ თამრო დავინახე
მწვანე ბალახზედ წამოწოლილი. ვიშვირე ფეხი
და გადავხტი ლობეზედ. ის ცოტად შეკრთა და
რო დამინახა მე ვარ, დაშოშმანდა. მე და ის
დიდი ხანია ეგრე ჩუმად ვინახულებდით ხოლმე
ერთმანეთსა, მაგრამ, ლმერთია მოწამე, კოცნასაც
ვერ ვუბედავდი.

— შენა ხარ? მკითხა იმან, როცა მიველ და
წამოვუწექ წინა.

— მე ვარ, შენი კვნესამე! რადა ხარ ეგრე
მოწყენილი, ჩემო სიკეთევ! ვკითხე მე, რადგა-
ნაც ნალვლიანობა შევატყე.

— დღეს ავი დღე გამითენდა.

— რადა? ავი იმას, ვინც ავი შენთვის მოინ-
დომოს. რადა ნალვლობ?

— არის მიზეზი.

- მაინც!...
- დღეს მამა ჩემი ავ-გუნებაზედ მოვიდა საყდრიდგან და იმიტომ.
- შენ დღეს საყდარში იყავ?!
- წამოვეარდი ფეხზედ და ისე აჩქარებით ვკითხე, რომ თამრთ გაოცდა.
- ვიყავ, მითხრა იმან: რაზედ აპფეოქტი?
- ბატონი იქ იყო?
- იქ იყო. დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოვუარე.
- შენ წინ გამოუარე?!

გავაგრძელე სიტყვა და დავაკრაჭუნე კბილები. როგორც ტყვია ნაკრავი, ისე გაფითრებული მკედარსავით იმის წინ გავშეშლი. დიდ-ხანს, დიდ-ხანს ხმა ამოუღებლივ ჩავყურებდი იმის ორმოსავით ჩაღრმავებულს შავ-თვალებსა. ისიც გაკვირვებული შემომცემდა. ხმა აღარ გამიცია. გამწყრალსავით გულნატკენი ისევ იმ ღობეზედ გადმოვხტი და წამოვედი შინ, რომ შემეტყო რამე...

მაშინვე მივუხვდი პეპიას ნალველსა. იმ კვირა



დღეს დათიკოს დაენახა საყდარში თამრო და
პეპიასათვის ეკითხება:

— ეს გოგო ვისია?

პეპიას ფერი ჰსცვლია თურმე და თრთოლით
უპასუხნია: ჩემი გახლავთო.

— კაი საპროშტავი ყოფილა!... ეთქო იმ და-
უნდობელს ადამიანის შვილსა:

მომკვდარიყო საწყალი პეპია, რო გაიგო, რო
იმისი ქალი ბატონს მოეწონა. კარგად იცოდა,
რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწა-
ვებდა. მე რომ ეს შევიტყე, შევფიტე ღმერთსა,
რომ მე მოკვდები და იმას კი არავის წავაქე-
ლვინებ, მეთქი.

იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს
მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირა ღამეს ჩემი
ლვდელი სიზმარში არ მომჩერებოდა. ის დალო-
ნებული იდგა ჩემ წინა და რასაც დავეკითხე-
ბოდი, პასუხად სულ ამას მეტყოდა ხოლმე:

«ხაშს მოუვარე მოუვრისათვის თავი ჭირსა არ
დამრიდად,

გული მიწსცეს გულისათვის საუკარელი გზად და
ხიდად.»

ბოლოს მე მითამ მუხლებზედ მოვეხვივე,
ცრემლით და ტირილით შევჩივლე ჩემი ამბავი
და ვუთხარ: მიბძანე, საით რას გავხდე? იმან
არა მითხრა რა და წავიდა. რო გადიოდა გა-
რედ, შემომხედა მე და მაშინ კი მითხრა: რა-
საცა გაპსცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

დამიჯერებთ ამას თუ არა, თქვენ იცით. მინდა
კი რომ დამიჯეროთ, იმიტომ რომ მართალია.
ალსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ
ვიტყვი.

მეორე დღე რო ჩემთვის არ გათენებულიყო,
ისა ჰსჯობდა. ისეთი გულ-მოწყვეტილი და ალ-
რინებული ვიყავ, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. მე
არა ვის არ შევატყობინე, რაც ვიცოდი. მე ჩემს
ბედს გავუჩუმდი, მაგრამ ორივ თვალიკი გავა-
ფაცილე. თვალ-ყური ვაღევნოთ, ვჰსტქვი ჩემს
გულში ბოლოს: იქნება ისე არ აწეიმდეს, რო-
გორცა ჰქუეს მეთქი. ხანდისხან ერთი საშინე-
ლი ტკიფილი გულის ფიცრის ტეხას დამიწყებდა



ხოლმე. ვაი თუ თამრომ.... მაგრამ არა, შალე
გადავივდებდი ხოლმე გულიდამ ამ ფიქრსა.

ამ ყოფაში ვიყავ და ჯერ არსაიდამ აეი არა
ისმოდა რა ერთხელ მე ბიჭებში ვიყავ და ბა-
ტონის ხმა მოგვესმა, გიტოს ეძახოდა. ღამე იყო,
ძილის პირი მოახლოვებული იყო. გიტო გახ-
ლდათ დათიკოს უნამუსობის აფან-ჩავანი. გიტო
რო წავიდა, მეც იმის გაუგებრად თან-ავედევნე,
ჩუმ-ჩუმად შევიპარე ერთს ბნელს ოთახში, რომ-
ლის კარიც დათიკოს ოთახში გადიოდა. დათი-
კოს ოთახში სანთელი ენთო. მე კარებთან სულ
განაბული ავიტუზე და ყური, როგორც ლურს-
მითა, კარებზედ მივაკარ. გიტოს ზურგი ჩემკენა
ჰქონდა შამოქცეული და ისე იდგა, დათიკო კი
წინა და უკან დადიოდა ოთახში. ბოლოს და-
თიკო გაუსწორდა გიტოს, შედგა და ჰკითხა:

— პეპიას სახლი იცი?

— თუ მიბძანებ, ვიახლები, — უპასუხა გი-
ტომ.

— გინახავს იმისი გოგო?

— როგორ არა, შენი ჭირიმე! აბა გოგო ის

არის აი! იმისი ბაზალი დუნიაზედ არ იქნება მასში მისამართი.

— მაში თუ აგრეა, შენ იცი და შენმა ბიჭისამ.

— ჩემი კისერი გახლდეთ. მერე გასათხოვა-
რიც არის!...

— თუ კაი ჩოხა გინდა, თუ არა და კატა-
სავით სარჩედ ჩამოვახჩობ.

— ბატონი ბძანდები, ადვილია. მარტო ეს არის
ძნელი, რომ იმ გოგოს საყვარელი ჰყავს და
ცოლ-ქრისტიანული ნათესავი აქვს. მაგრამ რაც უნ-
და იყოს, დედა-კაცი დედაკაცია. ერთი ჩაქსულა
კაბა და იმისი ჯანი.

— ნამუს წართმეული ხომ არ არის ჯერ?

— უცოდველია, როგორც გურიტი.

— ვინ არის იმის საყვარელი!

— ჩვენი გაბრო.

— გაბრო?!.. გააგძელა დათიკომ სიტყვა და
ჩაჩუმდა.

მე სმენად გადვიქეც, ეპსონები, რომ ან აი
ეხლა, ან ცოტა ხნის შემდეგ დათიკო იტყვის,
თავი დაშინებება; გიტო, ნულარ ვაირჯები. მაგ-



რამ მიშტყუვნა იმედმა და დათიკოს კაი-კაცის
იმოდენა სიკეთე ვერ შეჰსძლო. მოუბრუნდა
გიტოს და გულდალინჯებულად, თითქო კაი
საქმეს შერებაო, უთხრა:

— მეწყინა ეგ რო მითხარი, მაგრამ არა
უშავს რა. შენ რაც გითხარ ისა ჰქენი, მე და
გაბრო მოვრიგდებით.

რა წამსაც ეს გავიგონე, გაბოროტებული
გამოვტრიალდი და მოვშორდი იმ ცოდვის შვი-
ლებსა. რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი. ეს კი
ვიცი, რომ მე და დათიკოს შუა ხიდი მაშინ
ჩატყდა და მეც გულში ერთი ძარღვი ჩამწყდა.
მოვრიგდებითოო!... ვაი შენს გაბრიელს, რა ცუ-
დად უცვნიხარ!..

საქმის დაგვიანება აღარ ევარგებოდა, უნდა
მეხერხნა რამე, რომ საწყალი გოგო მახეში არ
გაბმულიყო. მაშინვე გავიზრახე, რომ პეპიასთან
წავიდე და უველავერი შევატყობინო. გლეხის
ვახშმობა დიახ გადასულიყო, როცა მე პეპიას
სახლთან მიყედი. კაშკაში მთვარე იდგა და ასე-
თი მთვარის შუქი იყო მოფენილი ამ ცოდვილს

ქვეყანაზედ, რომ თითქო ეს ქვეყანა სიწმინდით
 არის განათებულიო. მე პეპიას შევასწარ თვალი
 სახლის დერეფანში. ის საწყალი დაჩოქილ-
 იყო და ლოცულობდა. მე ფეხ-აკრებით მივეპარე
 და აქედ ბოძს ავეფარე. კარგა ხანს ბუტბუტებდა
 და გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა,
 ბოლოს, თითქო თავი დაივიწყაო, გულამომჯდარ
 მა მაღლა ხმით შევბლავლა უფალსა: შენთვის მო-
 მიბარებია ჩემი უცოდველი თამრო!.. ნუ გაუმრუ-
 დებ გზას!... ღმერთო, მფარველო მართლისაო, ნუ
 დამანახვებ ჩემის შვილის მიწასთან გასწორებას!...

ადგა ის საცოდავი ადამიანის შვილი, ხელი
 თვალებზედ მოისო, თითქო ცრემლს იწმენდსო,
 ერთი კიდევ ჩაიკრა გულში ხელი და გაიმართა
 სახლში შესასვლელად. მაშინ მიეძახე:

- პეპიას გაუმარჯოს!
- ვინა ხარ? თუ ავისული არა ხარ, ამ დროს
 აქ რა ხელი გაქვს? გამიწყრა პეპია.
- ავ-სულობას ნუ მწამობ. მე შენთან მო-
 სალაპარაკები მაქვს რამე, ვუთხარი მე პირ-და-
 პირ.

— ვინა ხარ? ვინ?

— შენის კეთილის მყოფი, გაბრიელი ვარ.

პეპიას ელდა ეცა. ალბად ბატონისაგან მო-
გზავნილი ვეგონე გოგოს თაობაზედ. ამიტომაც
მწყრალად და გაჯავრებით მითხრა:

— მე შენთან საქმე არა მაქვს რა. თუ შენ
კაი კაცი იყო, მზეს არ დაემალებოდი. ამ დროს
ძალლსაც კი ჰსძინავს!..

მითხრა ეს და გაიწია შინ შესასვლელად. მე
ხელი მოვკიდე და შევაყენე,

— არ გეყურება შე, უბედურის დღისაც, რომ
მე შენთან მძიმე საქმე მაქვს, მეთქი!.. ვუთხა-
რი მე.

— შენი ბატონის პატრონს რა საქმე უნდა
გქონდეს, თუ არ სულის წასაწყმედი. რა გინდათ,
შვილო, ჩემგან? როგორ არ გებრალებით ბე-
ბერი, უღონო, უპატრონო კაცი? თქვენში
ღმერთი არ არი?...

— ღმერთიც არის და ღვთისაგან ჩაგონებუ-
ლი სიკეთეცა ..

— კარგი, კარგი! — გამაწყვეტინა სიტყვა: კა-

გი! ვიცი, რა მაღლიც ტრიალებს თქვენ გულში,
ვიცი!...

— ეს გული გამიწდეს, თუ შენი ღალატი
შიგ იდოს,—მოვუჭერ მე სიტყვა თამამად და
გაბედეთ.

— თუ ღმერთი გწამს, მე. მამშორდი. ბევრი
გველი მინახავს ჯერ გულში ჩაჰატვერენოდეს და
მერე კი დაეშხამოს. შენის გამჩენის გულისათვის,
მამშორდი, ნუ შემამოხვევ ცოდვას. აი ხომ ხე-
დავ უილაჯო ვარ. ჩემი პირდაპირ მორევთა-
დიას ადვილია, მაგრამ მოტყუება კი ძნელია. დაანებე
თავი მაგ გატყბობილის ენით ჩემს ცდუ-
ნებასა, ჩემს საცოდაობაში მევე ნუ შემარევი-
ნებ ხელს. მე რაღა ცდუნება მინდა? თქვენ
რაღა ოსტატობა გინდათ? მე რა შემიძლიან
თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არის. პირდაპირ
მოდით და მოწამლული ისარი მკარით გულში.
რაღა ეშმაკობა გინდათ? რაც გრძათ, ისა ჰქე-
ნით. მე ღმერთს მივანდე ჩემი გულის წყურეი-
ლი, იმას გაეცით პასუხი!..

საბრალოს გული ამოუჯდა და ტირილი და-



იწყო. მეც მეტკინა გული: იმის საცოდლობრივ
დამწვა.

— იმედ დაკარგულო, უბედურო კაცო! —
ვუთხარი მე გულთბილად და გულნატკენად:
ლმერთი ხომ ხედავს, რომ მე მოვსულვარ იმის-
თვის, რომ შენთვის ჩემი თავი დავდო. რად მწა-
მობ აფ-კაცობასა? რად არ მენდობი? მე ხომ
შენთვის ცუდი არა მიქნია რა? ვაი შენ, ჩემო
თავო! ცილს ნუ მწამებ უმიზეზოდ. მაშ შენ
გაბრიელ ვერ გიცვნია. ადრე და მალე აიგავოს
მტვერსავით ეს ობოლი თავი, თუ ადამიანის
ლალატი როდისმე გულში გამტარებოდეს. ვაი
შენ, ჩემო თავო! რად მირცხვენ ყმაწვილ-ბი-
ჭობას? სამაგისო რა მიქნია, რა? სულს ნუ
წაიწყმედ ცილის წამებითა, ნუ!.. იმ ღვთის გუ-
ლისათვის, რომელსაც შენ წელან ევედრებოდი,
მომენდე მე და მაშინ ნახავ, რაც კაცი ვარ. იმ
ღვთის წინ გაძლევ ფიცე, რომ მე შენის სიკეთი-
სათვის ვარ აქ მოსული. დამიჯერებ, — კარგია, არა
და, — მე მაინც ჩემს თავს. შენთვის არ დავზოგავ!

ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუ-

ნეს. მერე რა რიგად? წამავლო ხელი, მომეხფია
და ჩემს მკერდზედ ზედ-დაკდომით ქვითინი
დაიწყო.

— შენს ღმერთს აპატივე, შენს ღმერთს!..
ბლავოდა საცოდავად პეპია: ღმერთი ხომ მო-
წამეა, შენგან ავი არა გამიგია რა. მაგრამ რა
ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ? შვილი
მეღუპება, შვილი!... ჩემი სისხლი, ჩემი ხორ-
ცი!... ერთად ერთი შვილი ცოცხალი მემარხე-
ბა!... გესმის ეს, ჩემო გაბრიელ! შვილსა ვკარ-
გავ, შვილო, მოდი და უნდო ნუ იქნები! შემი-
ნდევ! შენს ღმერთს აპატივე, ოუ გაწყინა რამე
ბებერმა, ჭკვა დაკარგულმა, უბედურმა მამამა.
რა ვქნა? ჩემი შვილია, ჩემი გულ-ლვიძლია,
ჩემო გაბრიელ! ვის მივენდო, ვის ამ ცოდვით
საესე ადამიანის შვილებში? ძმას არ ცენდობი,.
ძმას მაგ საქმეში, ღმერთო ხომ შენ იცი. მაგ-
რამ მაცდუნებ, ოუ არ მაცდუნებ, შენ კი უნდა
მოგენდო. აპა ჩემი საბელი ყელისა!.. შენ იცი!...
გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამიხსენ წაწყმე
დისაგან!. შენ იცი და შენმა ყმაწვილ-კაცობის მაღ-

ლიანობაშა. მე არა შემიძლიან რა, ხომ ხედავ! შე-
 მიბრალე და ნუ დამანახვებ ჩემის თამროს უნა-
 მუსობას!... შენის ხელით დაეც დანა და დაგვი-
 ხსენ მამა-შეილნი ცოდვისაგან. მეც ცოცხალი
 დამმარხე, მიწა მომაყარე და მაგას კი ნუ მი-
 ზამ, რომ ჩემი თამრო... ვაიმე, შვილო!..,

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან საწყალს
 ხმა ჩაუწყდა, სიტყვა შეეკრა და ენა დაება.
 ღმერთო! რამდენი ამდენი ცრემლი იღვრება ამ
 შენგან გაჩენილს დედა-მიწის ზურგზედ, მაგრამ
 სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება
 შენსა მოთმინებასა!

მეც ამიყოლია იმისმა სევდამა და გულის
 ტკივილმა. რომ არ შემრცხვენოდა, მეც ვიტი-
 რებდი. ისე წელ-მოწყვეტილი, ისე გამშრალი
 ვიდეგ იმის წინ, რომ ვერც ნუგეში ვეცი, ვერც
 იმედი მოვუმატე. ენა მე აღარ მიჯერებდა და
 გონება. ვიდეგ ისე სულელსავით იმის წინ. მაგ-
 რამ ბოლოს კი, რო ვნახე რომ გული ველარ
 დაიმორჩილა და სევდამ დაიბრიყვა, ვუთხარი:
 — გული დაიშვიდე, კაცი ხარ; რო სხვა არა

იყოს რა. ნუ გეშინიან, ისე არა ჰსწვიმს, როგორ რცა ჰქონეს. ღმერთი მოწყალეა, უკელანი კარგად ვიქნებით.

— ჰო, შენი ჭირიშე, გაბრიელ! მიპასუხა იმან: ეგრე, გეთაყვანე! შენ ხელში ვარ, შეილო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი. მართლადა ღმერთი მოწყალეა. აღრე და მალე რად ვითხელებ ჭკვასა და გონებას! იმისთანა რა მიქნია, რო ღმერთმა ჩვენზედ ხელი აიღოს. აი გეთაყვა, ცრემლს მოვიწმენდ და დავდინჯდები, ოლონდ მიშველე რამე, შენი კვნესამე, შენი!

მე კიდევ ველარა მოვახერხე რა სათქმელად და გავუჩუმდი. ბოლოს მაინც კიდევ იმან დაიწყო:

— იცი რა, ჩემო გაბრიელ! მე წავალ, ბატონს ფეხ ქვეშ ჩაეუვარდები, ენით ავულოკამ ფეხის ნატერფალს, გადვუკოცნი მუხლებს, — იქნება ღმერთი შემეწიოს და როგორმე თავი შევაბრალო. ისიც კაცია, ჩემის სიბრალულით და საცოდავობით მოლბება.

— შენ ბატონს კარგად ვერ იცნობ.

— მა რა გქნა? შემომბლავლა საცოდავად,
თითქო ყველა ფერზედ იმედი გადუწყდაო.

— ეგ საქმე მე დამაცალე. შენი დახმარება
მარტო იმისთვის მინდა, რომ თვალ-ყური გე-
ჭიროს, ნამეტნავად ვიტოს გაუფრთხილდე. ის
ძალი კაცია. როგორც მორიელი, ისე შემოგე-
პარება და დაგსუნთქამს. დანარჩენი მე ვიცი.

— ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე! ღმერთი იყოს
შენი გადამხდელი.

კიდევ ერთმანეთს გაუუჩუმდით. პეპიამ ჩაღუ-
ნა თავი და რაღაც ფიქრებს გადეკიდა. მეც ჩემი
დარღი მედო გულში და იმ დარღმა გამიყო-
ლია. კარგა ხანი ვიყავით ჩაჩუმებულნი, მაგ-
რამ ხან ის შემომხედავდა მე, ხან მე იმას შე-
ვხედავდი და არასფერს კი ერთმანეთს არ ვეუბნე-
ბოდით. გატყობდი, რომ რიღასიც თქმა უნდო-
და და თითქო ჟერ ახერხებსო. მეც მინდოდა
ერთის რასმის თქმა, მაგრამ ვერა ვბედავდი,
ცუდად არ ჩამომართოს, -მეთქი. ჩემი და თამ-
როს ცოლქრმობის პირობისა პეპიამ ჯერ
არა იცოდა რა.

— გაბრიელ! მითხრა ბოლოს ჰეპიმ: მე ერთ-
თი ქალიღა შემარჩუნა ბედმა და იმის მეტი
მე არავინ არ მივის ამ ტრიალ ქვეყანაზედ. მო-
ლი, ის ცოლი და შენ ქმარი და მეც მამა ოქვე-
ნი. ჲა, რას იტყვი შენ?

მე ჩემს ყურებს არ დაუუჯერე ეს უეცარი
ჩემის ნატერის ასრულება და ჩემის დარღის მო-
კვეთა. მა ნაირმა სიხარულმა ისე დამიჭირა გული
და გონება; რო გაშტერებით ყურება დაუწეუ
და მე სულელმა ვერა ვუთხარი რა პასუხად.

— რას გამიჩუმდი? დამასწრო ხელახლად ჰე-
პიამ: თუ არ გინდა, თქვი: მე მაგით გულს არ
მატკენ. ცოლქრმობა ნებითია.

— არ მინდაო?! რას ამბობ, ადამიანო? ჩემი
ნატერა ეგ იყო! ვენაცვალე ჩემს იძბალს! ნა-
ტერა თუ ასრულდეს, მაგეთი! ეჭ, დალახვ-
რა ლმერთმა, ვერ მომიხერხებია!... პირდაპირ
გეტყვი: ცოლ-ქრმობა ერთმანეთისათვის ნათქვა-
მიცა გვაქვს. ეხლა რაკი შენი ნებაც არის,
ჩემს ბედს ძალლიც არ დაჰყენს. გიშველოს

ღმერთმა შენც და ამ ქცეყანასაც, რო ნატურა
ცარიელ ნატურად არა რჩება ცის ქვეშა.

ჩვენი ცოლქრმობის ნათქვამობა რო შეიტ-
ყო რაღაც ნაღველმა გადურბინა გაფითრებულ
სახეზედა. ხმა არ გამცა. მე შევატყე, რომ კი-
დე ავ ფიქრს გადაეკიდა ის უნდო ადამიანი და
ამიტომაც ზედ დავატანე:

— ცოლქრმობა კი გვიოქვამს, მაგრამ არც
შენთან და არც ღმერთთან პირ შავად არ ვართ,
ღმერთო ხომ შენა ხარ მოწამე. ჩვენი სიყვა-
რული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის
წყარო. თუ მზის შუქი წყაროს აამლვრევს,
მაშ ჩვენს სიყვარულსაც ჩვენი გული აუმლვრე-
ვია. ცამ რისხვით მკითხოს და დედა-მიწამ არ მი-
მილოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს გულში ჩასახულ-
იყოს. ნუ შიშობ! ღმერთთანაც და შენთანაც
ორნივე პირნათლად ვართ. ღმერთია ამის თავ-
დები, ღმერთი!

დაიჯერა ჩემი ალალი სიტყვა. ის ალალი
ადამიანი, როგორც მალე ავს დაიჯერებდა, ისე
მალე კარგსაც მიენდობოდა.

— მამკალ, აქავ ჩამაქვავე, ჩემო გაბრიელ! მითხრა იმან ნანვითა: აქავ მიწასთან გამასწორე! ცუდი გული მაქვს, — ეს ოხერი. უნდო ვარ, უნდო! მეჩე საწყალი ჩემი გოგოც ძალიან მიყვარს!.. მამკალ, გამაქერ! ცუდის გულის პატრონი ვარ მე ცოდვილი, ცუდის! შენ შეილოდა მე მამა, მე სულელს სხვა რაღა მინდა!

იქ თქვენ გაიხარეთ, როგორც გახარებული მე იმ ღამეს შინ წამოველ. რაღა მინდოდა? ერთი ნატერა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა. შინ რო მოვდიოდა, მე მეგონა ის კაშკაში მთვარე, ის ბრწყინაფი ვარსკვლავები ჩემს ბედს შენატრიან მეთქი. როგორც ცაზედ, ისე ჩემს გულში, ერთი ღრუბელი აღარ იყო. კეთილი ღამე იყო ის დალოცვილი ღამე! რა უნდოდა ავ-კაცობას ჩემგან? რაზედ ჩამითრია და დამღუპა სასიკეთოდ გამზადებული? ვინ იცის? იქნება ეხლა მე ვყოფილვიყავ რიგიანი მუშა-კაცი, ცოლშვილი გარს შემორტყმული მყოლოდა! რო მომკვდარვიყავ კიდეც, დამტირებელი მეოლებოდა, მიწას მაინც თავისიანი

შომაყრიდა, ცრემლს მაინც ჩემნი დამადენდნენ
და ეგრე ძალლისა და ნადირის შესაჭმელი არ
გავხდებოდი!... შერჩეს ავ-კაცს ჩემი დაღუპვა!..
მე ხომ ამ ქვეყნისა აღარა ვარ, ერთი ფეხი საფ-
ლავში მიდგას, დღესა თუ ხვალე ჩემი სულთა
მხუთავი მოვა და სულს გამაფრთხობინებს, მაგ-
რამ გულზედ სისხლი გადამესხმის ხოლმე, რო-
ცა ამას ვიგონებ.

ის დალოცვილი ღვდელი ხშირად მარიგებდა
ხოლმე, რომ მტერსაც პატივობა უნდაო. მეც
ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და
გულში კი სხვა ბალლამი ტრიალებს. ღმერთო
შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა
მარტო შენი სახე თუ მიჰსცემია, თორუმ გული
კი არა. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტე-
რი არ შეჰვარებია...

VIII

იმ ბეღნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მი-
ჰქარებია: ლხინსაც ჭირსავით ძილის გაფთხობა
ჰსცუადნია.

ଗନ୍ଧାରୀଙ୍କ ନାମଦିନରେ,
 ଓରାଫରାଙ୍ଗା ତୁ ଆରୁ, ମେତ୍ର ଜୀବିତେର ବିଲେଖି ଶ୍ରୀ-
 କାନ୍ଦେଲୀ ଲାମିଳ ମାଦଲୀ ପକ୍ଷେ ଗୁଲମ୍ବି ତୁଳିଲୁ-
 ବଦା. ଶ୍ରୀକାରଙ୍ଗଠି ମି ରାଜରାଙ୍ଗି ଦିଲାବ, ମି ଲୁହରଜିଲ
 ପାବା, ମି ନାମିତ ତିରଦାବାନିଲୀ ଦେଇବା-ମିଥିବା ଦା
 ମେ ମେଘନା, ରାମ ପାପ ଦା କ୍ଷେତ୍ରାନାପ ମେ ଶ୍ରୀମନ୍ଦିବା-
 ରାନ୍ଦା. କ୍ଷେତ୍ରାନାଥେଦିଲେ, ତାମରିକ ଦା ତେବିବା ରାମ ମାମିନ
 ମାରତିର ପ୍ରୟୋଗିଲୁଗିଯାଏଇବିତ, ସାମନକେ ସାନାତିରୁଲୀ-
 ଲାର ପକ୍ଷିବିଦାରି. ମାଘରାମ ହୃଦୟ-ବାରିଦା କିଲେବ ଦେବର-
 ନ ପ୍ରୟେନ୍ଦ୍ର ଦା ମି ଦେବରମ୍ଭି ହୃଦୟି ଦୀତିନି ଦା-
 ତିକାପା, ରାମମେଲମାପ ଗିତିଲୀ ଉତ୍ତରା: ମେ ଦା ଗା-
 ଧରିଏଲ ମନ୍ଦିରିଗଭେଦିତାର. ମନମାଗନନ୍ଦା ଏବି ଶିତ୍ୟବେଦି
 ଦା ସାମନକେ ହେମି ତତ୍ତ୍ଵାଲୀଲୀ ଦାକାମିଦିବିଲୀ ଉମାଲ
 ଜନ୍ମାନ୍ତରେତାର ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କପାଇବା: ଶୁରୁବିନ୍ତିରୁମା ଦାମିରବି-
 ନା ତୁମିଶି ଦା ପୁଣ୍ୟଲୀ ସାକ୍ଷାରମ୍ଭି ତୁମିବିଲୀଟ
 ଗାନ୍ଧିରା, କବିଲ୍ଲେବିମା କୁରୁକୁନି ଦାନିଥିଯେବ, ମୁଖୀତ୍ୟେବି
 ତାତ୍ତ୍ଵିଲୀ ତାତ୍ତ୍ଵାର ହାମ୍ବେପୁରମିନ୍ଦନ୍ତେନ, ତାତ୍ତ୍ଵକୁ ହେମି ଗଢିଲୀ
 ଅମରେବି କ୍ଷେତ୍ରମ୍ଭି ଉନ୍ଦରା ଗାମ୍ଭେଶୁରାନ୍ତ. ମି ବିମି ଦା-
 ତିକାର ରାମ ଦାମେନାକା, ମେନିନା ଦିବା ରାମ ପୁଣ୍ୟଲୀ-
 ପୂର୍ବ, ପିମା—ମିଲୀ ଦାନାକାପା ଦା ମିଲୀ ସୁଲାଲୀ ଗାୟତକା-
 ଦା ପରିତି ପକ୍ଷିବିଦାରି ହେମତତ୍ତ୍ଵିଲୀ. ଏହିକାପରିବାମ୍ଭି ନୁ

ჩამომართმევ: უცბად გამწარებული გული და-
უნდობარია.

ბრაზ მორეული გამოვედ ეზოს გარედ და მეც
თითონ არ ვიცი რა გზით და როგორ მივადეგ
უეცრად პეპიას ბალჩის ლობეს. რო დავინახე
ჩემი თამროს ბუდის ლობე, თითქო გამოვფხი-
ზლდი, გამომეღვიძა. გადავიხედე, ლობის იქით.
ჩემი თამრო მოჰსჯდომოდა გვჯას და ბალჩის
წყლის პირას სარეცხსა ჰრეცხდა. ვაი რა ლამაზი
იყო იმ შშენიერს დილას ის შშენიერი ქალი! არ
ვიცი, დილა იმას აშვენებდა, თუ ის დილასა;

იმის შორიახლო თოხის ტარზედ დაბჯენი-
ლი იდგა პეპია და თამროს ელაპარაკებოდა. მე
სმენად გადავიქეც.

— ეი შენ, ეი! პატარა ეშმაკო! ეუბნებოდა
პეპია თამროს და თიხს უქნევდა: ე რეები ჩა-
გიდენია, ჰა? მე ვიცი შენი!

— რას ამბობ, აღამიანო, ნეტა ვიცოდე?
უპასუხა თამრომ და შეაჩეკიტა თავის მაყვალ-
თვალები: რა ჩამიდენია?

— ჰმ, რა ჩაგიდენია!... მითამ არ ვიცი, მი-

თმ არც შენ იცი, თავი მაიკატუნე. მე ჩიტ-
გა ამბ ვი მამრანა:

— რას ამბობ, ადამიანო?

— აი შე მასხარავ, შენა! შევრჩეს, რო მა-
მასაც უმალავდი, შევრჩეს!

— მამას მზემ და თავი არ მამიკვდეს, მე
შენი ლაპარაკი არ მესმოდეს.

— დამაცალე, შე ცულლუტო, დამაცალე!-
ეუბნებოდა პეპია და სახე კი უცინოდა: ასეთს
კაცს მიგათხოვო, რო სულ შენი დღენი გაწყე-
ვლინო, დამაცა!

— ცხადივ ამბობ, ადამიანო, თუ სიზმრივ?
რეებს ამბობ?

— სიზმარს გეუბნები. როცა ერთ რეგენ
ქმარს მიგათხოვებ, მაშინ ეს სიზმარი აგიცხად-
დება. დამაცა!...

— ახა ღმეროო ჩემა, რას გადამკიდებია;

ეს რო თქვა თამრომ, გაჯავრდა და ისე
ლონიერად დაუწყო • სრესა სარეცხსა, თითქო
ჯავრი ამაზედ უნდა ამოიყაროსო.



— მაშინ სხვა რიგად დაუშტვენ, უთხრა
პეპიამ.

— დაუშტვენ რა ბულბული ვარ,—ტუჩებ
აბრეცით ბუტბუტებდა ლამაზი გოგო.

— აი ალილო და ხვალაო,—მაინც არ იშ-
ლიდა თავისას პეპია: მე კი მიყივლია და...

— რა გიყივლია?—თქვა და დააცქერდა შვი-
ლი მამასა.

— რო რეგვენ ქმარს მიგცემ.

— კიდევ!... უწინამც დღე გაჰქრობია.

— რაო? არ მოგდის გუნებაში?

— მამი, ღვთის გულისათვის დამესენ. რა
ცუდგუნებაზედ ამდგარხარ!

— არა დაგეხსნები, შე ცულლუტო, შენა!

— გუნებას ნუ მირევ. დამესენ, მეთქი.

— მე შენთვის ქმარი მიშოვნია.

— თუ გაეთხოდე მაშინ.

— მაშ არა თხოვდები?

— არა:

— რატომ?

— მიტომ.

- მაინც?!;
- იმიტომ.
- არა ვის შეირთავ, არა ვის?!
- ორ ხელმწიფის შეილიც რო იყოს, არ შევირთავ. ახლა? არ დამესნები?
- მაშ შენ როგორც გატყობ, არც გაბრიელს შეირთავ.

უთხრა ცდითა პეპიამ და ღიმილით დააცქერდა შეილსა. მე თამროს შევხედე. იმას შერცხვა, ალიმული აუვიდა ლოკებზედ, თავი ჩალუნა, ვერა ფერი ვერა უთხრა რა მამას პასუხადა. მიუბრუნდა ისევ სარეცხს და უგულოდ სრესა დაუწყო, თითქო გარეცხა კი არ უნდაო, სირცხვილის გაქარწყლება უნდაო.

- არ შეირთამ? — დაიწყო ისევ პეპიამ: ბატონი ხარ, მე ძალას არ დაგატან.

თამრომ ერთი შემოხედა ქვეშ-ქვეშად მამასა და მერე ღიძით ისევ ჩალუნა ლამაზი თავი.

- მოლოზეობა ხომ არ გინდა, დედო? — გაუხუმრა კიდევ პეპიამ: ეგეც შენი ნება იყოს, მაგაზედაც ყაბულივარ. ხმა ამოილე. რატომ ჩა-

გივარდა ეგ შენი ტიკტიკა ენა? არ გეყურება,
გელაპარაკები?

მისწვდა პეპია და თამრო წამოაყენა. ის არ
გაუძალიანდა და წამოდგა.

— პირობა თუ მიგიცია ვისთვისმე!... იქნება
მახეში მოიმწყვდიე ვინმე!... უცინოდა პეპია.

— ი დემესხენ!.. რას გადმეკიდე, ადამიანო?

— თქვი, აბა თქვი, — ვინ გააბი მახეში.

— იჰ! ბეჩავ! რა გინდა ჩემგან? ფხუკიანობდა
თამრო.

— აბა თუ ქალიხარ და მეტყვი.

— ახა ღმერთო ჩემო! არ დამესხნები? ქა!.. იჲ...

გამოეცალა ხელიდამ თამრო და გაეჭცა მა-
მასა.

— აქ მო, შეილო! გვეყოთა ხუმრობა, — უთხრა
ეხლა კი ხუმრობა გაშვებით პეპიამ: თუ შენ
თქმასა თაკილობ, აქ მო, ჩემო იმედო, მე გე-
ტყვი. მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც
მამასთან პირ-შავია. შენ იმისთანა არა ხარ, ჩემო
სალხენო! აქ მო შეილო, აქ!

თამრო შედგა. პეპიამ იმისაკენ გასწია. მამა

შივიდა შეილთან, მკლავი კისერზედ გადაჭივია
 და მეტად გულთბილად უთხრა:

— მე გაბრიელმა ყველა ფერი მითხრა, ჩემო
 კარგო! მე ყველა ფერი ვიცი. ღმერთმა ერთმანეთს
 შაქრის ყინულსავით ტკბილად შევაძეროსთ.
 შენ მეტი ვიღა მაბადია, შეილო, შენი კვნესამე,
 შენი!... თუ შენ ბედში მეყოლები, მე რაღა
 მომკლავს. გაბრიელი კაი ოლაპი ბიჭია, კაი
 ხელლონიერი, ჯანიანი ბიჭია. გლეხ-კაცს მეტიც
 არა უნდა რა. ისე გაგიფთხილდება, როგორც
 თავის ორ-თვალსა, ჩემო იმედო ქვეყნისავ!
 კაი ჰატრონი მოგცა ღმერთმა, მაღლი უფალსა!
 მე ხლა, უნდ შენს კალთაში სულიც დავლიო,
 მაგდონს არას ვინალვლი. რის დარღილა უნდა
 მქონდეს? თუ ღმერთი შენს შეილიერებასაც
 შემაჰსწრობს, ხომ ძალლიც არ დაჰყეფს ჩემს ბედ
 სა,— თუ არა და ეგეც ნება ღვთისა იყოს, ვე-
 ნაცეალე იმის მაღლს! გაბრიელი, მართალია,
 ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხ-კაცი ღარიბობით
 არ დაიშუნება. ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი
 მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს.

თუნდ ეგეც არ იყოს, ღვთის წყალობა ბეჭრი
მაქვს. მე რა ოხრად მინდა? პური, ღვინო მამუ-
ლი—სულ თქვენია. ღმერთმა, ობლების პატ-
რონმა ყველა ფერი მშვიდობაში მოგახმაროთ,
შეილო! მეც მინამ ცოცხალი ვარ, ვიცოდვი-
ლებ თქვენ სადღეგრძელოდ და როცა მოვკვდე-
ბი, თქვენ იცით, შვილო, და თქვენმა კაი ადამია-
ნობამ, მკვდარს როგორც მომიელით...

მე ამის გამგონმა იქ ვეღარ ვიდგომილე. იმისთანა ტკბილის მამაშვილობის მაყურებელსა გული ლხენით ამიტირდა, ცრემლი თვალში მომერია. ვაი, რა კარგია ხოლმე ხანდიხან ეს უხეირო წუთის სოფელი! ავ-კარგიანი ყოფი-
ლა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანაცა. იმ მამისა და შვილის ლაპარაკმა გულის სიმწარე ჩემი გამი-
ნიავა, სიკეთის იმედი კიდევ ჩამესახა გულში და კაი გუნებად შევიქენ. მტრობამ გულში ვეღარ იდგომილა.

ვჰსოთქი ჩემს გულში, მე იმათ დავუშლი, რომ
გამოვუჩნდე. ვდევ და შენ წამოვედი. რით
გათავდა იმათი ლაპარაკი,— არ ვიცი. ეს კი-

ვიცი, რომ იმ წამს ისინი ბედნიერნი იყვნენ. გადიოდნენ დღენი და ღამენი. მე თვალ-გაფაციცებით გულის ყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს. მე ვატყობდი, რომ რამოდენაც მეტი ხანი გავიდა, იმოდენად დათიკომ ჩემზედ გული შეიცვალა. ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდლით, — აბა წინ ვინ დაიწყობს ომსაო. მაგრამ მინამ საქმე ომამდინ მიღებოდა, მე მინდოდა დათიკოსთან მოშელაპარაკნა პეპიას ქალის თაობაზედა და ვცდილვიყავ როგორ-მე დამეყოლიებინა ისე, რომ ხელი აელო თამ-როზედ და ჩენში ისევ სიყვარული ჩამოვარ-დნილიყო. იმის ავ-კარგიანობის იმედი მქონდა, მაგრამ იმედმა მიმტყუვნა.

რაღა გაგიგძელო სიტყვა, გიტო ვერა ფერს გახდა, სალაპარაკოდაც არ შევახვედრეთ მე და-პეპიამ თამრო. ამან უფრო გაააფთრა დათიკოს ჟინიანი და მურტალი წადილი. აშკარაა, ამის მიზეზი მე ვეგონებოდი, ამიტომაც მე დათიკომ ხაფანგი დამიგო და ქვეშ-მომიწყვდია. როგორ მეგონებოდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი ეგრე მხთ-ლად მოშექცევოდა.



ერთხელ დილით დათიკოს დავეძანე და მცე
შინ არ ვიყავი. როცა მოვედი, კიდევ დამიძახა
და შემიყვანა თავის ოთახში.

— სად ბძანდებოდი, ჩემო შერმადინ, —
მითხრა დაცინებით დათიკომ-

— არსად, ისე დავეხეტებოდი.

— ასე აღრე?

— რაც შენთვის აღრეა, ის ჩვენთვის აღრე
არ არის.

— ეს გადაკურით ლაპარაკი რად იცი შენ?

— ეგრე გავუჩენივარ ღმერთსა....

— ყური დამიგდე: შენ ჩალაც ნალველი გაქვს
და მე მიმალავ.

— იქნება.

— არა, თუ ღმერთი გწამს.

— მართალს მოგახსეწებ.

— მოდი, მითხარ რა ნალველი გაქვს.

— თქმა აღვილია, ბატონი ხარ, გეტყოდი,
მაგრამ შენთვის რა ხელ საყრელია.

— ეგ მე ვიცი.

— მე რატომ აღარ უნდა ვიცოდე.

— შენც შეიტყობ.

მე ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი საქმე ასე მოეწყო და ამიტომაც პასუხად პირდაპირ ვუთხარი:

— თუ აგრეა, მოგახსენებ. მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დავიწერო.

— მერე რა გიშლის?

— პეპია ცოლზედ მგლოვიარედ არის, სულ ექვსი თვე არ არის, რაც ცოლი დამარხა და ჯერ ხანობით ეს მიშლის.

— სულელი ყოფილხარ.

— რადა?

— რო ჯვარს იწერ.

— გაშ?

— მაშ ისა, რომ ქალი ქინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითები და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოს.

— შენ რა შუაში ხარ, რომ მზითებს მპირ-ლები? ვკითხე თამამად.

შევატყე, რომ ჩვენი საქმის კვანძი აქ იხსნება.



— ქალი ჩემია, — მითხრა იმან უსირცხვილოდა და მზითებსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

— ეგ რა ჰსოჭეი? წაეძახე მე კანკალით.

— ისა ცჲათქვი, რაც შენ გაიგონე, მითხრა იმან დინჯად.

— დათიკო! მე გლეხ-კაცი ვარ და შენ ბატონი, ვუთხარი მე გულმხურვალედ და ვედრებითა: გევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გულიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი. დათიკო! თუ ღმერთი გიყვარს და შენი გამჩენი გწამს, თავიდამ მოიშორე იმ გოგოზედ ფიქრი. ნუ ამაყრევინებ შენზედ გულსა, შენთანა ვარ შეზდილი: შენი ჭირიმე, დათიკო, ცოდვას დამხსენ!.. მაგისთანა ვაჟ-კაცი ხარ და შენი გული როგორ ვერ დაგიმორჩილებია! მადლი ჰქენ და ჟინი მოიკალ. ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა. ის გოგო ჩემია...

— ჯერ ჩემია, მეთქი — გამაწყვეტინა სიტყვა: შერე თუნდა შენი იყოს, თუნდა სხვისა.

გლასის ნამბლი

— დათიკო! შენი ჭირიმე, ხიფათს ნუ შე-
მამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ! დამითმე ის გო-
გო და შენს ღმერთს დაამადლე.

— როცა მე ჩემსას ავასრულებ, მერე შენ-
თვის დამილოცნია.

— მართალს ამბობ და აღარა ხუმრობ? ვკით-
ხე და გული ყელში მამებჯინა.

— შენი ცალი ვიქნები, რო შენ გეხუმრო.

— მაშ გაბრიელს თავზედ ქუდიარ ეხუროს,
თუ შენ შენი წადილი შეისრულო.

— თუ ღმეროი გწამს, წინ არ გადამიდგე!..

მითხრა იმან უკადრისად და დაცინებით.

— წინაც გადაგიდგები და მეტსაც გიზამ.

— მემუქრები თუ?

— ძალი შემწევლეს ქადილსა, ფრიდონისა
არ იყოს.

— შენი შერცხვენილი იყოს, ვინც შენისთანას
შეუშინდეს.

გულმა ბაგა-ბუგით ცემა დამიწყო; მკერდში
გული აღარ მეტევოდა. დათიკოს მოკვლის სურ-
ვალმა ელვასავით გამირბინა ფიქრში, მაგრამ

- თავი დავიჭირე, დავძლიე ეშმაკის ცდუნება.
- დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ,
შემიბრალე შენი გაბრიელ!..
- წყალსაც წაულიხარ.
- გოგოს მარტო მე უნდივარ, დათიკო!
ღმერთთან ცოლქრმობის პირობა მიგვიცია...
- ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თქვენი
პირობაცა!
- დათიკო! შენ შენს ბედის-წერას აუტანი-
ხარ.
- დამეკარგე აქედამ.
- დათიკო!.. არ გეცოდება იმისი დროული
მამა? იმის მეტი შეილი არა ჰყავს. ნუ დაასხამ
თავზედ ლაფს, ნუ დაწყევდლინები...
- აქედამ გამეცალე, -მეთქი, — შემომჟყივლა.
- დათიკო! არ გებრალება ის ლვთის სული,
უცოდველი გოგო! ნუ წართმევ ნამუსს! მე მა-
ჩუქე იმისი თავი.
- მერე შენ გაჩუქებ.
- მერე და არა ეხლა!... ფუ, მაგ ნამუსს და
მაგ კაცობასა!..

შევძახე ესა იმედ-მოშორებულმა და გაბრაზე-
ბულმა, გავიძერ ხ-ნჯალი და გადავდგი ბიჯი თუ
არა დათიკოსკენ, მეორე ოთახიდამ გამოცეივდა
სამი დამალული ბიჭი, მომცეივდნენ უკანიდამ და
გამაკავეს. ხანჯალი ხელიდამ გამვარდა. თურმე
ეს წინადვე განეზრახა დათიკოს, წინადვე ყველა-
ფერი გაემზადებინა, რომ მე სამართალში მივცე-
მოდი და ამით მე თავიდამ მოვეშორებინე. მე რა
ვიცოდი? ერთი კი ძალგულიანად შევბლერტე ჩემი
დამჭერლები, იქნება ხელიდამ წაუვიდე მეთქი, მაგ-
რამ იმ დალოცვილის შეილებს რკინის ჭახრაკი-
სებ მაგრა ვეჭირე.

— ფუ, მაგისთანა ვაჟ-კაცობასა!.. ფუ, მა-
გისთანა თავადიშეილობასა!.. შევკივლე უილა-
ჯომა დათიკოს: მაინც კიდევ გზას გიპოვი და
შენს უნამუსოპაზედ ქათამსავით ზედ წაგაჭლავ!..

დათიკომ პასუხი არ მოპცა. ბიჭებს უბძანა
და მე დიანბეგთან წამიკუნეს.

დიანბეგმა უველაფერი გამომკითხა, მეც ყვე-
ლაფერი ისე ვუამბე, როგორც იყო. არა დამი-
მალავს რა. როგავათავე ჩემი ამბავი, მკითხა:

— გაშ შენ და პეპიამ შეჰქარით პირობა
ერთად, რომ შენი ბატონი დღეს დილით მო-
გეკლათ?

მე გამაოცა ამ კითხვამ. ვიფიქრე, იმ საწყა-
ლის ადამიანის გარევაც უნდათ მეთქი ამ საქ-
მეში და ეგრედ იმის ბოლოს მოღებაცა, მეთქი.
ფერი მეცვალა, მაგრამ რას ვუშველიდი?

— ცოდვას ნუ აიღებ, დიანბეგო, კისერ-
ზედ, — ვუთხარი მე: პეპია ამ საქმეში ღმერთსა-
ვით ალალია და უცოდველი.

— ნუ მიჰქარავ, გამიწყრა დიამბეგი: ჩაშ იმ
ლამეს რო პეპიასთან იყავ რას აკეთებდით?

— აბა რა ლამეს?

— აი დერეფანში რო ლაპარაკობდით.

— ღმერთი, რჯული, არც მაშინ და არც
მერმე ბატონის მოკველის ფიქრი ჩვენ გულში
არ გაგვიტარებია!

— აბა ძალიან დაგიჯერებ, აი! მაშ რისთვის
იყავ, თუ არ მაგისათვის?

მე უაშე გულმართლად, რაც მაშინ მე და
პეპიამ ვილაპარაკეთ.

— მამი შენის ცხონებას, არ მამატყულები...
დამცინა იმ უსამართლო მოსამართლემ.

ჩემი ნათქვამი სულ ერთიანად დაწერა და
მითხრა ხელი მოაწერეო. მე წავიკითხე, ქართუ-
ლად ნაწერი იყო. რაც ლაპარაკი გვქონდა მე
და დიანბეგს, სულ სიტყვა-სიტყვით ეწერა. მეც
უშიშრად ხელი მოვაწერე. დიანბეგმა უბძანა,
გამიყარეს ბორკილი და სატუსალოში შემაგდეს.

ვეგდე მარტოდ-მარტო იმ საძაგელს სამყო-
ფელოში. რა გითხრათ, რა ჭირი გამოვიარე იმ
ერთს დღეს და იმ ერთს ღამეში!.. გულმა ღრღნა
დამიწყო, სისხლი ძალვებში გამიყინდა, ტვი-
ნი კი მეწოდა. ძნელია, შენი ჭირიმე! ბრალია-
ნი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატან-
ჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა! მაშინ...
უჯ მაშინ....ღმერთმა დაიფაროს ყველი ქრის-
ტიანი და ყველა ადამიანი შვილი: როგორც
ცოფიანი ძალით თავს შეიჭამს უბრალოდ სა-
ტანჯველს მიცემული კაცი. ვისაც არ გამოუც-
დია ეს დღე, იმან არ იცის რა მწვავია. ღმერთ-
მა ნურავის გამოაცდევინოს.

ჩემი თავის ჯავრი ხომ მკლამდა და მკლამდა,
 პეპიას და იმისი გოგოს ნალველი უფრო ცეცხლს
 მიკიდებდა. სწორედ გითხრათ, მე ჩემი თავი
 ძალიანაც არ მენანებოდა. მე ერთი უთვის-
 ტომო ბიჭი ვიყავ. რაკი საქმე ასე მოხდა, თუნ-
 და თოფითაც დავეხვრიტეთ, ბევრი არა მენალვ-
 ლებოდა რა. რა დედ-მამა ამიტირდებოდა, რა
 და-ძმანი ამიგლოვდებოდნენ. ერთი კაცი ვიყავ,
 წავიდოდი და მტვერი მტვერად ვიქცევოდი.
 ქარი დამქროლამდა და იმ მტვერსაც აჰვეიდა
 დედა-მიწის ზურგიდამა. ისინი მებრალებოდნენ,
 ისინი! მე ვიყავ იმათი გულშემატკიფარი ამ
 ტრიალს ქვეყანაზედ, მარტო მე!...ვაი რო უხე-
 იროდ თავი წავიხდინე!... ეგრე უხეიროდ რო არ
 გავფუჭებულვიყავ, მე ვიცოდი რა კაცობასაც
 მე იმათ გავუწევდი, მაგრამ აღარ დამცალდა.
 იღბალმა აქაც წამიცდუნა და მიღალატა. ვაი
 რომ ჩემს მტერს ჩემის უხეირობით გზა დავუ-
 ცალე!....

სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმების კითხვა
 გაათავეს და მე დიდ სატუსალოში გამგზავნეს

ჩეენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალნიკი და საცა=
მართლო იმყოფებოდა.

ორი წელიწადიც იმ სატუსალოში ვეგდე. ამ
ორ წელიწადში სულ მარტო ვიყავ ერთს უწმინ-
დურს პატარა და ბნელს ოთახშია. რამდენი
ათასი ფიქრი მამივიდა და წამივიდა, ვინ მოჰსთ-
ვლის? მე კარგად ვიცოდი, რომ დანაშაული
არა მქონდა რა, მაგრამ ესეც ვიცოდი, რო, თუ
ღმერთზედ და სამართალზედ ხელს აიღებდნენ,
ციმბირს იქით გადამაცილებდნენ.

პირველ ხანებში რო მამგონებია ჩემი უბრა-
ლობა და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს,
დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა
მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თი-
თებიდამ ჩემი სისხლი მიწოდნია. ასეთი დღე
დამდგომია. დრო ყოფილა, რომ შხამს გამო-
ვაჟენთებდი, შხამს ჩემის დაშხამულის გულიდამ
და წვეთ-წვეთად ჩავაწურებდი ჩემს დამღუპველსა,
რომ იქ შემხვედროდა. მაგრამ ის სად იყო?
ღმერთო მაღალო! ნუ რა ქრისტიანს კაცს, ნუ-
რა ადამიანს ნუ მიაყენებ იმ დღეს, რაც მე ხან-

დიხან იმ სატუსალოში დამდგომია!... შენი ჯობი გამოხატა
ჯოხეთი იმასთან სამოთხეა.

ორის წლის შემდეგ მე განაჩენი წამიკითხეს.
მე ხაროს სათხრელად დავენიშნეთ და საწყალი
პეპია საციმბიროდ გაეხადნათ. ღმერთო! რაღას
იყედი და არ წარდვნი ამ ცოდვით საფსე ქვე-
ყანასა!...

რა კარგი ითვლოდ ეცავ ნათელი იღ. ჭავჭავაძე.
მე მოგვიცია ქადაგი და უცილესობა
(დასესრული იქნება)

— ლიმუ ინტ იანე მოგნაბ თო იმ ტერი ფლერები
ქეცხინ ეს ცემლებოთ დადგინდებ მა იმ იმით
აქის რამაჟული იე ფერი იყო მეტად ცის და
არ მოგაუგონ იცავოთ თავისი რიცხვების
ცის როგორ მიმდინარეობ თუ მის იმედ ნაკადი
ამდე მარტი ირ ზოგადი თავი მისი იმით
ცეცხლი მიუკიდებ მინი ძონ კური დობის
ამ დღის ცოდნა მეტი იანე მოგნაბი მეტად ცის
რიცხვები მა ნაბეჭ კორ ძონები ცის და
არ მარტ მიმდინარეობ თუ მის იმედ ნაკადი
ცის ცის დონ კური მინი ძონ კური ცის და

* *

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
 თან წარმიტანა ყვავილი,
 მაცხოვლებელი სიცოცხლის,
 სუნნელებითა აღვსილი,
 იგი ნიაღაგ ციურთა
 ცვართაგან იყო ნამილი;
 დრომ უფაშურმა აწ ცრემლით
 შესვარა მისი ადგილი.

აწცა თუ საღმე ვიხილავ
 მისს ფურცელს, მისსა დანაჭკნობს,
 მოძულებული სიცოცხლე
 მყისვე კვალადცა დამატებობს,
 მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ
 მწარენი ჭირნი გულისა,
 რა ფიქრთა წარმოუდგებათ
 დაკარგვა სიხარულისა.
 ნიკ. ბარათაშვილი.

ଶେଷା-ଦେ-ଶେଷ ଗଜାନ୍ତି

ଶୁଣ୍ଯାର୍ଥୁଲି.

କାରତଳ୍ଲେଲ କାଳମା ଶୁଣ୍ଯାର୍ଥୁଲି,
 ତୁଳତୋଳେବାତ ଗାମନ୍ତାତ୍ରା,
 ପାତ୍ରିଶ ଘୁଲି ହୃଦୀନାତ ସାତ୍ରା,
 ତ୍ରୈଶିଶ ମାତ୍ରେତ ଅନନ୍ତାମାତ୍ରା,
 ମିଶରେଲମା ପି ଅମ ଗରନ୍ତିବାଶ,
 ଅନ୍ତରାଳିଶିତ ଲାମାତ୍ରା,—
 ଶତକ୍ଷୀଃ ତ୍ରୁ ପାତ୍ରି ତାତ୍ପରୀ ଆଶି,
 କାଳି ଉନ୍ଦା ପ୍ରୟାତ ପାତ୍ରା!

ରାମ ଫୁଲ ଫନ୍ଦେଇତ ଦା ପୁରୁତୁଲିନିତ,
 ଶ୍ରୀପ୍ରଦିନିଶ, ଲୁଗକିରିଶ,

ხან შეიპყროს, ხან გაუშეას,
ხან აცინოს, ხან აფიროს,
არც მოკლას და არც არჩინოს,
მის მჭვრეტელი გააკვირვოს,
და რა დასჭლექდეს მისი მსხვერპლი,
მერმე სხვებზედ ინადიროს!

—

მეგრელმა სთქვა: სიყვარული
უნდა იყოს დაფარული, —
ტურასავით ფაცხაში ძერეს,
თუ დაუხედეს კარ-ხურული, —
მაჟკაბელათ თავს დამარტვეს,
მით დამიფთხოს ტკბილი რული;
და მთელი ღამე მაცოდვილოს,
ქმარმა ხერინვით სთქვას მაყრული!

—

გურულმა სთქვა: სიყვარული
რას მიქვია დაფარული,
გაბედული უნდა იყოს,
პირდაპირი ვით შურდული,

გაუწყვეტის კავშირითა

გადააბას ორი გული;

და შიგ ყვავილი ჩამისახოს,

და მუდამი გაზაფხული.

კაცი უნდა ლომი იყოს,

დედალ ცეფხვათ მე დამახოს,

მე ჩიტივით მეჭიკეიკოს,

— სხვებს ზარის ხმით შეუძახოს,

რომ მის შიშით ყველა ძრწოდეს,

ხელი ვარ ვინ ვერ შემახოს;

და იგი ღმერთმა შეარცხვინოს,

ვინც ამ გვარი ტრფობა ძრახოს!

აპ წერეთელი.

1872 წ.

ჩვენი ცოდნების უკავილი გუმბათი ა... ნ...

XVI თავი.

ოქროს ჩარდაყ. მოსე სეფის გვერძე. გლასისე-
ულში მუშაობა.

ეკენისთვე დამდგარია. ქ.... ის გარემო ბუნე-
ბა სალამოს რიცრავში ყვინთავდა. დაწურული
მზის სხივი ოქროს ფერად ღებავდა ძველს დაჩა-
რულს ქვითკირის შენობას, რომელიც ფაზის
მდინარეზე გადაყულებია. ის იმ დროს ცხოვრე-
ბის გზაზე სიარულით დაქანცული და დალრე-
ჯილი ჭალარა კაცის სურათს წარმოადგენდა,
რომელიც ბოლოს მისდგომიყო განახლების მდი-
ნარეს გასასვლელად, ფეხტიტველა დაკარწახებუ-
ლი წყალში ჩამდგარიყო, მაგრამ თითქოს მჩქე-

ფარე მდინარის ზეირთებს შიში ჩაეცდოს გულ-
 ში იმისთვის და შეეყენებინოს: «რომ ვეღარ
 უძლო ამ აქაფებულ მდინარის ნაკადულს, წა-
 მაქციოს, დამკუშოს, დამამსხრიოს და მიმცეს
 საუკუნო მორევს, მერე რაღა ვქნაო?..» ძველი
 შენობას მაღლა თაღებ შეკრული ქის ფეხები
 მაგრათ ჩაესო წყალში. ამასობაში დასავლეთის
 შზემაც უფრო უხვად შემოსა ის ოქროს სხივე-
 ბითა, თითქოს პატივსაცემს მოხუცს ოქროს
 გვირგვინს ადგამს თავზეო. იმ წუთას დასავლეთის
 მხარე ძველი შენობისა მართლაც ოქროთი გე-
 გონებოდა მოფარაყებული. ეს იყო ის ძველი
 სამეფო პალატი; სადაც იმერეთის მეფე, სოლო-
 მონ დიდი, ოდესმე მიიღებდა აბხაზებისაგან შე-
 შენებულის ვამეხ დადიანის მოუიქულებსა, რო-
 მელნიც სამეფო ეპისტოლეს მოწიწებით დასტენ-
 დენ: «დიდება და თაყვანი დიდს მეფეს სოლო-
 მონს!...გვეყავნ მწედ მტერთავან შეშინებულოთა..»
 ეს პალატი ახლა ღიმნაზიის ინსპექტორის ადგილ-
 სადგომათ იყო შეკეთებული. იქნება მზე ამ შეუ-
 რაცხოვთისათვის, უფრო ჰუცენდა თავის სხივებს

ქელს ისტორიულს ნაშთსა; თითქოს ჰელიდაო
იმისი ოქროში ჩასმა, რომ უდრიოვოთ არ დან-
გრეულ იყო, ქვეყნის განახლებამდის შენახულ
იყო და შემდეგ ჩვენს წინაპართან წაელო ეს
ამბავი: «არა დაიშრიტაო პატრუქი ბდლვინვარე,
მოიცაო მან ძალა და ცხოვრების ლამპარი კვა-
ლად აღენთოვო. არ წარსწყმდაო თესლი თქვე-
ნი, არ მოისრაო შთამოება თქვენი, იგი აღორ-
ძინდა და განახლდაო.... დიდება ჭეშმარიტებას,
დიდება მის სამართალს!...» მაგრამ უფრო შე-
საძლებელი ის არის, რომ ქვითკირის შენო-
ბა სალამოს მზის სხივით ისე ყვითლათ იყო
აპრიალებული, რომ პოეტურს ერის გამოხა-
ტულებას მართლაც ოქროთ ეჩვენა და თქვა ეს
ლექსი:

«ნეტა რა არის მისთანა,

ამომავალი მზისთანა?

წმინდა ჩუქურომით ნაგები

გელათის საყდარისთანა,

წყალში რომ ფეხი უდგია

იმ ოქროს ჩალდაყისთანა?»

მზემ ერთი გამოთხოვებისაც გაჰქოცნა ეს სამეფო პალატი და ჩასვენდა უფსკრულში. ამ დროს მეორე მხრით ოქროს ჩალდაყიდვან გამოვიდა ერთი წვერ-ულვაშ ამწვანებული, სახიერი მოწაფე, რომელსაც პალტო ჰქონდა წამოსხმული და წიგნები ხელში ეჭირა. იმას შეეგება მეორე მოწაფე თითქმის იმისტოლი და ჰყითხა ხმა მაღლა.

— გაგიშვა შინ, დიტო, ინსპეკტორმა?

— გამიშვა, მარა ვაი ამ გაშვებას! მოვალე ურიასავით ხუთჯერ მაინც გამიმეორა უროკის დასწავლაზე: «ახლა თქვენ არშაბათს დილით უროკები არ გეცოდინებათო.» იმდენათ უგნური ვგონივარ, რომ ჩემი სარგებლობა ვითომც მე არ მესმოდეს.

— ხვალ რუაზე ხომ არ წახვალ ტანის საბანათ?

— რუაზე არ ვიცი და ჩვენ ტყეში კი მოვკრეფავ წაბლს.

— აბა, შენ იცი რამდენს მომიტან.

— ბატონი ხარ. შვიდობით, მაგვიანდება.

ამ სიტყვაზე დიტომ ხელი მისცა კატუნიას
და აჩქარებით გაშორდა. იმან განვლო ღიმნა-
ზის ეზოს ალაყაფის კარები და დაადგა ქ...ის
ქუჩას. ის საკვირაოთ და სხვა დღესასწაულებში
ყოველთვის თავის ბიძასთან მიდიოდა, რომე-
ლიც სახლობდა ქალაქს გარეთ, ფაზის მდინარეს
იქით თითქმის ნახევარ ვერსზე. როცა ქვერიას
სადგომს მიუახლოვდა დიტო, ტურის ხმა მოესმა.
იმან მხიარულებით წამოიძახა, ეს ტურა ჩვენ ტყე-
ში კივისო. იმ ერთ ხმას მიჰყეა მეორე, მეორეს
მესამე და ცოტა ხანს იქით ისეთი ღრიალი და
კივილი ატყდა, რომ თუ ხმა მაღლა არ დაგე-
ლაპარაკნა, ვერას გაიგონებდი. ტურების კივილ-
მა ბევრი წარმოდგენა გაულვიძა თავში დიტოსა.
იმას არა ერთხელ გაუგუდავს ტურა სერის თავ-
ზე ზამთარში ნაგაზების წყალობით. დიტოს ძა-
ლიან უყვარდა კურდლლაობა პატარაობისათ.
თუ კი ღმერთი შეეწეოდა და ქვერიას მოსამსა-
ხურეთაგანი წაყვებოდა, იმისი აღდგომა მაშინ
იყო. ერთხელ ქრისტეშობის დილა იყო. თოვლი
კოჭებამდის მოვიდა. დიტომ და სოსიკამ ასე

დააწყვეს პირობა, რომ საკურდლლაოთ წასულ
 იყენენ. ის დღე გაფიდა და საღამოზე ყმაშვილი
 მოვიდა საშინელი დაქანცული, მთელი დღე
 არა ეჭამა რა, შევიდა შინ, როგორც მკვდარი
 ისე გაიშოტა ლოგინზე, ენა გამოაგდო და სო-
 სიკას დაუძახა: არიქა მიშველე მჭადის ნატეხი
 მაინც მამეცი საჩქაროთ, თვარა, ეს არის, გუ-
 ლი წამიერიდა შიმშილისგანო. ამ დროს გარეთ-
 გან მოისმა კიეინი: არიქა მაღლა სერის თავზე
 კურდლელმა გადირბინაო. ძალლები კიეინით
 უკან გამოეკიდენ. დიტო უცბათ წამოხტა ზეზე
 ისეთის სისწრაფით, თითქოს სულაც არსად ევ-
 ლოსო. მაგრამ, როცა უკან მობრუნდა, შინ შე-
 ვიდა თუ. არა, მაშინვე წაიქცა დაღალულობი-
 საგან და გაფითრდა. რომ იმ წეუთას ერთი სტა-
 ქანი ღვინო არ მიეშველებინათ, გონება და-
 კარგებოდა. ბევრი ამისთანა წარმოდგენა კურდ-
 ლლის, ხოხობის წამოგდება და ქოხის მიტო-
 ვება მოაგონდა ტურების ღრიალში. ამ წასრუ-
 ლი ნადირობის სურათების წარმოდგენაში ვერც

კი შენიშნა, როგორც შეციდა თავის ბიძის ეზოში.

ღამე შემოიპარა. დასაცლეთისკენ ნათელი ზოლი ახალი მთვარისა პერაწი, პირ-აბრუნებულ ნაზგლათ იყო ფაზე მიკრული. ეზოში ხუთი ექვსი ახალმოზარდი სოფლის ბიჭი მოგროვილ იყვნენ ერთად, ამოელოთ დანები და იმათი ბასრი პირი მთვარისკენ მიეშვირათ და უწრეუპუნებდენ, ხროდენ და იძახოდენ «მთვარე, მოდი ნებასო, ჩემსა გამარჯვებასაო.» ეს იყო ძველიდგანვე ჩვეულებათ დარჩენილი. მთვარე მაშინ იყო სიმბოლო (გამომხატველი, აღმნიშვნელი) ყოველნაირ გარემოებისა, ცუდისა და კარგისა. როდესაც ჩვენი დიდებულნი წინაპარნი განიზრახავდენ რასმე ქვეყნის საკეთილდღეოთ, პირველათ მთვარეს სთხოვდენ, რომ იმას ყოველი წინააღმდეგი ძალა შეეკრა და დაემორჩილებინა. იმ წუთას კი ჩვენი მამა პაპის სული და მხნეობა თითქო ამ ექვს შვიდს ღატაკ, თავ-ში შეელა და ფეხ-ტიტცელა პერანგ სამარა უგნურ კაცების ხელში გადასულ იყო და მოელვარე საჭურველის, ფარხმალის, მაგიერათ

საჩიგნავ დანებს ულერდენ მოვარეს და შესთხოვდენ გამარჯვებას...

ამათ მოშორებით მწვანე შემოდგომის მოლზე, ბალახზე, იჯდა ერთი წარმოსალგენი სახის შსხვილთვალება ჯაღარა კაცი. ის იყო ლრმათ ჩაფიქრებული, მუხლებზე ლონიერი მკლავები დაებჯინა, ცას შესცემოდა, თითქოს ვარსკვლავის რაზმები მახზედ ნათელ ასოებათ ყოფილიყვნენ დასმულნი და ეს პატივსაცემი მოხუცი ზედ ჰკითხულობდა:

«ვაი, სოფელო, რაშიგანხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ჰსტირსა...»

ამ ყოფაში რომ იყვნენ ახალგაზდა ბიჭებიცა და მოხუციცა, დიტო იმათში გაერია. ბიჭები უცბათ მოტრიალდენ და ახალგაზდა ყმაწვილს თავი დაუკრეს.

—ოჰ, მოსეს გაუმარჯოს — მხიარულებით მიაძხა დიტომ მოშორებით მჯდომარე ჭაღარა კაცს, რომელიც ამდროს წამოდგა და მძიმეთ შეისალმა.

იმან სიამოვნების ნიშნათ თვალები დაწყურა და
მისს სახეს სრხარულის ნათელი დადგა. მერე
გაიღიმა და უპასუხა:

— ღმერთმა შენი ჭირი მომცე.

— როდის ჩამოსულხარ.

— გუშინწინ გიახელი. ბატონს სამუშაო
ჰქონია და ამდენს ხანს იმან გამაჩერა, თვარა
აქამდი შინ უნდა წასულვიყავ, ყურძენი გახ-
ლავთ საკრეფი. პატარა ჩემი ყმაწვილების საქმე
მქონდა. იქნება სასულიერო სასწავლებელში
როგორმე მიმეცა; მარა ჯერ კიდო ვერა შევი-
ტყე რა. სანამ ამ სიმიღს არ გავარჩევთ, მგო-
ნია, ვეღარ წევიდე.

— სეფისკვერი არ მომიტანე.

— კი, შენი ჭირიმე. ბატონსაც მივართვი
ძლვენი და თქვენთვისაც შევინახე ერთი სეფას
კვერი.

— ო, ჩემო მოსე. წამოიძახა დიტომ, თავი
დაუკრა და აუვხვია სანლისკენ, რომელიც მო-
შორებით იდგა და ბალის ხეხილებით იყო დაჩ-
რდილული.



— დიტო, სიმიდის რჩევაში არ მოგვეხმარები ამელამ?... მიაძახა ერთმა იქ მდგომარე ბიჭთა- განმა.

— ახლავე. წიგნებს შევინახავ და ..

ამ დროს ხელმეორეთ ატყდა მაღლა ხერზე ტურების კივილი.

— ვინც კაცია და ახლა იმ სერის თავზე ავა და ჯოხს დაასობს, წამოიძახა ერთმა ბიჭთა- განმა,— ბევრი არ შემიძლია და ნიძლავათ ამ ჩემ დანას დავდებ.

— ვაი, გაგიხმა თავი! — მიაძახა შეორებ. დანა კიარა შენი საცხოვრებელიც რომ მომცე, მა- ინც არ ავალ ახლა იმ ზეით. მართლა ტურე- ბის კი არ შეშინია, მარა ვერ უყურებ, ერთი რაგა ბოვშავით ჭყავა იმათში?. ის ჭინკა არის, ახლა გიორგობისთვე მოტანებული და ჭინკვ- ბი დახტიან სერებზე.

— აბა, ვინც კაცია და გაბედავს. — კიდევ წა- მოიძახა მონიძლავებ. მაგრამ ხმა აღარავინ გა- სცა. ჭინკის გავონებაზე უველა მოიკუნტა.

— ჰატი, თქვე ძაბუნებო! — შესძახა ამ დროს
ძლიერი ხმით მოსემ. ტურამ და ჭინკამ როგორ
უნდა შეგაშინოსთ მასე. თქვენ თუ ახლა იმ
სერზე ვერ ახვალთ, სულ გლახები ყოფილხართ.
ვაი, ნეტაი ახლა ჩემი პატარა თელორე მყავდეს
(თავის შვილი მოიგონა), ყველა შეგარცხვი-
ნოსთ. რას ქვია შიში, ან ჭინკა!... ხან და ხან თხე-
ბი განახემალება ხოლმე საღმე ტყეში და ხანამ
არ ნახავს, რომ მოკლა მაინც შინ არ დაბრუნ-
დება. რამდენჯერ მოსულა ვახშმობის დროს;
მარამ ვის უკითხავს, ხომ არ შეგშინებიაო, ან
იმას როგორ გაუმხელია ჭინკის სახელი. პირ-
ჯვარი გადიწერე და მავნე როგორ მოგეყარე-
ბა. წმინდა გიორგის — სახელი ახსენე და ჭინკა
როგორ მობედავს შენთან. ჰატი, თაი, თაი, თაი!..
დაიკარგეთ, თქვენ მხდლებო, თქვენა, დაუტატა-
ნა მოსემ.

ბიჭებს თითქოს შერცხვათო ამ მხნე კაცის
მხილება, ვერცერთმა ხმა ვეღარ ამოიღეს. ამ
დროს დიტოც შეერია იმათ.

— აბა, დიტო, თუ აბძანდებით ახლა იმ სე-



ରହେ ଦା ଜୀବି ଲାବନ୍ଦିତ, ଏହିମାଧୁରାତ ତ୍ରୈତାନି
ମନ୍ଦିରଲାଭେତ, ନିଦଲ୍ଲେପିଥି ଅଥ ଲାନାସ ମନ୍ଦିରମେତ.

— କାର୍ଗିଳ ଫିଲ୍ଡରାତ ମିଶ୍ରଗର ଲାଭିତ. ମେ ଲାନା
ଅର ମିନିଲା. ମାର୍କଟ୍‌ରେ, ତାନଲ୍ଲୁରି ମାର୍କଟ୍‌ପିମ୍ପେନ୍ଦ୍ର, ତୁ
ଆସିଲୁଏଲୋ.

— ବାତାନି ପରିଦର୍ଶକି—ଖରାଲୁକା ମନ୍ଦିରଲା-
ଭେତ.

— ଖରାଲୁ, ଲାଭିତ, ବାତାନାର!.. ମେ ମାର୍କଟ୍‌ପିମ୍ପେନ୍ଦ୍ର
ମାଗିଲାକିନ ତାନଲ୍ଲୁରି, କୀମିର କ୍ରେଲମଣ୍ଡିଲ୍‌, ଲାଇଲାରିକ୍‌
ପିନ କାହିଁ ମନ୍ଦିରକାରୀଙ୍କୁ. ଶେଷ ଶ୍ରୀ ମନ୍ଦିରମେତିବି,
ବିନନ୍ଦାରେ, ରାମ ପୁରୁଷଙ୍କ ମନ୍ଦିରକାରୀ.

— ମାଗାରେଲାପ ତାନାକାର ବାର. ଅବା, ରା ନାନୀରାତ
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମେତ, ରାମ ମେ ନି ବାର.

— ଏହି ଜୀବି ଲାବନ୍ଦିତ—ମିଶ୍ରଗର ଏହିତ ବି-
ପ୍ରେବମା.

— ଏହି କ୍ଷେତ୍ର ଗାମିନିନ୍ଦିବା, ମାରା ଅକ୍ଷାମା ରା ନା-
ନୀରାତ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମେତ, ରାମ ନି ବିଷ୍ଣୁଙ୍କାର.

— ତା... ଲାଭିତିରିବ ବିଜେତି, ତାତକୀରେ ବିଜେତି
କିନିକ୍ଷେତ୍ର ମିଶ୍ରଗର ମିଶ୍ରଗର, ରାମ ଅବି ପରିଦର୍ଶକ
ଅକ୍ଷାମାରେ.

— ଜୀବିରେ ଲାବନ୍ଦିତ ଏହି କିନ୍ତୁ ଗାମିନିନ୍ଦି-

ხებთ იქიდგან: მოსე, ივანე, პეტრიოელა, გუგუნა და სოჭიკა.

— უჰ, ძალიან კარგი იქნება!.. გამხიარულდენ ბიჭები უფრო იმისთვის, რომ ასე უცეპ და აღვილათ მოიშორეს ეს მძიმე საფიქრებელი საგანი.

— აბა, ჰე! — წამოიძახა დიტომ, დაატანა ჯოხს ხელი და გასწია სერისკენ.

— შენი გამჩენის ჭირიმე, დიტო, — მიაყოლა მოსემ.

— ძალიან მარჯვე კაცი გამოვა დიტო — დაუწყეს ბიჭებმა ქება ქვერიას ძმისწულს.

— მოგეცა სიცოცხლე, მე შენ ლაზათიანი პანლური გკრა, როგორც დიტო გადმოიძახებს სერიდგან. — დაიწყო გუგუნამ.

— ისემც მამაშენს აქვს ცხონება, რავარც მე შენ გაკვრევინო. — უპასუხა — ივანემ. დიტომ მაჯობა, დიტომ მკრას. შენ ვისი მატრაკვეცი ხარ.

— იმან მომცა ნება.



— ନେବାସ ମନ୍ଦିରର ମେ ଶେର ଫଳେସି—ଲାଜମଞ୍ଜୁଳି
ରୀ ପାନ୍ଧୀ ଲା ଲାନାହେ ଖର୍ବେନା.

ଏହି ଫରାଳୀ ମନୋମନୀ କଥା ଶେରିପଢ଼ିବାନ୍ତିରେ ଏହା ପାଇଁ, ପାଇଁ,
କେଉଁଠିରେଲୁବା...—ଗୁରୁଗୁରୁ ମନ୍ଦିରର ଉପାନିଷଦାନ
ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ, କୋର୍କୁଶାଵିତ ଏହା ମନ୍ଦିରର ପାଇଁ ଏହା ଲାନିଓ-
ରାତ କୁରା ତାନଲୁରି, ରାତ ପାନ୍ଧୀ ଏହା ଏହା ଶ୍ରୀକାନ୍ତେଲ-
ଙ୍କେ ଆଶ୍ରମ ଚେତ୍ତିବା—

— ତୀର୍ତ୍ତି, ଶେରି ଯାଇବା—ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ ପାନ୍ଧୀମି ଲା
ଗାମନ୍ଦିରଙ୍କ ଲାନିବା.

ତେଣୁ, ତେଣୁ, ପାନ୍ଧୀ, ରୀ ଶେରି?—ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ ଏହା କଥିବା
ବିଷୟରେ ଗୁରୁ ମନୋମନୀ, ଗାମନ୍ଦିରଙ୍କ ଲାନିବା ଲାଗା-
ଗାଗା. ପାନ୍ଧୀ ଶାଶ୍ଵତ ପାନ୍ଧୀନାମରେ ପାନ୍ଧୀ ଲାନିବା
ଗୁରୁଗୁରୁଶ୍ରୀକାନ୍ତ, ରାତରେ ପାନ୍ଧୀପାନ୍ଧୀ ପାନ୍ଧୀ ଲାନିବା
ଶାଶ୍ଵତ ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ.

ଲାଗୁମି ମନୋମନୀରଙ୍କ ଲାନି ଶେରିବା ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ—
ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ, ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ ମାଗାର ତାନଲୁରି.

— ଗାମିଶ୍ରୀ ମାଗ ଶ୍ରୀକାନ୍ତ! ପଦାକାଳି ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ—

— ରୀ ଆମିଦାବାଦିକା?—ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ ପାନ୍ଧୀରତନୀ ଲାନିବା.

— ଗୁରୁଗୁରୁମି ତାନଲୁରିକୁରା ଲାନି ପାନ୍ଧୀ ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ—
ଶ୍ରୀକାନ୍ତରତନୀ ବିଷୟରେ ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ.

— ଏହି କିମି ପାନ୍ଧୀଙ୍କୁ ଏହା ଏହା ଏହା ଏହା ଏହା ଏହା ଏହା

ବ୍ୟାନ ଫେରୁଗର୍ଭୀଳ ପ୍ରକାଶିତ

ବ୍ୟାନ୍. ସାନିଦିନାମ ହେଠ ତ୍ୱାଲ୍ପିନ ଜୁନରୁ ଗାଲିଥାଲ୍ପିନ,
ଇବାନ୍ତେ.

— ମେନ ଏହି ମନମିକ୍ଷାଦେ, ମେ ମେରାହେତ ଏହାରାୟିଶ
ବାକ୍ସର୍ବର୍ଯ୍ୟାନିମ ତାନଲ୍ଲୁରି.

— ମାଧ୍ୟମ ତ୍ୱାଲ୍ପିନ ନ୍ଯୂ ଇନ୍ଦ୍ରିୟର. — ଧରିଦାନନ୍ଦିଶ କମିତ
ମିଳାକାରୀ ଲାଗୁନାମ.

— ମନଦୀ, ମନଦୀ, ଧେଇଲି ନ୍ଯୂ ଲାକାରାକୁମଦ.
ଶୁତ୍ରରା ଇବାନ୍ତେ ତ୍ୱର୍ତ୍ତରୀଯାମ ଲା ପ୍ରାଣ ମନୋମିଶି କ୍ଷେତ୍ରି
ଚାକ୍ରାଳି. ଇବାନ୍ତେ ଦାନା ଗାନ୍ଧିନିର ଲା, ରନ୍ଧମ ଗାନ୍ଧିର
ଏହି ଗାଲାମିଶରାରାଯିମ ତ୍ୱର୍ତ୍ତରୀଯାମ, ମୁହେଲିଙ୍କେ ଗାନ୍ଧି-
ତ୍ୱର୍ତ୍ତାକୁମାରୀ.

ଏହି ଲାଗୁନାମ ଲାଗୁନାମ ଏହି ଲାଗୁନାମ ଇବାନ୍ତିଶ,
ଶ୍ରୀପ୍ରାପ୍ତ କ୍ଷେତ୍ରି ଦାନା ରନ୍ଧମ ଏକିରା ନିମ କ୍ଷେତ୍ରିମି ଲା
ମନୋମିଶରୀତ ମେଲାକାରୀ: «ଗାନ୍ଧିରଲାଦି!..»

ଇବାନ୍ତେ ତିତକ୍ଷେତ୍ରି ଲାକାନକ୍ଷି ମେକ୍ଷରିଲାଦେଶ, ଏହିତବା-
ଶାତ ମନେଶ୍ଵର ଲା ଦାନା ଲାନ୍ତିରବା.

— ମନଦୀ ତ୍ୱର୍ତ୍ତରୀଯାମ, ତାନଲ୍ଲୁରିତକାରି. — ଲାଗୁନାମ ଲାଗୁନାମ.

ଇବାନ୍ତେ ଦାନ୍ତିଶଲତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରିଲାଗାନ୍ଧି.

— ମନକୁଠିଲେ କ୍ଷେତ୍ରି, ଗାନ୍ଧିରହେ. — ମେକ୍ଷିକୁରା ଧି-
କ୍ଷେତ୍ରିଲେ.

ନିମାତ ଉପବାତ ଗାନ୍ଧିକୁଠିଲେ ଇବାନ୍ତେ ଲା ତ୍ୱର୍ତ୍ତରୀଯାମ

მეორეთ ჰქონა პალური. იყანე, ჯავრიანათ ემუ-
 ქრებოდა გუგუნას: «დამაცალე მე შენ!.. თუ
 კაცი ვარ, დედას აგიტირებო » ბიჭები იცინო-
 ლნენ.

— ჩემმა ენა ტიტამ ორიოდე ყბაში მტიკაო. »
 სწორეთ ისე მოუვიდა იყანიას — სიცილით თქვა
 მოსემ.

დიტომ გადიხარხართ.

— მოდით, მოდით. დაღმდა. სიმიდი ვარ-
 ჩიოთ, დაუძახა თჯახის მოურავმა სოსიკამ, რო-
 მელიც ამ დროს სასტუმროს წინ გაურჩეველ
 სიმიდის ზეინთან იდგა, ხელში ეჭირა ერთი ტა-
 რო და ფუქნიდა. დიტო მოსე და პაწაწინა წრე
 ბიჭებისა საჩქაროთ გაეშურენ სასტუმროსკენ.

მუშები შემოუსხდენ სიმიდის ტაროების ზეინს
 და შეიქნა ერთი ფართი-ფურთი. გარჩეულს ტა-
 როებს მოშორებით ისვრიდენ სასტუმროს დერე-
 ფანში და ფუჩეჩს იქვე ჰყოდენ. იმ არე-მარე-
 ზე სიო არ იძროდა. გლახისეული შვილდსაეით
 მოხრილ ტყიან გორებით, ბალით და შენობით
 თან და თან იძირვოდა ლამის უფსკრულ-

ში. ახალი მთვარე თითქმის ჩასვლაზე იდგა. მი-
ბნელებულს ცაზე მით უფრო ნათლათ გამოჰყია-
ფობდენ ვარსკლავები. ფაზის მდინარის ხუილი
ბუნდათ ისმოდა.

— უჰ, რა შორს მოდის ფაზის ხმა. წამოიძა-
ხა დიტომ, რომელიც იჯდა მოსეს გვერდით და
გულდასმით ფცქვნიდა სიმიდის ტაროებსა.

— ამბობენ ფაზის მაგისთანა ხმაურობამ ქა-
რი იცისო. — თქვა მოსემ

— რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქა-
რის ამოვარდნას და ფაზის ღრიალს — ჰკითხა
ურწმუნოთ დიტომ.

— მაგისი რა მოგახსენო; მაგრამ გამოცდი-
ლებით შეუტყვიათ, რომ როცა ფაზის მდინარეს
ხმა უმატნია, მეორე დღეს, თუ მესამეს ქარი
ამოვარდნილა.

— იქნება მარტო ერთხელ შენიშნეს ან ორ
ჯერ და მართლაც უცაბედათ იმ ღროს ქარიც
ატყდა და იმიტომ გამოიყვანეს ეგ დაცდილო-
ბა.

— არა, ბატონო. მაგი ყოველთვის მართა-

ლია. მე თვითონ გამომიცდია. როცა აქ გამი-
გონია ფაზის ხმა, მეორე დღეს, ან მესამეს უე-
ჭველათ ქარი ატეხილა. — თქვა ივანიამ.

— შენ ისიც გამოგიცდია, მეონია, რომ იმ
ჩეენ სერზე ჭინკები თამაშობენო, მარამ მაგის-
თანა დაკვირვება ვერ მოუხდა შენს უკანალს.
ამ შენიშვნაზე ყველამ გაიცინა.

— ვაი, შენ რომ არ ყოფილიყავი, მე გაჩ-
ვენებდი პეტრიოლას და გუგუნას სეირს.

— რა იცი, რომ გუგუნამ გკრა პალური.
იქნება მოგეჩვენა; იქნება იმის მაგიერათ ჭინკა
მოგეპარა უკანიდგან. — უთხრა დიჭომ.

— შეიძლება, თქვა ეშმაკობით პეტრიო-
ლამ.

— არა, ბატონო. მაგაზე თანახმა ვერ გავი-
ხდებით. შენ არ მოუკვდე ჩემ თაეს, ის ჭინკა
არ ყოფილიყოს. სწორეთ მე გახდი, რავარც მი-
ყურებ, მე — გუგუნა მაკვინტალა, და კაი მოწონე
ბული პანლურიც ვჩანთე ზურგში.

— არა. ეგ უკანასკნელი ტყუილი მოგივიდა.
ზურგში კიარა ზურგს ქვევით იყო, იქ, სადაც

კუდის რიკი თავდება, კაკალ იმ აღაგას მოწვე-
და მუხლის თავი. იყანია, თუ კუდის რიკოგტკი-
ვა, მაღამოს დაგადებ.

ბიჭებმა შეჰქნეს სიცილი.

— დამაცალეთ მე თქვენ. ოოდისმე ჩამიგა-
რდებით ხელში.

— სანამ კუდის რიკი არ მოგირჩება, იმედი
მაქ, ვერას დამაკლებ და მერე თუ აქ მოგიცა-
დო, რაც გერჩიოს, ის მომთხოვე.

— ბატონო, დიტო, თქვენ ხომ ბრძანდე-
ბოდით ზევით სერზე. აბა, კიდო დევენიძლავები
მაგ თავლაფიანებს. თუ კაცი არის და ის გუ-
გუნა ახლა ვვიდეს; მე ყაბული მაქ თუ გინ-
დათ, ხუთ პანდურს ვირტყამ. თუ არა და...

— ჯერ, შე დალოცვილო, რაც მოგხვდა
ისრც არ მოგინელებია, თვარა, კიდო თხოუ-
ლობ?.. დღეს მაგის ბედის წერა მოსულა სწო-
რეთ და ის არის — უთხრა პეტრიელამ.

«გამარჯობა თქვენი, გამარჯობა» მოისმა ხმა
უკანიდან. მუშები ერთიანათ წამოცვინდენ ზე-
ვით. დიტო აღგა და რამდენიმე ნაბიჯი წინ წა-

დგა ღამეში ახალ მოსულის შესაყრელად. იმან
 ხმაზე იცნო თავისი ბიძა. «ოჰ, დიტოს გაუმა-
 რჯოს. შენც აქა ხარ, სიმიღის რჩევაში ქემარე-
 ბი? აფერუმ! — ხომ კარგათ ხარ, მე შენი ძა-
 ლიან მაღლობელი ვარ. მასწავლებლები მეუბ-
 ნებიან, დიტო კარგათ სწავლობსო. ზევით არ
 წამოხვალ? წევიდეთ ოდაში.

— არა. მე აქ ვჭამ ვახშამს და მერე გიახლე-
 ბი.

— შენი ნებაა, შეიღო — უთხრა ალერსით
 ბიძამ და წავიდა ღამეში თავის სადგომისკენ.

— აბა, გუგუნა, სასტუმროში ცოტა ცეცხ-
 ლი გააჩაღე. ვახშამი უნდა მოგიტანოთ — უთხ-
 რა სოსიკამ და წავიდა საჯალაბოსაკენ.

ცოტა ხანს იქით სასტუმროში მართლა გაა-
 ჩაღეს ჩალისა და ფუჩეჩის ცეცხლი. მუშები
 კერას გარს შემოუსხდენ. დიტო მოსეს გვერდს
 უჯდა. შორიდგან რომ შეგეხდნა, მაშინვე შეა-
 ტყობდი, ამათში მამასახლისი მოსე უნდა იყრა-
 სო. ყველანი პატივისცემით ექცეოდენ იმას თა-
 ვის უნებურათ. მართლაც მოსეს მოსული ტანი,

განიერი მკერდი და ძარღვიანი ხელები, ხუჭუჭა
თმა, სქელი ხუჭუჭა წვერები, მსხვილი წარმო-
სადგენი სახე სწორეთ ძველებურს დიდს გამოც-
დილსა და დიდი მოქმედების კაცს დაგიხატავ-
დენ თვალწინ. წლოვანებით დასერილი მაღალი
შუბლი და მხნე სახე მისს მაღალს ზნეობას
მოგვითხრობდენ. თუმცა მის დღეში არ ესწავ-
ლა წერა-კითხვა, მაგრამ ძველი აღთქმის წიგნე-
ბი თითქოს სულ ზეპირათ ჰქონდა დასწავლილი.
ყოველ შემთხვევაში სიბრძნე სიცრუიდან გეტუო-
და რომელსამე მოსწრებულს არაკა. ერთხელ ის
ლაპარაკობდა მოსე წინასწარმეტყველზე, ებრა-
ელების აჯანყებაზე არაბეთის უდაბნოებში და
შემდეგ მოსეს ქველმოქმედებაზე, თუ როგორის
მოსწრებულის სიტყვებით ამშვიდებდა სულ მოკ-
ლე კაცებს. ამდროს დიტომ რომ შეხედა
იმის გამხნევებულს სახეს, აღტაცებით ცეცხლ-
მოკიდებულ თვალებს და ნებიერათ ხელების
მოძრაობას, მაშინვე გაიფლო გულში: სწორეთ
მოსე წინასწარმეტყველი ამ ჩვენი მოსესთანა
სახის კაცი უნდა ყოფილიყოსო».

მოსე სეფისკვერაძემ იცოდა მშვენიერი ლაპა-
 რაკი. ის დაიწყებდა რისამე მოთხრობას ჯერ დამ-
 შვიდებით და მერე რაც უფრო გაერთობოდა, ისე
 ხმასაც უმატებდა, ზედის ზედ მიდევნილს აზრს თან
 და თან უფრო აცოცხლებდა სურათებით, რო-
 მელნიც ერთ მშვენიერ გრეხილათ გაებმებო-
 დენ და ყოველი ბოლოს აზრი უფრო მოსწრე-
 ბული სიტყვით და მდიდარი. ენის სამკაულით
 იყო მორთული. ამ დროს იმის ლაპარაკს დიდი
 შთაბეჭდილება ჰქონდა ძაყურებლებზე. დიტო
 იმდენათ მოწიწებით ისმენდა იმის ტკბილსა და
 სულის ძალით გამხნევებულს ლაპარაკს, რომ
 გეგონებოდა, სმენაში ყურები ეზდებოდათ. კარ-
 გი ლაპარაკისთვის დიტომ ოქროპირი დაარქვა
 იმას. მოსეც ისე როგორ ჩამოვიდოდა შინიდგან,
 რომ, თუ კი დიტოს ნახავდა, რაზედმე ლაპარაკი
 არ მოეყოლებინა; არც ერთი ტკბილი სიმღერა
 იმის ლაპარაკს არ ურჩევნოდა. მოსეც, რახა-
 კვირველია, ცხოვრებაში მომკულ შემთხვეულე-
 ბით და ძველი ებრაელების ისტორიებით სწო-
 რეთ დაუცლელი იყო. ყველა ძეელი აღთქმის

მოთხრობებზე დიტოს ერჩივნა გედეონ მსაჯულის ამბავი და «სამსონ ძლიერის ისტორია». ამაების მოთხრობაში თითქოს თვითონ მოსეც უფრო მოღიოდა აღტაცებაში და სიტყვაც უფრო ძლიერი და შთაბეჭდილების მექონი ჰქონდა. როდესაც კერაზე ცეცხლი გაძლიერდა დიტომ უთხრა მოსეს:

— მოსე, ერთი გედევან მსაჯულის ისტორია მომიყევი.

მოსემ თვალები ლამაზათ დაწკურა და უთხრა:

— შე დალოცვილო, ახლა ას ჯერ ხომ არ ვიტყვი იმის ამბავს. ერთხელ არ მითქვამს და ორჯელ.

— ას ჯელაც რომ მითხრა, მაინც არ მომწყინდება.

მოსემ ერთი ლონივრათ დაახველა და დაიწყო ანგელოზის მოვლენის ამბავი გედეონის წინაშე და ლვთის ნების გამოცხადება, რომ იმას ირჩევდა თავის ერის სახსნელათ მტრის ხელიდგან, მერე თვითონ გედეონის სულით ვამხნევება, იმის მტკი-

ცე სარწმუნოება, რომ უკეთესათ თავის შობ-
მეებს განათავისუფლებდა მაღიამელებისაგან, რო-
მელთაც დამონებული ჰყავდათ ებრაელები, შემ-
დეგ ოცდა თორმეტი ათასი მხედრისგან რომ
სამასი კაცის მეტი არ წაიტანა თან, რომ დაემ-
ტკიცებინა თავის ხალხისთვის, სარწმუნოებით
გამხნევებულთ თავგანწირულებას რა დაუდგება
წინო! ზღვას რომ მიადგენ, ზღვა დაშრებაო,
კლდეს მიადგენ, კლდე გაირღვევაო...»

მართლაც ამისთანაების მოგებრობით ისე მიი-
ტაცა მოსემ სხვა მუშების ყურადღება, რომ
ყველამ სუნგალი გაჰკრა. მხოლოთ ხანდახან
ვინმე იმათვანი განკვირების ნიშნათ წამოიძა-
ხებდა: ოჯ, ოჯ, ოჯ, რა კაცი ყოფილა! არ მგვა-
ნებია ჩვენ გუგუნას, სერზედაც იერ ევიდაო!....
მაგრამ ამ დროს მეორე მუჯლუგუნს ჩაყოლებ-
და თავის სულმოკლე აზხანაგა: «გაჩუმდი, ნუ
გვიშლი სმენასაო». როდესაც მოსე მივიდა იქამ-
დის, რომ გედევან მსაჯულის ბტანებით სამასი
იმის მხედარი სამკუთხით შემოერტყა მტრის
ჯარს, ყველამ ერთბაშათ დაამტვრია თან წალე-

ბული ქოთნები, გახდა რახარუხი და უცრათ ჩირალდნები აენთო. ამ მოულოდნელმა ხმამ და სინათლეში ისე არია მტერიო, რომ ერთმანეთს დაუწყეს ხოცვა და სულ ერთიანათ გასწყდაო მაღიამელები. იმდროს თვითონ მოსეს განზე ხელების შლამ და მძიმეთ ტანის რხევამ ისე გააკვირა ისინი, რომ მართლაც არცერთ იმათგანს არ სჯეროდა, თუ გედევანი იმ წუთას იქ არ ყოფილიყოს და მხედრობას არ ამხნევებდესო. როგორც კი გაათავა მოსემ თავისი მოთხრობა, ყველა მუშები ზეზე წამოვარდენ და დაიწყეს გაკვირვება, ზოგი გედევანის მხნეობას და თავ-განწირულობას აქებდა და ზოგი მოსეს იხსენებდა პატივისცემით.

— აბა, ის ყოფილა კაცი.— წამოიწყო პეტ-რიელამ.

— ბიჭო, თავის ქვეყანა დაუხსნია მტრის ხელისაგან. ძალიან კაცი არ ყოფილა!.... თავის ქნევით იძახოდა ივანია. გუგუნა, შენც კი დეიხსნილი იმასავით ჩენს იმერეთს მტრის ხელში რომ ჩავარდნილიყო.

— შენზე თქვა, ის არ სჯობდა. ჩემი პალუ-
რისგან რომ ვერ იხსენი თავი, შენ ამბობ მა-
გას? გაწყდეს შენი ქოქი—დაცინებით დაამატა
გუგუნამ.

— დაჯექით, დაჯექით—შემოალო სასტუმ-
როს კარი და დაიძახა პონჩა მხარზე გადებულ-
მა სოსიკამ.—დაჯექით ვახშმათ. დიტო, თქვენ
ბატონმა შემოგითვალით, აქ ამობძანდითო.

— მოსე, ღამე ნებისა. — გამოემშეიდობა დი-
ტო და გამოიხურა სასტუმროს, კარი.

ამისთანა მოთხრობები დიტოს ძალიან არ-
თობდა. იმას ძველი ალთქმის ისტორია ლიმნაზიის
პირველ კლასში ჰქონდა გავლილი რუსულად.
და რადგან მაშინ რუსული სრულებით არ ეს-
მოდა, ეს მოთხრობები მხოლოდ ზეპირად ჰქონ-
და უაზროთ დაწწავლილი. ამისთვის როგორც
კი ეგზამენი დაიჭირა სამღვთო წერილში, მეო-
რე დღეს სულ ერთიანათ გამოიჩეკა თავიდვან,
რაც ზეპირობით გაუგებარი სიტყვები ჩაეწყო
შიგ. ამ ცოდნის კვალიც აღარ დარჩენილიყო
დიტოს მეხსიერებაში. ამის გამო მოსეს მოთხ-

რობანი დიტოსთვის სრულებით ახალი ამბავი იყვნენ. ამასთ იმან ძველი ალთქმის წიგნი, ანუ ებრაელების ისტორია მეშვიდე კლასში რომ იყო, მხოლოდ მაშინ დაისწავლა. ისიც მოსეს წყალობით. ვინ იცის, რამდენს სიამოვნებას სცდიდა, როცა ყურს უგდებდა გონების მიმტაცებელს ტკბილს საუბარსა. მით უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო დიტოსთვის მოსეს ლაპარაკი, რომ ეს ენა იმის ბუნებითი ენა იყო. აქ იმისი ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი თავის ქვეყნის სურათებით ხორც შესხმული ათასნაირს ცოცხალს შთაბეჭდილებას ულვიძებდა დიტოს გონებაში. ყოველი მოსწრებული და მახვილი სიტყვა. მოსესი იმის ტვინს ნათელს მოჰყენდა. მხოლოდ ახლა მიხვდა დიტო, თუ რამდენათ ძვირფასი იყო მშობლური ენა იმის გონების საწვრთნელათ.

— სად ის ენა, რომელზედაც ჩვენ გვასწავლიან ყოველნაირ სამეცნიერო საგნებსა და სად ეს ჩვენი ქართული ენა მე არა მგონია, რომ ამ ჩვენი ენისთანა მდიდარი ენა, ამისთანა მკაფიოთ



აზრის გამომხატველი საღმე იყოსო. — იტყოლა ხოლმე დიტო, როცა ისმენდა მოსეს განცხოველებულს საუბარსა.

მე არ ვფიქრობ, რომ ეს დიტოს მამულისა და თავისინის მოყვარულობით მოსდიოდა. არა. მაშინ იმას კიდევ იმდენათ არ ჰქონდა შეთვისებული ის ენა, რომელზედაც სამეცნიერო საგნებს ასწავლიდენ, როგორც თავის დედა-შობილი ქართული ენა. ის ჯერ კიდევ სრულად ვერ მიმწვდარ იყო უცხო ენის სულიერს მხარესა, არ იცოდა იმის ბუნებითი სიძლიდრე და სიმკვირცხლე, როგორც თავისი ენესა, რომლის ძალა და სრული მეტყველება ხელში ეჭირა. აი, რა მიზეზით ჰყიქრობდა, რომ ქართული ენა უველა ენებზე უმდიდრესია ქვეყანაზე. აბა, რათ ულირდა იმას, რომ ამ ენაზე დაეწყო სწავლა პატარაობითგანვე. რამდენათ წინ იქნებოდა ახლა, ვინ იცის?

ამ ფარად მოსეს მოთხრობებმა საკვირველი გამოხატულება აღძრა ყმაწვილის განებაში. გვდევონის მოღვაწეობა, სამსონის ძლიერება,

დაეით მეფის ქველმოქმედება, სოლომონის სტან-
ძე და მთელი ებრაელის ხალხის ბრძოლა გა-
რეშე მტერთან თავის თვითარსებობის დასამკით-
დრებელად ისე შეაკავშირა თვითონ მოსე სე-
ფისკვერაძის გვამსა, რომ არ იქნა, ზემოხსენე-
ბული ისტორიული პირები ვეღარ განაცალკევა
ამ ერთ კაცთან. სეფისკვერაძის სახეს და იმის
ზეგარდამო შთაგონებით განცხოველებულს ლა-
პარაკს ყმაწვილზე ისე დიდი გავლენა ჰქონდა,
რომ როცა სამსონ ძლიერის ამბავს იტყოდა, დი-
ტოს მაშინვე მოსე სეფისკვერაძისთანა კაცი გა-
მოეხატებოდა გონებაში და გულში ჰყიქრობდა:
იმ სამსონს სწორეთ იმისთანა ჭაღარა ხუჭუჭი
თმა უნდა ჰქონიყო, როგორც ამ ჩვენს მოსესო,
ამისთანა სქელი და დახუჭუჭებული წვერულვა-
შები უნდა ჰქონოდაო, სწორეთ ამისთანა განი-
ერი გულმკერდიც უნდა ჰქონოდაო.

როდესაც გედევანზე ლაპარაკს დაიწყობდა მოსე,
მაშინ ისფიქრობდა, იმასაც ასე მხნეთ უნდა შეეძა-
ხნა თავის ლაშქრისათვის, როგორც ახლა მოსემ
ლაპარაკში დაიძახაო. როდესაც სოლომონის სიბ-



რძნისაშეაც მოჰყვებოდა, დიტო ფიქრობდა, სწო-
რეთ იმასაც ასეთი ბრძნული სახის გამომეტყვე-
ლება უნდა ჰქონოდა, როგორც ამ მოსე სე-
ფისკვერაძეს აქვსო. ბოლოს იმან თვითონ ძეე-
ლი ებრაელებიც ჭართველებს დაამგზავსა. «იმათ
სწორეთ ჩვენი ხალხის ხასიათი უნდა ჰქონო-
დათო». ამისთანა წარმოდგენას გაჰყეა ახალგაზ-
და ჭაბუკის გონება და იმდენზე მივიღა, რომ
ებრაელები თუ ჩვენი წინაპრები არ იყვნენ, არ
უგონა, აი, ამის გამო მოხდა, რომ მოსეს მო-
თხრობის შემდეგ არა ერთხელ ამოუხვნეშია
დიტოს და უთქვამს ეს სიტყვები: «ჩვენი წინა-
პრები ბევრათ უკეთესები ყოფილან ჩვენზეო».
იმას სულ გულში ჰქონდა ებრაელების ბრძოლა
და ქველმოქმედება. ის ამხნევებდა თავის გულს
გედევანისა და სამსონ ძლიერის ქველ მოქმედე-
ბით. ის თანდათან ფიცხდებოდა ბრძოლისათვის,
მაგრამ ვის წინააღმდეგ?....ეს კი ჯერ არ იცო-
და. იმას ჯერ ფვალწინ ვერ წარმოედგინა ფი-
ლისტიმელებისთანა და მადიამელებისთანა მტე-

რები; უნდოდა კი, რომ გაჩენილ იყვნენ და თავის ჭაბუკური ძალა ზედ შეემსხვრია.

მოსე სეფისკვერაძე იყო ერთი კაცელი ღვდლის შვილი. მამა მისი იყო უკანასკნელი მეფის სოლომონის დროს ჯრუჭის მონასტერში გაზდილი, საკვირველი სათნო და ღვთის მოშიში, მშრომელი ოჯახობაში და შეიღების მოყვარული; სანამდის ის ცხოვრებდა შვილნი და შვილიშვილნი სულ გარს ეხვივნენ და თავს ევლებოდენ. იმისი სიტყვა მთელს ოჯახს სულის წმინდის სიტყვათ მიაჩნდათ. იყო კაცი გაუჯავ-რებელი და თავის საქმეში მტკიცე. არ ახსოეთ, რომ უკანასკნელ დღემდის იმას წირვა-ლოცვა დაეგდოს შაფათ კვირაობით თავის სამრევლო ეკლესიაზე. თუმცა საყდარში ქადაგება არ იცოდა, მაგრამ იმის ზნე მაღალს და გამრჯელ ცხოვრებას რომ ხედავდა იმის სამრევლო, დიდი სასოება და იმასი პატივის ცემა ჰქონდათ გულში ჩავარდნილი. ბევრიც დადიოდა იმის წირვა-ლოცვაზე. მოსეს მამას ჰყავდა ოთხი ვაჟი, უმცროსი იმათგანი ჯერ ჯრუჭის მონასტერშიიყო



მთავარ დიაკვნათ განწესებული და მერე, შემ
რომ მოუკვდა, ღვდლათ აკურთხეს და მამის შრევ-
ლი გადასცეს. უფროსი შეიღები შინ იყვნენ
გაზღილნი მამის მორჩილებაში. ყველა ძალიან
გამრჯელი იყო და სიყვარულით ცხოვრებდენ
ერთმანეთთან. გაყოფას ეერავინ გაუმშელდა
იმათ «ლმერთმან ნუ ქნას მამის დანთებული
ცეცხლი გაგვექვეჭოსო» — იტყოდენ, როცა კინ-
მე გარეშე პირი ჩამოუარაკებდა იმათ გაცალ-
კევებაზე. მოსეს მამამ იცოდა საღვთო ისტო-
რიების ლაპარაკი. ცოლ-შეილში მჯდარ იყო,
თუ ყანაში ყოფილ იყო, ყოველგან სიამოვნე-
ბით ჩამოაგდებდა საღვთო ისტორიების ლაპა-
რაკი. საუბარი იცოდა ტკბილი, გონების გამტა-
ცებელი და შეილები ყოველთვის დადის ყუ-
რადლებით ისმენდენ მამის მოთხრობას. განსა-
კუთრებით უფროსი შეილი მოსე იყო მამით
გატაცებული. ის იმდენათ მიეკედლა იმას, რომ
სულ თავის უნებურათ შეითვისა ყოველივე ზე
მამისა, ასე გასინჯე, მამის სიარულიცა, ცალი
თვალის ხშირათ პარპალი და ლაპარაკში აღტა-

ცების დროს ხელების განზე გაშლა. ვისაც კი ენახა მოსეს მამა, შეიღს ვერაფრით ვერ გაარჩევდა იმასთან, გარდა ტანსაცმელისა. მამას ეცვა ანაფორა და შეიღს შავი შალის ჩოხა. თმაც მამასავით ქალურათ ჰქონდა გაყოფილი.

ძველი და ახალი აღთქმის ისტორია ისე იცოდა, თითქოს ყოველივე ხელის გულზე ეწერაო. მაგრამ თუ ვინმე არ ათქმევინებდა, თავისით არაოდეს არ ლაპარაკობდა ახალი აღთქმის ისტორიებსა. მაგიერათ უნდა გეყურებინათ, რა-რიგი აღტაცებით შეუდგებოდა ებრაელების ისტორიის მოთხოვნას. მაშინ ის თვითონ იყო აღტაცებული და იმის დახუჭუჭებულს, კისრამდის დაყრილს თმებზე რომ შეგეხედნა, აგრე-თვე იმის ძვალ-მსხვილს ავებულებაზე და როცა სამუშაოში იყო ფეხ შიშველა და პერანგსამარა რომ დაგეთვალიერებინა, მართლაც თვალშინ გაგიცოცხლდებოდა ერთი რომელიმე ძველი რომაელისა ან საბერძნეთის გმირის სურათი მარმარილოზე გამოქანდაკებული. მოსეს მარტივი ცხოვრება და სიმართლე ძალიან მოსწონდა;



ამას გარდა მოსემ იცოდა იმის სეფისკვერის შემთხვევა
ტანა და ამითი კიდევ უფრო შეაყვარა თავი
ყმაწვილს. მოსეს დედამ საკვირველი თეთრი და
შშენიერი ნაკეთები სეფისკვერების ცხობა იცო.
და. დანით რომ გაგეჭრა შუაზე და ახალ ფიფქ-
თოვლთან შეგეღარებინა, ვერ იტყოდი, რომელი
უთეთრესია. ამასთანავე იყო მტკიცეთ, მძიმე
საფუფრით ნაკეთები და ძალიან ყუათიანი. ერთი
ამისთანა სეფისკვერი შშიერს კაცს მოასულიე-
რებდა. მოსეს მამა სხვა სეფისკვერს არ აკურ-
თხებდა წირვაზე, თუ არ თავის დედაკაცის
გამომცხვარსა. ჩემი დედაკაცის სეფისკვერს უ-
კუთხათაც აქვს ღვთის მაღლი მონიჭებულიო.
სული წმინდა ქვეყნათ ჩემი დედაკაცის სეფის-
კვერზე უკეთეს ადგილ-სამყოფელს. ვერ აღირ-
ჩევსო. მართლაც ბოლოს დროს ისე გავარდა
სეფისკვერაძიანთ სეფისკვერის ხეა, რომ კაცხისა
და ჯრუჭის მონასტერში სხვას არ შეამზადებდენ
საწირავათ, თუ არ ამისთანას. მოსეს დედა რომ
მიიცვალა, სეფისკვერის კეთება პატარძლებზე
გადვიდა მემკვიდრეობით.

თავი XVII.

დიტოსა და იმის ბიძის ახალი განწყობილება.

დიტოს პანსიონში შესვლის შერე მსწრაფლათ
დაიფუშენ და დაიფანტენ ქვერიას მოწაფეები.
ამ კაცაც მოეწყინა ამდენი ახალგაზღიუბის შე-
ნახვა და რაკი თავის ძმისწული პანსიონში მის-
ცა, მერე თავის შორეულსა და მეგობრებს გა-
მოუკადა, რომ ოქვენი შეიღები თავიდგან მო-
მაცილეთ. ხომ ხედავთ ჩემიც ვერ შემინახავს
და სახელმწიფოთ ვაზდევინებო. თვითონ ყმა-
წვილებსაც მობეზრდათ მუდამ გაჭირებაში ყოფ-
ნა. ზოგმა სულ დანება სწავლას თავი და შინ
წავიდა, ზოგმა კი სლაბოტკის მცხოვრებლებში
შეიფარა თავი. იქ, საცა უწინ ყმაწვილების ფაცხა
იყო გამართული, ახლა გძელი ხის დარბაზი
იდგა, შეგნით ეს დარბაზი გაკრული იყო ღობით
ორ ნაწილათ. ერთ ნაწილში ძროხები და ცხე-
ნები ებუნ ბავებზე; მეორე ნაწილში კი შუა-
ლაგას კერა იყო გამართული, ზედ ზესხვანი ეკი-
და და მაზედ რკინის საჭვაბე იყო ჩამოკიდებუ-

ლი. საკუთრათ ამ ნაწილს ეძახდენ სასტუმროს
და მუშების ადგილ სადგომათ იყო გადაქცეუ-
ლი. გლახისეული კარგა ძალი აღავი იყო, სა-
დაც ერთი დიდი ვენახის ზეარი იდგა, მშვენიე-
რი მრავალ ხეხილიანი ბალი და სულ ამ ადგილს
ორ კუთხით შემოუყვებოდა წაბლ ნაყარი სერი,
და სხვა კუთხეები ცოცხალი ბროჭოულისა
და ტირიფის ღობეთი იყო შემოკავებული. ამ
ბალში არც ერთი ვაზი, არც ერთი ხეხი-
ლი და არც ერთი ხე, წაბლის ყოფილ იყოს
თუ კაკლისა, სხვისგან არ იყო დარგული. სულ
თვითონ ჟვერიას დაემყნა და გაეშენებინა. ამ
კაცს ძალიან უყვარდა შრომა და თუ სამსახურ-
ში არ იქნებოდა, მუდამ თავის ბალში იდგა.
იმას ჰქონდა რიგანი თანამდებობა სასამართ-
ლოში. ამისგამო მთხოვნელები, რასაკვირველია,
არ გამოელეოდა, განსაკუთრებით დაბალი. წო-
დებიდგან, ესე იგი გლეხობიდგან. იმდენათ ჭკუ-
იანი და სინიდისიანი იყო ეს კაცი მთხოვნე-
ლებთან, რომ სხვა გასამრჯელოს არას სოხოვ-
და საქმის გაკეთებისათვის, გარდა ბალში და

ეფნახში მუშაობისა. ყოველ მთხოვნელს ხუთი დღის შემდეგ ექვსი დღე მაინც დაიჭირდა თავის ბალში სამუშაოთ; მერე საქმესაც გაუკეთებდა და გაუშვებდა. ამისგამო ქ....ის არემარეში მგონია ერთი მცხოვრებელიც არ დარჩენილა, რომ თავისი ლონის და შრომის ჭაშნიკი არ ეჩვენებინოს გლახისეულის არემარისათვის, კიდეც იმიტომ იყო ეს ალაგი ასე მშვენიერათ ნაკეთები და ყაველი სიკეთით სავსე. მაგრამ რათ გინდა? პატრონი მაინც ვერ ხმარობდა. იმისთვის მხოლოდ ის იყო სასიამოვნო, რომ ეცქირა ნიადაგ ამ ევროპიულად ნაკეთებს არემარისათვის.. დარწმუნებულიც იყო, რა შემოსავალი უნდა ჰქონდესო? გაყიდვა არაფერისა შეიძლებაო და ან როგორ იყადრებდა ხილისა და ვენახის მოსავლის გაყიდვას. «თვალისთვის არის კარგი და სახელიც არის, რომ ასე მდიდრად ნაკეთებს ალაგში კაცი ცხოვრებდესო, თორემ სხვა რა გამოსავალი უნდა ექნესო» — ჰყიურობდა ის. რაც მოვა, იქვე შეიჭმება — გამოსავალიც ეს არიო. მაგრამ იმის გარემო მცხოვრებლებს ხშირათ უ-



ნახავთ, რომ იმის მოურავი სოსიკა იჯაჭრული
აძლევდა ხოლმე ხეხილების მოსაფალს ქ....ის
მცხოვრებლებსა. თუ არ ბატონი, ყმა მაინც
სარგებლობდა და ესეც კარგია. ბატონს შე-
მოაქვს, ბიჭს გააქვსო. მერე ეს ანდაზა კიდევ
უკეთესათ გადააკეთეს: «ქარის მოტანილი წყალს
მიაქვსო». ჩვენი ძველი ცხოვრების წესი სულ ამ
ანდაზისამებრ წარმოებდა. კიდეც ამიტომ იყო
ჩვენი ხალხი ძველიდგანვე მუდამ როგორც გაგ-
დებული და იქ შიშვილით კვდებოდა. დიტოს
მამის სიკვდილმა ბიძა და იმის ძმისწული მო-
მეტებულათ დამევობრა, განსაკუთრებით, როცა
დიტომ უმარტა სწავლას მაღალ-კლასებში. ბიძა
სიხარულისაგან აღარ იყო. ის ხშირად მიდიოდა
პანსიონში თავის ძმის წულის სანახავათ, უზი-
დავდა მოსაკითხებს და დღესასწაულებზე ერთ-
ხელაც არ დაარჩენდა შინ გამოუყვანელს. ის
დღითი დღე ჰქედავდა დიტოს გონებითს წარმა-
ტებას, როგორც სიტყვა პასუხში, ისე ცოდნის გა-
მოჩენაში. ერთხელ დიტოს გონიერობა ლაპარაკ-
მა ბიძამისი ისე გაშტერა, რომ უნდებურათ წა-

მოათქმდეთ ა: «ყმაწვილს ჭკუა ჰკითხე და მოათქმდეთ ხუცებულს გამოცდილებაო». ამის შემდეგ, სიყვარულს გარდა, ღრმა პატივის-ცემაც ჩაუარდა გულში თავის ძმისწულისა. მეექვსე კლასში რომ გადვიდა დიტო, მერე ერთხელაც არ გაეგონა თავის ბიძისაგან სიტყვა «შენ.» ყოველთვის «თქვენ» და «შენი ჭირიმე» ურევდა უცერია ძმისწულთან ლაპარაკში. უცერიამ შენიშნა, რომ დიტო კარგათ განვითარებულიყო საზოგადო ისტორიაში. ბევრი ჰქონდა თვითონ იმასაც წანაკრისი ქართულ ენაზე რომაელების და საბერძნეთის ცხოვრებიდგან, მაგრამ რადგან ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ჰქონდა შენასწავლი აქა-იქ; ამისთვის ცნობის-მოყვარება ხშირად არ აძლევდა ბიძას მოსვენებას, რომ თავის ძმისწულისათვის გამოეკითხნა ძველი ხალხის ცხოვრებიდგან. დიტოც რასაკირველია შხათ იყო, რაც იცოდა, ბიძის გონების თვალ წინ გადმოეშალა.. როდესაც ყმაწვილი ჰანნიბალისა და ცეზარის ამბებს ლაპარაკობდა, თვალები უცბათ აუბრიალდებოდა და საკვირველის აღტაცებით მოუთ-



ხრობდა განსაკუთრებით ჰანნიბალის ქველულების მოქმედებაზე და იმის თავგანწირულებაზე. ამ დროს ევერია სიამოვნების ნიშნათ ყმაწვილს თვალებში შესცემოდა და ილიმებოდა. ძველ კაცებში დიტოს ყველაზე უფრო ჰანნიბალი და სციპიონი უყვარდა. იმათ ამშებს რომ ლაპარაკობდა, ყველა შეატყობდა ყმაწვილს, რომ ცხოვრებაში დიდს ბეღნიერებათ მიითვლიდა ან ჰანნიბალობა და ან სციპიონობა რომ გამოეცადნა.

ამისთანა ლაპარაკში და სხვა ბუნების გარემოების შემეცნებაში ბევრი ისეთი ჭეშმარიტებანი ესმოდა დიტოსაგან ევერიას, რომ უკვირდა, ამდენი სად გაუგონია, ან სად წაუკითხავს. მხოლოდ იმან შენიშნა ერთი დიდი ნაკლულევანება თავის ძმისწულს. რომ მოგეყოლებინა რომაელებზე, საფრანგეთზე ან სხვა შორ ქვეყანაზე თითქმის სულ დაწვრილებით მოგიყვებოდა იმათს ისტორიას; მაგრამ თავის სამშობლო ქვეყანაზე ორ სიტყვასაც ვერ გეტყოდა. მაშინ როდესაც ევერიას თეიმურაზის ის-

ტორია საქართველოისა, ქართლის ცხოვრება: სე-
ზნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და სხვა ქა-
რთველი მემატიანების მოთხრობა სულ გადა-
ყლაპული ჰქონდა. იმას მოსწონდა ქართულ
ლიტერატურულ თხუზულებაში «ვეფხის ტყაო-
სანი, სიბრძნე სიცრუის წიგნი, ქილილა და დამა-
ნა» და «მარტირიკა» ანტონ კათალიკოსისა. რო-
დესაც დიტო გაათავებდა თავის ამბებს, უვერია
თითქოს სულ უნებურათ გამოაბამდა კუდს დი-
ტოს ლაპარაკს და გადავიდოდა თავის სამშობ-
ლო ქვეყნის ქველ-მოქმედს პირებზე. ძალიან
ერცლათ უამბობდა ძმისწულს ნინო წმინდის
ცხოვრებას, მერე გადვიდოდა არაბებისაგან არ-
გვეთის ერისთვების დავით და კონსტანტინეს
წამებაზე და ამ დროს თვითონ ბიძა ნიშნავდა,
რომ ძმისწული დიდის გულს მოდგინებით უგ-
დებდა ყურს თავის სამშობლოს ძველის ცხოვ-
რების ამბავს. ერთხელ ქეთევან დედოფლის
თავ-განწირულმა მოქმედებამ კახეთის გულის-
თვის შაჰაბასის წინააღმდეგ, იმის წამების მო-
თხოვამ შაჰაბასისაგან, ისე ააღელვა ჭაბუკის

გული, რომ დიტომ კბილები დაკრიპტუნა და
 მუჭი მუჭის შემოჰკრა ამ სიტყვებით: ოჯ. ურ-
 ჯული! ოჯ. არა წმინდავო!.. ამის შემდეგ დი-
 ტომ სთხოვა თავის ბიძას ის წიგნები, რომელ-
 შიაც ვრცელს ანბავს შეიტყობდა ქეთევან დე-
 დოფალზე. ევერიამ მაშინვე გადაუშალა მარ-
 ტირიკა და მისცა ხელში. დიტომ მოჰყეა კითხ-
 ვას ქართული ისტორიისას და თუმცა პირველ-
 ში ქართული კითხვის უჩვეულობის გამო უჭი-
 რდებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ძალიან
 განვითარდა. იმას განსაკუთრებით გულს უკლა-
 ვდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი ორი საუკუ-
 ნის ისტორია, როდესაც სპარსელები უოველს
 ღონესა და ძალას ხმარობდენ ქართლ-კახეთი
 ან თავის რჯულზე და წესზე გადაეყვანათ და
 ან სულ გაეწყვიტათ. როდესაც დიტომ ამოი-
 კითხა ის ალაგი: «თეიმურაზ პირველის დროს
 ერთს შემოსევაში შაჰიბასმა ასი ათასი სული კა-
 ხელი გადასახლაო სპარსეთში», მაშინ ისე აუ-
 დულდა ყმაწვილს გული, რომ თავში ხელი შე-
 მოიკრა და თვალებიდგან ცრემლდები გადმოჰყა-

რა. ეს ცრემლი მამის სიკვდილის შემდეგ პირ ველი იყო დიტოს თვალიდვან, მაგრამ მით უფრო მდუღარე და ნაყოფის მომცემი შეიქნა იმის შემდეგი ცხოვრებისათვის. რაც უფრო დიდი დრო გადიოდა, ბიძა და ძმისწული ისე უფრო უახლოვდებოდენ ერთმანეთს, უფრო და უფრო სცნობდენ ერთმანეთსა და იმათი მამაშვილური კავშირი მტკიცდებოდა. ჟვერიას თვალში დიტო იყო ლიქსი შემკვიდრე მამა-ბიძის საერთო ოჯახისა. ჩემი ძმისწული რაღაც სხვა ვარსკალავზე არის დაბადებულიოთ. დიტოც თან და თან უფრო ურიგდებოდა ბიძის უწინდელს შეუბრალებელს მოქცევას უწინდელ მოწაფეებთან. ბიძა-ჩემი კეთილი გულის კაცია, — იტყუოდა დიტო: მაგრამ თუ უწინ გვლახვდა, შეუბრალებლობისაგან კი არ მოსდიოდა, — ასე ესმოდა იმას აღზრდა. რამდენჯერ უთქვამს იმას საწყალი მა-მიჩემისთვის: «ყმაწეილს თუ შიში არ ექნა, არ ვარგაო.» მის ყმაწეილობაზე, იმასაც ბევრი მოხვედრია ჯრუჭას მონაცერში და ქ — ის სასული-

ერო სასწავლებელში. როგორც ესწავლა, ჩვენც
ისე გვზღიდა.»

ამ მდგომარეობაში დიტო თან და თან უფ-
რო ღრმათ უფიქრდებოდა თავის მომავალს ას-
პარეზს. იმან გულში გადაიწყვიტა, უმაღლესს
სასწავლებელში კურსი უნდა შევასრულოვო, რომ
შემდეგ სახელოვანი გამოვიდეო. იმისი ფიქრი
ამ ჟამათ სულ ამ საგანზე იყო მიქცეული: ცხო-
ვრებაში ვიყო დიტებული, ყველანი მე მემორ-
ჩილებოდენ, შემნატროდენ, მთელი ქვეყანა ხე-
ლში მეჭიროს და ყველანი გავაძედნიეროვო.
ბიძაჩემს მაშინ უეჭველათ ბროლის კოშკს და-
ვუდგამ და ხან და ხან ხუმბრობით გავახსენებ,
შენს ძმისწულს რომ ერთხელ უწყალოდ სცემ-
დი, აი, იმან ნაცვლად რა კეთილი მოგაგო!...
ხომ კარგი გულის ყოფილაო; მაშინ ისე ღრმა
მოხუცებული, თავს ჩალუნავს და გულში იტ-
ყვის, შემცდარი ვარო. ბევრი ამისთანა ფიქრე-
ბი ეხვეოდენ თუში დიტოს, მაგრამ ხმა მაღლათ,
სხვის გასაგონათ, ვერ გამოთქვა, თითქოს რიღა-
სიც ეშინოდა. ევონა, ვაი თუ უმანსკიმ ამპარ-

ტავნობათ ჩამომართვასო და ამხანაგობაში თავი მომჭრასო. რამდენათაც ფიცხათ მიისწრაფოდა თავის გულის წაღილისაკენ, იმდენად უფრო ღრმად ჰყეტდა ამ ძვირფასს მომავალის სურათს თავის მეხსიერებაში. იმას ეგონა ეს განზრახვა იმაზე მეტს ხორც-შესხმულს ადამიანს არ ეცოდინებაო; მაგრამ წარმოიდგინეთ იმის განკვირება! ერთხელ თვითონ იმისმა ბიძამ ცხადათ უჩვენა დიტოს იმის საგულებელს წაღილზე, რომელსაც მონაპარავ ძვირფასს ნივთსავით მეხსიერების კუნჭულში ფარავდა ასე მომჭირნერ. ერთს კვირა სალამოს დიტო ჩვეულებრივათ შევიდა თავის ბიძასთან გამოსახოვრათ; ლიმნაზის პანსიონში უნდა წასულიყო. ქვერია პერანგის ამარა ფეხ-ტიტველა სტოლზე იყო მამჯდარი, წინ ხელ ნაწერი სამოციქულოს ოდენი ქართული წიგნი ჰქონდა გადაშლილი და გულს მოდგინეთ ჩაცეკვერებოდა. როგორც დიტომ შეაღო იმის ოთახის კარი, ქვერიამ აიხედა და პალტო მოსხმული და წიგნებ დატვირთული ძმისწული რომ დაინახა, სიამოვნების

ფერმა გადაჭრა სახეზე. მიღიხართ? — ჰქონდა გალი-
მებით ქვერიამ.

— დიახ, გიახლები. მშეიღობიანათ უპასუხა
ძმისწულმა.

— მოდი აქ, ცოტა ხანს ჩემთან დაჯექი.

დიტომ მოიხადა პალტო, წიგნები სტოლზე
დაწყო, სკამი მისწია და ისიც სტოლის ბერზე
კუთხესთან დაჯდა.

— როგორ ჰგვინია, რა უმჯობესია კაცის-
თვის ქვეყნაზე? ჰქონდა ბიძამ.

— მე მგონია, კეთილ მოქმედები თუნა არა
უნდა იყოს რაო — უპასუხა დიტომ. ეგონა ამი-
თი თავის ბიძას დაკმაყოფილებდა, რაღაც ამ
საგანზე უმანსკის ხშირათ ჰქონია კლასში ლა-
პარაკი. თუმცა თვითონ სულ სხვას ჰეიქრობ-
და, შაგრამ თავის საკუთარი აზრის გამოთქმა
ვერ გაბედა ამ შემთხვევაში, რაღაც თავი მა-
სწონდა ბიძასთან დაეცეც იცოდა, რომ, თუ კე-
თილ მოქმედება არ ჯობნებულიყოს ქვეყნაზე
ყოველსავე არც იმისთანა შეკვიერი და განდა-

თლებული კაცი, როგორც უმანცკი, იქადაგებდა ასე ბევრს იმაზეო.

ჟვერია შედეა ძმისწულის პასუხზე; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ კიდევ განაგრძო თავისი გამუცლევა.

«კეთილ მოქმედება?... ჰო, ეგეც კარგია. მაგრამ ეგ ხომ ერთობ საზოგადოთ არის ნათევამი... არა. თქვენ უფრო ცხადათ ამიხსენით, თითით მიჩვენეთ ისეთი რამ ცხოვრებაში, რომლისათვისაც კაცი მოქმედებდეს და მართლაც საუკეთესო საგანი, მართლაც უძვირფასესი იყოს ყოველ კაცისათვის? დიტო შედგა, ვერა თქვარა და თვალები ძირს დახარა, თითქოს შეჩეხვაო ბიძასაგან დაჭრისა. ჟვერიამ უცბათ გადავლო თვალი ხელ ნაწერს წიგნს და წამოიძახა.

— «კაცისათვის სახელისთან ა ქვეყანაზე არა უნდა იყოს რაო. იმას თუ კარგი სახელი აქვს ქვეყანაზე დავარღნილი, იცოდე კეთილ მოქმედიც ის უნდა იყოს. იმას თუ უკლა აქებს, უკელა იმისკენ მიისწრაფის და უკენ.

ქვეშ ეგება, უნდა იცოდე, მაშინ იმისთანა სხვა
 არავინ არის, ჩემის აზრით ყოველი ახალ გაზ-
 და ყმაწვილი კაცი მხოლოდ სახელისათვის უნდა
 შრომობდეს.

«გვიჯობს სიკვდილი ქებული,
 თავის გაწირვა ნებითა
 სიცოცხლეს მოყივნებულსა,
 აუგიანსა ვნებითა.»

ან ასე:

«ვმონო თუ მტერსა,
 გავეგო მტვერსა,
 სირცეილად მიჩნდეს საუკადრისოდ.
 მიჯობს სიკვდილი,
 ვიდრე სირცეეილი
 თავს ვიდვა მუდამ სამწუხარისოდ....»

კარგი სახელის თვის.
 «ქველი სახელი განფინე,
 ნუ მოისუსტებ ქებასა.
 სისუსტის ადგილს მანქანა
 ძალით დამართებს ნებასა.»

ლექსების კითხვა რომ ჩათავა, ჟვერიამ შედებითია
ხედა დიტოს, რომელიც სახეზე გაბდლიალებუ-
ლი იყო და თვალები უცინოდა. ბიძამ იფიქრა
გულში, რომ სწორეთ დიტოს მოეწონა ეს ზე-
ობითი სწავლაო და სიამოვნებით ჰკითხა: მარ-
თალია თუ არა?

— დიახ, ეგ სწორეთ მართალია-

— ახლა შეიდობით. შენ იცი, შვილო, შენს
მეტი ჩვენს ოჯახს ხომ არაეინ რჩება,—გრძნო-
ბით ჭითხრა ძმისწულს, აკოცა თვალში და გა-
მოისტუმრა. სიხარულისაგან აღარ იყო, ბიძიდ-
გან რომ გამოვიდა: «ბიძაჩემს ჩემი გულის პა-
სუხი, როგორც ბარათი ისე ამოიკითხა. მართ-
ლაც და რა არის კეთილ მოქმედება თუ არა
უბრალო სიტყვა? თუ ისეთი კაცი გამოხვალ,
რომ მთელი ქვეყანა შენ დაგიწყებს ქებას კე-
თილ მოქმედიცა ხარ და დიდებული კაციცა»
ამისთანა ფიქრებით შეპყრობილმა დიტომ ბო-
ლოს შეჰყო თავი პანსიონის საკითხავ ზალაში,
სადაც ყმაწველები კიდეც დაეჯდინა ზედამხედ-
ველს გძელ სასწავლებელ სტოლზე და ისეთი

ხმაურობა იყო მოწაფეებისა, თითქოს ფუტურისტები და სკეპტიკები დაუდგამთ ზალაში და ისინი ბზუიანო.

დადგა მაისის გასული, ყმაწყილები ღიმნაზიის ოთახებში სიცხით იხრჩობოდნ. განშირდა უროკების დროს ყმაწვილების გულის შემოყრა. მასწავლებელნი შეკრძენ რჩევაში, თქვეს: ამისთანა სიცხე დიდი ხანდა არ ყოფილა და გადასწყვიტეს, პირველს ივნისს მოწაფეების დახმოვნა.

დიტო და ბიძამისი კანიკულებში შინ წავიდენ ერთად. ახალ ამწვანებული წვერ-ულვაშიანი ყმაწვილი მოხდენით იჯდა ყარაბაღულს ოქროს ფერს კვიცხე; ისინი მიღიოდენ გაკრულზე. იქით აჭეთ სქელი მუხნარი და წაღლნარი ჩაუყვებოდა. გზაზე ხან და ხან შეხვდებოდა გამხმარი უზარ-მაზარი მუხის ხე, რომელიც ზეღ გზაზე იყო წამოჭვეული და გულ გამომწვარი. ოოცა ამისთანა ხეს მიუხსლოვდებოდა ყმაწვილი, ჰკრავდა ცხენს მათრახსა, გაადენდა ტკაცანს, კვიცი შეკრთხებოდა, ისკუპებდა და მოხდენით

გადაევლებოდა ერთი საუკის სისხლ მუხის შე-
მორსა.

— დიტო, ჰკვიანათ დაუჭირე თავი, შვილო,
მაგ კვიცს, თვარა ახალი დახედნილია და გადა-
გაფდებს. ჩერქეზულათ გაწყობილი ახალ გაზდა
საროს ტანის ყმაწეილი ხან იქით გადაეკიდებო-
და ცხენზე და ხან აქეთ, — ეტყობოდა, დიდი ხა-
ნი არ მჯდარიყო ცხენზე, ეხალისებოდა ცხენო-
სნობა და ამის გამო ყოველს წამს ცმუტავდა
უნდოდა, ვაჟკაცური ცხენოსნობა გამოეჩინა.
იმის მიმყოლი მოხუცი იჯდა დიდს ჩერქეზულს
შავს ცხენზე, რომელიც მაღლიანი ნაბიჯით გზას
ამოკლებდა. ბოლოს დიტო მოიღალა ამ თამა-
შობაში, ცხენიც ოფლში გააცურა და გვერ-
დით ამოუდგა თავის ბიძას.

ისინი შეუღვენ მთავორიანს გზასა სქელს
ტყეში. როცა აიგაკებდენ ხოლმე რომელსამე
ბეგს, დაბლოპს მთის გვერდზე დაინახავდენ თეთრი
პალატიანს ოდას (იმერული ფიცრული ოთხ-
კუთხიანი საკუთილშობილო სახლია) და განი-
ერს მეტერით შემოვლებულს აშშვანებულს ეზოს,

რომელიც სქლათ იყო დარჩდილული ას წელი
 ვანი მუხის ხეებითა და თვითონ ოდაც ამ უზარ-
 მაზარ მუხის ტოტებით იყო შეფოთლილი. ამ
 ღროს ეზოებში კაცი არავინ ჩნდა გარდა ორი-
 ოდე მექებრებისა ზღვა ზოგჯერ მწევარიც სიც-
 ხით დასუსტებული ზოგმანით ადგებოდა და
 ერთი ხიდგან მეორე ხეს ქვეშ უფრო სქელს
 ჩრდილში გადიცვლიდა ალაგს. ცოტა ხანს იქით
 ჩვენი მგზავრები გადააღვენ ძევრის მდინარის
 ბეგს. შორს მთაზე გაშოჩნდა ჩხარის ქალაქი,
 რომელშიაც ოცდაათი თუ თრმოცი ხის-ღუქ-
 ნის და ერთი ძველი ნანგრევი ციხის მეტი არა
 იყო .რა. ამ თრმოცი ღუქანში ოცდაათი
 სულ სამჭედურები იყო, იმათში ზოგგან სპი-
 ლენძის ქვაბებს აკეთებდენ ზოგგან სამუშაო ია-
 რალებს და ზოგგან ნალ-ღურსმანსა. სამხრეთით
 ფართო რკალათ იყო მიწყობილი ლოსიანთ-
 ხევის მაღლობები, რომელნიც მშვენიერ ლაფ-
 ვარდის ფრად შელებილნი მოჩანდენ ზაფხულის
 სიცხეში; კიდევ იმას იქით აიმართებოდა ახალ
 ციხის მთები რაზმებათ ჩამწკრივებულნი შავი-

ზღვისკენ. ლაფეარდს სიურცეში შორს გამოჰკია-
ფობდა ერთი პაწაწა თეთრი წერტილი; დიტომ
დაინახა თუ არა ისა, ჰყითხა თავის ბიძას: «ეგერ
იმ ბეგში თეთრათ რა მოსჩანსო?»

— ის არის ალის უბნის საყდარი.

— მართლა ხშირად გამიგონია ეს ლექსი:

«ალის უბანს ქალი მოკვედა,
სიმონეთს მარგლის ბოსტანსა;

ქალსა კაცი ნუ ენდობი,

ნურც კვდარსა და ნურც ცოცხალსა.»

— რა შემთხვევისათვის უნდა იყოს ეს ლე-

ქსი შეთხზული? — განაგრძო დიტომ კითხვა.

— ალისუბნელმა კაცმა ითხოვა ერთი ლა-
მაზი ქალი; მაგრამ იმ წყეულს თავის საყოლში
ერთი ახალგაზდა ბიჭი შეუვარებოდა და პარო-
ბა მიეცა, მე რომ წამიუვანებენ ჩემ საქრმოში,
სამ დღეს იქით სიკვდილს მოვიგონებო, კუბო-
ში ჩამსმენ და როცა დამმარხონ, შენც იქ გა-
ჩნდი, ამომთხარე და წამომიუვანეო. მართლაც
ისე ქნა თურმე იმ წყეულმა ქალმა. როცა და-
ღამდა, იმ ღამესვე შეუვარებული ბიჭი მოვიდა

საყდარზე. დაუგდო ბარი, ამოთხარა საფლაკიდან
საყვარელი, და შოიყვანა შინ. მეორე წელიწადს
იმ ქალის მაზლმა, ქ... ისიდან მიმავალმა, გაია-
რა ახალ-გაზლა ბიჭის კარზე, სიმონეთში და ბო-
სტანში თავისი რძალი დაინახა და გაუკვირდაო.
ბოლოს შეიტყვეს დაწვრილებითი ამბავი და შენ
რომ თქვი, ის ლექსი გამოთქვეს. ჭალი წყვუ-
ლია.

«ცუდია იგი შამაცი,
დიაცმია მოაღოროსა;
მისის სიტყვისა მიმყოლმა
სჯობს თავი გაიღოროსა.
თვით ურცხვია და შეარცხვენს,
ვინ ქვეშე გაიგოროსა.
და ბიცზე ყვავილი ვინ კრიფა,
ან ყანა თაგვის სოროსა».

ამ ლაპარაკში ისინი გავიღნენ ძევრის მდინა-
რეში. როდესაც ქ. ჩხარის მაღლობი აივაკეს,
ბიძამ ჰკითხა დიტოს:
— რომ მშვიდობა იქნეს და მომავალს ზამ-
თარში სწავლა დასრულო, მერე რას აპირებ,
შვილო?

— მე უეჭელად რუსეთს უნდა წავიდე და უნივერსიტეტში კურსი დავასრულო; ძალიან მსურს ბუნების მეცნიერებაში განვეითარდე. ამ ცოტა ხანს ერთი წიგნი წავიკითხე, და უმონ დურგი ის მოგზაურობა მთელს ქვეყანაში. ამ კაცს ხომალდით შემოუვლია მთელი დედა-მიწის ზურგი სამი წლის განმავალობაში. ვინ იცის, რა ქვეყნები არ დაუვლია იმას, რამდენი შესანიშნავი არ უნახავს დედა-მიწის ზურგზე. ღმერთმან ნუ ქნას, რომ მეც არ დევიარო მთელი ქვეყნის პირი... უნივერსიტეტს რომ გავათავებ, მერე ზღვის ხელობას ვისწავლი, ხომალდის აფიცერი გავხდები და თუ ღმერთი შემეწია, კარგათ ვიმსახურე, სამ წელიწადს კაპიტონობას მომცემენ. მერე საკუთარი ხომალდი მექნება, ვთხოვ მთავრობას სამდუნიერო გამოძიებისათვის გამგზავნოს ქვეყნის დასავლელათ და სამ წელიწადს იქით ქე მოვბრუნდები უკან.

ჟვერიას არაფრათ იამა ასე შორს აზრის ქონება თავის ძმისწულისა. მართლა თუ ასე ქნა,

ეს ჩვენთვის დაჭარგულია და ნაღელიან პე-
თხა:

— მერე ჩვენ, შვილო, ჩვენს ოჯახს რაღა
ეშველება?

— ბევრი-ბევრი უნივერსიტეტში ოთხი წე-
ლიწადი დამაგვიანდეს.

— უნივერსიტეტში, შვილო, არც მე დაგიშ-
ლი სწავლის გათავებას...

— მაცალეთ.—მერე ორ წელიწადს ზღვის
ხელობის კორპუსში შევალ, ესეც ექვსი წელი-
წადი; ამას რომ მოუმატო სამი წელიწადი ზღვა-
ში სამსახური და სამი წელიწადი ქვეყნად მო-
გზაურობა, ესეც შეიქნა თორმეტი წელიწადი.
ახლა ვარ ცხრამეტი წლისა. მაშ ქვეყნას რომ
მოვივლი ოცდა თერთმეტი წლის კაცი უიქნები.
რა დიდი ხანია?

ჟვერიამ ამ ბრწყინვალე გამოხატულების და-
სარღვევათ უთხრა არავი:

უკუდო ვირი კუდია

საძებრად იარებოდა,

ყანასა რასმე შევიდა,
სადაცა მცველი დგებოდა;
მეველემ ყური დაჰკვეთნა,
არათუ კუდი ჰგებოდა.
და საზღვრისა გარდამავალსა
მისმეტი რა ერგებოდა.»

არ მოეწონა დიტოს ეს არავი, მოილუშა და
არა თქვა რა.

— გახსოვს, შვილო, მე რომერთხელ სახელის
მოგებაზე ლექსები წაგიკითხე? ეს უკანასკნელი
ლექსიც იქიდგან არის ამოღებული. იმ წიგნს
ჰქვია «ქილილა და დამანა». ის არის ინდოე-
თური სიბრძნის ჭურჭელი. საკვირველი ზნეო-
ბის მწერთნელი წიგნია. ჩვენ ქართულს ენა-
ზე მაგისტანა არა გვაქვს რა ზნეობითს სწავ-
ლაში. ეგ წიგნია სპარსულიდგან ქართულ ენა-
ზე გადმოღებული ვახტანგ მეფისაგან, რო-
მელმაც სჯულის წიგნი დაგვიტოვა. გთხოვ,
შვილო, ოდესმე წეიკითხე ის წიგნი. ჩინებული
ქართული ენით არის დაწერილი. იქ ზემოხსე-
ნებული ლექსი ვადაშეტებული წადგლის და



თვალხარბობის გასაკიცხველად არის დაწესებული. მამაშეილობამ, გადამეტებული არა ვარგა რა ცხოვრებაში. კაცს ბევრი გაჭირება და ხიფათი დასდევს ამ სოფლათ. ზღვაში სიარული შენი საქმე არ არის. შენი მოვალეობაა, ჩვენს სახლს და თუ გინდა ჩვენს ქვეყანასაც მიხედო. ტყულა ნუ იფიქრებ, რომ ისე ვინმე დაგაფასოს სხვაგან, როგორც შენს ქვეყანაში დაფასდები, თუ ქარგი იქნები.

დიტო ამ დარიგებაზე კიდევ უფრო მოიღუშა. თქვა გუნებაში: შენ რა გაგეგება, ჩახჩუებულო, ანა-ბანას მეტი არა გისწავლიაო და კიდევ უფრო დაემყარა თავის აზრზე.

— გადამეტებულია თუ არა, ეგ ჩემი საქმეა და რუსეთში რომ არ წევიდე, თავს მოვიკლავ. განაგრძო დიტომ.

— კი, შეილო, მაგას ვინ დაგიშლის. რუეთშიაც წადი, უნივერსიტეტიც გაათავე და ისევ უკან მოპრუნდი.

«ჭირში ეძმე შენსა გვარსა, ამხანაგსა შენთან მდგომსა;

უცხო თესლთან სიხარულით

ნუ ამრავლებ ვაშა-ვაშა.

დიტოს თითქო შეეცოდაო მოხუცი ბიძა, რო-
მელიც თანდათან უფრო ეწინააღმდეგებო-
და იმის წრე-გასულ სურვილსა და, ცოტა მაინც
რომ ენუგეშებინა, ხმა მოუმდაბლა:

— ამ ჩემს ფიქრს მე ხომ საბოლოოთ
არ მოგახსენებ. ჯერ უნდა უნივერსიტეტი გა-
წათავო და მერე ვნახოთ.

— დიახ. მაგისთანა კარგს აზრზე წინ ვინ
დაგიდგება. სხვა ლონის ძიება რომ არ მექ-
ნეს, რაც გვაქვს, იმას დაუგირავებ და რუ-
სეთს უეჭველად გაფისტუმრებ.

— მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს სახელმწიფო
სარჯით გამისტუმრონ, მაგრამ მხოლოდ იმ შემ-
თხევებისთვის მოგახსენებ, თუ რამემ დამიშალა
სახელმწიფოთ გამოზდა.

— თუ სახელმწიფოთ გავგზავნიან, იმას რა-
ღა ემჯობინება და თუ არა, დარღი ნუ გაქვს.
ჩემი ქონება და შეძლება რაღა დღისთვის
მინდა.

ერთის სიტყვით დიტოს გარემოებას თანდა-
 თან დარი ზუღებოდა, ბეღის შარა თანდა-
 თან ეკაფებოდა. ის მიღიოდა მაზე გულამა-
 ყათ. ჯერ კიდევ ცხოვრების მორევში შეუ-
 ცურვებელს ახოვანს ჭაბუკს მომავალი ბედ-ილ-
 ბალი წინ მიუგორავდა თილისმის კვერცხივით
 და ისკი არ იცოდა, რომ ასეთს ჯურლმულზე
 მიიყვანდა, რომლის გარღვევა ჯერ ფიქრათაც
 არავის ეფიქრნა და აზრათაც არავის მოსვლო-
 და თავში. — მისწილი და ბიძა პაპანაქება თიბათვის სიც-
 ხეში საშინლათ შესწუხდენ. დიტოს ყარაბა-
 ღულმა ცხენმა მეტის დალალულობით ყურები
 ჩამოჰყარა და ლაგამს გვრემდა. სანამდის ეწერ-
 ში მიღორდენ, სქელი მუხის ტყის ჩერო კიდევ
 უგრილებდა იმათ, მაგრამ ახლა ტრიამელ სერ-
 ზე შეხვდათ ბიძა-მისწულს გადავლა და ამის-
 გამო ვერც ცხენებმა და ვერც ცხენოსნებმა
 სიცხეს ვერ უძლეს. ასე გასინჯე, სიოც არსაით
 ჰქონდა, სიცხეს გარდა ერთნაირმა ქიჭინობე-
 ლას ჭრიჭინმა სული და გული შეაწუხა გზაზე

— დიტო, ეს სერი რომ ჩევივაკოთ, ძირ-
ში ერთი კირგი წყაროა და იქ გაღაეხტეთ,
თვარა ერთობ დევილალეთ და ცხენებსაც აღარ
შუძლიათ შეტი, შენს კვიცს მაინც ხვითქი გა-
დინდა.

— კარგი, ბატონო. — მოკლეთ მოუჭრა დიტომ
და წელში გაიმართა.

ცოტა ხანს იქით ბიძა-ძმისწული ჰეორედენ
ბეგის ძირზე, მწვანე ჩეროში. ზეგათ სქელი ძეწ-
ნისა და კატნია ხეები ჰქონდათ სქლათ გადა-
ფარებული. იმათ ქვეით მშვენიერი მთის წყარო
გადმოჩუქრებდა. ამ წყაროს ისეთი თვისება
ჰქონდა, რომ რაც უფრო ძალიან დაცხებო-
და, იმდენათ უფრო ცივი და გემრიელი ხდე-
ბოდა.

— იფ, იფ! სწორეთი ცხონებაა ამისთანა
წყარო ზაფხულში. — სიამით წამოიძახა უკე-
რიამ.

ამ დროს დიტო წამოვარდა, დაეყუდა კოდის
წყაროს და დაიწყო თავ-პირის გაგრილება.

— ამ, ეგ კარგი აზრი მოგივიდა. შენმა სი-

ცოცხლემ, მეც დევიბან პირს. გაგრილების შემდეგ ბიძა-ძმისწულნი ხელ-მეორეთ წამოწვენ ჩრდილში. დიტო გულალმა გადაბრუნდა და ცას ჰეჭყურებდა. პირში ედო ახალი ჟკლის ფოთლის ღერი და თითქოს ღეჭავდა.

— დიტო, შენ კიდევ არ გითქვამს ჩემთვის, რითი გათავა ჰანნიბალმა თავისი სიცოცხლე.

— ძმისწულს ჰანნიბალის ხსენებაზე თითქო ჟრუანტელმა დაუარა ტანშიო, უცბათ წამოჯდა ჰეზე, სახე გაუცოცხლდა და მოჰყვა.

— ძალიან სამწუხაროთ. მე კიდეც მეძნელება ამისი თქმა. წარმოიდგინეთ ასეთი მხნე, მორს გამსჭვრეტი, დიდი ჭკუის კაცი, დიდი მოხერხებული!.. აბა ითიქრეთ, ნახევარი წლის განმაფალობაში შთელი ჰისპანია დაიპყრო, გადმოვიდა პირინეის მთაზე, რომელიც ბევრათ უფრო მაღალია სურამის ქედზე, გამოიარა მთელი სამხრეთის გალლია, ახლანდელი საფრანგეთი, გადმოვიდა ალპის მთაზე. იცით ალპები რა ნაირი მთებია?.. თუ გინახავთ იალბუზის მთა? წარმოიდგინეთ, რომ კაცმა აქედგან იალ-

ბუზის სიმაღლე ქედზე გადაიყვანოს მთელი თა-
ვისი ჯარი — ჴა, რავა მოგწონთ? —

— უჴ, უჴ, უჴ! სწორეთ გასაკვირვალია!.. იძა-
ხოდა მართლაც გაკვირვებული ჟვერია. —

— ჴანნიბალმა მთელი ჯარი, ორმოცდათი
ათასი კაცი, გადაიყვანა ამისთანა სიმაღლეზე.
მერე თითქმის მთელი რომაელი ჯარი გას-
წყვიტა და შვიდს ვერსზე იდგა რომის ქალა-
ქიდგან. ერთი სიტყვით რომაელების თვითარ-
სებობა ძაფზე იყო დაკიდებული.

— მერე არ შევიდა ქალაქში?

— არა. კიდეც ეგ არის. არ შევიდა და!
რაც ლასი შეეშინდა იმ სულელს. ასე ეგონა,
რომ აუღებელი რამ ქალაქი უნდა იყო-
სო!.. აღების მაგიერათ დაბრუნდა უკან...
ის იყო და ის!.. ამის შემდეგ იმის ბედიც
უკან დატრიალდა. ბოლოს... კიდეც მეძნელება
წარმოვსთქვა... სომხეთის ქვეყანაშა საწამლავი
მიიღო და მოკვდა.

— ჴო, ჴო, ჴო, ჴო!.. აი განგება!.. იმდენი
იმოქმედა, იღვაწა, სამი სახელმწიფო დაიპურო

და ერთიან ქალაქის აღების შეეშინდა. მანდ
თუ განგება არა იყოს რა, სხვა რა დაკა-
ვებდა?

— თქვა დექსი:

« მსოფლიო ბეღნიერება

ასპიტი არის. მკბენარე,

შეგ გექსლი მაკვდინებელი,

სიტურფე რამ აქვს ზენარე... »

— მაგრამ ახლა რომის ხალხის სულის სიმ-
ტკიცე და გულადობაც უნდა წარმოიდგინოთ.
როდესაც ყოველივე ლონისაგან დაიცალენ, უ-
კანასკნელათ გამოაწყვეს რაც ძალა-მოსილი
ახალგაზდობა იყო, — და შეენი იყვნენ იმათი უ-
კანასკნელი იმედი. წარმოიდგინეთ: ჰანნიბალმა
მთელი ეს ჯარიც გასწყვიტა, მხედართ-მთავარი,
ემილიოს პაფლე, მოჰკლა. ვინც კი გადაუჩხა, ძუნ-
ძულით შემოვარდენ ქალაქში და შიშის ზარი
დასცეს ყველას: ჰანნიბალი უკან მოგვიდესო.
რომ იცოდეთ, რა საოცარი საქმე ჰქნა ამ ლო-
ნე-მილეულმა და იმედ მიხდილმა ხალხმა უკა-

ნასკნელ გაჭირების დროს. წამოდგა სენატი,
ქალაქის მოთავე გ შეკრება და ბძანება გასცა,
ჩაკეტეთ ალაყაფის კარებით, არავინ გაბეღოს
ბრძოლის ფელზე დახოცილებისთვის ტირილით.
გამოქცეულს მხედართ-მთავარს, გარრონს, სენატ-
მა სამშობლოს მაგიერათ მაღლობა უთხრა, რომ
მხედართ ებრძოლე სამშობლოს მტერსო და ფიქ-
რი არ შეგსვლია გულში მამულის დაცვისათვი-
სო. ამას შემდეგ ქალი და ქაცი, მოხუცი და
ჩჩიოლი ქალაქის მცხოვრებნი ყველანი ერთიანათ
დაემზადენ საბრძოლელათ. ყველამ გული გაი-
მაგრა: ან უნდა მოვკვდეთ, ან მტერი უნდა
ჩამოვიცალოთ..

— აი, კაცები მაში ისინი ყოფილან!.. პო,
ეგენი ლონე მოკლებული კი არა, ნამდვილი ძა-
ლა მართლაც მაგათ ჰქონიათ ხელში. ჭკვიანათ
მოქცეულა ჰანნიბალი, რომ არ მისულა ქალა-
ქის ასაღებათ. როდესაც ხალხი მაგნაირათ გულს
გაიმეხებს, ის მაშინ მტრისაგან უძლეველია.

«ვის თავ-გაწირვით მოედანს
დაუღვამს ფერხათ ტანია,

ესრეთსა მხნესა სვებელთა

ბურთი ყევ გაუტანია...»

— კიდეც იმიტომ გადი დებულან ქველი რო-
 მაელები, რომ მაგისთანა ახოვანი და თავ-გან-
 წირულები ყოფილან მტერთან ბრძოლაში.
 მაგრამ სულ ბრძოლა და სისხლის ლვრაც არ
 აძლევს კაცს კარგს ბოლოს. აი, თუნდ ეგრო-
 მაელები აფილოთ. შენის აზრით, მაგ ხოლხს ქველ
 დროში ვერავინ გასძლებია. მთელი ქვეყანა ხელთ
 ჩაუგდია მახვილის შემწეობითა; მაგრამ აბა ნა-
 ხე, სად არიან ახლა ისინი. ახლა იმათი სახსე-
 ნებელიც აღარ არის ქვეყანაზე.

— ეგ რა უყოთ, მთელი ოთხი საუკუნე მუ-
 დამ განუწყვეტელს ბრძოლაში იყო. რაც ახლა
 ეკრობის ხალხებია, ყველანი ერთბაშათ დაესიენ
 ამ სახელმწიფოს. პირეელი საუკუნიდგან დაწ-
 ჭებული მეოთხე საუკუნის გასვლამდის სულ
 ზღვასავით აწვებოდენ მთელი ქვეყნის პირის
 ხალხები და ბოლოს, რითიც იქნა, დაიმორჩი-
 ლეს და თაგვიავით გამობეგვეს.

— მეც მაგას მოგახსენებ. ჰლომით მოგებული

ხლმითავე წარწყმდეს. «ქილილა და დამან აშენ
არის ერთი მშვენიერი ალაგი ამის შესახებ:
«ვინ უსამარლოთ მახვილი
ქარქაშით აღმოაქანა,
მჩსმან მახვილმან მისნივე
სისწლი დასთხიოს აქანა.»
ან ახე:

«სიმართლის ნერგი იხარებს
დარგო სოფლი ა არესა,
თუცა სარწყავად არა რწყავს
ხმლის წყარო მისსა გარესა.»

— მეორე ალაგში არის რამდენიმე ლექსი
წრერმოთქმული საზოგადოთ ომიანობის წინააღ-
მდეგ, რომელიც ჩემის აზრით ამ ზემოხსენებულს
ლექსებს კიდეც სჯობია.

«თუ იყო გმირთა უმწნესი
მისისა მის საზომისა,
სპილოსა უქლიერესი,
მჯობი მებრძოლად ლომისა,
მაშინც მშვიდობა სჯობია,
იმედი სულთა დგომისა.

და არ ვიცით, ბრძოლა რასა იქს
რა გაგებაა ამისა.»



ამისთანა საუბარში მზე დაიხარი დასაკლეიტო გადასაცემის საკენ. პაპანაჭება სიცხის შემდევ ასეთმა გრილმა სიომ წამოუბერა, რომ ცხოვრეთ ცხონება იყო.

— იფ, რა აგრილდა! — აბა, ღიტო, ცხენები დავიჭიროთ. შევკაზმოო. გზას გავეშუროთ, თვარა სალამო შემოგვეპარა. სჯობია შინ დროით მივიდეთ ლამეში ხეტიალს. მთვარე დღეს დაივახშმებს და ამისთვის გვიანობამდის აღარ ამოვა.

ღიტო შურდულსავით გაექანა იქითკენ, სა-დაც სქელ ტყეში ფაჩუნი ისმოდა. ერთს მი-ნუტს ცხენები მზათ იყენენ და ბიძა და ძმის-წული მიდიოდენ «გაჭრილზე». ასე ერქვა იმ გზას, რომელიც ხემო იმერეთისკენ მიდიოდა.

კარგა ვახშმობის დრო იყო შემოსული, რო-დესაც ღიტომ ააჭრიალა თავის მამის ჭიშკარი. ბნელი ლამე იყო და არა ჩანდა რა, თორემ იმ დროს, რომ უცბათ გაეელვა, თქვენ მოგე-ჩვენებოდათ გადაფითრებული ყმაწვილი, რომელ-საც ხელი და კბილები უკანკალებდა. იმ წუთას

დიტოს მოაგონდა თავისი ძვირფასი დედმაშა,
 რომელთაც დიდი ხანი იყო დაეტოვებინათ
 ეს ოჯახი და ახლა თვალწინ ისე წარმოუდგა,
 თითქოს მართლათაც ეს ოჯახი ჯოჯოხეთის
 უფსკრულში ყოფილიყოს ჩაძირული. ჯერ კი-
 დევ ცხოვრების გემო გაუცნობელს ჭაბუკა შეე-
 შინდა: «ღმერთი არ გამიშურეს, მეც იქ არ წა-
 ვიდე, საცა ჩემი დედმამა არიანო». ამ შეუფე-
 რებელმა ფიქრებმა იმდენათ იმოქმედა დიტოზე,
 რომ ის შევიდა თავის ოჯახში ყოვლად უ-
 გრძნობლათ. მწევარ-მეძებრებმა შევქნეს ჰყევა-
 წაწყანი, მოლოდინე ბიჭები იქ გუნდათ გამო-
 ეგებნენ, ცხენები ჩამოართვეს ბიძა-ძმის წულს,
 მერე დიტო და ბიძა შევიდენ ბიძის ცოლთან;
 ყველა შინაურებმა გაიხარეს, ყველანი გარს
 შემოეხვივნენ დავაჟკაცებულს ოჯახის შვილს,
 ჰყოცნიდენ, უხაროდათ იმისი მისვლა და ხელს
 თავს ავლებდენ, თავ-განწირულების ნიშნათ.
 ამასობაში ერთი საათიც მეტი გავიდა, რომ დი-
 ტო კილევ უგრძნობლათ იჯდა თავის ალაგს,
 ხმაც ალარ ამოულია. გამხიარულებულმა ბიძამ

და ბიმის ცოლმა რომ შენიშნეს არა ჩვეულებ-
რივი მოწყენა ძმის წულისა, უცბათ შეკროვნ,
ლაპარაკი გასწყვიტეს, შეხედეს ერთმანეთს და
მერე სამთავრებ ერთად მორთეს ტირილი. ეს იყო
გამოგლოვის ცრემლი საუკუნოთ განსვენებუ-
ლებზე.

თავი. XVIII

**დიტოს პირველი გამიჯნურება, მარინეს რომ
გაუმაჯნურდა.**

დატოს მამის სიკვდილს შემდეგ ქველაძიანთ
ოჯახი ძალაან დამყუდრდა. კვირა გავიღადა,
რომ ერთი უცხო კაციც აღარ შეაღებდა იმათ
ჭიშკარსა, მაშინ როდესაც უწინ დღე არ გავი-
ღოდა, რომ ორმოცი ძლვენი მაინც არ მირთ-
მეოდა დიტოს მამას გლეხისა და აზნაურებისა-
გან. ვინც უნდა მისულაყო გარეშე პირი, საქ-
მე-ექნებოდა, თუ არა, ძლვენი მაინც უსაცი-
ლოთ უნდა მიეტანა. ასეთი ჩვეულება ჰქონდათ
ყურყუტაანთ ქვეყანაში, სადაც დიტოს მამას,

ქველაძე მდივანბეგს, დიდი გავლენა ჰქონდა.
 ამ პატარა სამეფოში ერთად ერთი თვითმშემსა-
 ხელი მეფე ქველაძე იყო. სამართალი და უსა-
 მართლობა იმის გარე-შეუსაზღვრელს თვით-
 მნებელობაზე იყო დამოკიდებული. იტყოდა ის,
 «ესრეთ იქნესო», და ყოველივე იმის ბრძანება-
 ზე წარიმართებოდა ყურყუტაანთ მცხოვრებ-
 ლებს როგორ დაჯერებდი, თუ ქველაძე მდი-
 ვანბეგი მზეს უბრძანებდა, «შენი სავალი წრე
 გამოიცვალეო», და არ გამოიცვლიდა. ამ პატა-
 რა სამეფოში გლეხსა და აზნაურს თანასწორათ
 სჯეროდა, რომ ერთი ფოთოლიც არ ჩამოვა-
 რდება ხიდგან ქველაძე მდივანბეგის დაუკით-
 ხავათო. ძლიერი იყო სიტყვა და ბრძანება ქვე-
 ლაძე მდივანბეგისა. იმის ბრძანების ქვეშ ძრწო-
 და მთელი ყურყუტაანთ არე-მარის კაცობრიო-
 ბა. იმათი სიმართლე ქველაძე მდივანბეგს ფეხ-
 ქვეშ ჰქონდა გაგებული, რომელზედაც სწორეთ
 მეფური დიდებით ატარებდა ის თავის თავის სან-
 დ ა კაცებს და თვითანაც იმათხე იჯდა. ერთი
 ამ ყიზალბაშას მოჯვრითაგანი ბაშიბუზუკის გვა-

რისა იყო დაუკიწყარი თონიკე, რომელიც ძა-
 ლიან მოხერხებულათ სარგებლობდა ერთის
 მხრით ქველაძის უფლებითა და მეორეს მხრით
 ყურყუტანთ მცხოვრებლების მარტივობითა.
 ხშირათ მოხდებოდა, ხელებ დაკაპიტებული და
 ჩოხის კალთებ გადაბრუნებული თონიკე—ცალ
 ხელში ხონჩით, რომელზედაც წყობილა ერთი
 ცხრა გომიჯი, ან შოთი, ექვსი ხაჭაპური, და მეო-
 რე ხელში ერთი ცოცხალი დედლით და ერთი დი-
 ღი დოქი ღვინით—ადიოდა ქველაძიანთ კიბეზე
 მდივანბეგის წინ მოსახსენებელათ: «ჰეტრე დო-
 ლაბას მოურთმევიაო, ან ონისიმე გაძარცულა-
 ძეს მოურთმევიაო და სხვა. ან არა და ქათმის
 მაგიერათ თონიკეს უკან მეორე ბიჭი გაჰყვებო-
 და, რომელსაც ბაწრით ვერძი ცხვარი, ანუ ერ-
 კემალი სკერია, თითქოს თონიკეს ხონჩის დასამა-
 ტებელი ყოფილიყოს. ამისთანა მოსაკითხები ოც-
 ჯერ და ორმოცჯერ მაინც გაუტარებით დღეში
 ქვე აძიანთ მდივანბეგის ოვალ წინ; იმასაც კმა-
 ყოფილების ნიშნაო წვერზე ხელი გადაუსვამს და
 წაულაპარაკნია «მადლობა მოახსენეთო.» ზოგა

ძლვენს ვერძხე უფრო კანკურაზი ცხოველისტ
 ადევნებია უკან: ძროხა, ან დაუხედნელი სამი
 წლის კურო. სულ ამაებს უბრალო მოსაკითხს
 ეძახდა ქველაძე მღივანბეგი. ეს არ ჩავარდე-
 ბოდა საქმის ფასათ, ამისთანა მოსაკითხებს ყუ-
 რყუტანთ მცხოვრებლები ეძახდენ «თავის გა-
 ხაენებას». როცა ეისმეან არზის მირთმევა ექნებო-
 და გულში განზრახული, ან არა და ჰუიქრობდა:
 თუმცა დღეს საქმე არა მაქვსრაო, მაგრამ შეიძლე-
 ბა ხელ გამომიჩნდეს, კაცნი ვართადამიანნიო, და
 ამ შემთხვევისათვის წინათვე მომადლიერებული
 ცყადეს ყოვლის შემძლე მღივანბეგი ისა სჯო-
 ბია, შემდეგ წყალობის ძიებასაო. საქმის გაკე-
 თების შემდეგ კიდევ სხვა ნაირათ გაანსენებდა
 ხოლმე თავის თავის: ახლა რომ წინა კარიღგან
 ძლვენს აძლევდა, მაშინ უკანა კარიღგან ისევ
 იმ თონიკეს ხელით შეუგზავნიდა ერთს მუჭა-
 სულ ცინცხალს მანეთებს. ამბობენ, ერთხელ
 ქველაძე მღივანბეგი მომეტებულათ განურისხ-
 დაო ერთს აზნაურთაგანს და დაემუქრა ციმ-
 ბირში გადასახლებასო. თურმე ამ გარისხების

დროს ქველაძე უკან ხელებ-დაწყობილი აშენებული დადიოდა თავის ეზოში. ამ დროს აზნაური თურმე მიეპარა უკანიდგან და სამოცი ცინცხალი მანეთი ჩაუდო ხელში. ქველაძე მობრუნდა უცებ, გაშალა ხელები და ცინცხალი მანათები ეზოში მოთესა. «როგორ თუ შენ მაგისთან აები გამიბედე, ფული ხელში ჩამიდევი, ვინ გვინივარ? მაგისთეის სამი კვირით კიდევ მალე გადაგასახლებ ციმბირში» — შეჰევირა თავის მსხვერპლს განრისხებულმა ვეშაპმა. — «თონიკე, მოჰკიდე ხელი და გაიყვანე ეგუსი-რცხო ამ ეზოდგანათ». თონიკე იქნე იდგა, ჯერ გულს მოდგინეთ მობოჭა გაბნეული მანათები, მცრე განზე გაიხმო განძევებული აზნაური, ჩუმათ ელაპარაკა და ბოლოს წაიყვანა სასტუმრო-საკენ. ოჯახში გავარდა ხმა, ბატონი ძალიან გაჯავრებულა ერთ აზნაურზეო; მაგრამ იმ ღამეს-ვე ვახშმათ ესევე აზნაური იჯდა. მდივანბეგის სუფრაზე და ქველაძე წამის-წამს ეუბნებოდა თონიკეს: «თხაპარის ნუ მოუწყენო.» ასე ეძახდენ უწინ შერისხულს და ახლა ისევ შერიგე-

შუღლს აზნაურს. თონიკე ლიმილით ლეინოს უსხვაული
 მდა თხაპარიას. ისიც მოლხენით იყო, რადგან გუ-
 ლი ჰქონდა დაიმედებული და თავისთვის ამბობდა:
 «როგორც მიწირავს, ისე ვსწირავო, მდივანბეგსაც
 ფულს ვსწირავო; თუ საღმე ცხენი გაქრება,
 ჩემს ოჯახში ჩავძირავო» კვირადლეობით წირ-
 ვის შემდეგ ქველაძიანთ ეზო ყოველთვის
 ხალხით იყო გავსილი: აქ ქათამი კრიახობს, იქ
 ცხეარი ბლავის, ცალ კუთხეზე მეძლვენები
 რუზრუზობენ. თვითონ ქველაძე მდივანბეგი
 კი ზის ხელმწიფურად მაღლა აივანში გაშ-
 ლილს ტახტზე. საში ან ოთხი ყურყუტაანთ
 ქვეყნის თავადისშვილი გვერდს უზის: ქველაძე
 მდივანბეგი ხმამაღლა ლაპარაკობს, თავადები
 მორჩილების ნიშნათ ხან და ხან თავს უკვრენ,
 და რაც უნდა თქვას მდივანბეგმა, ისინი ყო-
 ველიფერში ეთანხმებიან. ამ დროს თონიკე
 დიდს საქმეშია: ის მთავარ ანგელოზსავით ცასა
 და დედა-მიწას შორის მიმომავალობს, ადი-ჩა-
 მოდის მაღალ კიბეზე, რომ დაბლა მდგომარე

ხალხის ძლვენი და სხვა მეოხება აიტანოს ხო-
ლმე მაღლა მდივანბეგონ.

სანამ დიტოსმამა ცოცხალი იყო, ქველაძიანთ
ოჯახში კვირას გარდა საჭმის დღეებშიაც ხშირათ
იყო ამისთანა ამბები, მაგრამ ახლა ესეები სულ მოი-
შალა. ქველაძიანთ ეზოში გარეშე პირი აღარავინ
ჩუქუნებდა შინაურებს გარდა. ოჯახში მძევლათ
იყო დარჩენილი ჟვერიას მეუღლე, საწყალი,
წყნარი ხასიათის ქალი, რომელიც მთელი დღე
რომ მჯდარიყო ფეხმოკეცილი, არ მოსწყინდე-
ბოდა. ჟვერიამ ძმის სიკვდილს შემდეგ ხშირათ
დაიწყო სოფლათ სიარული, როგორც ოჯახის
თავის გასართმევათ, ისე მეუღლის ხანახათ.
ქალბატონი რომ მარტო ყოფნით სულ არ გა-
მოშტერებულიყო, ასევანა ერთი შორეული ნა-
თესავი ქალი, სახელათ მარინე, რომელსაც თავის
ხარჯით ჰპირდებოდა გათხოვებას, და ქართულს
წიგნსა და წერას ასწავლიდა. როდესაც დიტო
შინ მივიღა კანიკულებში, მარინე იყო თუთხ-
მეტი წლის ახალ გაზდა, მაღალა და ლოცებ
აწითლებული ქალი, რომელსაც სქელი შავი

წარბები შუბლზე. გადამბოდათ ერთმანეთს, შევნი
გრძელ წამწამებიანი ღრმა თვალები მუდამ უცი-
ნოდა და, თუ მხიარულათ იყო, ხმა მაღლა კი-
სკისიც იცოდა. პირველსავე ნახვაზე იტყოდი:
«ოჲ, რა კეკლუციაო». მანირემ დაუჯდომელი და
პარაკლისი მშვენიერათ იცოდა. ქვერის ცო-
ლისათვის სწორეთ ძეირფასი რამ იყო მარინე.
ის მთელი დღე დაძვრებოდა საჯალაბო სახლში,
სადაც ბიჭები გროვდებოდენ, უყურებდა გამდ-
ლის და მ. ასამსახურეების ჩხუბსა, გადვიდოდა
მეზობლებში, იქაც შენიშნავდა ბევრს სასაცი-
ლო მოქმედებას, მერე გადმოვიდოდა თავის
პატრონთან, დაჯდებოდა და დაიწყებდა ლაპა-
რაკს. მარინემ იცოდა ჩქარი ლაპარაკი და თუ
ვისმე გაცინებდა, ჯერ მოიგრეხდა სახეს, ხმასც
იმის საფერად გამოიცვლიდა და დაიწყებდა ლა-
პარაკს. ისე დაიწყებდა ლაპარაკს, რომ, ვისაც
სცინოდა, სწორეთ ის დაგეხატებოდა თვალ წინ.
ამ დროს იმის ცოცხალი სახის გამომეტყველე-
ბა, თან ლაპარაკი და თან მხიარული კისკისი სწო-

რეთერთ შშვენიერ წარმოდგენათ ღირდა. ჟვერთა
ცოლი ფეხებს აფიხინებდა ბოლმე სიცილით.

დიტოს პირველადვე აუთამაშდა გული
მარინეს ნახვაზე. იმისმა ცოცხალმა თვალებმა
და წარბების მზაკველმა გამომეტყველებამ ძა-
ლიან შეაკრთო თვრამეტის წლის პირ-ლინდ-
ლიანი ყმაწვილი. მესამე დღე იყო, რაც დიტო
მამის ოჯახში დაბინავდა. დილით ცხრა საათზე
ის ჩუშტებით, ღილ-გახსნილი და თავ-ჩაღუ-
ნული დადიოდა აივანზე (ბალკონზე), თითქოს
რაღასაც ფიქრობდა. ჯერ პირი არ დაებანა და
რომ შეგეხედნა, გეგონებოდა, მომეტებული ძი-
ლისაგან თავი გარეტებიაო. ამ დროს ფეხის ხმა
მოისმა კიბისკენ. როგორც ზევით აიხედა დი-
ტომ, მარინეს თვალებმა წინ გაუელვა; თით-
ქოს მომაკედინებელი ისარი სცემოდეს გულ-
ში, ისე შეკრთა და უნებურათ მარჯვენა ხელი
მკერდზე მიაფარა. მარინემ უცბათ გადიკისკისა
და თითქოს გველი ყოფილიყოს, ისე ჩასრიალ-
და ღდის (სახლის) კიბეზე და გაიქცა საჯალა-
ბოსკენ. დიტომ მიიბრუნა პირი იქითკენ, საი-

თაც ფეხ-მარდა უმანკო ჯეირანი მიხტლდება;
 მითამაშობდა; ასე გევონებოდა, განზრახ დასცი-
 ნოდაო ჯერ კიდევ გამოუცდელს მონადირეს.
 ეს ლამაზი ჯეირანი იმდენათ დაიმედებული
 იყო თავის ბუნების სიმარდეზე, რომ სრულე-
 ბითაც არ ეშინოდა დიტოსაგან უხერხოთ შე-
 ტყორცილის ისრისა. ახალ-გაზდა მონადირე
 ამ დროს იდგა ერთ ალაგას, თითქოს გაშეშე-
 ბული, და ისე გულ-დაჩაგრულათ შეპყურებდა
 მარინეს, რომელიც შეიმაღა საჯალაბო სახლ-
 ში, როგორც მეძებარი წინ აფრენილ ხოზობსა.
 ეინ იცის, ამ დროს რა გრძნობის ზეირთები
 აუქაფდა გულში ამ სიცოცხლით და სიცხვე-
 ლით საესე თვრამეტის წლის ჭაბუკსა. იმის თვა-
 ლებს წყალი მოუვიდა; მსწრაფლად გადისვა ხე-
 ლი სახეზე, თითქოს ძილიდგან ახლა გამორ-
 კვეულიყოს: «ოჲ, რა ტყბილი სიზმარი ენახეო»,
 იფიქრა გულში, მერე გაიზმორა და ისევ გადა-
 დგა ნაბიჯი გასაელელათ. მაგრამ ამ დროს ისევ
 მოისმა ზარსაეით წმინდა ხმა თუთხმეტის წლის
 ჯეირნისა: «კიკო, ვაჟბატონი გიბრძანებს, ახლა-



ვე აქ მოდიო.» დიტო კვლავ შეკრთა. უცბათ
მიტრიალდა საჯალაბოსკენ, კვლავ დაინახა თავის
ჯეირანი, რომელიც მხიარულად მოისწრაფოდა
თითქოს დიტოსკენვე. ახალ გაზდა ვეფხვი ისევ
გაინაბა თავის ალაგს, შეჩერდა, გაუჩერა თვა-
ლები იმის წითურს ლოცებსა: «ოჰ, რა მშვე-
ნიერი ნადირიათ», იფიქრა გულში და იმის გულ-
მაც მოუჩერა ცემა, თუმცა არც ერთი იმის ტო-
კვა არ გამოააშკარავა, ისე სულ განაბული შეჰვე-
რებდა თავის მსხვერპლს. ეტყობოდა, ვეფხვს ბე-
ვრი ბუნებითი სიმარდე ჭირნდა; მაგრამ ლამა-
ზი ნადირი პირველად მაინც წაუვიდოდა. პმ
დროს მარინე ჩიტსავით ამოგოგდა კიბეჭე, და-
წკურათვალები, ერთს წამს შეჩერდა, მერე კი-
სკისით ესროლა მონადირეს ეს სიტყვები: «უჲ
პირ დაუბანელი», გადახტა და სწრაფად შევარ-
და ქვერისა ცოლის ოთახში. ეტყობოდა, გამო-
უცდელს ვეფხვს ჯერ კიდევ ბევრჯერ წაუვი-
დოდა ამისთანა მარდი ნადირი. დიტომ ამოიხვე-
ნება, თითქოს ვეფხვსავით შერცხვენოდეს თავის
უნაყოფო ნახტომისა და ღრენით კუდაამო-

ძუებული წასულიყოს თავის საბუნავოში. დღ-
ო მართლაც ფეხ ატაცებული შევიდა თავის
ოთახში და ცოტა ხანს იქიო, კიკოს ბრახუნი
რომ მოესმა აივანზე, გამოყოთავი ოთახიდგან და
უთხრა მოურავს: «ბიჭი გამომიგზავნე, პირი და-
მაბანინოსო». შუადღე შეიქნა, რომ დიტო კი-
დევ თავის ოთახში ბუნავობდა, თითქოს რაღაც
ისეთი საშინელი ტვირთი დაწოლოდეს თავზე,
რომ სულ ერთიანათ მოეშალოს იმის სხეული.
თუმცა პირი დაიბანა, ცივი წყაროს წყლით
თავი გაიგრილა, მაგრამ მაინც რაღაც მძიმე
ტვირთს თავი ვეღარ წამოართვა. «ამისთანა იქ-
ნება, მე რომ დღეს მოშლილი ვარო, წაიბუტ-
ბუტა, ზოგმანით წამოდგა, გამოვიდა ეზოში,
მიიარ-მოიარა და შევიდა საჯალაბოში, სადაც
გამდელი მიეგება ამ სიტყვებით: «მობრძანდი,
გენაცვალე. იქნება რამე მიირთვა, ან ხაჭაპური,
ან ახალი ყველი. თუ გნებავთ, წიწილს შეგი-
წვამთ კეცზე» — არა, არ მინდა წაიბუტბუტა
თავისთვის დიტომ და ჩამოჯდა გამდელის ტა-
ტზე. «მომიკვდა ჩემი თავი! რატომ, გენაცვა-

ლე? შენ დეიტირე შენი გადია, რატო არ გი-
 ნდა?... საუზმეს ქვე ხარ ნაჩვევი, შენ გენაც-
 ვალოს გადია.... ამ ლაპარაკით მიუახლოვდა
 თავის გაზღიულს და ხელი ამოუსვა ნიკაპქვეშ.
 დიტოს არ იამა ამისთანა ალერსი, წამოდგა
 ჩარბ-შეჭმურხვნილი და გამოვიდა გარეთ. «ვაი,
 ჩემი უბეღური თავის მოსწრებას! დღეს რაცხა
 არ არის ჩემი ბატონისშვილი კარგს გუნებაზე.
 არც საუზმე ჭამა, არც ჩემი მოფერება იამა,—
 ვაი თუ რამე სტკიოდეს!»— მიიღვა გამდელმა ცა-
 ლი თითო ტუჩზე და ღრმა ფიქრის ნიშნათ თავი
 ჩაჰკიდა. დიტო, თითქოს ტანში დამტვრეული,
 აეგიდა ზოზმანით კიბეზე, შევიდა თავის ოთახში,
 წამოწვა ტახტზე, გაშალა «ქართლის ცხოვრება»,
 მაგრამ ცოტა ხანს იქით გაშლილი წიგნი გულზე
 დაეკეცა და თეითონ ჭერს გაუშტერა თვალები.

ამ დროს შემოვიდა მარინე, ალაგებულ ქვეშ-
 საგებით დატვირთული, შევიდა ტახტზე, დაალა-
 გა შეარე კუთხეში, მერე მოტრიალდა დიტოს
 კუნ, რომელიც ამ დროს უცბათ წამოიმართა
 ერთს ხელზე და შესჭრიტა წელ წერწეტა მა-

რინეს. «ჯერ არ უძინია», წაილაპარაკა ქალმა, —
სწრაფათ ჩამოხდა ტახტიდგან და კარი გაიარა. დი-
ტო სახტათ დარჩა. «ეს ეშმაკის ფეხი ელვასა-
ვით რომ მეჩევნება ხოლმე, ცოტა მაინც შეი-
ცადოსოთ — თქვა თავის გონებაში და კიდევ
წაწვა მუთაქაზე.

გავიდა რამდენიმე დღე სულ ამისთანა მდგო-
მარეობაში. დიტომ თითქმის შინ დაიბუდა. ამ
ერთი კვერის წინათ ორ საათსაც ვერ გააჩერებ-
დი ეზოში: ან ყანაში წავიდოდა ბიჭების მუშა-
ობის საყურებლათ, ან არა და შეაკმაზინებდა
თავის კვიცს და გაისეირნებდა მოშორებით მო-
სახლე ნათესავებისაკენ, იქცევდა თავს ახალ-
გაზდებში. დილით ადრიანათ მუდამ კურდლლა-
ობდა, სალამოს მეზობლების ბიჭებს შეაგრო-
ვებდა საყდრის მინდორში და ფერხულს დაბმე-
ვინებდა; ან გულდასმით კითხულობდა «საქარ-
თველოს ისტორიას», ან «მარტირიკას», ან თავის
ლიმნაზიის სამოსწავლო წიგნებსა. ახლა ეს ორი
კვირა მეტი იყო, ყოველფერს თავი დაანება.
იყო შინ კარ ჩაკეტილსავით და მხოლოდ მა-

შინ გამოვიდოდა გარეთ და დაიწყებდა სან
 აივანზე სიარულს, ხან ეზოში, როდესაც მარინე
 ქალბატონიდგან გართამაშებდა საითკენმე. დიტო
 თანდათან უფრო უცქეროდა ამ უმანკო ახალ
 გაშლილს ვარდსა, თანდათან უფრო ტოკავდა
 იმის გული, კვერცხსავით შერგვალებულს მარი-
 ნეს მკერდს რომ უცქეროდა. დიტოს მეტი ბედ-
 ნიერება აღარ უნდოდა რა ქვეყანაზე, ოლონ-
 დაც ამ მშვენერ ბუნების ყვავილისთვის ეყუ-
 რებინა. რაც უფრო ხშირით უცქეროდა, მით
 უფრო და უფრო ფიცხდებოდა დიტოს გულის
 თქმა. შესანიშნავი ეს იყო, რომ დიტოს ჯერ
 კიდევ თვალი ვერ გაემაგრებინა მარინეს თვა-
 ლებისათვის. როგორც კი იმის თვალი დიტოს
 თვალს მოხვდებოდა, ჭაბუკი მაშინეე ძირს დახ-
 რიდა თავს. მარინეც საკვირვლათ ეშმაკურათ
 ექცეოდა ამ ყმიწვილს. ის თითქოს ატყობდა
 ყმაწვილის დარღების აშლას და თან და თან
 უფრო დიდი მხიარულებით დასცინოდა იმის
 უმარდობას. მართლაც დიტო ისე მოიშალა,
 რომ თითქოს ბუნებითი სიმკვირცხლე და სი-

მარდე სულ დაეკარგაო. სადოლზე რომ მჯდარ იყო, თუ მარინე იქ იყო, სავსე სტაქანსაც ვერ აიღებდა, რომ ღვინო არ დალუროდა; ყოველს იმის სიღამბლეზე მარინე ჩუმათ ჩაიცინებდა, თუ ფერია იქ იყო, თუ არა და კიდეც გადიკისფრებდა. დიტო თან წითლდებოდა და თან უფრო ირეუდა სიყვარულით.

თავი XIX

ნიუვარულის ცეცხლისაგან თავის დახვა.

ბოლოს ყარაბაღულს კვიცაც მოსწყინდა თავის ბაგაზე ბორგვა და უმატა ჭიხვინსა, თითქოს ამით უძახოდა თავის ბატონს: «ხომ არ მოკვდი, რა დაგემართა, ეს სამი კვირა გადის, თვალის სეირი არ გიჩვენებია ჩემთვის და ჩემი მუხლი არ გავიმართავსო.» დიტო პასუხს არას აძლევდა და სანთელსავით დნებოდა მარინეს სიყვარულითა.

ერთს საღამოს დიტო აივანში გამართულ ტანტზე იჯდა, მუხლზე «ქართლის ცხოვრება»

ედვა და იმის ფურცლებს ისე შლილა, თითქოს
 პაწაწა ბოვშავით თავს იქცევს. იმ დროს ის
 ხულ სხვა ფიქრში იყო გართული; მხოლოდ
 ხელები პატრონის დაუკითხავად ხან იქითკენ
 და ხან აქეთკენ აფრიალებდენ წიგნის თაბახებსა.
 უეცრად მოდგა მარინე ტახტის ნაპირას. დიტომ
 თავი აიღო.

— ჩაც ტყულათ არ შლით,— თქვენ მაგას
 არ კითხულობთ.— უთხრა მარინემ.

— რა იცი?

— თქვენ მარტვა ჩაჩერები ხარ წიგნებს და
 ერთხელ არ გამიგონია, რომ ხმა მაღლა წაგეკით-
 ხოსთ. კითხვა იმისთვის გვისწავლია, რომ ხმა-
 მაღლა ვიკითხოთ და სხვასაც გავაგონოთ.

— კარგი, აბა, თუ ყურს მიგდებ ხოლმე, მე
 ყოველთვის ხმა მაღლა დევიწყებ აწი კითხვას.

— ყური გივდო რა, ქალბატონი ვარ
 თუ?.. მე არ ვიცი კითხვა, თუ?... თქვენ ყურის
 გდებას ჩემ თავს ვუგდო ყური, ის არ მირჩევ-
 ნია.— უთხრა მარინემ გასაჯაჭრებლათ.

— კი, მარა შენ რომ მიგდებ ყურს, მაშინ



უფრო მიამება კითხვა და დიღხანობამდის არ დევილალები.

— თქვენ თუ არ მოგეწყინებათ, მე მომეწყინება. ჰა, ჰა, ჰა,—გადიკისკისა მარინემ.

დიტოს თითქოს ენა ჩაუვარდაო, პასუხი ველარ მოახერხა და თავი წიგნში ჩაღუნა.

— ვაი!...კი არ ცოდნია კითხვა, ტყულათ ჩაჩერებია. ჰა, ჰა, ჰა,—კიდევ მეორეთ გადიკისკისა მარინემ.

დიტო სახეზე აენთო.

— წეიკითხე, თვარა მე წაგარომევ და მე წევიკითხავ. არ შეგცხვება მერე?...

— შემრცხვება კი არა, ძალიან მიამება.—უთხრა დიტომ.

— აბა, არ წევიკითხავ.

დიტო მოჰყვა ვედრებას და ხვეწნას, რომ მარინეს წაეკითხა «ქართლის ცხოვრება»; მაგრამ მარინე უარზე იდგა. ბოლოს, სულ ერთ ნაირი ხვეწნა რომ მობეჭრდა, მარინემ გაიცინა და უთხრა: «ეა, ბექა, რავა უხეიროთ იჭყანები!».

ଦିନିମିଳି ଗାଇପିନା ମାରିନ୍ଦେଖି ସାବିସ ମନ୍ଦିରରେଜାଙ୍ଗେ
ଲା କେଲି ଫୁଲାକୁ କାଢାଇଲା.

— ଗାହେରିଲାଗିଲା — ଧରନ୍ଦରିଲା ଶ୍ରୀକାରା ମାରିନ୍ଦେଖି —
ଦିନିମିଳି କାଢାଲା କେଲି ଗାଉଥିଲା.

— ମନ୍ଦିର, ତୁ ଲମ୍ବରିଲା ଗଣ୍ଠାମି, ଏହିଲା ଏହିମି ଏହି
ଲାଜୁକି ହେମତାନ୍ତି — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାଚାର୍ଯ୍ୟ ଦିନିମିଳି.

— ବାବ, ଦେହା, ଗେଦିନିକେ ତୁ?.. ଦାଵାଜାହେ ରା,
ମିଳି କି କି କି ଗଗନନ୍ଦିଗାର?... —

— ଶ୍ରୀଗ୍ରାମ ତୁ?.. ଦାଜୁକି ଲା ପ୍ରାତିଶ୍ରଦ୍ଧାରୀ
ବାହାକୁଳି.

ଅମ ଶିତ୍ୟକୁଳିଦିନିମିଳି ଦିନିମିଳି ଶ୍ରୀକାରାନ୍ତି ମିଳିଲା
କାଢାଲା କେଲି.

— ମନ୍ଦିରକୁଳି ଆଶ୍ରମାଜ୍ୟ, ଗାୟକି ତଥାରା! — ଶ୍ରୀକାରା
ମାରିନ୍ଦେଖି. ଦିନିମିଳି କେଲି ଉପଦାତ ଗାଉଥିଲା କାଢାଲା.

— ବାବ, ଶାର୍ଣ୍ଣାଲି, କ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାମିନ୍ଦେ! ତା, ତା, ତା! —
ଗାଲାକୁଳିକୁଳି, ଲାକ୍ଷ୍ମୀକୁଳି ଲା ହାତରବିନା କିବେଳିକିରି.

ଦାନିହା ଦିନିମିଳି ଶ୍ରୀକୃତ୍ୱକୁଳିଲା. ଏହିଲା କାନ୍ଦି ତାପି
ମାଲିଲା ଏହି ଅୟିଲା; ଧନ୍ଦମାଳା ଫୁଲାକୁ ଛେତ୍ରି, ଏମା-
ନେବେନ୍ଦ୍ରିଯା ଲା ଶ୍ରୀକାରାନ୍ତି ଅତାକିମି ଦାକ୍ଷେତିଲା କାହିନି-
ଲିଲା କୁଳାକୁଳିକା.

ଅମ ଶ୍ରୀମତ୍କବେବ୍ରାମ ଗୁଲ-ଶ୍ରୀମାର୍କ୍ଷେତ୍ରକୁଳି ଶତାବ୍ଦୀକିଲି-

ლება იქონია დიტოს გონებაზე. ვიგინდარს სოფლის გომბიობ ასე რავა უნდა დამამციროს, რომ ფხეჭვეშ გავუგორდეთ — იფიქრა დიტომ და გული გაიმეხა. მომეტებულის ჯავრი-საგან არ იცოდა, რა ექნა. რომ ლამე არ შემაპარულიყო, ის უეჭველად უბძანებდა ბიჭე ცხენის შეკმაზას და საღმე წავიდოდა ორი სამი დღით. ის იმ დროს ნახევარ თავის სიცოცხლეს მისცემდა, ვინც მარინეს აიყვანდა და მიწაში ჩააძვრენდა. დატომ გამოიგდო თთახის კარი და ბერლა ლამეში გაისცირნა საჯალაბოსკენ. გზაზე გვერდით გაუქროლა მარინემ და ქრიტინით მიაძახა: «ქართული წიგნის კითხვა სულ არ სცოდნია!» დიტო უცბათ შედგა, გული ჩაუკარდა, მერე, თითქოს ვამოფხაზლებულ იყოს, ისევ წავიდა და მიადგა საჯალაბოს კარებსა: «კიკო ხვალ უთენიათ საკურდლლეს უნდა წევიდეთ, უთხრა მუსრავს, რომელიც ამ დროს ქათამს ფცქნიდა. — ბატონი ბძანდებითო, იმან მოახსენა. დიტო გამოპარუნდა უკან და იმ ლამეს მარინესაგან

გამოჯავრებულმა კახეთის მეფეების ისტორია თი-
თქმის სულ ჩაიკითხა...

დილის სულმაც მოატანა. წითელი ატლასის
არშია გაეკრა ცაზე აღმოსავლეთით. ძალლებმა
შეჰქნეს გახურებული წაწყანი ეზოში. ცხენმა,
თითქოს იგრძნოვო სანადიროთ. წასვლა, ერთი
მხიარულათ დაიჭიხვინა და დაიწყო ბაგაზე მარ-
ჯვენა ფეხის ბაკუნი. დილის ცვარს ბალახები
ძალიან დაესველებინა. კიკო იძახოდა გაუხარებუ-
ლი: «ჰოუ, ჰოუ, წამოვიდა, წამოვიდა!. აბა, კვან-
წია, დოუფაცურდი!.. ჰა, «ცოცია», ჰო!.. ჰო!..»

ის ამისთანა სიტყვებით ამხნევებდა მექებრებს,
რომელთა ყეფამ იქაურობა აიკლო. ამ დროს
დიტო ჩამოდგა ქვევით კიბეზე და ბძნა კვიცი
გამომიყვანეთო. ვინ წარმოიდგენს რა მშვენიე-
რათ თენდებოდა მაშინ. ჯერ მოჭირებულმა
წითელმა ფერმა შეღება მწვანით მორთული
ქვეყანა, მერე თანდათან ეს ფერი ყვითლდებო-
და, თეთრდებოდა და ამწვანებულმა ბუნებამ
შავი ღამის კუპრიდგან დღის სინათლით გან-
სპერაკებული თავი ამოყო. ამ დროს ზაფხულის

შზის სხივებიც ლამაზათ გაიფანტა ბალახის ცვარი
ში და მარგალიტ ასხეული მინდვრები ათას ფრად
აპრიალა. კარგა წირვის დრო შეიქნა, როცა ჩვენი
მონაღირები გამარჯვებულნი დაბრუნდენ. იმათ
ორი კურდლელი მოიტანეს. დიტო გაცოცხლე-
ბულიყო, თითქოს დარდის ლრუბელი სახეზე
გადაცლოდეს. როგორც ჩამოხტა ეზოში, ბიჭის
უთხრა, ცეიცს ქერი მიეცი კარგა ბლომათ, ცო-
ტა ხანს შემდეგ ჭალას უნდა წევიდე ჩემს ნათე-
სავებშიო მერე კიკოს უბძანა: «საუჩერე მოაწ-
ზადეო». შესანიშნავი იყო, რომ ის თავის სად-
გომში აღარ ასულა, თითქოს რილასიც ჰშინე-
ბოდეს. ჯერ საჯინიბოში შევიდა და ცოტა
ხანს სიამოვნებით ყურს უგდებდა, როგორ მა-
დიანათ ახრამუნებდა ქერს თოფრაადებული
კვიცი. მერე წავიდა ჩალურისაკენ და შინაური პი-
როუტუვები დაათვალიერა, თხებისა და ლორების
მწყემსებს ტკბილათ ელაპარაკა და თავიანთ საქ-
მეში გააფთხილა; მერე ბოსტანისკენ გადაიხედა
და გამდელს მიესალმა, რომელიც კიტრებს მე-
სამეთ თესავდა. ამ დღეს დიტო, როგორც ოჯა-



ხის პატონს ეკადრება, სწორეთ ისე იქცევა
ამისთანა შემთხვევა პირველათ შეენიშნათ ოჯა-
ხის მცხოვრებლებსა და ყველას ძალიან იამა.
მეღორებ თქვა: «რა კაი ბატონი გვეზდებაო»
ვისაც დიტოს უწინდელი ცხოვრება ჰქონდა შე-
ნიშნული თავის მამის სახლში, ყველა შეატყობ-
და, რომ ბატონის შვილი იმ დილით განზრახ
ცდილობდა ოდაზე მოშორებული ყო ფი იყო,
სადაც დაფრინავდა იმის გულის დამოდვ ლი ას-
პიტი. ცდილობდა, ტყუილათ არ და ჩენ ლი იყო,
რომ ტკბილათ მოკისკისე, მაგრამ საშიში მა-
რინეს სურათი ისევ არ გასცოცხლებოდა თავში.

— კიკო, სად მიხვალ? დაუძახა დიტომ, რო-
მელიც ამ დროს ყანის ღობეზე გადმოდიოდა.

— საუზმე მზათ გახლავს. მარანში გიახლე-
ბი ღვინის ამოსალებათ.

— ჰო, გააღე მარანი და საუზმეც იქ შემო-
მიტანე, მე დღეს ჭურის (ქვევრის) თავზე მინდა
დევიზაკუსკო.

— ბატონი ბძანდები. ცოტა ხანს შემდეგ დიტოს კვიცი საჯინი-

ბოდგან გამოიყვანეს. ამდროს ბატონის შვილი ჭარბი მოვიდა მარნიდან და მოხდენით მოახტა თავის ცხენს. კვიცმა შეითამაშა. დიტომ უნებურათ მიიხება ბალკონისაკენ, საიდგანაც გადმოჰყურებდა წარბ-შეკრული მარინე და თითქოს საყ ედურს ეუბნებოდა განშორებისათვის. «ნერა ახლა ის არ დაშენახა და მოკვდარეიყავი!» — წაიღაპარაკა დიტომ და შემოჰყრა მარია-სი თაფის კვიცს. იმან ისკუპა და ერთი ასე-თი გადახტა, რომ მარინემ უცბათ იკივლა: «ვაი, დედა!» შემინდა, დიტო არ დაამტკრიო-სი. ამ კივილზე დიტომ გამოიხედა და დაინა-ხა მარინე, რომელსაც თვალებზე ხელი ჰქონ-და მიფარებული.

ბატონის შეალმა კარგა ხანი იარა გზაზე, რომ ერთი ხმაც არ ამოულია. ის იყო ერთობ ჩაფექტე-ბული, თვეში მაგრათ ჩაებეჭდა ბალკონზე გად-მომდგარი მარინე, რომელიც, თითქოს ხელს უქნევდა: «აქ დარჩი, თვარა უშენოთ გაძლება არ შემიძლიაო». ბატონის შეალმა თანდათან შეიკრა წარბები, გულში ნანობდა, ნეტამც ჯერ კიდევ



არ წავსულიყავი ჭალასო. უწინდელი მარინეს
 ქცევა ახლა სულ სხვა ნაირათ ახსნა. იმან რომ
 წარმოიდგინა გულის თქმის ცეცხლით ანთე-
 ბული მარინეს თვალები, რომელსაც ჰსურდა
 იმასთან ყოფილიყო, მაგრამ ეშმაკობით თავს
 არიდებდა,— სულ მოკვდა. ის მხოლოდ ახლა
 მიხვდა, რომ მარინე ხუმრობით უჯავრდებოდა,
 როცა დიტომ კაბაში ხელი წაავლო, თო-
 რემ, ვინიცის, იქნება ოვითონ მარინეს უფრო
 სასიამოვნოთ მისჩენეოდა დიტოსთან ხელით თა-
 მაშობა. ამისთანა ფიქრებმა ისე დაარბილა ჭა-
 ბუკის გული, რომ რისთვისაც უწინ უჯავრდე-
 ბოდა მარინეს, ახლა ის სამოთხის სიტკბოებათ
 და ნეტარ მოსაგონებლათ გადაეჭცა. რაც უფ-
 რო წინ მიდიოდა, ისე თანდათან ძლიერათ
 ეჭიდებოდა ყმაწვილს გაღვიძებული გულის-
 თქმის ძალა და წინ აღარ უშეებდა, იმას რა-
 ღაც ზეციური ხმა ჩასძახოდა ყურში: «დიტო,
 შინ დაბრუნდი, შენი ბედნიერება იქ არის,
 სხვაგან სად მიისწრაფიო». მაგრამ დიტო ისეთი
 ყმაწვილი არ იყო, რომ ერთხელვე ფეხს გა-

დადგამდა და მერე უკან ჩამომდგარიყო. რაკი
შინიდგან გამოვიდა, იმას აღარ შეეძლო თავისი
ბუნება ეძლია, თორემ ამისთანა ფიქრებს შემ-
დეგ ჭალას წასვლა იმისთვის სიკვდილი იყო.

დიტოს წასვლა მხიარულს მარინეს კიდევ
უფრო დაეტყო. ის რაღაც ნაირათ დაზარმაპ-
და. დაუჯდომელისა და პარაკლისის კითხვას ძა-
ლიან აკლო. ქვერიას ცოლს არა ერთჯერ
უთქვამს: «ეს გოგო სულ წახდა, კაცის შეი-
ლათ აღარ ვარგა. აღარც დილის ლოცვებს
მიკითხავს და თავისთვინაც აღარ კითხულობს
წიგნსაო.» ხშირად გაუგონიათ მოსამსახურეებს
გაშმაგებული ძახილი ქალბატონის ოთახიდგან;
«მარინე, მარინე, მარინეო!» მაგრამ ის აღარსად
ყოფილა. ქვერიას ცოლმა მოუხშირა წყრომა
თავის აყვანილს ქალს, ემუქრებოდა კიდეც: «თუ
მასე მოიქეცი, შენს სოფელში დაგაბრუნებო.»
მაგრამ არა გაუვიდა რა. ერთხელ მარინე თა-
ვის პატრონის წინ იდგა და დაუჯდომელს უკით-
ხავდა, უცბათ გასწყვიტა კითხვა მარინემ.



რას შობი გოგო, წეიკითხე! — შესძახა ჟევენიამ, ცოლმა, რომელსაც ამ დროს ხატებისკენ პქონდა ხელები გაწვდილი და სასოებით ეველრებოდა.

მარინე იდგა გაშეშებული. «დასწყევლოს ღმერთმა შენი ეშმაკი! გოგო, წეიკითხე!»

მარინე მაინც ხმას არ იღებდა. «დაგამუნჯოს ჩემმა დამბადებელმა!. წეიკითხე-თქვა, გოგო!»

— რა წევიკითხო? — თქვა, ამოკვნესით მარინემ. — ქვე დამეკარგა, სადაც ვკითხულობდი.

— აი, გადაგიწყდა... მოიტანე აქ ეგ წიგნი, შესძახა ქალბატონმა, წასწვდა და გამოთხლიშა წიგნი. ხელიდგან. მერე გადაავლო თვალი დაუჯდომელის გვერდებს, დაუდვა ხელი, მიაწვდინა წიგნი ჩაფიქრებულს ახალგაზდა ქალს და გაათხოვდა. „პა, აქედგან წეიკითხე, ღმერთი არ გაგიწყრეს, მეორეთაც არ დაგეპარგოს წასაკითხი, ლოცვა არ გამაწყეტინო.

დღეები გადიოდენ და მარინე უფრო და უფრო ჭრმაცდებოდა ქალბატონის თვალში.

იმის არაფერზე გული აღარ ჰქონდა. პირზედაც ჩამოხმა და მაღაც დაეკარგა... ერთს დილით, როცა ჟვერიას ცოლს ლოცვა მოუნდა და მარინეს ძახილით თავი მობეჭრდა, ფაშოფიდა გარეთ, ძებნა დაუწყო. წარმოიდგინეთ იმის გაკვირვება, როცა ოჯის უკან კუთხეში მარინე ჩაკეცილ იყო და მდუღარეთ სტიროლა. ჟვერიას ცოლი გაოცდა.

— მარინე რა დაგემართა? ხომ არავის გოულახაქარ?

ახალგაზრდა ქალქა ამ სიტყვებზე უმატა ცრემლებს დენას და თავი გაიქნია.

— აბა, რატომ ტირი? იქნება რამე გტკოვა? გრძნობით განუმეორა ქალბატონმა.

მარინემ მაშინაც თავი გაიქნია. ჟვერიას ცოლი მოტრიალზა ლრპათ ჩაფიქრებული, თითი ტუჩებზე მიიღვა და წავიდა საჯალაბოსკენ.

— ამისთანა გინახავს, დილვარდისა! შეჩივლა გამდელს, როცა შედგა ფეხი საჯალაბოში. მარინე რომ ასეა, რა ეშველება? —

— რავა, ბატონო? — საქმის გამოსარკვევათ
ჰკითხა გამდელმა.

— ეს ორი კვირეა კაცის შეილს არ
ჰგავს. ვითამც ჩატარა საგრძნეულო ჩამე და-
მართოდეს. აღერლილია, არაფერზე გული არ
აქვს. იმის ხუმარა, მუდამ მოცინარე სახე ასე
რამ გამოცვალა, საშინლათ მიკვირს! ამ ბო-
ლოს დროს ერთხელ არ მინახავს გაცინებუ-
ლი, ხელიც რომ ვერ მოვიკიდე ჩემდროს სა-
ლოცვათ! არაფერი არ ტკივა, მარა სახეზე
რომ შეხედო, ავათმყოფი გგონია!

— ეგ, ქალბატონო, სახუმრო საქმე არ არის.
მკითხავს უნდა აკითხვინოთ... სწორეთ გალა-
ლულია.

— ახლა მე რომ ის ვნახე, იმისთანა ჩემს
მტერს და დამაწყევარს! ოდის უკან ჩამჯდარა
და ტირის, ტირის, ტირის, რომ იმის უცოდვე-
სი ქვა არ არის! ვკითხე, რა გტკივა მეთქი და
ხმა არ გამცა.

— უი, შენ ჩემო თავო!... სწორეთ გალა-
ლულია ქალბატონო! ჯადო ექნება ნაჭმევი.

ახლათ ახლავე მკითხავთან კაცი ვაფრინოზი,
თვარა მაგის ხსნა. არ იქნება.

ამსახით ქალბატონი და გამდელი ერთად შეუ-
დგენ საჭმის გამოკვლევას მარინეს მოსარჩენათ.

თავი XX.

შეუგარებულის.

მარიამობის თვის ნახევარი გავიდა. ის იყო
კანიკულებიც თავდებოდა. ღიტო სამი კვირე
ოჯახს არ მოჰკარებია. ბევრი ლხინი და ქეიფი
გამოსცადა იმან თავის ტოლსა და ამხანა-
გებში ამ სამ კვირეს. კალმახის ჭერაშ ჭალის
წყლებში, ველურ ლორზე და არჩეზე ნადი-
რობაშ, მერე შინ ნანადირევის მიტანაშ და მას-
პინძლობაშ ძალიან გაართო ახალგაზდა ჭაბუ-
კი. ყველა იმის მონათესავეებიც მხიარულათ
იყვნენ, მშვენიერს ყმაწვილს რომ ხედავდენ,
სწავლაში კურსასრულებდა. რადგან ყველა მოე-
ლოდა იმის ჩინოვნიკათ გახდომას, თით-
ქოს ახლავე იგებდენ ყმაწვილის გულსა, რომ
შემდეგ თავის კეთილის მყოფლებს შეწეოდა
ხოლმე საქმეში. მით უფრო სიყვარულით ეკი-

დებოდენ ამ ყმიწვალს და არას ზოგავედენ,
 ოღონდ კი იმისთვის ეამებიათ. ამისთანა დროს
 გატარება დიტოსაც ძალიან შეუყვარდა. გან-
 საკუთრებით იმას მოსწონდა რამდენიმე დღით
 გარეთ მთაში დარჩენა. ოჯ, ვინ იცის, რა
 გულის ცემით უდარაჯებდა ტყის ნადირს სა-
 ფარში. როდესაც მეძღლები მოჩეკდენ რო-
 მეჯ სამე ტყეს კიფილ-ჭყივილით და ძალლები ყე-
 ფა-წაკწაკით მიაგდებდენ დაფეთებულს შველს,
 ან ტურას, ან ხან და ხან ირეშეაც ჭიტოს სა-
 ფართან. ყოველ სხვის თოფის გავარდნაზე დი-
 ტოს ქრუანტელი დაუკლიდა ტანში. «ჰე რამე
 ნადირი მოკლესო სწორეთ!» — წამოიძახებდა ჩუ-
 მათ. ვინ მოსთვლის იმ მხიარულებას, როცა ერ-
 თი შველი თეითონ დიტომაც გააგორა. ამ რა-
 ინდულს ცხოვრებას ყმაწვილა ისე შეეჩია, რომ,
 ბიძის ხათრი არპქონოდა, ვგონებ, აღარც კი წავი-
 დოჟა ქ...ს კურსის შესასრულებლათ. ამგვარმა
 შექცევამ თანდათან გამოუნელა გულში მარი-
 ნესაგან მოკიდებელი ცეცხლი. მაგრამ საკვარ-
 ველაა! როგორც შინისკენ იბრუნა პირი, დი-

ტოს თვალებს ციურის სხივით გაბრწყინებული მარინეს სურათი ისევე თვალწინ გამოეხატა. ის ცოტ-ცოტათ იახლებდა ძველს ცეცხლს და რამდენათაც შებრუნებული სენი საშიშოა კაცის მოშლილი ტანისათვის, იმდენათ ძნელი შეიქნა ეს გაახლებული შფოთვა გულისა დი-ტოსთვის. «არა, მე როგორც მივალ შინ, ისე ქ...ს უნდა წევიდე, თვარა ცუდი საქმე მო-მივაო» — იწყო ფიქრი დიტომ. იმას ეს შინაგანი გონების დამძიმება მიაჩნდა ისეთ საშინელ ცოდვათ, რომ ჯერ ასე ღრმათ არაფერს შეერ-ყია იმის უმანკო ზნე: «მე უნდა განვთავისუფ-ლდე ამ ჩემ არა წმინდა შავი ფიქრებისაგან, რომელიც წურბლებსავით გულზე მომკიდებიან და სულს მიშფოთებენ. არა... სჯობია, სუ-ლაც არ დევინახო მარინე....» ფიქრობდა გულ-ში; მაგრამ ამ დროს რომ წარმოიდგენდა ბალ-კონზე გადმომდგარს იმის წარბ-შეკრულს სახეს, შავი ფიქრები ტკბილ ცოცხებათ ეცვლებოდა და ჰაერს ჰკოცნიდა უნებლივთ. ამ ყო-ფით იმან შეაღო თავის სახლის ჭიშკარი და

უცემ მოჰკრა თვალი მარინეს, რომელიც კა-
ბეჭე ნელა ადიოდა. მარინე იქვე ჩაჯდა. დი-
ტო სწრაფად გადახტა ცხენზე, აირბინა კიბე-
ზე: «ოპ, მარინეს გოუმარჯოს!» სიცილით უთხრა,
გვერდი შეუარა და ნიკაპზე ხელი შეახო. მა-
რინემ უნებურათ ხელი გაიქნია: «გეიწი იქით!».
დიტო არ გახერებულა, ისე ავიდა ოდაზე და
შეაღო თავის ბიძის ცოლის ოთახი.

— უი, გენაცვალოს ბიცოლა! შეჰკივლა ჭვე-
რიას ცოლმა, მიეგება და პირზე აკოცა, ცოტა
ხანს ლაპარაკის შემდეგ დიტომ გამოუცხადა თა-
ვის ბიძის ცოლს, რომ სამი დღის უკან ქ...ს უნდა
წავიდეო. მერე, თითქოს რაღაც განკარგულების
თქმა დავიწყებოდეს, გამოვიდა გარეთ, თვა-
ლები კიბისაკენ წაილო; მაგრამ მარინე იქ
აღარ იჯდა...

ახალ გაზდა ქალს მალე დაეტყო დიტოს და-
ბრუნება. ის თუმცა უწინდულათვე გულნატ-
კენი იყო დიტოს გაშორებით, მაგრამ იმის
ნახვა მაინც იმდენათ იამა, რომ მოშვებული
ტანი უცბათ გაუმაგრდა. თუმცა მუდამ პირმო-

ქუშული იცემოდა, მაგრამ დაზარებული
მაინც აღარ იყო. ხშირათ შეასწრებდა ხოლო
შრისხანე თვალებს დიტოს სახეს, რომელიც
თითქოს უნებურათ ირყეოდა და არ შეეძლო,
არ გაელიმა. ოჟ, რა ტკბილი იყო ამ მხნე ჭა-
ბუკის ცეკვა მარინესათვის, ვინც კი ჩაიხედავ-
და იმის გულში. მარტო ერთი ამ ლამაზი და-
ოდოშებული პირის შენედვა ყოველს წამალ-
ზე უფრო ჰკურნებდა მარინეს სნეულებას;
მაგრამ ვინ იყო გულთმისანი, ვის . შეეძლო
მიეგნო ეს წამალი? დიტოსა და მარინეს გარდა
სხვამ არავინ იცოდა ეს წამალი და ესენი არც
სხვას აგებინებდენ და თვითონაც შორს ეჭი-
რათ ერთმანეთზე სამკურნალო, ამ მდგომარე-
ობაში დიტომ და მარინემ იწყეს ერთმანეთის
შორიდება, მაგრამ რამდენათაც უფრო უმაღა-
ვდენ ერთმანეთს, თავიანთ გულს, იმდენათ
უფრო ძლიერდებოდა. იმათი გულის დამ-
წველი, დამდაგველი სიყვარულის აღი. ორნი-
ვე იტანჯოდენ უწყალო ცეცხლითა, იდაგ-
ვოდენ, დღე და ღამე კვნესოდენ, მაგრამ მით

უფრო საშიშოთ მიაჩნდათ უშრეტელს ალწე
 წყლის დასხმა.

ბოლოს დიტოს წასელის დრომაც მოაწია. შე-
 უღენ უმაწევილის გასტუმრებას. თვითონ ბატო-
 ნის შეიღმა მოახდინა განკარგულება თავის
 საგძლის მომზადებისათვის. წასელის წინა დღეს,
 მზე რომ ჩავიდა, დიტომ დაიწყო ეზოში სიარუ-
 ლი და ბოლოს ოდის უკან გაიარა. იმან იქ
 თვალი მოჰკრა მარინეს, რომელიც მიყუდებო-
 და ლობდეს, პირი იქით ექნადა თითქოს სამხრეთის
 ცის დაღამებულს ლაფვარდს შესცემოდა. ყმა-
 წევილს ისევ უკან უნდოდა გამობრუნება, მაგ-
 რამ რაღაც უძლეველმა ძალმა მისდა უნებურათ
 მარინესკენ გაიტაცა. ახალგაზდა ჭაბუკი გვერ-
 დით ამოუღვა თუთხმეტის წლის მშევნიერს
 ქალსა.

— მარინე, შენ ხარ? — ათრთოლებული და-
 ბალი ხმით შესძახა დიტომ.

ამ კითხვაზე ქალი მოტრიალდა და თავი უც-
 ბათ დახარა. იმას ეხება თავსაფარი და ორი მსხვი-
 ლი და გძელი ნაწნავები წინ გადმოკიდებოდენ,

ორს შეს გველებსავით შემოხვეულენ გმის
მშვენიერად დარგვალებულს მკერდსა, თითქოს
იცავდენო მტრის ხელისაგან. მარინეს ანთებულს
ლოკებს საღამოს ბინდი იფარავდა დიტოს თვა-
ლისაგან. ყმაწვილი იმდენზე მიუახლოედა მარი-
ნეს, რომ იმის მთრთოლვარე სულის თქმა ესმო-
და. ხედავდა კიდეც, როგორ ადიოდენ და ჩა-
დიოდენ მკერდჲ ლუწათ ამოსული კოკბები.
თვითონ მარინეს მძაფრი ქშენაც ამჟკიცებდა,
რა გეენია უნდა ნთებულიყო იმის გულში.

— მე ხეალ მივდივარ. განუმეორა დიტომ
კიდევ უფრო მთრთოლვარე ხმით.

— მერე რა გინდა? მღელვარებით უპასუხა
მარინემ!

— რომ იცოდე, მარინე, რა საშინლათ არ
მინდა ქ...ს წასვლა.

— მერე ვინ გიშლის? დარჩი, რა!

— არ შემიძლია. ეს ერთი წელიწადი მაკლია
სჭავლის დასრულებას და მერე რუსეთს უნდა
წევიდე.

— სადაც გინდა, იქ წადი, მე რას დევექებ.

— ମାରାମ ପିପି, ମାରାନ୍ତିର!... ଓପାଦେଶି ଲା ପ୍ରେର ମନ୍ତ୍ରକ୍ଷାମ୍ବନ୍ଦିଃ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା ଅଧିକାରୀଙ୍କ ଶିଖନିତ ପ୍ରେଚ୍ଛଳିମନ୍ତ୍ରମିକ୍ଷିତା... ପିପି,
ମାରାନ୍ତିର, ପିପି!.. ରାଜୁଙ୍କା, ରାଜୁଙ୍କା ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା ଶିଖନିତ
ଶାଶ୍ଵତ ପଦାର୍ଥ ଲାଭ ଲାଭ ମନ୍ତ୍ରମିକ୍ଷିତା ଆମ ମାତ୍ରମେ?

— ରାଜୁ ଆମବେଳି? ପାଦିଲାଙ୍କ ତୁ?... ତାଣ ମେ ଲା
ପିପି ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା ଶିଖନିତ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ପାଦିଲାଙ୍କ ପାଦିଲାଙ୍କ
ପାଦିଲାଙ୍କ?

— କୁହାନ ଶିଖନିତ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ରାଜୁ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା.

— ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା କହିଲୁ—

— ଜୟର ଏକବାର ଲା ତାଣ ପିପିକି, କୁହାନ ରା ପଦାର୍ଥ
ଶାତ୍ରେନଦେଶ, ନିର୍ବିକାର, ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମା ଏକବାର ଲାଭିଲୁ.

— ଏହା, ଏହା! ତୁମି, ତୁମି! ତୁମିର ଶାତ୍ରେନଦେଶ! — ମାରାନ୍ତିର
ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ଏକବାର କହିଲା ଶାତ୍ରେନଦେଶକି। ଦୀତିରମ ପ୍ରପଦ
ପାତ ତୁମି କହିଲା ଶାତ୍ରେନଦେଶକି। ମାରାନ୍ତିର କହିଲା
କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା, କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ତାଣ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା
ଲା କହିଲା ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା
କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା
କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା
କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା କୁହାନ ପଦାର୍ଥମିକ୍ଷିତା

თავი XXI

დიტოს ჩვათმეოფას და უმანსკის ანდერში.

სეკლევბრის გასულია. ღამის 10 საათზე ერთს პატარა ოთახში ქ...სის ღიმნაზიის ძირს სამი დოქტორი სტოლს შემოსხდომიან; წინ ორი სანთელიუნთიათ: ორს იმათგანს თავი ჩაულუნავს, ეტყობათ სამძიმო საქმეზე ფიქრობენ, მესამე ლაპარაკობს: «ყმაწვილი გუშინ ჩამოიყვანეს აქ საავათმყოფოში. თავს იტკენდა საშინლათ და ჩემს კითხვებზე გამორკვეული პასუხი ვერ მომცა, იბნეოდა. მაჯა გაუშინჯე, საშინლათ მაგრათ სცემდა და უწესოთ. ვთქვი, ვა თუ თავის ანთება აუტყდესმეთქი; მაშინვე ვსთხოვე ფერშალს საგრილებელი ჩვრები გაეკეთებინა და ღამით უური ეგდო. მეორე დღეს დილით ვნახე, ძალიან შფოთავდა; ფერშალმა მითხრა, ღამით არ უძინიაო; სულ ამ სიტყვებს იძახოდა: თავში ცეცხლი მეკიდება... ის სად არის?.. მოკვდა... მოკვდა!...» დილით ვნახე ცუდ ფერზე იყო, თვალები ამღვრეული ჰქონდა და მაჭა უარესი.

ფერშალს ვსთხოვე, თავი გადაეპარცა და ცივი
ჩრდილის დება თავზე არ მოეშალა. ნაშუადლევს
უკან ენა ჩაუარდა... მე ძალიან ეჭვი მაქვს...»
გაათავა დალონებულათ მესამე დოქტორშა ლა-
პარაკი. ამდროს ერთმა ტანმორჩილა კაცმა შე-
მოაღო კარი და წამოიძახა: «თქვენო კეთილ-
შობილებავ, ავათმყოფს გული შეუწუხდა და ვე-
ლარ მოვაძრუნე!...» დოქტორები მსწრაფლათ
გაცვინდენ პატარა ოთახიდგან და შევარდენ სა-
ავათმყოფოში. კრაოტზე იყო ერთი მოწიფუ-
ლი ახალგაზდა გაშოტვილი, დიდრონი თვალე-
ბი მკედარსავით ჰქონდა დახურული, სახეზე მი-
წის ფერი ედვა და ცხვირი ისე გათხელებოდა,
რომ ნესტოებში სინათლე გადიოდა. «ბრალი არ
არის ამ ახლადაყვავებული ჭაბუკის ასეუდროვოთ
სიკვდილიო.» — ამბობდა ყოველი მნახველი. დოქ-
ტორმა სტაცა მაჯაზე ხელი და თქვა: «საქმე
უკანასკნელს ეამამდის არის მიღწეული». ჩენ
ამის მორჩენის იმედი მაინც აღარა გვაძეს და
ვეცადოთ სისხლის გაშვება.» დოქტორები
დათანხმდენ.

ეს უდროვოთ დღე მოსწრაფებული ახალგაზ-
და იყო დიტო ქველაძე. ბატონისშვილი ძა-
ლიან შერყეული წამოვიდა შინიდგან. მოვიდა
ქ...სს, მაგრამ ვაი იმ მოსელას! იმის ფიქრი სულ
თავის მამის ოჯახში დაფარფატებდა მშვენერს
მარინეს გარშემო, რომელმაც სიყვარულის ნა-
ღველი გესლათ გაურია დიტოს პირველს კო-
ცნაში. ამ ნაღველმა მოსწამლა ორთავ შეყვა-
რებულის შემდეგი სიცოცხლე. დიტომ იწყო
ჯავრი მარინეზე.

ამ პირველმა უნუგეშო სიყვარულმა დიტოს და-
უბნელა გონება; სიყვარულის ისარმა გაუპო
გული და უცბათ მოსწყვიტა ეს ახალი ყვავილი.
რაც დრო მიღიოდა მით უფრო ბურანი ედე-
ბოდა იმის გამოხატულებას; იწყო ჯავრი, სევ-
დის ცეცხლმა დადაგა ყოველი იმის ფრთა შეს-
ხმული წადილი, ყმაწვილმა ვეღარ უძლო სიყვა-
რულის დარღს და შინიდგან რომ წავიდა, თუთხმე-
ტზე ტვინის ანთება მოუვიდა..., იმ წამს ყმაწვილი
იდვა უძრავათ ღიმნაზიის საავათმყოფოს კრაოტ-



ზე. იმის შეელა სათუოდ იყო, რომ დოქტორი რებს ღრმაზე სისხლი არ გაეშვათ. მართლაც სისხლის გაშვების შემდევ დიტოს შელავათი მიეცა. ის მალე მობრუნდა და ერთ კვირას იქით კრაოტზე ჯდებოდა; მაგრამ კლასში ერთ თვე ნახევარსაც აღარ წასულა. ამ დროს განმავალობაში დიტო საშინლათ გამოიცალა. იმის გავსილი პირას სახე სანთელსაფით ყვითლათ ჩაშოდნა. განთავისუფლდა თუ არა მძიმე ავათმყოფობისაგან, დიტომ დააგდო ლიმნაზიის სავათმყოფო და შეუდგა მზადებას კურსის შესრულებისთვის. ავათმყოფობაშ ერთი კარგი საქმე უყო ამ ყმაწვილს: თითქოს იმის გამოხატულებას მარინეს სახე დაეკარგავო, რაღაც ბუნდათ ახსოვდა ყოველივე, რაც გამოეცადნა მამის ოჯახში; მხოლოდ როდესაც მარინეს სახელი მოუფიდოდა თავში, უეცრათ შეკრთებოდა და თავს გაიქნევდა უნებურათ, თითქოს რაღაც უსიამოვნო წერის მოგერება სდომებოდეს. ეგზამენების მოახლოებით ყმაწვილს განუახლდა თავის მო-

შავალი წადილი და სულის მოსწრავებით შეუტავა
კლასის საგნების მომზადებას.

ქრისტეშობისთვე დაღვა. ყმაწვილებს ის იყო საე-
გზემენიოთ ითხოვდენ. შაბაოია. მეორე უროკზე
უმანსკი შემოვიდა მეშვიდე კლასში. ამ ნახევარი
წლის განმავალობაში ისიც ძალიან გამოცვ-
ლილიყო სახეზე. თვალები უფრო მიპანედოდა,
ტანის ძეგრაც გაძლიერებოდა. კვირაში ერთ-
ხელ რომ მოსულიყო უროკზე ღიმნაზიაში დიდ
წყალობათ მიითვლიდენ მეშვიდე კლასის შა-
ვირდები. არაყის სმა ერთი თრათ მოემატები-
ნა. ვინც შეხედავდა იმის გამოფიტებულს, დაჭ-
მუჭვნილს სახეს, ყველა იტყოდა: ამან დიდი ხა-
ნი ველარ უნდა იცოცხლოსო. იმის თვალებში
ჩასვენებული ცხოვრების შუქი კიდევ ბჟულავ-
და; მაგრამ ამ შუქს, როგორც ჩამავალს მზის
სხივს, ისე აღარ ჰქონდა სითბო და უწინდელი
სიცხოველე. იმ დღეს უმანსკი არა ჩვეულებ-
რივათ იყო აღტაცებული; ეტყობოდა, რომ
ყმაწვილებთან უკანასკნელათ ჰსურდა ლაპარაკი,

საკურებულათ გაცოცხლებული და მხარებული სა-
 ხე ჰქონდა; მომეტებულათ ხუმრობდა, იცინო-
 და. იმის მეგობრული ალერსიანობა იმდენზე
 მივიდა, რომ ყმაწვილებს ძმები დაუძახა. იმას
 უნდოდა უკანასკნელად ანდერძი დაწერა თა-
 ვის საყვარელ მოწაფებისათვის, რადგან გრძნო-
 ბდა, რომ ღიმნაზიაში დიდი ხნის საღვამი პი-
 რი არა ჰქონდა. იმ ცოტა ხანში მასწავლებელ-
 თა რჩევა ყოფილიყო, საღაც გადაეწყვიტათ,
 რომ უმანსკის სასტიკი შენიშვნა მიეცეს თა-
 ვის საქმის უყურადღებობისთვის; იმ დღეს, სა-
 ნამდის უმანსკი კლასში შევიდოდა უროკზე,
 დირექტორთან ცხარი ლაპარაკი მოსვლოდა,
 ზემოხსენებულ გადაწყვეტილებისგამო გაბრაზე-
 ბულიყო, დირექტორი გაელანდლა და ეთქვა,
 რევენისთანა კაცებთან სამსახურს, ისევ შიმში-
 ლი მირჩევნია. იმას გულში გადაეჭრა სამსა-
 ხურიდგან დათხოვნის ქალალდის შეტანა. უმან-
 სკის მაინცა და მაინც ღიმნაზიაში არა ეკარ-
 გებოდა რა, რადგან პენცია იმ ხანებში გამოს-

ვლოდა: მხოლოდ გულს სწყვეტდა ძალიან,
რომ მეშვიდე კლასის ყმაწვილებს შორდებოდა;
მაგრამ რომ ეს შემთხვევაც არა, ეგზემენების
გათავების შემდეგ მაინც ხომ უნდა მოცილე-
ბოდა. მართლაც იმ წუთას, თითქოს ეს ფიქრი
გატარებოდეს თავში, ნაღვლის ამონთხევის
ნიშნაო ხელი გაიქნია, მერე მოტრიალდა უცებ
ყმაწვილებისკენ და დაიწყო:

«მშვიდობით ჩემო ახალმოზარდო თაობავ!
დღეის იქით თქვენ და შე სულ ერთმანეთის
წინააღმდევ გზებზე უნდა დავადგეთ. ჩემი მზე
ჩადის და როგორც ვგრძნობ კიდეც ჩასვენდა.
ერთი სწორი იმის შუქიც აღარ უნათებს გარე-
მოებას. საღამოს მკრთალი ციაგი გარს მახვევია.
ის განუალი წყუდიადიც შორს აღარ არის, რო-
მელშიაც უნდა გაჰქინეს ჩემი ხსენება. თქვენი
მზე ახლა ამოგის და ჯერ ერთი იმის სწორისხივიც
არ დახარჯულა გარემო სიბნელის გასა-
ფან ჭავათ. ეცადეთ, რომ თქვენი მზის სხავები
ერთიც ტყუილა არ გაცდეს და მისცეს თქვენს
ქვეყანას შესაფერი სითბო და ნათელი.

„მე მინდა მოკლეთ დაგიხატოთ ჩემი წვალე-
 ბის გზა ცხოვრებაში, რომ თქვენ მუდამ თვალ
 წინ გიდგესთ ტანჯული ჭაცის სურათი, რო-
 მელსაც ბევრი ზნეობითი და გონებითი ლონე
 ჰქონებია საბრძოლათ; მაგრამ გამოუცდე-
 ლობის გამო, მომეტებული სისწრაფის გამო
 მალე დაუწევავს და ჰაერში გაუბნევია თავის აუა-
 რებელი ტყვია წამალი! ერთი მტერიც ვერ მოუ-
 კლავს იმითი!. ახლა თქვენ წინ დგას ულონო, უია-
 რალო, უტყვია-წამლო ლეში, რომელსაც მხო-
 ლოდ სანატრელათ მიაჩნია ის წამი, როცა ათას-
 ფრად წვალებული სული ამონდება. თქვენ, ჩემი
 კეთილნო!.. თქვენ კიდევ უფრო სამძიმო ხევლი
 გიძევთ წინ, ვინამც მე მქონებია. მით უფრო
 გმართებს გაფთხილება, თავის შეკავება, გუ-
 ლის სიმაგრე, ლონის მოკრეფა და დიდი მო-
 საზრება, რომ შავს ბედს ლირსეულად გაუმკლავ-
 დეთ და ჩემსავით კბილ დახჭენილ ლეშათ უდრო-
 თ არ მოიკაფოთ. მე ვიყავი ქორფა ყმაწვილი.
 იყო დრო, როდესაც გონებითი და ზნეობითი ლო-
 ნე დღითი დღე მეზღებოდა..

მაში იცოდეთ, ცხოვრებაში თქვენი ხელია
 ბრძოლა. თქვენი გამარჯვების წინა მორბედათ
 უნდა იყოს იმედი; ხოლო ბრძოლაში დაუ-
 ღალავობა, ჭირის მოთმენა, სულის სიმტკი-
 ცე — მ ბრძოლის მასალათ უნდა შეიქნეს...
 იბრძოლეთ და გაგიმარჯვდესთ!...» თქვა თუ არა
 ეს, კლასის გამოსვლისაც დარეკეს. «შეიდობით
 ჩემო ნუგეშო ახალ-გაზლობავ!...» დაუკრა თავი
 მოწაფეებს და კარი გაიარა. მომეტებულმა ნაწი-
 ლმა მეშვიდე კლასის მოწაფეებისამ ამისთანა
 არეულ-დარეული ლაპარაკი «ცეცხლი, » «ბრძო-
 ლა», «ასპარეზი», «გარემოება» მართლაც სპირ-
 ტისაგან დანთებულ ცეცხლს მიაწერა უმანსკის
 თავში.

— საწყალს მეტის მეტი ორკის სმით ცვინი
 აღუღებია. — თქვა ერთმა შაგირდმა. თითქმის ყვე-
 ლანი იცინოდენ. ზოგი მასხარობდა, ზოგი
 გულ ახდით სწუხდა მისთანა კაცის დაკარგვას.
 მხოლოდ, თითქოს მარტო დიტომ გაიგო ეს
 აზრები, როგორც რიგია და ამოხვნეშით წამოი-
 ხახა: «ეჰ, სულ მართალია, რაც უმანსკიმ იღა-

პარაკა... აბა ჩახედეთ . . . ქვეყნის ისტორიაში დამაშინ შეიტყობთ უმანსკის სიგივეს. რა გესმისთ თქვენ საწყლებო, ორი სტრიქონიც არ წაგიკითხვასთ ქართულს ენაზე.»

— შენმა მზემ, იქ რომ ბევრი ამბებია!... ზღაპრების მეტი არა მოიძებნება რა. მერე რომ იცოდეთ, რა ენით არის დაწერილი. თავი რომ ქვას ახალო, ორ სიტყვასაც ვერ გეიგებ, ისე ძველებული ენით არის დაწერილი.—თქვა კატუნიამ.

— ვაი, შენი ბრალი!—დააყარა ქოქოლა დიტომ და გარეთ გავიდა....

ეგზამენტი გათავდა. დიტო სახელმწიფო ხარჯით გაგზავნის ღირსა გახადეს უნივერსიტეტში.....

186... წელს ოკტომბრის 20 ის გულშოდგინეთ ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში ერთ მშვენიერს ახალგაზდა სტუდენტის აღელვებულს სიტყვებსა. ამ ზალაში იმ დროს ორას სტუდენტამდის იყო მოგროვილი და ყელას დიდათ აღელვებდა კათედრიდგან მოლაპარაკე ახალგაზდა.

გ. — თელი.

დასასრული 1-ლი ნაწილისა.

სიმღერა განდგომილთა

(პლეშჩევიძემ)

ძირს ლაფში ბორდლეა, დიდ-კაცების უეხებზე ხევნა,
 მათგან მოგდებულს ლუკაშია გაცვლა რწმუნების,
 ვინც ბოროტს ებრძების, თავს არა ჰქონის, იმათი დევნა,
 რომ მათ სცნონ გემო უბედურებისა

ეს არის, ეს, ჩვენი საქმე!

ჩვენ ერთგულად ემსახურებთ მას.

ვაი აზრსა მოუსყიდველს!

ვაი ჭკუას პატიოსანს!

ვაი მათ, ვინც რომ აღტაცებით უმაწვილ ოცნებებს
 საუნჯესავით გულში იცავს და აღრინდულად
 სიმართლის და კაც სიკეთისთვის მუდამ ღალადებს,—
 მათს სახელს გავხდით ხალხის საფთხულად!

ვაი მათ, ვინც ჩვენ პირში მართალს სიტყვასა გვახლის,
 ვინც რომა არცხვენს ჩეენს სიტყვასა, ჩვენს მოქმედებას,
 ჩვენ ხლხს ჩაგჰევირებთ: “ეს ჩვენ გვარბევს, ქონებას
 გვაცლის, —

შევბორეოთ! ჯაჭვი მაგ ბოროტებას!”

იყო დრო, როცა ჩვენც ვიყავით თავ-ლერილი
 და მივისწრაფდით საბრძოლელად ჭიქა-ქუხილით;
 მადლობა ღმერთსა, ის აღტაცება სამუდმოდ განკქრა,
 ეხლა სხვა არის ჩვენი სურვილი.

ჩვენ ეხლა მივხვდით, რომ ის საქმე და ის სიტყვები
 სულ ფუჭი იყჲნენ, რომ დიდებას ვჰპოვებთ სხვა გზითა,
 და რომ ჩვენ უნდა შევინანოთ ძველი ცოდვები
 ნამუს-პატივის ლაფში სრესითა!

ძირს ლაფში ბორდლვა, დიდ-კაცების ფეხებზე ხვევნა,
 მათგან მოგდებულს ლუქმაშია გაცვლა რწმუნების,
 ვინც ბოროტს ებრძეის, თავს არა ჰქრ ს, იმათი დევნა,
 რომ მაა სცნონ გემო უბედურების —

— არის დღეს ჩვენი საქმე!
 ეს არის დღეს ჩვენი საქმე!

ერთგულადაც ემსახურებთ მას.
 ეს არის მის გაი აზრსა მიუსყიდველს!
 ეს არის მის გაი ჰქონის პატიოსანს!
 —

—

შვილი გაცხადეთ საუკუნისა *).

წიგნი

შვილისაგან მამასთან მიწერილი.

ქ. ბონნა, 8 იანვ. 186...წ.

მე მოვრჩი უნივერსიტეტში მისაღებ ეგზა-
მენს და ერთი კვირა იქნება, რაც სტუდენ-
ტი გარ.

ეხლა მინდა შეგატყობინო, თუ როგორია
ჩემი სტუდენტური ცხოვრება. დილ-დილო-
ბით ყურს ვუგდებ მასწავლებლებს, რომელნიც
გვიკითხვენ ფილოსოფიას, ისტორიას, სამარ-
თალთა და ენათ მეცნიერებას, მცენარეთა და

*) ჯერ-ჯერობით ჩენ ველარ ჩაურთეთ “კრებულ-
ში”, ნაპოლეონ მესამის ცხოვრება. იმის მაგივრად და
დასამატად ვპეჭდავთ ესკიროსის თხზულების ნაწილს,
რომლისაგანაც ცხდათ სჩანს, თუ როგორ უყურებდნენ
ნაპოლეონ მესამის მმართველობას და იმ მმართველობის
შედეგებს საფრანგეთის განათლებული წინა კაცები.

ცხოველთ აგებულების ცხოვრებას და სხვ.
 სალამობით ჩემს ოთახში გზივარ და სწავლას
 გავერთობი, ხან ქალაქშიაც დაესყიჩნობ ხოლ-
 მე. ოთახი ნახევარი წლის ვადით 150 ფრან-
 კად მაქს დაჭერილი. ესაღილობ სასტუმროში,
 თითო საღილი 24 სუ მიჯდება. აქაური სტუ-
 დფნტო ამხანაგობის ცხოვრება კი ჯერ კარ-
 გად არ გამიცვნია, რადგანაც აქაურებს ჯერ
 კიდევ ვეუცხოვები. მაგრამ ცოტათდენს რას-
 მე ეხლაც მოგწერ.

ამ დღეებში მე მიმიპატიჟეს ერთს ლუდის სა-
 რდაფში, რომელსაც აქაური გერმანიელი სტუ-
 დენტები შესჩვევიან. წავედით და სარდაფის
 კარებში რომ ფეხი შევდგი, ცხვირ პირში
 გუნდ-გუნდათ ისეთი კვამლი მეცა, რომ ვერც
 კედელი დავინახე და ვერც — თავანი (ჭერი).
 მეგონა, ძუ საღმე თვალ-უწვდენს დარბაზში
 შემიყვანეს-მეთქი. მე მესმოდა ხმაურობა, სიმ-
 ღერა, ხარხარი, მაგრამ ერთი ადამიანი არ
 დამინახვეს. აქა-იქ კვამლში მქრალად ანათებ-
 და ლამპრები. მე უკან მიეჰყვებოდი ჩემს მიმ-

წვეველს და ხელების ცეცებით გავიარე დამ-
 წერივებულს სტოლებს შუა, რომელნიც ამ
 ნისლში თითქო ირყეოდნენო და რომელთა-
 ზედაც ძლიერ-ძლიერობით ეხედავდი ბრკიალა
 თუნუქის დოსტაქნებს. თანდისთან ჩემი თვა-
 ლები ამ კვამლს შეეჩეია და დოსტაქნებს
 იქით კაცებიც შევამჩინიე. მივედით დარბაზის
 ბოლოში, საცა დიდ-შვენიერი ბუხარი იყო
 და ჩვენ თვალებს ნისლის ფარდა აეხადა. აქ
 ცხადათ დავინახე, რომ გარეშემო მრავალი
 ყმაწვილი კაცი მეხვია. ყველანი ქუდ მოუხდე-
 ლი იყვნენ, სიგარას, ან ჩიბუხსა სწევდნენ და
 ხელში დოსტაქნები ეჭირათ. თუმცა დიდი
 ხმაურობა იყო, მაგრამ მე მაინც შევამჩინიე
 რამდენიმე ჯგუფ-ჯგუფად მსხდომი სტუდენ-
 ტობა, რომელიც უსახუმროდ მსჯელობდნენ
 და თან სიგარასა და ლუდს შეექცეოდნენ.

ჯერ გერმანიულ ლაპარაკს იმდენათ არ
 შევჩევევივარ, რომ უსახუმრო მუსაოფის ყუ-
 რის გდება შემეძლოს. მაგრამ გავიგე კი, რომ
 იმათი ბაასი რაღასაც ახალს და ერთი-მეორე-

ზედ უფრო მაღალ-აზროვნს კაცობრიობის ამაღ ურძინებელს პლანებსა და წესებს შეეხებოდა. საბუთები, მკვანე სიტყვები, შეცილება, აზრები მოისმოდა ყოველის მხრით და ამ თამბაქოს ნისლში სწორედ თოფის სროლას მოაგონებდა კაცა. საათმა რომ შე ღამის დაჰკრა, ყველა სარდაფიდამ გამოვიდა და შევნიშნე, რომ ბევრმა იმათგანმა, ვინც სარდაფში აგრე ცხარედ იბრძოდა კაცობრივობს კეთილდღეობისათვის, ქუჩაში უხეირო სიმღერები შემოსძახა. უთუოდ დაავიწყდათ, რომ წელან ქვეყნიერობის გარდა კეთებას აპირებდნენ.

როგორც გავიგე, აქაური სტუდენტები იმ განზრახვით შედიან უნივერსიტეტში, რომ შემდეგ სახელიწოდებული სამსახურში ადგილი მიიღონ. ყველა ერთი მეორეს ეჯიბრება სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად. რაკი ისინი დაქტორობის ხარისხს მიიღებენ, აქა-იქ დაძვრებიან და სუნით ეძებენ ვაკანციას. ბევრი ადგილი იმისთანაა, რომ იმის მისალებად საჭიროა ეგზამენი და იმათ ეძლე-



ვათ, ვინც ამ ეგზამენში ყველაზედ უკეთ გა-
მოჩნდება. თავისუფალს შრომას მხოლოდ
ისინი ჰყიდებენ ხელსა, ვინც ამ სასამსახურო
ეგზამენში უვარებისად იცნეს. მგონია, ეს ჩი-
ნოვენიკობისადმი ლტოლვილება იყოს ომისი
მიზაზი, რომ ყმაწვილკაცობა, უნივერსიტეტი-
დამ გამოსვლის შემდეგ, აგრე გასაშტერებლად
იცვლის თავის აზრებს.

აქაური სტუდენტების ხასიათი საკეირვ-
ლად განსხვავდება სხვა გერმანიელების ხა-
სიათისაგან. სტუდენტები ცოცხალი, გამბე-
დავი და საფარისაგო არიან ყველაფერ-
ში; სხვები კი, როგორც ვხედავ, სულ
აღუშფოთებლობასა და უგრძებლობაში
ჩათლულან. უნივერსიტეტში მყოფი ყმაწვილ-
კაცობარესპუბლიკელობასა და რევოლიუციო-
ნერობას იჩემებს; იმას ვერც ერთი თეორია
ვერ შეაშინებს, ის უკან არ დაიხევს, რაც უნ-
და გაუგონარი იყოს ეს თეორია; მე გამა-
კვირეა აქაური სტუდენტების გაბედულმა მ' ჯე-
ლობამ სარწმუნოებაზედ და საზოგადო ცხოვ-



რებაზედ. ხალხი კი, მგონია, ძალიან შევრ-
დომია ძველ წესებსა. სტუდენტს სასიქა-
დულოდ მიაჩნია, რომ ყოველი საზო-
გადოებრივი უსწორ-მასწორობა და შთა-
მომავალობითი უპირატესობა ეზიზლება,
მაშინ როდესაც ვაჭრებ და სიღარიბიდამ
გამოსულები უზომოდ პატივს სცემენ თავად-
აზნაურობასა და ხარისხოვნებას. ამგვარად
გერმანიელი სტუდენტები და საზოგადოება შეა-
დგენენ ორს სხვა-და-სხვა ჯურის და სხვა-და-
სხვა გვარად მცხოვრებ ხალხს; მაგრამ არის
ერთი რამ ამ სტუდენტებისა საზოგადოებას-
თან შემაერთებელი, — ეს არის გულმხურვა-
ლე წადილი სტუდენტისა, რომ ოდესმე მმარ-
თებლობის წევრი გახდეს.

ამ ყმაწვილების ყოფა-ქცევას ჩემი თავის
განჩხრეკაშოც შევჰყავარ. ეხლა მე ცხრამეტის
წლისა ვარ და ჯერ არა თუ არ მომიპოვებია
დამოუკიდებელი მდგომარეობა, არც კი
გამომირჩევა საჩემო საქმე, რომ იმით საზო-



გადოების მარგებელი შევიქნე. გინდა, გაგი-
ტყდე? ხანდისხან სული მიწუხს და გული
ტკივილით მიძერს, როცა ჩემ თავს ვე-
კითხები, რა საქმისათვის ვარგხარ-მეთვი.
შენ მეუბნები, რომ ოთხის წლის განმავალო-
ბაში ძლიერ ბევრი შეიძინეო ბუნებისა და
ზნეობის მეცნიერებისაგან. მაგრამ ეს სულ
იმ რიგის წყალობაა, რომლითაც შენ ჩემს
გონებას მეცნიერული კანონების მისაღებად
ამზადებდი, ეს არის დაკვირვებისა, მოგზაუ-
რობისა და იმ გაკვეთილების შედეგი, რომელ-
თაც შენ და დედა ჩემი მაძლევდით. მინდა
შევიტყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაფიგე, რა
მაკლია და რა არა. არიან ჟამნი, როცა ჩემი
თავი უუძლიერესი მგონია, მაგრამ ხანდის ხან
მე მთრგუნავს გრძნობა ულონოებისა. ხან
აზრების დრი ლტოლვილება მიტაცებს, ხან
ვჰკვდები მოქმედების წყურვილით. ცხადია,
რომ ჯერ არ დაწყნარებულა ჩემში გონე-
ბისა და გრძნობათ მღელვარება, თუ შეიძლე-
ბა ეს სახელი დავარქვათ ყმაწვილი კაცის გი-

ყურს ლტოლვილებას კაცობრიულ ცხოვრებაში აღვილის მოსაპოვებლად

ორი თვის წინათ, როცა აქ მოვედი, მეგონა, თუ ვიცოდი გერმანიული ენა, რადგანაც წიგნების შემწეობით, მესწევლა, მაგრამ მალე დაეინახე ჩემი შეცდომა. მე ძალიან კარგა ვკითხლობდი გაზეთებსა, წიგნებსა, მაგრამ ლაპარაკისაგან სულ არაფერი მესმოდა, რა გინდ გულდადებით ყური დამევდო. მე მაშინ ვგრძნობდი ზნეობრთს ტყვეობასა, ვგონებ ტყვეობა უნდა იყოს კაცისათვის, როცა იმისთანა ხალხში ცხოვრებს, რომლისაც ენა არ ესმის. ახალ ენა-აღმულს სამი წლის ბოლოს უთუოდ ჩემზედ უფრო მეტი ეყურებოდა, იმიტომ რომ, როცა იმას ლაპარაკს დაუწყებდი, ღიმილით თავს აქნევდა, თითქო მეუბნებოდა, არაფერი მესმისო. მე სწორეთ იმისთანა მუნჯსა ვგავდი, რომელმანც მუნჯური არ იცის. ცოტაოდენმა განსხვავებამ სიტყვების გამოთქმაში, რომელიც დამოკიდებულია ტუჩებისა და ენის ერთს

ნამცეცს შეუმჩნეველს მოძრაობაზედ, ან რა,

ზღუდე ააყუდა ჩემსა და აქაურებს შეა.

მე ძალიან მაწუხებდა ეს უნებური მარტობა და დიდის გაჭირვებით დავძლივ ჩემი ბუნებითი გაუბედაობა. ეხლა ცოტ-ცოტად ვეჩვევი გერმანიული სიტყვების გასაგებად გამოთქმას. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი ვარჯიში მეჭირვება, მაგრამ ჩემი ხნის კაცის მგონია არ გაუჭირდეს, იმ ენის შეთვისება, რომელიც მუდამ ყოველი მხრიდამ ეყურება. მაგრამ ლაპარაკის დაწრავლა ისე ძნელი არ არის, როგორც გერმანიელების ერთმანერთონ ლპარაკის გაგება. ერთხელ თვატრში ვიყავი და მთელი წარმოდგენის ღრივს თითქმის ერთი სიტყვაც ვერ გავიგე: მაგრამ, მგონია, უცხო ენები კაცისათვის იმ თამაჯოს ნისლია ჰვაის, რომელიც ლოდის სარღაფში მყოფ სტუდენტებს და ნივთებს მიუარავდა: ეს ნისლია, რომელიც თანდისთან გაითანარება და იმედი მაქვს, რომ მალე ცველაფერს ცხადათ დავინახვ.

გთხოვ, ჩემმაგიერ ლოლას აკოცოთ. წყა-
 ლი ხომ არ დაუკლია ჩვენი ყვავილებისათვის?
 ხომ კარგად უვლის ჩვენს მფრინველებს? ნე-
 ტავი თუ რიგზე დაწყო იმან მცენარეთა და
 • ლითონთ კრება. უთხარი ჩემ მაგიერ, რომ არ
 დამიეციწყო და ისე ხშირად მომიგონებდე, რო-
 გორც მე შენ მაგონდები-თქო.

ეს წიგნი მარტო შენი არ არის, დედი ჩე-
 მის კუთენილებაც არის, იმიტომ რომ ჩემს
 გულში თქვენ მუდამ ერთადა მყავხართ. ამი-
 ტომ აქ მხოლოდ ერთს რასმე ჟავმატებ დე-
 დი ჩემისათვის; დარდით მაგონდება ჩემი პა-
 ტარა ოთახი საცა ვვრძნობდი თქვენს ახლო
 ყოფნას; ვწუხვარ, რომ თქვენთან არ ვზიგარ
 სალამოს ჟამს ანთებული ბუხრის წინ. ვათა-
 ვებ ამ წიგნს; ეხლა დამის თერთმეტი საათია;
 ლაბჭარი როგორლაც ყვითლად ანათებს, ძეელი
 გუგულის საათი სულ ერთ გვარად აჩაკუნებს
 კუთხეში; ბუხარში შეშას ტკაცა-ტკუცი გაა-
 ქვს, ქარი ღრიალებს და მქრალი მთვარე ფან-
 ჯრის ფარდებს შუა იჭვრიტება. მგონია, ყვე-

წ ი გ ნ ი

მამის აგან შვილთან მნიშვნელი.

ქ. ლონდონი, 13 ფებ. 186.. წ.

შენ მარტოობა გაწუხებს, ჩემო ძეირფასო
 შვილო; უშენობამ ჩვენც დაგვალონა. მაგრამ
 კაცს გონიერება მართებს. ჩემი ავათ-მყოფე-
 ბის დატევება და ლონდონიდამ გამოსვლა
 რომ კიდეც შემძლებოდა, მე მაინც ვერ წა-
 მოგყვებოდი გერმანიაში. დროა, რომ ეხლა,
 შენ თვითონ უპატრონო შენს თავს, რო-
 გორც მოწიფულ კაცს შეშვენის. ფრინვე-
 ლებს ძალიან უყვართ თავის ბლარტები; მაგ-
 რამ, როცა ბლარტები გაიზღებიან, დედამია
 იმათ ფრენას ასწივლის. ბუნება ყველასთვის
 თავისუფლებას მოითხოვს.

შენ კარგად გაგიგია, რა განზრახვითაც მე
 შენ ბონნაში გაგაგზავნე: შენ უნდა შეისწა-
 ვლო გერმანიული ენა, ზნე და აზრები. აქა-
 მდის შენ დამოუკიდებელად სწავლობდი, მე

არ ვანგარიშობ ჩემგან მოცემულს გაკვეთი-
 ლებს, ამიტომ რომ გაკვეთის დროს მე ყო-
 ველთვეს იმასა ვსცდილობდი, რომ თვითონ
 შენის ჭიუითა და ლონით გემუშავნა. შენ
 თვითონ იყავი შენი თავის მასწავლებელი და
 დამრიგებელი. ამ ჩეენს დროში მრავალი სხვა
 და სხვა მეცნიერება და თეორიები დაიბადა,
 რომელნიც კაცმა თვითონ იმათი წყაროები-
 საგან უნდა შეისწაოს. გერმანია ჩეენს დრო-
 ში მეცნიერების ლამპარია, ეს ასეთი ქვეყანაა,
 რომელსაც ჩეენ უნდა ვაჯიბრებოდეთ ფილო-
 სოფიის, მეცნიერების, კრიტიკისა და ლიტე-
 რატურის წარმატებაში. მანდაურ უნივერსი-
 ტეტებში შენ ნახავ ბევრს წარჩინებულს
 პროფესორს. მე ჩემი დედა აზრების უარის
 მყოფელი შევიქნებოდი, რომ შენთვის მერჩია,
 ბრძანდ დამორჩილებოდი იმათ აზრებს შხოლოდ
 იმიტომ, რომ წარჩინებული მეცნიერი კაცების
 აზრებია. კაცმა არავის და არაფრის გულის-
 თვის არ უნდა უარ-ჰყოს თავისი თავი-
 სუფლება. ცოდნა, რომელსაც პროფე-

სორების საკითხავებისა და საუბრებისაგან
 შეიძენ, გაშლის და დაამყარებს შეის გონებას
 მხოლოდ მაშინ, როცა იმათ აზრებს მო-
 ნასავით არ დაემორჩილები და შენს საკუთა-
 რის ჭიუის ზედამხედველობას ქვეშ გაატარებ.
 მაგრამ მეორე მხრით ერიდე, არ გავიტაცოს
 გამოუდევარშა მეტაფიზიკურმა თეორიებმა,
 რაც უნდა მომხიბლავი და ლრმა-აზროვანი
 უნდა იყოს ეს თეორიები და იმათ გამოკი-
 დებაში არ დალიო. შენი ძალა, რომელიც
 შენ საქმისთვის გეჭირვება. ყველა თეორიას
 იმდენი ფასი აქვს, რამდენათაც ისინი ყოველი-
 სავე ჩვენი მოყვასის და მთელი კაცობრიეობის
 სამსახურს გვასწავლიან. საცოდავია ის თავის
 მოყვარე კაცი, რომელიც მარტო თავის სასა-
 რგებლოდ სწავლობს და ფიქრობს. კარგია,
 რომ კაცი მეცნიერი იყოს, მაგრამ კიდევ
 უკეთესია და ღიღი საქმეა, რომ კაცი პატი-
 ოსანი მამულის-შეილი იყოს. გახსოვდეს,
 შეილო, რომ ვერმანია არ არის შენი სამშო-
 ბლო; შენი ალთქმა მეთვრამეტე საუკუნის

ფილოსოფიიდამ მომდინარეობს.

შენმა წიგნმა ერთი ძალიან მაწყენინა: შენ ჰქითხულობ, რა საქმისათვის ვვარგ-ვარო? რა დიდი ჭკუის პატრონობაუნდა, რომ კაცი საზოგადოების სასარგებლო შეიქმნეს. ვინც გულწრფელი კეთილის მოსურნეა, ის ყოველთვის შველის რამდენადმე საზოგადოებას. ცხოვრება კაცისაგან მრავალს პატარ-პატარა ვალდებულებას მოითხოვს და ვინც ამათვან თავის სახელო საქმეს აასრულებს, იმას ხშირად უფრო ბევრი სარგებლობა მოაქვს, ვინემ დიდი საქმით გამოჩენის მოსურნე კაცსა. არაფერი არ იკარგება იმისაგან, რასაც ჩვენ ქვეყნისათვის ვჰფიქრობთ და ვმოქმედებთ, ყველაფერი აჩნდება ჩვენ თანამედროვე კაცებს და იმათაც, ვინც ჩვენს შემდეგ ცხოვრების ასპარეზს დაიჭირს. ვის შეუძლიან, დაამტკიცოს, რომ ყველა უუდიდესს საზოგადო წყობილების გარდამაკეთებელს ცელილებაში იმდენად არ შეგვწეოდნენ უცნობი, უჩინარი და კრძალებით მოსაქმე კაცები, რამდენათ

იმათი წინამძღვრულები. წინამძღვრულთ დადების გვირგვინი ყოველთვის რაზმის გულკეთილი მეცადინეობისა და შრომის შუქით ბრწყინვალებს.

ჯერჯერობით შენ კმაყოფილი იყავ იმით, რაცა ხარ და რასაც ადგიხარ და მარად დღე სცდილობდე შრომასა და სწავლით შენის ბუნების განვითარებას. თუ რომ უფრო ვრცელი ცხოვრების დაწაფება მოისურვო, აიღენამდეილი პოეტებისა და მეცნიერების ნაწარმოები და დასტკბი იმის შეგნებით, რაც კაცობრივობაში დიდებულია, გაატარე ისინი შენს გონებასა და გრძნობაში. და როცა ჩვეულებრივი ცხოვრებისაკენ დაეშვები, ხშირად იპოვი შენს გარეშემო მრავალს ბნელს გონებას, რომელთაც შეგიძლიან შუქი მოჰყონინო; ხშირად გექნება შემთხვევა, რომ ემსახურო მოყვასთა და ამ სამსახურში ნუგეში ჰპოვო შენ, რომელიც გრძნობ და აგრე სწუხარ შენს ნაკლულევანებას. მხოლოდ უგულო და წვრილმანი კაცები ვარდებიან სასო-

წარკვთილებაში, როცა გაიგებენ თავის ბუნების სუსტსა და ნაკლულევანს მხარეებს. გონიერი კაცი კი ყოველთვის თავის ბუნების უკეთ გარდაქმნასა სცდილობს, სწავლობს და არ მიევლოს შეუძლებელს რასმე.

მგონია, შენ ძალიან ზრუნავ, თუ რა ხელობა უნდა ავირჩიოვო. ეჭვი არ არის, რომ ყოველი კაცი თავის შრომით უნდა ცხოვ- რებდეს და ჩემთვის ძლიერ სამწუხარო იქნებოდა, რომ შენ იმ ვალის შეურაცხმყოფი გამხდარ იყავი, რომელიც უპირველესია ყოველი კაცისათვის. სწავლა, რომელსაც შენ მისდევ, ყოველ ხელობაში გამოსაღევად გამზადებს მაგრამ ამ ჟამად კი არც ერთი ხელობის ხერხს არ გაძლევს. შენ ეს არ უნდა გაწუხებდეს. სწავლა, რომელსაც შენ იძენ, გონების საუნჯეა და, თუ ამ წამში იმისი გამოყენება არ შეგიძლიან, შემდეგისათვის ხომ ღონეს გაძლევს, რომ მოყვასთ სარგებლობა მოუტანო. მეცნიერებათა შორის საზოგადო კავშირია: ერთი მეცნიერების ჯეროვანად შეს-

წავლისათვის უნდა იცოდე ბევრი სხვა, მარ-
მელნიც მათთან შეკავშირებული არიან. მე
არ გირჩევ, რომ შეუძლებელი შეიძლო და
მთელი მეცნიერება შეისწავლო; მაგრამ ყო-
ველ მეცნიერებაში არის საფუძვლები და შე-
მაკავშირებელი საზოგადო აზრები, რომელ-
ნიც კაცმა უნდა შეითვისოს მანამდის, სანამ
ის ერთის განკერძოებული მეცნიერების შეს-
წავლას შეუდგებოდეს.

თუ რა საქმეს უნდა დაადგე, ეგ შენ თვი-
თონ უნდა იცოდე, შენ თვითონ უნდა გარ-
დაწყვიტო. ერთი მხოლოდ სათხოვარი კი
მაქვს შენთან: არწაბაძო შენი ამხანაგების მაგა-
ლითს. რათაც გინდა იყავ, რაზედაც შენი
ნიჭი გიწვევდეს და რისიც ხალისი გაქვს, იმ
ხელობას დაადევი: ექიმობას, ადვოკატობას,
ინჟინერობას, მეხანიკობას, ხელოსნობას და
სხვ. და სხვ., მაგრამ, ღვთის გულისათვის, არ
გახდე ჩინოვნიკად.

აბა რა გეთილდლეობას უნდა მოელოდეს
საფრანგეთი, თუ მთელი იმისი განათლებუ-

ლი ახალგაზღობა დესპოტის სამსახურში ჩაეწერება. ძევლად კაცების დათრგუნვა ძნელი საქმე იყო: მაშინ დესპოტი დიდი ჭური და ძლიერი ხასიათის პატრონი უნდა ყოფილიყო. ჩვენს დროში კი თითქო ყველა ფრანცუზი იმას ჰუკიქრობს, რომ განათავისუფლოს დესპოტი იმ შრომისაგან, რომელიც საჭიროა ხერხითა და მძლავრობით დათრგუნვისათვის, და თვითონვე ჰქონის ქედსა, რომ უღელი დაედგას. თითოეული საფრანგეთის დესპოტი, რომელიც კი დიდ-ხალი ოქროსა და ვეცხლის პატრონი იქნება, რომელსაც კი მრავალი ადგილის, ტიტულის და საბოძვარის გაცემა შეეძლება, ყოველთვის იპოვის თავის ტახტის გარეშემო მრავალს დაბლად დახრილს თავსა, მრავალს გაუმაძლარს და გაფლიდებულს პატივის მოყვარე კაცს, რომელნიც იქნებიან მისებან გადაგდებულის ძვალის მომლოდინე, რომ მაშინვე დაეძერონ.

არიან საფრანგეთში იმისთანა ყმაწვილი კაცები, რომელთაც არაფერი არა სწამო და

არაფრის პატივი არ იციან. მაგრამ იმათ რომ
კარგად დაკვირდეთ, ნახავთ, რომ ეს უსაქ-
შური და თავშეუკავებლად მოფიქრალი კა-
ცები ძველი დრო-გარდასული წესების დამ-
ცველი არიან. ეს კაცები, რომელთაც თავისუფ-
ლად მოაზრებს ეძახიან, სრულიადაც არ გან-
თავისუფლებულან თავის-მოყვარებითის ანგა-
რი საგან და ამ ანგარიშების ძალით საფრან-
გეთის შმართებლობის ხელში ჩავარდნილან.
ლოოლვა ხარისხოვნებისადმი, სამსახურში წინ
წაწევისა და დიდ-ჯამაგირიანი აღგილის მიღე-
ბისადმი ძალიან ჩქარა ხდის ამ კაცებს ეხლანდე-
ლი წესების პატივის-მცემელად. ჩემს თვალში
ფასი არა აქვს აზრის შებედულებას, თუ მასთან
არ დაჰყება მაგარი ხასიათი და უანგარობა. სანამ
საფრანგთში ხარისხისა და სხვა სარგებლობის
მიღება დამოკიდებულია ერთი ვისმე კა-
ცის თვით მნებელობაზედ, მანამდის არ გან-
ჰქრებიან მონები, რომელნიც ერთგულად ემ-
სახურებიან დესპოტს ყოველსავე თვით-შე ე-
ბელობაში, ასე რომ გუშინდელი ლიბერალი

დღეს მოწიწებით მტვერში გაერთხმება ძლი-
ერების წინაშე.

ბიუროკრატობა თანამედროვე საფრანგეთის
დამლუპველი. იქ, საცა თავისუფლება მარტო
ჯამაგირიანი ადგილების ძებნაში იხმარება,
არ შეიძლება, რომ ყოველივე რწმუნება საან-
გარიშოდ და საფაჭროდ არ გახდეს. «რამდენი
შემოსავალი აქვს ამა და ამ პოლიტიკურს
და სარწმუნოებითს სიცრუეს?» ათი ათასი
ფრანკი. «მაშ ეგ უეჭველი ჭეშმარიტება ყო-
ფილა.» «და ამა და ამ ცუდკაცობაში რას იძ-
ლევიან?» ორს იმდენს, ოციათას ფრანკს:
«თუ ასეა, მაშ ეგ მამაცური ღვაწლი ყოფი-
ლა: თავი შემიწირავს ამ ღვაწლისათვის!» ამ-
ბობენ, რომ საზოგადოების აზრი სიმართლისა
და თავისუფლების დამცველია. დიალ აგრეუნ-
და იყოს, მაგრამ საფრანგეთში საზოგადოების
აზრი დესპოტის ყურ-მოჭრილი ყმაა. ყველაზედ
უფრო მარჯვე ფრანცუზების დამთრეუნველი
საშუალება ის არის, რომ გამოსარჩენისა
და ხარისხის მინიჭებით მოიკლას მაში ზე-

ობითი ღირსებისა და თავისუფლების გრძნობა და მოსყიდულ იქმნეს ბოროტების გულისთვის თავ-გამოსაღებად. იტყვიან, რომ ჩინოვნიკები მრთელს საფრანგეთში შეუნიშნავს უმცირესობას შეადგენენო, მაგრამ ეს არაფერს ზევითური აზრის წინააღმდეგს არ ამტკიცებს: ავიწყდებათ, რომ თითოეულს ადგილიან ჩინოვნიკზედ უნდა დავათვალოთ ათასი სხვა; რომელნიც იმავე ადგილს ეძებენ და მოელიან როდისმე იმის მიღებას. ადგილიან რაზმსა გვერდით უდგას მრავალი ადგილის მოხვენელების რაზმი და იმას იქით დუნკონ ხალხისა, რომელიც ყოველ-გვარი წარმატების თაყვანისმცემელია. ფრანცუზებს არ მიენიჭებათ არაეითარი თავისუფლება, სანამდის ისინი ნება-მიხდილი იქნებიან. განა შეიძლება, რომ შრომა, ღონის მოხმარება, დიდი მსხვერპლი მოვთხოვთ ფრანცუზებს, რომელთაგან ზოგი ტან-იცვამს, იკვებება, ცხოვრებს მმართებლობის ხარჯზედ და სხვანი მხოლოდ იმას სწუხან, რომ ეს ვერ მოუხერხებიათ?

აქედამ ის აზრი არ გამოიყვანოთ, ვითომც სახელმწიფო სამსახურში ყოფნა უთუოდ ამ-ცირებდეს მათ, ვინც იმას შესდგომია, ან ეძებს. მე ამ აზრზედ ძალიან შორსა ვარ. ზოგიერთ სახელმწიფო ებში, მაგ. ამერიკაში, სამსახუ-რი ზრდის ძლიერს და კეთილშობილურს ხა-სიათსა. მაგრამ მხედველობაში მე არა მქონია დემოკრატიული საზოგადოებაში, მე ვლაპარა-კობ საფრანგეთზედ, საკა სახელმწიფო თა-ნამდებობაზედ დანიშნვა თვით-მნებელობა-ზედ არის დამოკიდებული და საკა ყმაწვილ-კაცობა წვრილმანდება სათანამდებო ადგი-ლების დევნაში. აბა ენახოთ, რას მოითხოვს ყმაწვილ-კაცობისაგან საფრანგეთის სახელ-მწიფო. მისთვის საჭიროა მორჩილი ჭკუის კაცები, რომ ყოველის უარის უთქმელად შე-ეთვისონ ჩინოვნიკურ ჩვეულებებს; მისთვის საჭიროა ისეთი რბილი ხასიათის კაცები, რომ ყოველი მხრით მიმოიხარონ და ბოლოს დაჰ-კირგონ უუმცირესი ნიშანიც თავის პიროვ-ნობისა; მი' თვას საჭიროა ოდნათ ნასწავლი

მაგრამ გაფუჭებული კაცები, რომელთაც შე-
 ეძლოსთ დაზეპირებული სიტყვის წარმოთქმა,
 რომ ბონაპარტის მმართებლობა გონივრულად
 წარმოადგინონ. მართალი უნდა გითხრა, ხან-
 დისხან მე ვფიქრობ, რომ ფრანცუზები სულ
 უსამართლოდ ემდურიან თავის დესპოტებს და-
 თრგუნვისათვის. ჩას ჰქვიან დათრგუნვა? მთე-
 ლმა ხალმა მას ჩაუგდო ხელში თავისი ბე-
 ღი; დედ-მამები იმის მაგიერ, რომ თავის შვი-
 ლებს ასწავლონ და სარჩოს მოსაპოებელი
 ლონე მისცენ, მხოლოდ იმაზედ ზრუნვენ,
 რომ იმათ როგორმე დიდ-ჯამაგირიანი ად-
 გილი უშოვნონ; უველა იმას სცდილობს,
 რომ საზოგადოების ხარჯით იკვებებოდეს და
 უნდათ კი, რომ ნაპოლეონი იმდენათ ბრძე-
 ნი იყოს, ან უფრო სწორედ ვსთქვათ, იმ-
 დენათ სულელი იყოს, რომ არ ისარგებ-
 ლოს იმითი, რასაც მას ხელში აჩირიან. რა
 სულელობა! თვითონ მტვერი გამხდარან და
 უნდათ კი, რომ ისინი ფეხით არავინ გაქე-
 ლოს!

გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ყმ წვილ
კაცს უფრო ადვილად შეუძლიან, სამსახურში
ერთი რომელიმე ურიცხვ ადგილთაგანი მიი-
ღოს, ვინემ თვითონ თავისი ნიჭითა და ნა-
ღვწით გაიკაფოს გზა საზოგადოებაში. აი ნი-
შანი, რომლითაც ერთი შექედვით იცნობება
საურანგეთის ხალხი, მმართებლობის მზრუნვე-
ლობის ქვეშ ცხოვრებას შეჩერებული. ამ ხალხს
არა ვითარი საქმის გამოწყება და თავგამოდება
არ შეუძლიან. აქ მრეწველობა, მეურნეობა და
ვაჭრობა ძლიერ ნელნელა მიღოლავს ძვე-
ლის-ძველს კალაპოტში, კაპიტალები და მა-
ლული არიან და ყოველივე საქმე, რომელ-
საც მმართებლობის მფარველობა არ მინიჭებია,
ძლიერ-ძლიობით დგას ფეხზედ. მეცნიერი და
ხელოსანი კაცები ბორდლვენ მმართებლობის
გარეშემო და უდარაჯებენ იმ შემთხვევას,
რომ ადგილი იშოვნონ მოსამსახურეთ მეჯ-
ლიშში. ლიტერატურა და ხელოვნება წვრილ-
მანდება დამღუპველი გავლენის ქვეშ და ღეს-
პოტის მძლავრი ხელით დათრგუნვილს საზო-

გადოებრივს ცხოვრებაში ემხობა ეს ლიტერა-
ტურაცა და ეს ხელოვნებაც. სახელმწიფო ხარ-
ჯზედ ცხოვრების სურვილი დღითი-დღე ამრა-
ვლებს პირფერობასა და პარაზიტობას.

შენ მეტყვი, რომ ეს მთელი წესის ნაკლე-
ლევანება არის, მთელი საზოგადოების ბრა-
ლიაო, რომ დიდი არაფერია, თუ ერთი ჩი-
ნოვნიკით მეტი, ან ნაკლები გამოიწვევა
ურიცხვს ჩინოვნიკობის ლაშქარში. ერთად
ერთი კაცი მართალია ვერ შესცვლის მთელი
ხალხის საზოგადო ცხოვრებას, მაგრამ სანამ-
დის თითოეული ფრანცუზი სინიდისს ამისთანა
შემცდარი მსჯელობით აჩუმებს, რომ ამ გვარად
უფრო მშვიდობიან ად და შეუშფოთებელად შე-
ტოპოს იმ ტბაში, საითაც უმრავლესობა მიის-
წრაფის, მანემდის საფრანგეთს დამოუკიდებე-
ლი სამოქალაქო დაწესებულების მიღებისა
და თავისუფლების მოპოვების იმედი არ უნდა
ქონდეს. როცა საზოგადო მაგალითი ავრე
გადამდებ სენად შექმნილა, როცა მთელი ხალ-
ხი დამცირებულია, მაშინ თითოეული კაცი,

თუ ის კაცური კაცია, მაღლად უნდა ატარებდეს თავისი პატიოსნების დროშასა. უმრავლესობა არაოდეს არ აღორძინდება, თუ ის ფეხზედ არ წამოაყენა კერძო პირების თავგამოდებამ და ზნეობითმა ღონიერებამ. ვინ იცის რამდენმა იმათვანმა, ვინც საზოგადო სინიდისის დაცემას და საფრანგეთის დამცირებას სტიროდა, თვითონეე მოუშზადეს მას ეს დამცირება თავისი მხდლეური სიფრთხილითა. სამსახურის ადგილებს, რამელსაც თვითონ ისინი არასტრის გულისათვის არ დაიჭირდნენ, თხოულობდნენ, თავისი ნათესავებისა და ნაცნობებისათვის და ამ გვარად თვითონვე ერეოდნენ იმ საქმეში, რომლის გამოცისი ამდენს ცრემლსა დარიდნენ.

შვილო, მე გულწრფელად გეუბნები, რა-
საც ვფიქრობ. გინდა, რომ ცხოვრებაში
მაინცა და მაინც წარმატება გქონდეს? ძალიან ადვილი საშუალება გაქვს — აბორ-
დლე. და თუ სამსახურში წინ-წაწევაზედ უფრო შენს პატივისცემას, თავისუფლებას და კა-



ცობრივს ლირსებას აფასებ — მოგილოცავ წინა
და გულით — მაგრამ უნდა იცოდე, რა მოგე-
ლის ამ შემთხვევაში. თუ საფრანგეთის მმარ-
თებლობის საფარველი უარ-ჰყავ, შენ გმარ-
თებს შრომა და ბრძოლა. არავინ არ იქნება
შენი მაღლიერი მოღვაწეობისათვის. ბევრნი
კიდეც დაცუნებენ შენს მამაცობასა. ან კი
რისთვის უნდა იყვნენ შენი თანამგრძნობი?
შენ აუპატიურებ იმათ შენი აზრებითა და მო-
ქმედებით.

ემსახურე საფრანგეთს და ნუ მოელი მისგან
ნურასფერს. პირველად იმიტომ, რომ იმას
მოსაცემი არაფერი აქვს; იმას არა აქვს ხელ-
ში არც თავისი ქვეყნის სიმდიდრე, არც სა-
შუალება, რომ შენ გასახელოს. მეორედ იმი-
ტომ, რომ შეიძლება, ის ვერც კი მიხვდეს
შენს ზრუნვასა. შენ მხოლოდ საკუთარი ხე-
ლებისა და ჭკუის იმედი უნდა გქონდეს.

შინაობაზედ რა უნდა გითხრა. ლოლამ
მთხოვა, მისწერეო, რომ შენი ყვავილები და
მფრინვლები კარგად არიანო, რომ შენს ლი-

თონებს, რომილნიც დედამიწის გულში ასე კარგად იყვნენ შენახულნი ორი თუ სამი მილლიონი წლის განმავალობაში, ხალისი მოაკლდათ ლონდონის მტვერისა და ბოლისა-გან; რომ მე რიგზედ დავაწყეო შენი მცენარეთ კრება და რომ მე შენ ისე მახსოვებარ, როგორც მე შენ გახსოვვარო.

დედაშენი და მე პირს გაკოცებთ. ხშირად შეგვატყობინე, თუ როგორ სწავლობ, რას აპირებ, და ან დროს როგორ ატარებ.

ეს ანუ დაწერეთ უძრავის მარტინ
 ასე ცი ის რძორაში მიმდინარე ფასა
რაგდენია ხანა პოემისა

— ასეთ თე „**აჩრდილი**“*)

არ არ მეტან მეტან მეტან : მეტან
 არ არ მეტან მეტან მეტან : მეტან
XI

აგერ ტფლისიც!.... ყრმასაც და ბერსაც,
 ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
 დიდსა, პატარას, თავადს, თუ გლეხსა
 მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
 მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
 მათ აზრში აზრსა მე ვერ ვჰპოვებდი.

*) ამ პოემისაგან: პირველი, მეორე და მესამე ხანა და-
 ბეჭდილია „კრებულის“ მეათე, მეოთხომეტე და მეთორ-
 მეტეწიგნში; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე
 ხანა დაბეჭდილია წრევანდელი „კრებულის“ პირველ წიგ-
 ნში; მეათე, მეხუთმეტე, მეოთხესმეტე და მეოცე ხანა დაბეჭ-
 დილია „კრებულის“, მეშვიდე და მერვე წიგნში; მაგრამ
 შეცდომით მეათე ხანა მეჩვიდმეტეთ არის ნაჩვენები, მე-
 ხუთმეტე — მეცამეტვით, მეოთხესმეტე — მეთოთხმეტეთ.

ერთ-გზით შეხედავ და იქ ცხოვრება
 მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
 ლხინობენ კიდეც, კიდეც ხარობენ
 ფიქრობენ, ჰერძნობენ და მოქმედობენ;
 ხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს,
 უბედურ ცრემლთან, ბედნიერს ლიმილს,
 მაგრამ მათ ცრემლსა, ლიმილს, თუ გრძნობს,
 ჭმუნვას, სიხარულს და მოქმედობას
 ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
 და ყველა იგი თვალთ მაქცი არი.
 ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
 უფერულია და ცარიელი,
 არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
 არცა საგანი, გულ-წარმტაცველი!
 იქ დღე ჰრბის დღესა, ვით სრბოდა გუშინ,
 ერთნაირად და უფერულიათა,
 რასაც მამანი იღვაწდენ უწინ,
 დღეს შეილთარ ულაზთარც გულურათა,

გრძნობას ოქროსა ფასდ ჰყიდიან,

XII

ხოლო თუმც იქაც ვრდომილთ შორისა
 ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰერთების,
 ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა.
 შეებრძეის და არ ემორჩილების;
 მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
 უკეთესთ შორისც ლრმად ჩანერგულა,
 ამისაგამო მხნეთა მხნეობა
 აღძერისა უმალ გაცუდებულა.
 აგერ ორ კაცთა რაღაც უგრძენიათ,
 ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
 ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ,
 მაგრამ ერთმანეთს არ ენდობიან.

ერთმანერთისა მათ სიკეთე შურთ,
 თუმც ერთისათვის ორნივ იღვწიან,
 თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც სურთ.
 თვით შველიან მას, რასაც ებრძეიან.

XIII

აფერ უფალი და მისი მონა
 თრთოლით სასწორზედ ხარკს უწონს ძნელსა,
 და რა დასწორედ, პინებზედა წონა
 უფალი პინსა ზედ აღგავს ფეხსა,
 მით ის გირგანქას ერთს ათათა ჰედის....
 მონამ მწუხარედ გულს განილიმა
 გულისა წვითა თავის ხარკსა ზრდის,
 საწყლის თვალშიგან ცრემლმა იწვიმა.
 მაგრამ ქვა არის ბატონის გული
 ვერა დაილბობს მას შებრალება,
 ვერა განკურნოს მან მონის წყლული,
 ვინც მონებას თვით ემორჩილება.

მონა საწყალი, მონა გამშრალი,
 დგას, ეველრება მის თვალი შეებას,
 და გულში ჰფიქრობს: «ვახ, ჩემი ბრალი!...
 რით შევძლებ შეილთა ჩემთ გამოკვებას?
 ვახ, ჩემი ოფლი მათვეის დალვრილი,
 ნაყოფი იმა ოფლით გაზდილი,
 დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
 დარში, ავდარში ცისქვეშე დგომა,
 ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა,
 თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
 მარტო ბატონის თვალსა ახარებს
 და თქვენ, ცოლშვილნო, კი არას გარევებს....
 ვაიმე ბედკრულს რაღა დამრჩება,
 რომ გავახარო ცოლშვილის თვალი?!
 ვინა შრომობდა და ვინა ძღება,—
 ღმერთო, სად არის აქ სამართალი?»

XIV

შენში კაცისა გრძნობას არ ხედვენ...
 დედის ძუძუდაშ შეილისა აგლეჭენ,

ვინ იცის სიღამ საღ გაჰყიდიან,
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,—
ცოდვად უთვლიან შეიღსა ტრფობას.

თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა

სილამაზე და მშვენიერება— —

მონავ ბედკრულო! ვითომ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექმნება?!

ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკველენ შეუბრალებლად,
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.

უმანკო პირზედ შენს ტუფა ქალსა
გარყვნა დაასვავს საზარო დალსა...

მას, რაც გიყვარდა ნახავ დაცემულს,

ნამუს წართმეულს და შეგინებულს!

პირს უკუიქცევ და შეძრწუნდები,

ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,

წყლით, ვაებით მას განშორდები,

და ქალი შენი შენ შეგზარდება.

და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,

გველის წაწილად მე მამცემოდი,
 რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
 შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი.

ილ. ჭავჭავაძე.

დამისახურების მიზანი

გვართა ბრძოლა

საქართველოში.

მეტვე საუკუნიდგან მეათე საუკუნემდის.

გ. გორისელისა.

შინასიტყვაობა

ამ თხზულებაში მე მსურს გამოვხატო
 საქართველოს თავად-აზნაურობის მნიშვნე-
 ლობა, იმათი ისტორია, ქველ-მოქმედება და
 იმათგან შეწირული მსხვერპლი სამშობლოს
 კეთილდღეობისათვის. ვჭონებ ერთი ერიც
 ალარ იყოს ქვეყანაზე ისეთი, რომ განათლე-
 ბაში ფეხი შეედგას და იმდენათ თავის მამუ-
 ლის უმეცარი იყოს, როგორც ჩვენ. თითქ-
 მის ურთი კაციც არა გვყავს, რომ თქვას: მე
 ჩემს ქვეყანას დაწვრილებით ვიცნობო. უგუ-
 ნურსა და უმეცარს კაცს იმითი ვიცნობთ,
 რომ იმან თავის თავისა არა იცის რა. ერიც
 აგრეთვეა. ყოველი ჩვენი მოწინავე ახალგაზ-
 თავანი, რომელსაც კი თვალი აუხილავს და
 მიმწვდარა თავის ქვეყნის კეთილმდგომარე-
 ბის ზრუნვასა, ჰერძნობს გულში ამ ნაკ-
 ლულევანებას და ვერა შოუხერხებია რა. იმას



ჰესუსი რითიმე გამოადგეს თავის ქვეყნის უნტუ-
გეშო მდგომარეობას, მაგრამ რა ქნას, რომ
არ იცის, რა წამალი მოუხდება? და არ იცის, რა
იმისთვის, რომ სრულებით ვერ იცნობს თას,
ვის ქვეყანას; არა აქვს ის შესწავლული ის-
ტორიულათ, ეთნოგრაფიულათ, ტოპოგრაფ
ფიულათ და სტრატეგიულათ. იმან არიცის
თავის ქვეყნის მდებარეობა, მიწის აგებულე-
ბა, სრულებით უმეცარია საქართველოს მიწა
წყლისა, ან რა თვისების ხალხები ცხოვრო-
ბენ ზედ ამ ჟამად, ან როგორი კაცები ყო-
ფილან უწინ, რა გაუკეთებიათ აქამდის და
რას უნდა მოვექლოდეთ შემდეგ. სანამდის ამ
შხრით არ გამოვიკვლევთ ჩვენს ქვეყანას და
დაწერილებითს ნამდვილს და სრულს გამოკ-
ვლევას დედის ძეძუსთან არ შევარგებთ ახალ-
მოზარდ თაობას, მანამდის ჩვენ არც საკმაო
დახელოვნებული თაობა გვეყოლება და ვერც
ვითვიქრებთ რამე წარჩინებულ საქმის ხელის
მოკიდებას, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ქვეყ-

ნის, ჩვენი სამშობლოს, ესეიგი საქართველოს ფეხზე დაყენება.

ამ ქვემოხსენებულს თხზულებაში აზრათ მაქვს შეძლებისამებრ დავეხმარო ზემოთ მოხსენებულს დიდს საგანს, მიწდა კუჩვენო მკითხველს, თუ რა ბუნებითი სიმაგრებით არის და ძველთაგანვე ყოფილა შემოზღუდული საქართველო; ან როგორ უსარგებლნიათ ამითი ჩვენი ერის მოთავე საზოგადოებას, ესეიგი ჩვენს თავად-აზნაურობას.

ამ აზრის გამოკვლეულისათვის ვიხმარე სხა-
თა შორის შემდეგი თხზულებანი:

1. ლეოლრაფიული აღწერა საქართველოი-
სა ბატონის-შვილის ვახუშტის მიერ.

2. ტოპოგრაფიული აღწერა თფილისის გუ-
ბერნიისა (*Топографическое описание поверх-
ности Тифлисской Губернии*) უ. ფილიპო-
ვისა.

ეს თხზულება გულსმოდგინეთ და ხანგრ-
ძლივი ქვეყნის შეწავლის შემდეგ არის და-
წერილი. ის ძალიან დაწვრილებით და კეთილ-

სინდისიანათ მოგვითხრობს აღმოსავლეთის

საქართველოს მიწა წყლის წყობას.

3. საქართველოს ისტორია — ბარათაშვილისა.

4. ქართლის ცხოვრება და სხვა ქართულ
მემატიანეთა თხზულებანი.

5. ბაგრატ IV, ისტორიული მონოგრაფია —
დიმ. ბაქრაძისა.

6. კავკასიის უმთავრესი შტაბის შრომა.

ამასთანავე არ შემიძლიან მწუხარებით არ
ვთქვა, რომ ჯერ აქმდის ქართულ ენაზე არამც
თუ რიგიანი, სულაც არა გვაქვს გეოგრაფიული
კარტა. ამ მხრით ჩვენი ახალი თაობა იმდენათ
უზრუნველია, რომ სწორეთ ყოველს გონები-
ანს კაცს ეწყინება, ასეთი უზრუნველობა ჩვენი
ქვეყნის შესწავლისა. მხოლოდ ჩვენს ახალ-
თაობის უმეცრებას და თავშეუდებლობას
მიეწერება. კავკასიის უმთავრესი შტაბის მოქ-
მედებას რომ გონება ადევნოს კაცმა, კიდეც
გაუკვირდება იმისი მხნეობა. ამ შტაბის მო-
ლვაწეობით ახლა ერთი ბილიკიც არ მოიძებ-
ნება კავკასიაში, რომ კარტაზე არ იყოს გად-

მოღებული. თუ კი ვიხმე რუსის აფიცერი
მოინდომებს ჩვენი ქვენის შესწავლას, იმას
შეუძლიან ისეთი კარტები ჰქონდეს რუსულს
ენაზე კავკასიის ადგილებისა, რომ ოდნა ნა-
სოფლარი და წყაროც არ დაემალება ჩვენი
ქვეყნის ნიაღაგზე, მაშინ როდესაც ჩვენ ამ
შემთხვევაში სრულებით არ გავვევება რა.
დრო არის შეუდგეთ დაწვრილებითს შესწავ-
ლას ჩვენი ქვეყნისას და ამისთვის მიუცილებ-
ლათ საჭიროა შესდგეს ქართული გეოგრა-
ფიული საზოგადოება, რომელმაც თავისი
მოქმედება ჯერ კარტების გამოცემით უნდა
დაიწყოს.

დასასრულ ბოლიშ ვითხოვ მკითხველებთან,
თუ პირველი ნაწილი ჩემი გამოკვლევისა
იყოს მოსაწყენი. უკარტოთ ამის კითხვა
შეუძლებელია. ვისაც ჰსურს ცოტაოდნათ
მაინც შეისწავლოს ჩვენი ქვეყნის მდებარე-
ობა ამ თხზულებიდან, წაკითხვის დროს,
ვურჩევთ. თვალწინ იქონიოს ხუთვერსტია-
ნი კარტა კავკასიისა, რომელიც არის შედ-
გენილი კავკასიის უმთავრესს შტაბში.

საქართველოს მიწა-ფულის შემსახურება.

კავკასიის ქვეყანას შეადგენს ორი გძელი
 ქედი, რომელნიც ეთმანეთთან პირდაპირ თა-
 ვიდგან ბოლომდის თითქმის თანასწორ მან-
 ძილზე არიან გავლებულნი უზარ-მაზარ მი-
 წის კედლათ კასპიის ზღვის დასავლეთის ნაპი-
 რიდგან შავზღვამდე. ეს ორი უზარ-მაზარი
 ბუნებითი კედელი შეადგენს ორს დიდს მთის
 ქედს, რომელთაგან ერთს ეძახიან დიდს კავ-
 კასიის ქედს და მეორეს მცირე კავკასიის ქედს.
 დიდი კავკასიის ქედი იწყება სამხრით კასპიის
 ზღვაში შეტანილ მიწის ცხვირიდგან, რომელ-
 საც ახლა ეძახიან აფშერონის ნახევარს კუნ-
 ძულსა და შეადგენს ბაქოს უეზდსა, მერე გა-
 მოივლის რანსა და მოვაკანს (ბაქოს და გან-
 ჯის ანუ ელისაბერპოლის გუბერნიებსა), შემ-
 დეგ გაჰყოფს კახეთსა და ლეკეთს (დალის-
 ტანს), გაივლის ოსეთსა და სვანეთს, ბოლოს

გაწევება შავიზლეის ჩრდილოაღმოსავლეთის პირზე და დააწყდება ყირიმში, სადაც ამ ქველის ფრთის წვერს გასწყვეტს აზოვისა და შავი ზოვის შემაერთებელი ყირიმის სორეტი.

ყველაზე უმაღლესი ნაწილი ამ ქვედისა ბაზარდუზის მთიდგან მოკიდებული იალბუზის მთამდის, ესე იგი, ნუხის მაზრიდგან დაწყებული სვანეთსა და აფხაზეთამდის უწევს. ეს უმაღლესი ნაწილი ქედისა პირდაპირ საქართველოს აქვს მოფარებული და საკუთრად იმის კედლათ ჩაითვლება. სვანეთში იალბუზიდგანვე დაწყებული მთელი დიდოეთის გაყოლება გადის მეორე ქედი უმთავრესს ქედის პირდაპირ და ეძახიან იმას შოწინავე ქედს, ანუ კავკასიის ქედის საფარს. ეს მოწინავე ფარდული ქედი მართლაც ერთ გაუწყვეტელ კედლათ კი არ, არის გაყოლებული; ის უმთავრესი ქედიდგან გამოსული დაკვლაკნილი ტოტებისაგან არის შემდგარი, რომლებზედაც იმართება უმთავრესი კავკასიის წვერები: იალბუზის მთა (თანამდებობაზე 18,528 ჭუტი სიმაღლე), კოს-

ტანთავი (17,123 წ. სიმაღ.), მყინვარი (Каз-
бек), 16,538 წ. სიმ.), ეს მთის წვერები თით-
ქოს უზარმაზარ კედლის ბურჯებს შეადგე-
ნენ, რომელიც მიუყდებიან უმთავრესს კავ-
კასის ქედს ციხის ბურჯებს ვრთ და იმათსა
და დიდს ქედს შეუარის რვა ხეობა ანუ უკეთ
ვთქათ მთათსავანე (Комлопина), საღაც
შფოთავენ და ქოთავენ ამ თხემებითგან გამომდი
ნარე ხევები. საღაც რიონი, ეგრისის წყალი
(Эниур) და თერგი გამოდიან, იმათ მახლო-
ბლათ კავკასიის ქედს გადაღმა გამოდის, 1) დი-
გორის ხევი, იმის შემდეგ ერთი მეორეზე ჩა-
უყვებიან 2) კასრის ხევი (р. Нардона), 3) თერ-
გი ანუ ლომეკი (Терек), 4) ძურძუკეთის ხევი
ანუ ხახიელის წყალი (р. Асси), 5) მდინარე არ-
გუნი, 6) პირიქითელი ალაზანი, 7) დიდოე-
თის ხევი (р. Андийское Койсу), 8) ავარიის
ხევი (р. Аварское Койсу). ამ რვა ხევს შემორ-
ტყმული აქვს რვა მთათსავანე (комлоп-
ინი). ყოველს იმათგანს მხოლოდ ერთის მხრით
ჩრდილოეთისკენ არღვევს თავთავის ხევი,

სტოვებს მთათსავანეში, ან ხეობაში შესა-
 ვალს ძალიან ვიწრო კარს, მერე ყოველი
 იმათგანი მოუხვევს აღმოსავლეთით და ჩადის
 კასპიის ზღვაში. ამ ხეობების, ანუ ბუნებითი
 უზარმაზარი ციხეების სახელნი ესენი არიან:
 1) დიგორი (*Дигоръ*), 2) დვალეთი, ანუ ოსეთი
 (*Нардонская котловина*), 3) ხევი ანუ მთი-
 ულეთი, 4) ძურძუკეთი, ანუ არხოტის ხეობა
 (*Ассинская котловина*), 5) ხევსურეთი (*Ар-
 еунская котловина*) 6) თუშეთი (*Тушинская*),
 7) დიდოეთი (*Дидойская*), და 8 ავარია, ანუ
 დარლოს ხეობა (*Анкратильская*). ყოველი ამ
 ბუნებითი ციხეთაგანი საშუალო გამოანგარი-
 შებით ორმოცი ვერსი სიგძეა და ოცდაათი
 სიგანე. ისინი ჩრდილოეთით არიან მიდგმუ-
 ლნი კავკასიის ქედზე, დასცეკერიან არწივის
 ბუდეებსავით საქართველოს და იფარვენ ჩრდი-
 ლოეთისაგან. თითო ხევი იქნება ამაღლებუ-
 ლი საშუალო გამოანგარიშებით ხუთი და ექვ-
 სი ათასი ჭუტი სიმაღლე ზღვის პირითგან; ესე



იგი თითქმის ორი სურამის მთის სიმაღლეზე
მდებარებენ.

მცირე კავკასიის ქედი იწყება შავი ზღვის
აღმოსაფლეთის კუთხეში, ცოტათ სამხრით, იქ,
საკა აჭარისა და აზრუმის ანუ ბასიანის მთე-
ბია, წაჰუება სამხრით აღმოსაფლეთისაკენ დი-
დი კავკასიის ქედის პირდაპირ თანასწორათ და
კასპიის ზღვას ვერ უწევს. იმისი ბოლოები
ზოგი იკარგება მოვაკანისა და რანის მინდვ-
რებში, სხვანი შეუერთდებიან ჰერანის მთებსა.

ამ მცირე კავკასიის ქედსაც სამხრით, რო-
გოც უმთავრეს კავკასიას ჩრდილოით, ბურ-
ჯებათ აქვს ალაგოზისა და არარატის მთის
წვერები. საშუალო ნაწილი მცირე კავკასიის
ქედისა არის ვაკეგორასავით ამაღლებული.
ამისთანავაკეგ ორა (*Плоская возвышенность*)
მცირე კავკასიის ქედზე არიან შემდეგნი: კოლა
(*Чалдирский санджак*), არღაანი (*Ардаган*),
ოცხე-ჯავახეთი (*Ахалцихский и Ахалкалакс-
кий уезды*), თრიალეთი (*Цилканское-храмское
ущелье*), და სომხეთი (*Лорийское Приставство*).

საზოგადოთ ეს ვაკეგორები (Плоскія воз-
 вишенности) თითქმის იმ სიმაღლები არიან,
 ზემოთ რომ დიდი კაცკასის ქედის ხე-
 ლებები ანუ მთათსავანები მოვიხსენეთ. ამ
 ვაკეგორებზე მოდის დიდი ბალახი, შვენიე-
 რი შამბნარი ალაგები და ცივი წყაროები.
 ზაფხულს ამ ალაგებზე მოჰყავთ ოსმალეთის
 მხრიდგან და ქართლ-კახეთიდგან ურიცხვი
 საქონლის ჯოგები საძოებლათ. მცირე კავკა-
 სის მთებიდგან ჩრდილოეთით და აღმოსავ-
 ლეთით გამოდის მაღალი ტოტები: თრიალე-
 თის ქედი, ბენდერის მთები და სომხეთის მთე-
 ბი, რომელნიც ძალიან მაღლები არიან, წა-
 მოვლენ აღმოსავლეთისაკენ და ზოგი თბი-
 ლისის სამხრით საყალთუნს (Соганлыгъ) თავ-
 დება, ზოგი კი გატეხილ ხიდთან. ჯავახეთის და-
 სავლით მიდის აჭარისა, ტაოსი, თორთომეს
 და ჭანეთის მთები ტრაპიზონამდის, რომელ-
 ნიც მომეტებული ნაწილი ძალიან მაღლები
 და კლდე-ქარაფოვანები არიან. მთელი მცირე
 კავკასიის ქედის გაყოლებაზე სამხრეთიდგან



ჩრდილოით გადასავალი გზა საქართველოში
არ იპოვდა, ბილიკებს გარდა. მაღალი მცირე
კავკასის ქედები შავი ზღვიდგან დაწყებული
გატეხილ ხიდამდის (*Красивый мост*)! აქართვე-
ლოსაკენ მიხრილ კედელსავით გაულებული
იცავს ამ ქვეყანას სამხრეთიდგან შემოსევით.

ახლა მთელს კავკასიას რომ ერთი თვალი
გადავლოს კაცმა, შენიშნავს, რომ დიდი კავ-
კასიის ქედის ჩრდილოაღმოსაგლეთის მხარე
კახეთიდგან დაწყებული კასპიის ზღვამდის რაც
ალაგია, ესე იგი მთელი დაღისტანი საკვირ-
ველი ლორლიანი და ქარაფოვან-კლდიანია. აქ
არის დაგროვებული უზარმაზარი შავი, ყვი-
თელი და ნაცრისფერი კლდის ნამზვლევები.
ეს კლდის ნამზვლევები სულ ნადუღი მიწით
არის ნაკეთები. თქვენ ნახავთ მოტრტვლე-
ბულ წრიაპკლდებსა, გრანიტისა და წითელი
ტინის ნამზვლევებსა. მთელი დაღისტანი ანუ
ლეკეთი თითქმის ამისთანა ტინებით არის ანა-
გები. აქ მთის ბილიკებს გარდა სხვა გზები
თითქმის არ არის და ხეობები მომეტებულათ



ეიწრო ღორლიანი და კლდიანია. ყოველ ნა-
ბიჯის გადგმაზე შეხვდებით უზარმაზარი გრა-
ნიტისა და ბაზალტის ქვებს:

მცირე კავკასიის დასავლეთის მხარე შავ-
ზღვის პირამდის უჭირავს სამცხე საათაბაგოს
(Ахалцихский Уезд) და ჭანეთს (Лазистан-
ский санджак). როგორც ლეკეთში, ანუ
დაღისტანშია, აქა იმნაირსავე მიწის პირის წყო-
ბას ხედავთ. ყოველგან ღორლიან-ტინიანი
ალაგებია, სადაც შავი გაფხერილი კლდეები
თითქოს გაცივებულ მიწის ნაღულებისაგან შე-
კრულ იყოს. აქაც ისეთივე შავი გრანიტი და
წითელ ყვითელი კლდეები იპოება, როგორც
დაღისტანში.

ზოგიერთი მეცნიერები, რომელთაც შეხვე-
დრიათ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის აგებულების
გაცნობა, ამტკიცებენ, ვითომც კავკასიის ქე-
დი ბევრათ აღრე ამოქსეთქოს გალხვალ მი-
წის გულს და იქ დაგროვებულ ორთქლის
ძალას, ვინამც მცირე კავკასიის ქედი. შემდეგ
კარგახანი რომ გასულა, ამოუხეთქიაო აჭარისა

და სამცხის მთებიცა. მე ამ შენიშვნას დაუმატებ,
 რომ ცეცხლით გალხვალი მიწის გულისა და
 ობშივრის ძალა განსაკუთრებულის მძვინვა-
 რებით აღმოჩენილა იალბუზიდგან მოკიდე-
 ბული კასპიის ზღვამდის და მთელი დალის-
 ტნის სივრცეზე მიწის ქერქი დაუმზვლევია და
 საშინელის ძალით ამოდენილა აქ მიწის ნა-
 დული. ამავე ძალას აუმართავს ის მაღალი
 წვერები, რომელნიც დიდოეთსა და იალბუზს-
 შუა იმყოფებიან. ერთი სიტყვით უმთავრესი
 კავკასიის ქედის ამწევი ძალა პირველათ გა-
 მოჩენილა დალისტნის მხარეს, კასპიის ზღვის
 დასავლეთისკენ; მერე კი იმის გავლენით აწე-
 ულა მთელი მიწის ზურგი ჩრდილოეთდასავ-
 ლეთისკენ შავი ზღვის გაყოლება ყირიმამდის.

იგივე ძალა, რომელმაც ახეთქა დიდი კავ-
 კასის ქედი, მცირე კავკასიის ქედის ასახეთქათ
 სულ სხვა ალაგას გამოჩენილა. იმას დაუწყია
 მოქმედება შავი ზღვის პირითგან კოლა-ჯა-
 ვახეთის ქვეყნებზე, სადაცა აუარებელი მიწის
 გალხვალი გული დაგროვებულა. იმას აუფუშ-

დაუფუშავს მიწის ქერქი, გაუკეთებია აქ მიწის
 ნაღულებისაგან ფრიალო კლდეები და იმის
 გავლენით მთელი მცირე კავკასის ქედი აწე-
 ულა აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე. ამნა-
 ირათ ახალციხის მთები შეერთებულან ლიხის
 მთასთან და პერანგასათან (*Сурамскія горы*),
 რომელნიც არიან უმთავრესი კავკასის ქედი-
 დგან გამოსული ტოტები.

ამანათ კავკასიის ქედების ამხეთქი ძალააღმო-
 ჩენილა ორ ალაგას: ერთი აღმოსავლეთით
 დალისტანში და წამოსულა ჩრდილოეთისკენ.
 იმას აუწევია დიდი კავკასი. მეორე — და-
 სავლით შავზეასთან, აუხეთქია სამცხე-კლარ-
 ჯეთი და წამოსულა აღმოსავლეთისაკენ.
 ამისგან გაკეთებულა მცირე კავკასი.

ამ გეოლოგიურის გამოკვლევის შემდეგ ჩვენ
 ცხადათ წარმოვიდგენთ საქართველოს, რო-
 მელიც. სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორ
 შეუალ მთის ქედებს შუა არის დამწყედეული.
 ეს ქვეყანა შუაზე გადაუჭრია ლიხის მთას,
 რომელიც არის სამხრით ჩამოსული ტოტი

კავკასიის ქედიდგან. ამ მთის ტოტს მთელი ახლლანდელი საქართველო ორადგაუყვია: ერთს ეწოდება აღმოსავლეთის საქართველო, ანუ ამერი, მეორეს — დასავლეთისა ანუ იმერი.

ამ საზოგადო გაცნობის შემდეგ შეუდგეთ მოკლეთ ამ ორი ქედების და იმათ ხევომინდურების აღწერას. დავიწყოთ მცირე კავკასიის ქედის თავით ანუ კოლას-მთებიდგან, საიდგანაც გამოდის მდინარე მტკვარი.

თ ა ვ ი I.

ა. კერძოობითი აღწერა სამცხის
ქვეყნებისა.

1. კოლა არის ერთი მაღალი ვაკეების, რომლის გარე მოხვეულ მთებიდგან გამოდის მტკვარი და სხვა ხეობები ირგვლივათ და იყრიან თავს კოლის შუა ალაგს. იმას საზღვრავს სამ კუთხით ჩრდილო-აღმოსავლეთ-სამხრით ბასინის ანუ ყარსის მთები, რომელნიც რგოლსავით შემოხვევიან კოლის

ქეეყანას, დასაცლეთით ჩამოდის მაღალი არ-
 სიანის ქედი, რომელსაც აქ კოლის მოსაზღ-
 ვრე ნაწილს ეძახიან ყალნუს მთებს. საკუთ-
 რათ ჩრდილოეთისკენ გადის პაწაწა ქედი,
 რომელიც გაჰყოფს არდაანს კოლასაგან. ამ
 მთას უწინ ეძახოდენ ჩუღურეთის ანუ ფო-
 სოს მთასა, ახლა ლამალები ეტყვიან ქო-
 როლლის მთებსა. ამ მაზრას ეწოდა სახელი
 კოლისაგან, რომელიც მდებარებდა მტკვრის
 კიდის დასაცლით. კოლის ჩამოდის ყარსიდგან
 ერთი საურმე გზა.

2. არდან-ერუშეთი. ამ ვაკეგორის საზღ-
 ვრაეს აღმოსაცლით და სამხრით ფოსოს მთე-
 ბი, რომელსაც ეხლა ეძახიან ჩალდირის მთე-
 ბის ნაწილს, ჩალდირის ტბის (*პალაკაციოს*)
 დასაცლით რომ არის. დასაცლით ჩამოდის
 არსიანის მთის მაღალი ქედი, რომელსაც უ-
 წინ ეძახოდენ ქვაყრილად, ჩრდილოეთით გა-
 დის ფოცხვის ხევის (*Πουχοειაშ*) მთები და
 ნიალის ყურის მთა. ეს მეორე არდან-ერუშე-
 თის ვაკეგორა გარშემორტყმულია მთებით

და შეადგენს მტკრისა და ერუშეთის წყლის ხეობას. ერუშეთის ხევი გამოდის ფოცხვის ხევის მთებით, მომდინარეობს ჩრდილოეთით-გან სამხრით, დასავლით მასვე მოერთვის სამ-დერეთის წყალი და შესდის მტკვარს. ერუ-შეთის წყალს ახლა ოსმალები უძახიან კა-ნიჩის. არდაგანი არის ძველი ქალაქი მტკვარზე: ერუშეთის ხევის მახლობლათ არის ნაქალაქევი. აქ მშვენიერი გუმბათიანი საყ-დარი ააშენა დიდი კოსტანტინე კერსრისაგან გამოგზავნილმა თავადმა და დაასვენა შიგ ქრისტეს სამსჭვალი (ჯვარცმაზე დაკრული ლურსმანი), რომელიც უნდა მორთმეოდა მირიან მეფეს ქრისტეს სარწმუნოების მიღე-ბის შემდეგ. ერუშეთიდგან გადადის გზა და-სავლეთს ფანასკეთის ქვეყანას. მეორე გზა არდან-ერუშეთიდგან ფოცხვის მთით ჩადის ერუშეთ-ფოცხვის ხევში (Ποικιοεπ-νაშ).

3. ჯავახეთის ვაკეგორა ორს ზემოხსენე-ბულს მაზრაზე ბევრათ უფრო დიდია. საზღ-ვრავს დასავლეთით მტკვარი, ჩრდილოეთით

ბაკულიანის მთიდგან მოკიდებული კოდიანის
 მთის გამოყოლება აწყვერამდე (*Аухуро*). ბა-
 კულიანის და კოდიაის მთებს გადაღმა გადის
 გუჯარეთის წყალი, შავი წყალი, ბაკურიანის
 წყალი და სხვ. ამ მთებს გაღმოღმა ჯავახეთ-
 ში იწყებენ დენას ბარალეთის წყალი, აზავ-
 რეთის ხევი, გოკის მდინარე, ოომელნიც
 ერთვიან ჯავახეთის მტკვარი (*Ахалкалакი-чай*).
 თვითონ ჯავახეთის მტკვარი, გამოდის ფანავ-
 რის ტბითგან (*Топорованское озеро*) და მო-
 დის დასავლეთითგან აღმოსავლეთით და ეწო-
 დება ფანავრის წყალი კონდურის წყლის შე-
 საჩთავამდის. აღმოსავლეთით ჯავახეთს საზ-
 ღვრავს ტბისყურის ტბა შარვაშეთის მთები
 (*Самсарская тара*), ბოლოლის მთები (*Горы*
 ჰმლეკლი, აბოცის მთამდე; სამხრეთით — აბო-
 ცის მთა (*Мадатапинская тара*) და ფოსოს
 მთები, დახავლეთით ფოსოს მთები ნიღლის-
 ყურის მთამდე. ამ სამხრეთის მთებიდგან გა-
 მოდის სხვათაშორის კონდურის წყალი (*Кирхи-
 ბულახ*) და სადაც ეს წყალი და ფანავრის

წყალი ერთვის ერთმანეთს, აქ არის ძალიან
მაგარი ძველი ციხე ახალქალაქისა. ამ ქალა-
ქიდგან ფანავრის წყალს ეძახიან ჯავახეთის
მტკვარს (*Axalkalakə-paš*). ახალ ქალაქის ცი-
ხეს ქვეით ჩრდილოეთისკენ ჯავახეთის მტკვარ-
ზე (*P. Axalkalakə*) ყოფილა ძველი მაგარი
ციხე წუნა (Korxə). ეს ალაგია ბარალეთის
წყლის შესართავი ჯავახეთის წყალთან. იქ,
საღაპ ჯავახეთის მტკვარი დიდ მტკვარს ერ-
თვის ყოფილა ძალიან მაგარი ციხე ხერთვისისა.
ჯავახეთს გადმოდის გზა არდან-ერუშეთიდგან.
ყველა წყლები, რომელნიც არიან ჯავახეთს,
იკრიბებიან ახალქალაქს და ხერთვისს. თითო
ამ მაგარ ციხეთაგანი აგებულია ორ-ორის
ხეობების ყელთან და იცავს მთელს ჯა-
ვახეთს. მთელი ეს ქვეყანა მდებარებს ჯა-
ვახეთის მტკვრის ჭალებზე, რომლებზედაც
მორბიან ყოვლის მხრით, ირგვლივ, ჯავახეთის
წყალში შემდინარე ხევები.

4. ხერთვისითვან მოკიდებული კოდიანის
მთამდის, სამხრეთითვან მოკიდებული ჩრდი-

ლოეთით მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზე
 ჩაუყება ჯავახეთის მთა ამ მთის დასავლით
 ძევრს ოცხე, რომელიც ჩრდილოთდასავ-
 ლით და სამხრით რგოლსავით შემოვლებუ-
 ლია ძალიან მაღალი და თოვლიანი მთებითა.
 ჩრდილოერით მდებარე მთას ეწოდება ახალ-
 ციხის მთები, დასავლით არსიანისა და სამხ-
 რით ერუშეთი-ფოცხვის მთა. აღმოსავლეთით
 საზღვრავს მტკვარი და იმის პირს გაკრული
 ჯავახეთის მთა. ეს ქვეყანა უფრო ამაღლე-
 ბულია ჯავახეთის ვაკეებორაზე და დასერი-
 ლია მრავალი მჩქეფარე ხევებით; იმათში
 შესანიშნავია ქარძამეთის ხევი, რომელიც
 არის ახლანდელი საზღვარი რუსეთის საქარ-
 თველოსა და ოსმალეთის საქართველოს შო-
 რის. ქარძამეთისზემოთ მტკვრის მახლობლათ
 კლდეზე არის ძველი მონასტერი ვარძია თა-
 მარ დედოფლის აღგილ სამყოფელი. აჭ კლდე-
 ში არის მრავალი ქვაბები გამოკვეთილი,
 მშენიერი ოთახები, საყდარი და სხვ., სახიზ-
 რათ მომზადებული. ვინიცობაა, მტერი დასხ-

მოღათ თავს, ამისთანა ქვაბებში შეიხიზნო-
დენ: ვარძიის მონასტერი როგორც ვახუშტი
ამტკიცებს არის გიორგი პირველისგან გამოწ-
ყებული და თამარ მეფისაგან შესრულებული.
ვარძიის ქვევით ერთვის ვარენთის ხევი, რო-
მელზედაც იყო მაგარი ციხე ვარენთი, მტკვრის
შესართავთან აგებული კლდეზე. შემდეგ ერ-
თვის აღმოსავლეთით ასპინძის ხევი, რომელ-
ზედაც ირაკლი მეფემ სახელოვანად გაიმარ-
ჯვა ახალციხის ფაშაზე. საცა ეს მდინარე
მტკვარს ერთვის, იმის მახლობლათ ყოფილა
ძალიან მაგარი ციხე; იმავ მდინარეზე ჩრდილო-
ეთითკენ ყოფილა მეორე ძალიან მაგარი ცი-
ხე, სახელად მგელ-ციხე. ამ მდინარის პირად
არის კლდეები და სახიზნავი ქვაბები გამო-
კვეთილი. ასპინძის ქვევით დასავლით შემდი-
ნარებს მტკვარში ცუნქის ხევი (ურაველის
წყალი), რომლის მახლობლათ არის დიდებუ-
ლი მონასტერი საფარა. აქ მარხიან სამც-
ხის ათაბაგები. შემდეგ ცუნქის (ურაველის)
ხევის ქვეით ერთვის ფოცხვის ხევი, რომე-



ლიც ერუშეთ-ფოცხვის მთიდგან გამოლის
რამდენმე ხევათ და აქ არის კლდეზე აგებუ-
ლი ყველის ციხე. მერე დასავლეთით ერთვის
ქვაბლოვანის წყალი (კიბლიან-უა), რომელიც
გამოდის გურიის და აჭარის მთებიდგან. ამ
წყალსა და ბოცოს წყალს შუა ყოფილან
მრავალნი სახიზნი ქვაბები და ზედ ბოცოს
წყალზე ნაოხარს მშვენიერი და დიდი სასახ-
ლე თამარ შეფისა, აქვე მახლობლათ არის
ვანას მონასტერი და მრავალი ქვაბები. შემ-
დეგ ჩრდილოეთით ფერსათის მთას, ანუ რკი-
ნის ჯვარს გამოდის ოცხის ხევი (P. Abasiani-
mank) და მოერთვის მტკვარს. ამ მდინარეზეა
ორი ძველი ციხე ოცხე და ოძრახოს, რო-
მელიც ვითომც მცხეთოსის შვილს ოძრახოსს
აეშენებინოს. აშავ მდინარის მახლობლათ გა-
მოდის ძალიან ცხელი წყარო აბანო, საღაც
არის აბანოები გამართული და ბანაობენ
მრავალნი. ის არჩენს, ანუ ჰელინებს ქარით
დახუთვილს და მუწუკიანებს. ახლა ამ აბანოს
ეძახიან აბასტუმანს. ოცხის მდინარეზე გადა-

ღის გზა იმერეთში რკინის ჯვარის მთაზე.
 ოცხე, ქვაბლოვანის ხევი და ფოცხვის წყალი
 რომ შეერთდებიან, მერე ამ მდინარეს ეძა-
 ხიან ახალციხის წყალს, რომელზედაც არის
 აშენებული ახალციხის ქალაქი და ძალიან მა-
 გარი ციხე ახალციხისა. ამ ქალაქის აღმოსავ-
 ლეთით მტკვარზე არის აგებული ძველათ მა-
 გარი ციხე აწყვერი, რომელიც თითქოს მო-
 წინივე ბურჯათ ყოფილიყოს დანიშნული, ის
 ჰკეტავს ქვემო ქართლიდგან შემოსასვლელს
 გზას სამცხეში.

ბ, ერთი თვალის გადავლება
 სამცხის დაკლარჯეთ ჭანეთის
 მიწა--წყლის წყობაზე.

კოლა, ერუშეთ-არდანი, ოცხე-ჯავახეთი
 ერთი თვალის გადავლებით წარმოუდგება
 კაცს ერთ დიდ ვაკეთ, რომელიც გარშემო
 მთებით არის შემოზღუდული და მერე თით-
 ქოს ასე ერთიანათ აბერილა, ატანილა და
 ასულა ძალიან მაღალ მთათ. ეს მაზ-

რები საშუალო გამოანგარიშებით შეად-
 გენს სიმაღლით ოთხი ათას ჭუტს. მაშასა-
 დამე მთელი ეს ქვეყნები შეადგენენ ძა-
 ლიან მაღალ მთას, რომლისთვისაც თით-
 ქოს წვერი გადაუკვეთიათო და ამ გადაკვე-
 თილ უზარ მაზარ მთის მაღლობზე გაფენილა
 ზემოხსენებული ქვეყნები. ამ ქვეყნებში გა-
 დის მტკვრის მდინარე, რომელსაც ერთვის
 მარჯვნივ და მარცხნივ მრავალი ხევები გარე-
 მორტყელ მთებიდგან ჩამომდინარენი. ეს
 ერთი დიდი ვაკე-გორა გაიყოფება მთებით
 სამ ნაწილათ, რომელნიც ზემოთ მოვიხსენეთ;
 ერთს ამ ნაწილთაგანს ჰქვია ოცხე, რომელიც
 წინათ ავწერეთ. ჩემის აზრით ამ მაზრას და-
 ერქვა სახელი ოცი ხევისაგან, რომელნიც
 ჰქვალვენ ამ ქვეყანას და არა ოძრახოსისა-
 გან, როგორც ამტკიცებს ვახუშტი. აგრეთვე
 მთელს ზემოხსენებულს ზემო მტკირის ქვე-
 ყანას: კოლას, ერუშეთ არდანს და ოცხე-
 ჯავახეთს დაერქვა სამცხე, სამოცი ხევისაგან,
 რომელნიც მარჯვნით და მარცხნით ჩარბიან

მტკვარში იმის სათავიდვან მოყოლებული
ჭობის ხევამდე (*ყუნიც-ხევი*), რომელიც არის
საზღვარი სამცხისა და ქართლისა. ვახუშტი
ამბობს, ვითომც სახელი სამცხე იყოს წოდე-
ბული ან მცხეთოსისაგან და ან სამი ციხისა-
გან, იმის შემდეგ, როცა სუმბათ ბივრიტიან-
მა ააშენა ციხე დემოთს ოძრახოსის პირდაპირ
და იმით გამოვიდა იმ ალაგებს სამი ციხე.
სხვანი ამტკიცებენ, რომ სამცხე სამესხეს ნიშ-
ნავსო. მესხი ან მოსოხის ერი ამ ქვეყნისა, ძევლს
ისტორიაში სომხების და ბერძნების მეისტორი-
ებისაგან ხშირად არის მოხსენებული. სხვათა-
შორის ქსენოფონტი ამბობს, რომ შავს ზღვის
პირათ მხნე მოსოხის ხალხმა ჩემს ჯარს ძალიან
დიდი ზარალი მისცაოს: ისინი ომობდენ რკინის
იარაღებითაო. ეს ზემოხსენებული სამი დიდი
ვაკე-გორა, სახელად სამცხე, დაჰყურებს ცალ-
მხრით დასავლეთის საქართველოს და მეორეს
მხრით აღმოსავლეთის საქართველოს. ამას
უჭირავს შუაგული იმათშორის და თავის შალ-
ლობი მდებარეობით თითქოს მთელს საქართ-

ეელოზე უფლებსო და უზარ-მაზარ ციხე-
 საეით არის ზედ გადმომდგარით.

სამცხეში იცის შვენიერი ხილი, ვაშლი და
 სხალი. ხეობებში არის შვენიერი ბალები და
 ვარდნარი; გარემო მთებზე მომეტებულ ნაწი-
 ლათ მოდის მაღალი და სქელი ბალახი; მინ-
 დერის ყვავილები მრავალია. აქ იცის ბევრი
 ფუტკარი. უწინ ეს ხალხი ბევრს თაფლს და
 ცვილს (წმინდა სანთოელს) აკეთებდა. წყარო-
 ები გამოდიან მრავალნი, ცივნი; ხეები გატენი-
 ლია კალმახით და სხვა გვარი თევზებით.
 მხოლოდ სამცხის წყლებმა არ იცის კირჩხი-
 ბი (კიბო) და ზუთხი. ფრინჯელი და ნადირი
 მთებზე და ტბებზე მრავალია. მთელი ეს
 ქვეყანა მოფენილია ტბებით და შვეიცარიის
 ქვეყანას მოაგრძებს კაცს. ტბათაგან შესა-
 ნიშნავნი არიან: ტბისუური (*Тбиси кури*), ფა-
 ნავრის ტბა (*Топорованское озеро*), საღამოს-
 ტბა, პალიავაცის ტბა (*Чалдырское озеро*),
 კარწახის ტბა (*Хипчахинское озеро*), ფოსოს ტბა
 (*Хозапинское озеро*) და სხვ.

გ. კლარჯეთ-ჭანეთი.

სამცხის დასავლით და სამხრით მდებარებს კლარჯეთ-ჭანეთის ქვეყანა შეზღვამდისა და ტრაპიზონამდის გაწვდილი. ეს ქვეყნები ამჟამათ სრულებით ოსმალეთის ხელშია და ეწოდება ოსმალეთის საქართველო. კლარჯეთ-ჭანეთს საზღვრავს აღმოსავლეთი ტაოსა და კლარჯეთს შუა რომ მთა გაივლის. ეს მთა მოდიჩება ჩრდილოეთით და მიდის დასავლეთისკენ ზღვამდის, სადაც შეუერთდება აჭარა ბათუმის მთებსა. სამხრით საზღვრავს შალალი მთა, რომელიც არის გამყოფი ხაზი ჭოროხის შემდინარე ხევებისა ცალ შხრით და არეზის მდინარის (p. Araxes) სათავეებისა მეორეს შხრით. დასავლეთ-სამხრით მთა აზრუმბასიანისა გავლილი ზღვამდის. ვასუშტი ჰერნებს, რომ ამ ქვეყანას დაერქვა სახელი კლარჯეთი „ლელარქნილითა და კლდოვან-ლრატოლრილოვანებისამიერ“. მართლაც ამ ქვეყანაშია ძალიან დაგრეხილი ალაგები, თეალ აუწვდენელი ტინის კლდეები, მეორეს შხრით საში-

ში ნაპრალები და ძალიან ვიწრო ხეობები, რომელნიც ამომსილია ვოლკანიურ ნამზვ-ლევებითა. კლდეებში და ლიარლიან ალაგებ-ში ქოთაც ჭოროხის ხევები. მიწა არის სა-კვირველი მოსავლიანი, შავი ფერისა; აქ გან-საკუთრებით ზღვის ნაპირებზე მცენარეობა საკვირველი მდიდარია და მძლავრი, თოვლი ძირს ხევების ჭალებზე თითქმის არ მოდის და ქვეყანა მთელს წელიწადს ყვავის და მწვა-ნით არის შეფოთლილი; სხვათა შორის აქ გარეულათ მოვათურინჯი (*Померанецъ*), ლი-მონი, ფორთოხალი (*Апельсинъ*), ზეთის ხილი და სხვ. მაღლობი ნაწილი ხეობებისა ზღვის მოშორებით ძალიან კარგი, ტფილი ჰავის არის, მაგრამ ზღვის პირებში ფლატოებია და საშინე-ლი ცივება იცის.

საჩოგადოთ ხეობებს შეუა ამართული ქე-დები არის გაყოლებული წყობ-წყობათ და შვილდებსავით მიხრილა შავი ზღვისაკენ. ისი-ნი არიან გაწოლილი სამხრეთიდგან ჩრდი-ლოალმოსავლეთისაკენ და ჩაითვლებიან ბა-

სიანისა და არსიანის მთების ტოტებათ.
 კლარჯეთ-ჭანეთშია შემდეგი ნაწილები: თორ-
 თომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურთი
 და ჭანეთი. ამას გარდა ჭოროხის ჭვედანაწილს
 ხეობას ზღვამდის ჰქვია ძველათგან ლიგანი,
 აგრეთვე სხვა ხეობებს, რომლის ხევებიც ჭო-
 როხს მიერთვის, ასე უწოდებდენ; საკუთრად
 ისპირის ხეობას ეძახიან კლარჯეთს, ზედა ნა-
 წილს ჭოროხის ხეობას — ტაოსკარს, მერე მიჰ-
 ყვებოდა არტანუჯის ხეობა, შავშეთის ხეო-
 ბა და აჭარის ხეობა. ჭოროხის მდინარე გა-
 მოდის ირიჯლუს მთებიდგან, ჯერ მიდის ალ-
 მოსავლეთ ჩრდილოით, მერე მოდრკება და-
 სავლეთ ჩრდილოეთისკენ და ჩადის შავ ზღვა-
 ში. აქედგან სჩანს რომ როგორც მთებია შვი-
 ლდასავით მოხრილი, ისე იმათ შორის მიმდი-
 ნარე წყლები და ხეობები. ჭოროხის მდინა-
 რეს ერთგის მარჯვნით ფანასკერთის ხევი, არ-
 ტანუჯისა, შავშეთის და აჭარის წყლები; მარ-
 ცხნივ თორთომის ხევი, ისპირისა და ფორჩ-
 ხის წყლები. ჭანეთის მთიდგან გამოდის ჭოფ-

ჯის წყალი, რომელიც პირდაპირ ჩადის შეს
ზღვაში.

ტაო, ბაიბურთი და გურჯი-ბოლაში ანუ სა-
ქართველოს ყელი შდებარებენ ირიჯლუ-დე-
ვაბოინის, ისპირის და ბასიანის ანუ სომხეთის
მთის კალთებზე და შეადგენენ ერთს დიდს
ვაძე-გორას, ძალიან ამაღლებულს მთიან ალავს,
რომელიც შემოზღუდულია თითქმის თოვ-
ლიანი ქედებით. ამ მთებიდგან იწყება ჭორო-
ნი და იმის შენაკადი ხევები. სამხრით რაც
ოსმალეთიდგან კლიარჯეთს გზები გადმოდის
სულ ამ ხევების პირებზეა გაყოლებული.

ჭორონის სათაერის (საცა გამოდის) მახლო-
ბლათ არის ქალაქი ოლთისი მაგარ ციხიანი,
რომელიც ჰკეტავსაზრუმიდგან შემოსასელელს
გზას. იმას ქვეით, საცა ფანასკეთის ხევი შე-
ერთვის ჭორონს, არის ფანასკეთის ციხე, რო-
მელიც იცავს ფანასკეთისა და ჭორონის ხე-
ობას; მერე არის კალმახის ხევსა და ჭორო-
ნის ხევის ყელში კალმახის ციხე, რომელიც
არის კლდეზე აშენებული და იყო შეუალი.

კალმახის ციხეს ქვეით, იქ სადაც ორი არტა-
ნუჯის წყლის ტოტი შეერთდება, არის მა-
გარი ციხე არტანუჯისა ვახტანგ გორგასლი-
ნისაგან აშენებული და ჰერაკლეს გზას, რომე-
ლიც გადადის კოლა-არდანის ქვეყანას. ამ არ-
ტანუჯის მახლობლათ ახიზს არიან მრავალ-
ნი ქვაბნი გამოკვეთილნი კლდეში. ვახუშტი
ამტკიცებს, ვითომც ისინი ვახტანგ გორგა-
სლანისაგან იყოს ნაკვეთები. არდანუჯის წყლის
შესართავს ქვეით ჭოროხზე არის მრავალ-
თყლიანი, ძალიან მაგარი ქვითკირის ხიდი, ჭო-
როხზე გადადგმული, სახელად ხვარამზეს ხი-
დი. ხიდს ქვემოთ იშხანის და ჭოროხის ხე-
ობასთან არის მაგარი იშხანის ციხე. შავშე-
თის წყლის სათავის მახლობლათ არის ძა-
ლიან მაგარი ციხე თუხარისი. ვახუშტი ხსნის
ამ სახელს ამნაირათ “თუხარ ციხე მაგარი ის,
სხვა არა“. ეს ციხე იცავს იმ გზას, რომელიც
გადადის კლარჯეთიდგან ერუშეთს და ფო-
ცხეის ხეობით სამცხეს. საცა შავშეთის წყა-
ლი ჭოროხს ერთვის, იქ არის ფანავარის ცი-

ხე, რომელიც იცავს ორს ხეობას შავშეთი-
 სას და ჭოროხისას; მახლობლათ არის ნათლის
 მცემლის საყდარი და თორმეტი მონასტერი
 ოპიზისა, ძეველათ მღიდარი და სწავლა მეც-
 ნიერების გამავრცელებელი.

ჭანეთს, ზღვის პირათ არის გონიის ქალაქი
 და შვენიერი ნავსადგური ბათუმისა, რომე-
 ლიც შავს ზღვაზე თითქმის პირველია.

დ. ს ტრატეღიული მდგომარეობა
 სამცხესი და კლარჯეთ-ჭანეთისა.

სამცხე ერთი შეხედვით ჰგავს უზარმაზარს
 ბუნებითს ციხესა, რომელიც ვრცელს მთა-
 ზეა და შენებული. დასავლეთის მხარე ამ უზარ-
 მაზარი ციხისა ზღვამდის უჭირავს კლარჯეთს
 და ჭანეთიქვეყანას. მთელი ჭოროხის ხეობა ჩაი-
 თვლება ერთს უმთავრესს გვირაბთ, ანუ სამცხე-
 ში შესასვლელ ციხის გზათ. ამ უმთავრესს ბუ-
 ნებითს გვირაბს გარდა არის, უმცირესი გვი-
 რაბები ჭოროხის მარჯვნივ და მარცნივ მორ-
 თულ ხევებისა. თითქმის ყოველს უმცირესს
 ხეობას ჭოროხის შესართავთან აქვს ციხე.

რომელიც ემგზავსება გვირაბის შესასვლელს
 კარს. მართლაც თუ ამ ხეობებით არა, სხვა-
 გან სამცხეს გადასასვლელი გზა ზღვიდგან
 არ არის. ჩრდილოეთით, აღმოსავლით და სამ-
 ხრით სამცხეს არტყია მთების ოხემები (ქედე-
 ბი), რომელთა სიმაღლე საშუალო გამოანგა-
 რიშებით ათი, ან თერთმეტი ათასი ჭუტია, ესე
 იგი სამი ვერსი სიმაღლე. ამ მთებზე სიარული
 მარტო სამი ოთხი თვე თუ იქნა წელიწადში,
 მეტი აღარ შეიძლება. დანარჩენს დროს არამც
 თუ ჯარი, მარტოხელი კაციც ვეღარ გადა-
 ივლის. ზემოხსენებული მთები ჩრდილოეთ-
 აღმოსავლეთისკენ თითქოს გამსქდარა და
 ამ კლდის ნაპრალში გაუკაფავს გზა მტკვრის
 მდინარესა, მაგრამ აქაც მტკვრის პირებზე
 ერთი მეორის გაყოლება აუშენებიათ მა-
 გარი ციხეები, ასე რომ ამ მხრითაც შესვლა
 სამცხეში ძნელი უნდა ყოფილიყო. ჩრდილო-
 ეთით ლიხის მთას მიერთვის ფერსათის მთე-
 ბი (*Горы Ихалишетели*) და რკინის ჯვრის მთა,
 რომელთაც უძახიან ახალციხის მთებსა ესენი

აჩიან ძალიან ამაღლებული ქედი და სამც-
 ხიდგან რკინის ჯერის მთაზე გადადის გზა
 იმერეთში. ადგილის მდებარეობა ისეთია,
 რომ სამცხიდგან ამგზით სულ ცოტა ჯარითაც
 შეიძლება იმერეთის თავს დაცემა და იმერეთს
 კი არ შეუძლია, რაც უნდა დიდი ჯარი ჰყავ-
 დეს, სამცხეს გადასვლა, თვითონ მტკვრის
 პირზე გაყოლებული გზა ქვემო ქართლში
 შესასვლელათ უფრო სამცხის ქვეყნისთვის
 არის მოხერხებული, თავს დასაცემათ, ვინამც
 ქვემო ქართლისთვის. ამიტომაც აღნე თუ
 ვეიან სამცხის, ბატონებს უნდა დაემორჩილე-
 ბინათ იმერეთი და ამერეთი. მართლაც ჩვენ
 ვიცით, რომ ისტორიულათ საქართველოს
 დამორჩილება და ერთ სახელმწიფოთ გახდო-
 მა სამცხის ბაგრიტოვანებმა დაიწყეს. ეს ქვე-
 ყანა სამჯუთხით შეუვალია, მეოთხე კუთხით
 ზღვისკენ. კლარჯეთ ჭანეთის გზები ძალიან
 დაცული ჰქონდა, როგორც ბუნებითი მიწა-
 წყლის წყობით. აյ გონიერი სამხედრო მო-
 საზრების წყალობით აგებული ციხეებით. მაშა-

საღამე ამ ქვეყანას მხოლოდ თავისითვის
ჰქონდა ძალიან მოხერხებულათ მოწყობილი
სიმაგრეები სხვებზე თავს დასაცემათ.

ე. ერის თვის ება.

შეთექვსმეტე საუკუნის ბოლომდის სამც-
ხეში და კლარჯეთ-ჭანეთში დასახლებული
ქართლის ერი აღიარებდა ქრისტიანობას. რო-
გორც მამა კაცი, ისე დედა-კაცი იყვენ შვე-
ნიერი სახისა, ტანოვანი, მხნე, გულამაყი და
მამაცი, ცოდნა ხელოსნობის მოყვარენი, წყნა-
რნი და ენა ტკბილათ მოუბარნი. შეჩვიდმე-
ტე საუკუნეში იმათ ძალიან გაუჭირდათ საქ-
მე მაპმადიანობისაგან და მიიღეს ისლამის სა-
რწმუნოება; მაგრამ ენა, ჩვეულება, თითქმის
საეკვლესიო დღესასწაულების ასრულება ისევ
ქრისტიანული დარჩათ. თავად-აზნაურობა სულ
ვამაპმადიანდა; გლეხობაში ბევრი აქამომდე-
ქრისტიანებათ დარჩენილან. ისინი თავიანთ
ოჯახში სულ ქართულს ლაპარაკობენ და
ვარეთ თათრულს. ჯავახეთისა და კოლაშვი-
შეთ-არდაანის ქვეყანა ამჟამათ ქართველებისაგან

თითქმის დაცალიერებულია, ძველი საქართველოს ხალხი ზოგი გაუჟღეტია მჭერს და სხვანი გათათრებულან. ახლა აქ დასახლებულან ქურთები, სომხები და ოსმალო. ჯავახეთის დასავლეთ სამხრეთის კუთხე სულ რუსის მალაკნებს დაუჭერია; ისინი გადმოუსახლებია ჩვენს მთავრობას რუსეთიდგან. ჯავახეთის და კოლა-არდანის მთებზე და ხეობებზე რადგან გაზაფხულს და ზაფხულს დიდი ბალახი მოდის, ამისთვის ქურთებს და ბარის სამცხე-კლარჯეთის მცხოვრებლებს მოჰყავთ მთებზე მრავალი ჯოგი საძოვებლათ. ჭანეთის ქვეყანაში ლაზებმა იციან მშვენიერი ყველის კეთება. იმათი ყველი არის ძალიან გემოიანი და თითო იქნება ისეთი, რომ ერთი ბათმანი, ანუ ნახევარი ფუთის სიმძიმე გამოვა. ბალში იმათ აქვთ თუთის ხეები გაშენებული და აკეთებენ აბრეშუმს. ვენახი მაღლარი იქ სულ ტყეთ არის მოდებული; მაგრამ ღვინოს თითქმის აღარ აყენებენ, რადგან მაჰმადის სარწმუნოება უკრძალავს იმის სმას.

აბოცის წვერი (*Леилы-даєв*). აბოცის მთა ჩა-
 მოწვება სამხრეთ აღმოსავლეთისკენ და ჰქვია
 ირჯანის მთები (*Кара-Ахачი և Горы Чубу-
 ахи*) და შეუერთდება ბერიუჯ-ენევნის მთებსა
 (*Горы Безабдалы и г. Гирканикъ*), რომელ-
 ნიც უწევებ გელაქუმამდე, გადაივლიან გოჭ-
 ჩის ტბის ჩრდილოეთის კიდეზე და დაწყდე-
 ბიან რასხის მდინარეს (*P. Араповъ*). ამ გძელს
 ქედს აბოცის მთებიდგან მოკიდებული ყაზ-
 ისის მთებს რომ უერთდება (*Чалдырскія
 горы*), ეწოდება მცირე კავკასიის ქედი. ეს მცი-
 რე კავკასიის ქედი ძალიან მაღალია და მუ-
 დამ თოვლიანი. ჩრდილოეთის პირი ამ ქედი-
 სა ეკუთვნის ბერიუჯბამბაკის ხეობას და
 შეადგენდა ძეველათ საქართველოს პირს; სამხ-
 რეთის მხარე ეკუთვნოდა სომხეთის სახელმ-
 წიფოს.

მცირე კავკასიის ქედიდგან გამოდის ერთი
 მაღალი მთის ტოტი, რომელიც შიგრინება
 ჩრდილოეთისკენ და დააწყდება გატეხილ ხილ-
 თან (*Красный мостъ*) მტკვარზე, ოეთრი ცი-

ხის მახლობლათ იქ, სადაც ბერთუჯის მდინარე (Дебеда-чай), ერთვის ხრამს. ზემოხსენებული მცირე კავკასიის ტოტი არის ბუნებითი საზღვარი ბერთუჯის ხეობისა, და ახლანდელ საქართველოს სამხრეთისა იმ ხეობებიდგან, რომელნიც ამ უამათ შეადგენს განჯის ანუ ელისაბედაბლის გუბერნიას.

სომხეთის მთა იწყება აბოტის მთიდგან და დაწყება ერთი ტოტი მდინარის ბერთუჯის (Дебеда-чай) მოხვეულთან, მეორე ტოტი წარმართება ჩრდილოეთით და შთის ცხვირსვით შედის იქ, სადაც მდინარეს ხრამს შეუერთდება ბერთუჯი. ამ მთების წვერთაგან უმაღლესნი არიან: ლოქის წვერი (e. ლოპ 7,039 მტ.) და ლალგარი (Ляльвард, 8,332 მტ.). სომხეთის მთებსა და მცირე კავკასიის ქედის ტოტებს შეა ჩაუყვება ბერთუჯის ხეობა, ანუ საქართველოს სომხეთი. ამ ქვეყნას ეძახდენ სომხები გუგარქ და ხან სომხეთის მეფეების ხელში გადადირდა, მაგრამ

ძველათგანვე კი საქართველოს მიწა-წყალი
ყოფილა.

მდინარე ბერძუჯი (p. Дебеда-чай) გამო-
დის აბოცის მთას (Мадатапинскія го-
ры) და ბამბაკის შეერთებამდის ეძახიან
ტაშირის წყალსა (p. Каменка), მერე
ის მოუხვევს ჩრდილო აღმოსავლეთისკენ
და სდის ასე ძალიან მიხვეულ-მოხვეულან,
შემდეგ ჭოჭკანიდგან მოუხვევს ჩრდილოეთით,
გააკეთებს წრეს და დასავლეთიდგან მოერ-
თვის მდინ. ხრამს. ლალვარის ქედი, სამხრეთ
დასავლეთიდგან ჩრდილოეთ აღმოსავლეთის-
კენ რომ გავლებულია, განყოფს ამ ხეობას
ორათ: დასავლეთის ნაწილს ჰქვია ტაშირი,
(Лорийское Приставство) აღმოსავლეთი-
სას—საქართველოს სომხეთი. ბერთუჯის მდი-
ნარეს ვახუშტის ფიქრით ჰქვია სამი სახე-
ლი. ერთი ბერთუჯი, ციხისაგან ბერძიკი-
სა, მეორე-სეგამი *), მესამე-დებედა. ეს მდი-

(*) მაგრამ ეს ტყუილია, ამიტომ რომ სეგამი არის
მეორე მდინარე ბერთუჯის აღმოსავლეთით, რომელიც
ერთვის მტკვარს და იშუაფება ელისავეთ-პოლის გუ-
ბერნიაში.

ნარე დიდს სარგებლობას აძლევს ამ ახეობას, რადგან იქიდგან მთელს ქვემო ხეობაში გაპყავთ რუები და რწყვენ ჭალებს: აქ მოდის ბრინჯი, ხვარბალი, ქრთალა (ქერი), ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი და კანაფი მოუცვლელათ, კიტრი და დუთმა ნესვი მრავალი, ბადრიჯანი და პუმპულა (პილპილი), ხეხილი ყოველგვარი. ვახუშტი ამტკიცებს, რომ ამ დიდ ნაყოფიერებისათვის დაარქვეს ამ მდინარეს დაბადა, რომელიც მერე „დებედათ გადააკეთესო.

ბერთუჯის მდინარეშია სხვათა შორის ორაგული, ლოქო (ლლავი), ჭანარი (*Sazanis, podz karpa*), გოჭა (*karacs*), კაპოეტი (*xapriycs*) და სხვ. ზაფხულს ძალიან ცხელა და ცუდი ჰავაა, ზამთარ შვენიერი, რადგან თოვლი თითქმის არ იცის. ფრინველი მრავალია: ხოხობი, კაკაბი, იხვი და სხვ. ძველათ ამ აღგილს უძახოდენ ქურდ-ვაჭრის-ხევაღ, ახლა ეძახიან აქ მცხოვრები თათრები აყჯაყალის ანუ თეთრციხეს, რომელიც იაყუბ-ყევნმა იაშე-

ნა. მერე შააბაზმა წაართვა გიორგის, დიდი სვი-
მონ მეფის შვილს, მოიყვანა ელი, დაასახ-
ლა ბერთუჯის შესართავთან, რომ საქართვე-
ლოს კარი მუდამ გაღებული იყოს სპარსეთის
მეფეებისათვის. ამ დროს შემდეგ ამ ალაგს
დაარქევს ბორჩალო. აქედან მოკიდებული
ლორის ციხემდის ეს ხეობა არის ძალიან მა-
გარი კლდიან-ქარაფოვანი. ამ ალაგის გაყო-
ლება ჯარი ვერ შევა. აქაც მოდის ვენახი
ბროწეული, ლელვი და მრავალი სხვა ხილი;
ლორის ციხეს ზემოთ აბოცის მთისკენ ტაში-
რის ქვეყანა მაღლობია და ზაფხულს გრილი
შვენიერი ჰანგისა. ბანბაკის ხეობა ამაზე კიდევ
უფრო მთიანია. ეს ჩაითვლება მცირე კავკა-
სის ქედის კალთად და ზედ ხორბალისა და
ქრთილის (ქერის) და სელის მეტი თითქმის
არა მოდის რა. იქ, საცა ტაშირის ხევი (p. *Ка-
менка*) და ტაშირის წყალი (p. *Акзебюкъ*) შეერ-
თდებიან, მაღალ კლდეზე ყოფილა აგებული,
ძალიან მაგარი ციხე ლორისა, რომელიც სხვა-
თა შორის იცავდა ბამბაკის ხეობას. ლორის

აღმოსავლით ძელი ჭეშმარიტის ეკვლესია არის. იმის მახლობლათ არის ქარაფოვანს კლდეში მრავალი ქვაბები, საღაც ამბობენ, ბევრი ქართული წიგნებია შენახულიო, მაგრამ რადგან ტაცი ვერ შესულა აქ, აქამდის უხმარათ აწყვიანო. ბერთუჯის გაყოლება ქვემოთ დგას ქობერის მონასტერი, ახლა სომხებს უჭირავს. ამის აღმოსავლით არიან მშვენიერი ეკვლესიები ახტატი და სანაინი. ქართლის მეისტორიენი ამტკიცებენ, ვითომც ისინი ქართლის მეფისაგან იყოს აშენებული, სომეხნი კი თავიანთ მეფეს მიუწერენ იმათ ავებას. ეს ეკპლესიები მშვენიერი ჩუქურთმის ხელობით არიან აშენებულნი და შიგ ბევრი არხეოლოლიური სახსოვრებიაო. საცა ჭოჭკნათის ხეობის მოსახვევია, იქ არის ვახტანგ-გორგასლანისაგან აშენებული აგარაკის ეკვლესია, რომელსაც ახლა ეძახიან ახტალას. ახტალის პირდაპირ აღმოსავლეთით მთაში არის ორი ეკვლესია: ერთი გიჟს აჭკუიანებსო, ამბობს ვახუშტი და მეორეში სდის წყარო, რომელიც არ-

ჩენს ბრაზიანს, თუ ორმოცამდის დაალევი-
 ნეს. ბერთუჯის მდინარის მოხვეულში აღმო-
 სავლეთით არის პატარა ძველი ციხე წოფა.
 სადაც ბერთუჯი შეუერთდება ხრამს, იმის
 მახლობლათ მდებარეობს ძველი ნანგრევი
 თეთრი ციხისა, რომელიც ბერთუჯის ხეობის
 ყელშია აგებული. სამხრეთის ქედის ჩრდი-
 ლოით, ანუ ლოქისა და ლალვარის მთების
 მეორე მხრით გადიან და ხრამში ჩარბიან შემ-
 დეგნი ხევნი: შულავრის წყალი, რომელზე-
 დაც მდებარებს დიდი შულავერი ლალვარის
 ქედის ცხვირთან. შულავრის სამხრით სომხე-
 თის მთაზე მდებარებს ოფრეტი, რომელსაც
 ძველათ ეძახოდენ გაჩიანად და იყო გაჩიოსის
 ქალაქი. შულავერს ზემოთ ჩადის ტალავრის
 ხევი (Далаверз-чай) რომლის ყელშიაც იყო
 ციხე ჭაბალა (Джабала). მერე მიღის ბოლნი-
 სის წყალი (р. Болнисი-чай), რომელიც შესდგე-
 ბა ორი ხევისაგან სარკინეთის და ფოლადეუ-
 რისაგან, რომელთაც შესართავში ყოფი-
 ლა ძველათგანვე რკინისა და სპილენძის

მაღანი, ახლა იქ არის ჩათახის თუჯის ლი-
თონი. ამ წყალზე ბოლნისის დაბა და მთაზე
ძველი ციხე. ტალავრის ხევი და ბოლნისის
წყალი ერთვიან მაშავერას. ლოქის (ი. ლოკი)
მთიდგან გადის ფინეზაურის ხევი, რომელიც
მოერთვის მაშავერას. აბოცითა და შამბიანითგან
გამოდის მაშავერა. საცა ეს ორი წყალი შე-
იყრება, იქ არის დბანისის დაბა და ძველი
ციხის ნანგრევი, რომელიც იცავდა დბანი-
სის ხეობას. ვახუშტი ამტკიცებს, დბანისის
მახლობლათ არისო წყარი, რომელიც დააშესხვ-
რევს შირიმის ქვას (можевоий камень). ქვემოთ
მაშავერაზედ არის ქვეში და მახლობლათ ქვე-
შისა ძველი მაგარი ციხე, რომელიც იცავდა
ქვეშის წყლისა და მაშავერის ხეობებს. აქვე
მახლობლათ არის დავით გარეჯელის ეკკლე-
სია და ძველი ციხე კლდეზე. შამბიანის მთა
რომ ბოლოლის მთებს შეუერთდება, იქ გა-
მოდის ზურტაკეტის ხევი (Карабулах) და ჩა-
დის ქციის მდინარეში. უკელა ზემოხსენებუ-
ლი ხევები გამოდიან სომხეთისა და ბოლო-

ლის მთებიდგან, მიმდინარებენ სამხრეთიდგან
 ჩრდილოეთით და შედიან ქციახრამის მდინა-
 რეში. თვითონ ქცია გამოდის შარვაშეთის
 მთიდგან, გაივლის მთელს თრიალეთის ხეო-
 ბას ანუ ვაკე-გორას, დაეშვება ბორჩალოს ვა-
 კეზე და შედის მტკვარში იქ, სადაც უწინ ქა-
 ლაქი ხუნანი იყო აგებული თავისი ციხით და
 იცავდა მტკვრისა და ხრამის ხეობას, ესე იგი
 საკუთრათ საქართველოს, შესავალს კარს.
 ახლა ამ ალაგას ეძახიან კიზ-კალას (*Кизз-
 кала*). ხრამს მოერთვის თრიალეთის და
 ბენდერის ანუ ბედენის ქედებიდგან შემ-
 დეგი ხევები: საპონაურის ხევი (p. *Pe-
 ne*), სადაც აბიბოს ნეკრესელის მონასტე-
 რია, კარწახის ხევი, რომლის შესართავთან
 არის მოდამნახის ნაციხვარი. ამ მდინარის მო-
 შორებით, ზემოთ არის ხრამის შტაბკვარტი-
 რა. შემდეგ ერთვის ტორნეს ხევი (p. *Torne*).
 სამღერეთ ზემოთ (*с. Самхретი*) არის ქვაბი
 პირდებული, კლდეში გამოკვეთილი, ყოვლით
 შემკობილი. ჭივჭივის ხევი გამოდის ბენდერის

მთას (ი. ბედენი-ჯილი), იმის შესართავთან არის ნადარბაზევი, თამარ-მეფის ნასასახლევი. აქვე არის ძეველი ნაციხევარი სამშეილდე, რომელიც იყო მაგარი და შეუალი. მდინარე ალგეთი გამოდის თრიალეთის ქედის წვერს, კლდ-ეკარს, სადაც მაღლობზე იყო აგებული მაგარი ციხე, შეუალი. ეს ციხე ააშენა ლიპარიტ ორბელინმა. კლდე-კარს ქვემოთ არის ალგეთის ფერდობზე მანგლისი, საცა არის გუმბათიანი მონასტერი. გუმბათზე სამხრით არის დახატული მაჭმადი, რომელიც ლომზე ზის. ამბობენ, ამისთვის ეს ეკკლესია სპარსელებს და ოსმალებს არაოდეს არ აუკლიათო. ვახუშტი ამტკიცებს, ვითომც ეს ეკკლესია იყოს დიდი კონსტანტინესაგან აშენებული. სოფელს ტბისს ზემოთ, ალგეთის მახლობლათ, კლდეზე არის ბირთვისის ციხე. საცა ალგეთს სალირაშენის ხევი ერთვის, იქ არის ძეველი ციხე ფარცხისი, რომელიც არის ბირთვისის წინა ბურჯი. თრიალეთის ქედის წვერზე არის

კოჯრის ციხე, რომელსაც ახლა ეტყვიან ქო-
როლლის.

ამ კოჯრის თხემის ძირში არის კაბენის
მონასტერი, რომელიც, როგორც ვახუშტი
ამბობს, თამარს აუშენებია. კოჯრის ქედი
თრიალეთის ქედის ნაწილია, ჩამოუყვება და
თავდება მთის ცხვირათ მტკვარზე, სოგან-
ლულს; მეორე ტოტი თრიალეთის ქედისა სა-
რის კლდიდგან იწყება. ამ ქედზე კოჯრის ჩრდი-
ლოეთით არის უძოს ეკკლესია. აქ ცალმხრით
გამოდის სალალაკის ხევი. ზემოთ მოხსენებული
ქედი დაუყვება აქედგან და ჩადის ტფილის ქა-
ლაქს, დააწყდება სალალაკის ხევის შესართავ-
თანდა შედის მტკვრის პირათ მაღალ მთის
ცხვირსავით, რომელზედაც არის დიდი და შეუ-
ლი ძველი ციხე აგებული. იმას ეძახიან კალას.
ამის პირდაპირ ავლაბრის მაღლობზედ არის
მეორე ციხე მეტეხისა. ეს ორი სიმაგრე სწო-
რეთ რკინის კარებსავით ჰკეტენ მტკვრის ხე-
რბაში შესავალს გზასა. თბილისის სამხ-
რეთ-დასავლით არის ყარაიის თავში რიშაყა-

ლას პირდაპირ კუმისის ტბასთან იაგლუჯის
 მთა, თითქოს სვეტათ ამართული. რიშაყალა
 არის ძველი ნაციხეარი იქ, ზაკა-ყარაიის სარ-
 წყავი რუი იჩწყება. ეს ალაგია წინამურჯი
 ტფილისის ციხეებისა. დიდი გორის ქედს სამ-
 ხრით, რომლის ბოლო თავდება მცხეთას და
 მთაწმინდას შუა, არის ორი ხეობა: ერთი დიღ-
 მისა და მეორე სკვირეთისა (უმ. p. *Bepa*).
 სკვირეთის ხევი (p. *Bepa*) გამოდის დრეს,
 მოდის ჩრდილოთ, უძოს გადალმა და შედის
 მტკვარში. დიღმის წყალი გამოდის საწკეპე-
 ლას მთიდგან და ერთვის თეთრ დუქანზე
 მტკვარს.

ბ. სომხეთის დათრიალეთის მი-
 წა. წყლის წყობა და იმისი საზო-
 გადოგან ხილვა.

სომხეთ-თრიალეთს ერთი თვალი რომ გა-
 დაავლოს კაცმა, მაშინვე ეს ორი ქვეყანა
 წარმოუდგება ერთ დიდ ვაკეგორიათ, რომე-
 ლიც ორს გძელს ქედს შუა არის ჩამწყვდე-
 ული: მცირე კავკასიისა და თრიალეთის ქედს

შორის. პირველი არის სამხრეთის საზღვარი
 და მეორე ჩრდილოეთისა. დასავლით თრია-
 ლეთ-სომხეთსა და ჯავახეთს შორის გაივლის
 შარვაშეთ-ბოლოლის მთის ზურგი, აღმოსავ-
 ლით საზღვრავს მტკვრის მდინარე. თრიალე-
 თის ქედი იწყება კოდიანის მთიდგან, რომე-
 ლიც ჩაუყვება ბორჯომის ხეობას, წამოვა
 აღმოსავლით და ერთი იმის ცხვირი თავდება
 მცხეთას. ბორჯომიდგან მოკიდებული მცხე-
 თამდის იმის ქედს სხვა და სხვა ალაგას თავ-
 თავისი სახელები აქვს, მაგალითად არჯევანის
 მთები, თრიალეთის ქედი, საწკეპელას ქედი
 და დიდი გორი. ამ ქედის სამხრეთის მხარე
 ძალიან კლდოვან-ქარაფოვანია, წრიაპი შე-
 კვეცილი ფერდები აქვს და კლდის კედელ-
 სავით კიბე-კიბეთ ჩაუყვება ქცია-ხრამის მდი-
 ნარის გაყოლება მულანლომდის. ეს ფერდი
 აღმოსავლეთით გაიყოფა სამ ტოტათ: ერთს
 ქვია ბენდერის ქედი (ე. ბედენი-ლილი), რომე-
 ლიც არის ალგეთსა და ხრამს შუა და თავ-
 დება მარნეულთან (კოჯურუქი). მეორე

ტფილისსა და საღანლულს შუა კიდევ იყო -
 ფა სამ პაწაწა მთის ზურგათ; მესამე დილომ-
 სა და ვერის ხეობებს შუა თავდება თეთრ
 დუქანთან. სომხეთის ქედი იწყება ირჯანისა
 (e. *Kara-hauz*) და ბოლოლის მთიდგან (e.
 ჰილეჩი) და თავდება აღმოსავლეთით ერთი
 იმის ცხვირი ნორაშენს და საღახლის, მეორე
 პატარა შულავერთან დებედასა და ხრამსშუა,
 მესამე მაშავერასა და ხრამსშუა. სომხეთის ქედს
 ანუ ლალლეარის მთებს სომხეთისკენ გაპყრო-
 ბილი ფერდები, როგორც თრიალეთის მთებს ძა-
 ლიან კლდიან ები, ფრთაშეკრული და შეუ-
 ვალი აქვს. ეს ფერდები ცხვირ-ცხვირათ ჩაე-
 ყუდება ბერთუჯის მდინარეში; ჩრდილოე-
 თის ფერდები და ტოტები კი ამ მთებს გაშლი-
 ლი და გძელი აქვთ. ისინი ნელ-ნელა დაე-
 შეებიან მდინარეს ხრამამდის. მდინარე ხრა-
 მი თავიდგან ბოლომდის გაპყოფს სომხეთს
 თრიალეთის ხეობისგან. ბერთუჯის მდინარის
 ხეობა საშინელი-კლდიან-ტიანიანია და შეუვა-
 ლი. მთელი სომხეთ-თრიალეთის ხეობა გაი-

ყოფება ორ სხვა და სხვა თვისების ქვეყნად: ვაკე-გორათ და მინდვრათ. შარვაშეთის მთიდგან მოყოლებული შულავერამდის და მარნეულამდის არის მაღლობი ვაკეგორა. ამ ქვეყნებზე მომდინარე წყლები არის ღორღიან-ღრატოიან-კლდიანები, სდიან ძალიან ჩქარა. შულავრიდგან და მარნეულიდან მტკვრამდის დაეფინება ბორჩალოს მინდვრები. ჩრდილოით ამ მინდვრებს საზღვრავს რაგლუჯის მთა და სამხრით მცირე კავკასიის ტოტი გატეხილ ხიდამდე (*Красивый мост*) ჩამოსული. თრიალეთ-სომხეთის ვაკე-გორები გაიყოფება რამდენმე ნაწილათ: ალგეთის ხეობა ანუ საბარათიანო, საკუთრათ ტრიალეთი, ზურტაკეთის ვაკე-გორა, რომელიც გაიყოფება კვირიკეს მთით (i. ბულახ-ძაბუ, კარაულ-თანა) თრიალეთისგან; აქვე არის შამბიანის მთა, დმანისის ხეობა, მერე ტაშირი და შემდეგ სომხეთი:

თრიალეთის, ზურტაკეთ-გომარეთის და ტაშირის ვაკეგორები ძალიამ მაღალია; აქაუ-



რი ჰავა ადგილი და მოსავალი ძალიან შეეძ-
გზავსება ჯავახეთის (*Ахалкалакская оплоши-
ная воззвщенность*) ქვეყანას.

მთები აქ შემოსილია ზაფხულს მრა-
ვალნაირ ყვავილებითა, რომელთაც მშვენიე-
რი სუნი უდის; ბალახი მოდის ისეთი მაღალი,
რომ ცხენოსანი კაცი არ გამოჩნდება, განსა-
კუთრებით შამბიანის მთის ფერდოებზე: ხე-
ვებში კი არყნალი (береза) ჩაუყვება. შამბია-
ნის მთაში ფუნდუკის ხევზე თამარმეფემ აგო
ქეითკირის სავანეები, რომ ზამთრით მგზავრი
შეეფაროს იქ და ლამე გაათიოს. არყის ხეებ-
სა და შამბებს შუა ზურტაკეთს არის მშვე-
ნიერი წყარო, რომელიც მარმარილოთი ააშე-
ნა ვახტანგ მეფემ. აბოცზე, ზურტაკეტზე და
ტაშირზე არის ურიცხვი ირემი, რომელ-
ნიც დადიან ჯოგ-ჯოგათ და ხროთ. მეფემ
ვახტანგ მეექვემ ერთხელ მოინადირა ეს მთე-
ბი და ერთ დღეს მოკლეს ას ოთხმოცი ირე-
მი. ზურტაკეთში არის ერთი დაბა ყარაბუ-
ლახი, რომელსაც ჩრდილოეთით და სამხრე-



თით უდის ორი ხევი. ჩრდილოეთის ხევის
კალმახი არის თეთრი და სამხრეთის შავი. მაგ-
რამ შავი კალმახი რომ ჩრდილოეთის ხევში
გადასვა, გათეთრდება და იქაური კალმახი რომ
სამხრეთის ხევში ჩასვა, გაშავდება. ფანავრის
ტბაში ძალიან ბევრი თევზია; მაგრამ უგემუ-
რი, ვითომც იმის გამო, რომ ზაფხულს აქ
დგება ქართლ-კახეთიდგან მოდენილი ურიცხ-
ვი საქონლის ჯოგი: ხარი, ძროხა, ცხვარი და
ცხენი. თოვლის წყალი გარემო მთებიდგან
ჩამორეცხს ხოლმე ნეხვს და შედის ტბაში. აი,
ამ ნეხვიანს წყალს აბრალებენ თევზის უგე-
მურობას. ამ ფანავრის ტბასთან არის ჟერთი
წყარო, რომელიც ვახუშტის სიტყვით აღნიშს
ქონს და თუ ვინმე მომეტებული სჭამოს,
მოიტანჯოს და ქონი გულზე მოაწვეს, უნდა
სვას ეს წყალიო და მალე გაუვლისო. ბერ-
თუჯის, ქციახრამის და ალგეთის ხეობები
დაკვლაკნილია, ვიწრო და გავსებული გრა-
ნიტის ნამზვლევებითა. სომხეთის მთაში ძა-
ლიან ბევრი მაღაწია სპილენძისა და რკინისა.

აბოცის მთაში ითხრება მარმარილოს მგზავრი
თეოტრი ქვა, ტაშირში წითელი ლაპლაპი ქვა.

გ. სტრატელიული მდგომარეობა
თრიალეთ სომხითისა.

თრიალეთ-სომხითის ქვეყნები ჯავახეთის
სამზღვრიდგან დაწყებული ერთის მხრით და მე-
ორეს მხრით ლორის ციხემდის და კოჯრამდის
სულ ერთიანათ ატანილი მთაა და ის შეად-
გენს ერთს მაღალ ვაკე-გორას. ამ კუთხის ქვე-
ყნები მოფენილია თოთქოს წვერ-გადაკვეთილს
მთაზე, რომელიც უდრის ჯავახეთის სიმაღლეს.
ის ერთ დიდ უწვერო მთათ არის ატანი-
ლი. ამ ქვეყნებს სამკუთხით შემოხვეუ-
ლი აქვს მთები, რომელნიც თითქმის მუდამ
თოვლიანები არიან. ეს სამი მთის კედელი სა-
შუალო გამოანგირიშებით აგი ათასი ჭუტის
სიმაღლეა, რომელიც შეადგენს სამი ვერსის
სიმაღლესა, ზღვის პირიდგან რომ იანგარიშო.
ეს უზარმაზარი ციხე ქვეყანა აღმოსავლეთი-
საკენ პირისა და შევება მტკვრის პირათ ცხვირ-

ცხვირათ ჩამოწოლილ ქედებითა და დაწყდება ბორჩალოს მინდორზე. ამ ქედების ცხვირებს შორის კლდიანს ჩაღრმავებულს ვიწრო ხეობებში გადიან მდინარე ბერთუჯი, ხრამი, ალგეთი, სკვირეთის მდინარე, დიღმის წყალი და ჩარბიან მტკვარში. თუ ვისმე უნდა შეესიოს ზემოხსენებულს ვაკეგორის ქვეყნებს, უეჭველად მტკვრიდან უნდა შეუყვეს და ავიდეს ვიწრო ხეობებში. მაგრამ იმას აქ ყოველ ხეობის თავში კლდის კედლით შემოზღუდული მაგარი ციხე დაუხვდება, რომელიც ჰკერთავს ან ერთს უმთავრესს ხეობას ან უმთავრესსა და მეორეს უმცირესს ხეობებს ყოველი ციხე არის აშენებული ან ერთი ხეობის ყელში, ან ორისაში. მაშასადამე თრიალეთ სომხეთის ქვეყნები-არიან ერთი უზარმაზარი ციხე, რომელსაც აღმოსავლეთის მხრით აქვს რამდენიმე ვიწრო და ღრმა ხეობები გვირაბებათ ან დახურულ ვიწრო გზებათ დაკეთებული. თუ ამ გვირაბებით არა, სხვა მხრით ბუნებისაგან გაკე-

თებულს ციხეში შესვლა მოუხერხებელია. ამ
გვირაბებზე ყოველს მცირე ხევის სათავეში
აშენებულია კაცის ხელით ნამდვილი ციხეები,
რომელნიც შეადგენენ ხეობების, ანუ უზარ-
მაზარ ციხის კარებსა. ეს კარები ძველათგანვე
გარეშე მტრისათვის ჩაკეტილი ყოფილა და
გასაღებები თეითონ თრიალეთ-სომხეთის
ქვეყნებში მცხოვრებელს ერს ჰქონებია ხელ-
ში. თუ ისინი თვითონ არ გაუღებდენ კარს გა-
რედგან შემოსულს მტერსა, რაც უნდა მრა-
ვალი და ხერხიანი მებრძოლი ჯარი ყოლო-
და და შემოღომილიყო, მაინც ვერას დაკლებ-
და ჯერბუნებითს და მერე კაცის ხელობით გამა-
გრებულს და შეუვალს ქვეყანას. ამასგარდა
ზემოხსენებულს ხევების პირზე კლდეებში
არის, როგორც სამცხეჭანეთში, ისეაქ, გამოკვე-
თილი ქვაბები ყოველგვარ მოწყობილობით
თავ-შესაფარად და გადასახიზნათ, ეინიცობაა
მტერს რომ ხეობების კარები შემოელო იმის
მცველების მოსყიდვით.



ერის თვის სება და იმათი შინა
ური ოჯახობა.

ამ ქვეყნის ერი უწინ სულ ქართველები
ყოფილა: ზოგი მართლ-მადიდებელნი და ზო-
გი სომხის რჯულისა. ვაკეგორაზე მცხოვრე-
ბი ხალხი ყოფილა მაღალი, მოსული, დიდ ტა-
ნოვანი, ჰაეროვანი, შვენიერი შესახედავი,
ბრძოლაში მაგარი და გამძლე. რაღან ტა-
შირს, ზურტაკეტს, დბანისს და თრიალეთს
სელი და კანაფი მრავალი მოდიოდა, ისინი
აკეთებდენ სელისაგან ხალაგებს, სამოსლებსა,
იმის თესლისაგან ხდიდენ ზეთს, ჰკრეფდენ
მრავალს თაფლს და ჰყიდდენ სხვა ალაგებში.
ხევებში და ტბებში იყო თევზი ურიცხვი,
რომლითაც იკვებებოდა ამ ქვეყნის მცხოვ-
რებლები და გაპქონდათ სხვა საქართველოს
ნაწილშიაც. თევზს იჭერდენ ბადით, კონით
ფაცრით, ნევსკავით, საფიჩხულითა და ოჩითა;
აგრეთვე ნადირის სიმრავლისგამო ამ ქვეყნის
ერი იყო ძალიან კარგი მონადირე.

ტაშირელებს რაღანც შეშა არ ჰქონდათ,

ხმარობდენ წიგას: ისინი იყვნენ სარწმუნოებით სომხები, ზნით და სიტყვა-პასუხით ქართველები. თუმცა კარგი ტანადები იყვნენ, მაგრამ ომიანობაში გამოუცდელნი და მხდალნი იყვნენ, ეცვათ გძელი ჩოხები და ბინძურათ, თი-თქოს ყოველი იმათგანი გაზეთილი ყოფილ-იყოს.

აბოცელები იყვნენ ძალიან მთიული ხალ-ხი, ტანოვანნი და ბრძოლაში მამაცნი, მარ-ჯვე და დაუღალავნი, ეცვათ, როგორც ტაშირელებს; სჯულით იყვნენ სომები. თხი-ალეთის მცხოვრებნ იყვნენ სარწმუნოებით მართლ-მადიდებელნი; ბრძოლაში ესენი კი-დევ უფრო მხნენი და მარჯვენი იყვნენ აბო-ცელებზე. ლორის ქვემოთ ბერისუჯის და ხრამის შესართავს მტკვრის გაყოლება სახ-ლობდა ხალხი, ტანად მორჩილი, დაგვალუ-ლი, შავი, თითქოს მომეტებული სიცხით შე-წუხებულიყოს და ბრძოლაში ვერ იყვნენ გა-მოსადევნი; მაგრამ მუშაობა ძალიან იცოდენ. გოჰყავდათ ბრინჯი, აბრეშუმი და ლეინო.

მიწა ძალიან კარგათ ჰქონდათ შემუშავებული სარწყავი არხებით და საკათუთრათ მიწის მომუშავე ხალხები იყვნენ.

შიდა ქართლი, ანუ სამხრეთის
 საქართველო.

რაც აქამომდე ავწერეთ თავიდგან მოკიდებული, სულ იმ ქვეყნებს ეწოდება შიდა-ქართლი. შიდაქართლი არის ერთი გელი და განიერი სერი, რომელსაც საზღვრავს სამხრეთით მცირე კავკასიის ქედი. ეს მთის კედელი იწყება შავი ზღვის სამხრით ტრაპიზონის მახლობლათ და აღმოსავლეთით, სადაც ბამბაკის წყალი ბერთუჯის მდინარეს შეუერთდება, იმის მახლობლათ გამოიდებს თხემალის თოვლიან ტოტს, რომელიც გაეკვრება ბერთუჯის მარჯვენა კიდეზე და თავდება მტკვართან ხუნანის (*კივი-კალა*) მახლობლათ. ზემოხსენებული ქედის ნაწილები შავი ზღვიდგან დაწყებული ესენი არიან: ბასიანის ანუ აზრუმის მთები, ყარსის ანუ

ჩალდირის მთები აბოცის გაყოლება, ირჯა-
 ნის მთები (*Горы Каира Ахав и Безабдаль-
 ский Хребеты*) და მცირე კავკასიის ტოტი
 ბერთუჯის მდინარის გაყოლება მტკვრამდის.
 ჩრდილოეთით საზღვრავს შიდა ქართლს აჭარი-
 სა და ახალციხის მთები შავიზღვიდგან დაწყებუ-
 ლი, მერე ბორჯომის ხეობაში თითქოს ახალცი-
 ხე-თრიალეთის მთები გამსკდარაო და გაუშვია
 მრი; ტკვა მერე წამოვა თრიალეთის ქედი
 აღმოსავლეთით და ჩადის დიდი გორის
 მთის ცხვირით მტკვარში მცხეთას. მცხეთით-
 გან მოკიდებული წუნანამდის (*Казен-кала*)
 ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაუდის მტკვარი.
 სამხრეთდასავლით შიდა ქართლს საზღვრავს შავი
 ზღვა ტრაპიზონიდგან დაწყებული ბათუმის მთის
 ძირამდის, ანუ ჭოროხის სათავემდის. აქედგან
 სჩანს, რომ ეს დიდი სერი ჩრდილოეთით და
 სამხრით შეუვალია, რაღან საზღვრებათ აქეს
 მთის ქედები სიმაღლით საშუალო გამოანგა-
 რიშებით სამი ვერსი. აღმოსავლით და და-
 საელით ეს სერი თან და თან დაბლდება და თავ-

დება ერთის მხრით შავზღვის პირზე, შეორე
მხრით მტკვრის ნაპირით. ამ ორი კუთხით
თუმცა მიუდგება კაცი, მაგრამ თუ ვიწრო ხე-
ობებით არ ავიდა სამცხე-ჯავახეთზე და თრი-
ალეთსომხეთზე, სხვა გზა არ არის. მაგრამ
ამ ხეობებში, როგორც მოვიხსენეთ, გზები
ჩაკეტილია ციხეებით, რომელნიც ჩაყოლებიან
მდინარეებს და ერთი ერთმანეთის წინა ბურ-
ჯებათ გამხდარან. ძველათ ეს ქვეყანა გარეშე
მტრისგან სრულებით მიუკარებელი იყო თვი-
თონ კი ძალიან მოხერხებული ბილიკები და ბუ-
რჯები ჰქონდა სხვაზე თავდასაცემათ. ის მზათ
სიო, სამხრით გადაეშეა თავის შვილები მცირე
აზის ვაკეგორაზე და დაემორჩილებინა მთე-
ლი მცირე აზია; ჩრდილოით დაჩერებოდა
ანლანდელს ქართლ-კახეთის ქვეყნებს დიდი
კავკასიის ქედამდის და თუ იმის გადაღმა მთათ-
სავანეებს დაიჭრდა, მაშინ ყუბანამდის და
თერვის შესართავადისაც არა დაუდგებოდა რა.
მარლაც ძველათგან მოკიდებული მეთუთხმეტე
საუკუნემდის ეს სერი იყო საქართველოს

ერის ადგილ-სადგომი და განსაკუთრებული სამ-
კვიდრებელი. სანამდის ამ სერიდგან არ გადააგ-
დეს ქართველები, მანამდის არც თვით-არსებო
ბა დაკარგვიათდა არც ის იშედი, რომ კარგი შემ-
თხევების დროს მთელი ჭავჭასი და მცირე აზის
ნაწილი ვანის და ურმის ტბამდის იმისი იქ-
ნებოდა. სტრატელიულათ ეს სერი იყო სა-
ქართველოს ქვეყნის ბურჯი და ქართველების
სიმაგრე, იმისი ციხე, იმისი საბინადრო, იმი-
სი აკვანი; სანამდის საქართველოს ერს ეს
სამშობლოს ძირი ანუ საფუძველი არ წარ-
თმეოდა, მანამდის იმის თვითარსებობასაც არა
დაეგვრებოდარა; მაგრამ ვინც იმას ამ სერი-
თვან გადააგდებდა, ჩამოყრიდა მტკურის პირათ
და გადარეკდა მტკურისა და რიონის მეორე
კიდეზე,—საცაახლა ჩვენ ვართ, ქართლკახე-
თში და იმერეთში,—საქართველოს ერიც იმისი
უნდა ყოფილიყო, იმას უნდა დამორჩილებო-
და; ამიტომ რომ მტკურის და რიონის მეო-
რე კიდეზე საქართველოს ერი ჩამწყვდეული
იქნებოდა ორს მდინარის ხეობაში; მთ-

ბის ქედებზე კი გადმოდგებოდენ შემოსეული
 მტრები და იქიდგან გადმოსძახებდენ, შსმდაიდ-
 დით, დაწყნარდით, მეტი რაღა ლონე გაქვთ,
 ქედის ბურჯები გამოგაცალეთ, პირვანდელი
 მიწა-წყალი წაგართვით, იქიდგან აგყარეთ და
 მიათზე ჩვენ დავმკვიდრდითო. მართლაც საქარ-
 თველოს ერს ასე მოუვიდა. ახლა საქართველოს
 სძირითად მიწა-წყალზე დგანან თათრები,
 სომხები, მალაკნები, ოსმალოს ერი და ბერძნები.
 ქართველები თითო ოროლა კომლი აქა-იქ
 თუ საღმე ბუდობს ლრატოებში და კლდის
 კალთებში, თორემ სხვაგან აღარსაღ არიან ამ
 ქვეყანაში. ისინი ან აკლებულან, ან ოსმა-
 ლოს სარწმუნოება მიუღიათ და ან მტკუარსა
 და რიონს გაღმა ჩრდილოით გადასახლე-
 ბულან. საქართველოს ისტორიას თეა-
 ლი რომ გადააელოს კაცმა ძველათვან მო-
 კიდებული მეთუთხმეტე საუკუნემდის, ქარ-
 თველთა საასპარეზო ალაგი, იმათი საუკეთე-
 სო ქვეყნები, თუ განათლებით, თუ სიმდიდ-
 რით, თუ სიმაგრით და ქვეყნის მორთულო-

ბით მხოლოდ თრიალეთის, აჭარისა და მცი-
რე კავკასიის ქედებს შორის ყოფილა. თრია-
ლეთ-სომხეთში, სამცხე-ჯავახეთში და ჭანეთ-
ში რომ ძვირფასი ისტორიული სახსოვრებია
დარჩენილი, იმდენი არსად არ არის. ამ აღა-
გებზეა ვახტანგ-გორგასლანისა და თამარ მე-
ფის სადგომების და სასახლეების ნანგრე-
ვები; აქ არის უზარმაზარი სახიზნი ქვაბები,
კლდეებში გამოკვეთილი; აქ არის მშვენიერი
ჩუქურთმით ნაგები ტაძრები და მრავალი სხვა
და სხვა ბალნარისა და წალკოტის ნაშტები.
ბოლოს ახლანდელს ბორჩალოს მინდვრებზე
და ხრამ-ბერთუჯის ხეობაში რომ არხებისა და
სარწყავი მოწყობილობის ნაშთებია, იმდენი
არსად არის. ეს პირველი სამკვიდრებელი
ქართლის ერისა განიყოფება ბოლოლისა და
შარევაშეთის მთების ქედებით ორ ნაწილათ:
აღმოსავლეთის შიდა ქართლათ და დასავლე-
თის შიდაქართლათ. დასავლეთის შიდა ქართლი,
ჯავახეთს დაოცხეს გარდა, უჭირავს ოსმალეთის
სახელმწიფოს; აღმოსავლეთის შიდა ქართლი

კი ჩვენს მთავრობას, ამ ფამათ ძველს სა-
 ქართველოს მკეიდრს მამულზე აი როგო-
 რი ხალხი ასხია: დასაცლეთის შიდაქარ-
 ლის ხალხი სარწმუნოებით თითქმის სულ
 მახმადიანები არიან, შთამოებით, ენით კი ქარ-
 თველნი. აქ ამ ბოლოს თურქის ტომის ხალ-
 ხი თანდათან უფრო შემოდის და ძლიერ-
 დება. აღმოსავლეთის შიდაქართლში არიან
 თრიალეთზე უკანა კნელი კამერალიური აღ-
 წერით, ბერძნები-ოცდა ორი სოფელი
 სომხები—ათი სოფელი, თათრები—ხუთი სო-
 ფელი. მხოლო ორი სოფელია ისეთი, სადაც
 ქართველების მოსახლეები ცხოვრებენ სომ-
 ხებთან და თათრებთან ერთად. ტაშირს, აბოცს
 და სომხეთს არის ოცდა ოთხი სოფელი, სა-
 დაც სახლობენ სომხები, ბერძნები და მალაკ-
 ნები. აქვეა რუსის ჯარი ორ შტაბკვარტირაზე
 დაბინაუებული ჯელალოლლუს და გერგერას.

მხოლოდ ალგეთის ხეობაში და სკვირო-
 თის ხეობაში მცხეთამდის კიდევ არიან ქარ-
 თველები. აქვე არის მანგლისისა და აღმუ-

ლალის (Бѣлый клюк) შტანბკვარტირა, ერთი შტაბ კვარტირაც ხრამს, წალკას მახლობლათ, არის დაბინავებული. რუსის მთავრობამ ძალიან კარგათ იცის, თუ რა ბურჯია საქართველოისათვის მცირეკავკასის სერი და ამიტომაც ამ ქვეყნებში დაუბინავებია შტაბ-კვარტირებათ მომეტებული ნაწილი კავკასიის ჯარებისა? ახალცახიდგან მოკიდებული მტკვრამდე ეჭეს. შტაბ-კვარტირაა გამართული. გერგერის და ჯელალ თაღლუს შტაბ-კვარტირა ტაშირსა. დაამო- ცითა გამართული; აღმულალისა (Бѣлый клюк) და მანგლისის შტაბ-კვარტირა აღგეთის ხეობაშია. ხრამის შტაბ-კვარტირა თრიალეთზეა და ჩობურეთისა-ჯავახეთში

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი გ ზ ე ბ ი

შიდაქართლის ანუ სამხრეთის საქართვე- ლოს ნიადაგზე აქამდის ერთი შოსსეც არ არის გავლებული. ამ ქვეყანაში მხოლოდ ორი ფოჩტის გზა არის. ერთი თფილისიდგან გაიგლის კოდს და მიერ აღმულალს (Бѣлый клюк), მეორე დაიწყება სურამიდგან მტკვრის

პირზე, მივა ახალციხეს და იქიდგან აბასტუ-
 მანს. სხვა გზები არიან ან ურმის, ან ცხენოს-
 ნის, რომელნიც მომეტებულ ნაწილათ თით-
 ქმის განუალნი არიან ზამთრით. ამათ შორის
 სტრატელიული მნიშვნელობააქვს გუმბრითვან
 (ალექსანდრეპოლი)წამოსულს გზას არპაჩაის ვი-
 წრო ხეობის გაყოლება ახალქალაქამდის, იქიდ-
 გან შანგლისს და თბილისს. ამ ალექსანდრე
 პოლის საურმე გზით მიადგება კაცი ყარსის ცი-
 ხეს. ამას გარდა ახალციხიდგან ორი სხვა სა-
 ურმე გზა გადადის ყარსამდის. მესამე საურმე
 სტრატელიული გზა არდაანით და ოლთისით
 გადადის აზრუმს, მაგრამ ეს გზა სულ საურმე არ
 არის, აღაგალავ ბილიკებია; მხოლოდ ცხენოსანს
 თუ შეუძლია გავლა, თორემურემს არა. ამასგარ-
 და თფილისიდგან ალექსანდრე პოლს გადის
 ტაშირით ორი საურმე გზა. ერთი გზა კიდევ არის
 შესანიშნავი ახალციხიდგან აბასტუმნით იმე-
 რეთს გადასასვლელი. ეს გზა საფოჩტე გზაა,
 გაივლის ბალდადზე და ჩადის ქუთაისს. ამ გზას
 ახლა აკეთებენ შოსსით. დანარჩენი საურმე

გზები თფლისითგან მიღის ექვს სხვა და სხვა შტაბ-კვარტირას, რომელნიც ამ ქვეყნათ არიან ამათ გარდა არის მრავალი საცხენოსნე და საქვეითე გზა; მაგრამ სტრატელიულათ იმათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან ჯარი ზედ ვერ გაიგლის. ამ გზების განხილვითაც სჩანს, რომ ეს ქვეყანა იმდენათ მაგარი და შეუვალი ყოფილა, რომ აქამდისაც ვერ მოუხერხებიათ სამხედრო გზების გაყვანა.

ის ტორიული დაყოფილება

სამხრეთის საქართველოისა.

ქართლის ცხოვრების მოთხრობით და ვახუშტის შესწავებით ძევლათგანვე დასავლეთის შიდაქართლი გაიყოფებოდა ორ სამფლობელოთ: პირველი იყოვო ოძრახოსის და იმის შთამომავლობისა: ამ სამფლობელოს შეადგენდა ოცხე, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო. ამასვე ეკუთვნოდა ოურია. მეორე სამფლობელო დაიმკვიდრაო ჯავახოსმა და იმისმა ჩამომავლობამ. ამ სამფლობელოს შეადგენდა ჯავა-

ხეთი, ერუშეთი; კოლა და აბოცი; კლარჯეთი
 არ იყო ამ სამფლობელოებში მოტანებული;
 ის ფარნაოზმა დაიპყროვო. სულ ეს ცნობები
 ზეპირ გადმოცემითია. უფრო ნამდვილი ასე
 ვიცით, რომ ამ ქვეყნებში საქართველოს ერი
 ხეობებათ იყო დაყოფილი და ხეობები განა-
 გებდენ. როცა მეფობა შემოვიდა საქართვე-
 ლოში, მაშინ ხევის ბერების მაგიერათ თავა-
 დები იყვნენ და როცა საქართველო სამეფო
 გაძლიერდა, მასშემდეგ აქ იყო გამგებელათ
 დაყენებული მეფის ერისთავი, რომელსაც
 ეწოდებოდა ათაბაგი და ოვითონ ქვეყანასაც
 სამცხესათაბაგო. მეთექვსმეტე საუკუნეში
 თავად-აზნაურობამ შინაური განხეთქილების-
 გამო დაიწყო ოსმალების მოპატიუება. ხეანთ-
 ქარმამალედაიპყრო ახალციხე, ათაბაგები გაყა-
 რა და ხალხს ძალა დაატანა გამაჰმადიანებაზე.
 მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთმა ისევ და-
 პყრო ჯავახეთი და ოცხე: დანარჩენი აქამომ-
 დე ოსმალეთს უჭირავს და შეადგენს ოსმა-
 ლეთის საქართველოს.

აღმოსაფლეთის შიდაქართლი ძველათ-
განვე გაიყოფებოდა ორ საერისთოთა გარდა-
ბანისა და გაჩიანისა. გარდაბანისა იყო მდი-
ნარე ქვიის სამხრით აბოციდგან მოკიდებუ-
ლი მტკვრამდე. ამ საერისთოში მდებარებდა
სომხითი, ტაშირი და ახლანდელი მუჯანლო.
გაჩიანის საერისთოს შეადგენდა თრიალეთი
ქციახრამის ჩრდილოეთის გაყოლება თრია-
ლეთის ქედის სამხრეთის ფერდი მცხეთამდის
და იმის გამოყოლება ქცია-ხრამის მდინარემ-
დის. შემდეგ როდესაც საქართველო მოუ-
ძლეურდა, მეოქვესმეტე საუკუნეში თათრის
ხალხი მოაწვა ამ ქვეყანას. მტკვრის პირათ
იაყუბყაენმა მოიყვანა ყაზახ ბორჩალო და აქ
დააბინავა, რომ სამუდამოთ ფეხი მოემაგრე-
ბინა. თვითონ ერისთავებისა და თავადების
წყალობით შპჰასმა ჩაიგდო ხელში ლორის
ციხე, რომელირ იყო კარი ამ ქვეყნისა. ვა
ხუშტი ამბობს: „ოდეს მიიღო შააბას იგი,
იმის განზრახვით მიიღო, რამეთუ მექნებისო
შესავალ-გამოსავალი აღვილათ ქართლსა ში-

ნა“. ამიერითგან შეიქნა საქართველოში მოსული თათრის ელის მძღავრობა, ასე რომ ახლა თუმცა ეს ქვეყანა ისევ ჩვენს მთავრობას უჭირავს, მაგრამ საქართველოს ერის სამკურდო მიწაწყალზე ვხედავთ მხოლოდ თათრებს და სომხებს. ქართველის სახელს აქ ამჟამათ მხოლოდ ძველი ციხეებისა და საყდრების ნანგრევები მოგვაგონებენ, რომელნიც თავისი მწუხარე დანგრეული და დალვრემილი სახით გვეუბნებია: „ჩვენ ძველათ ვიყავით საქართველოს ძირი ადგილმდებარებულ მაგრამ უსინდისო ერისთვებმა და თავადობებმა ჩაგვაგდოთ თარისქამა თათრების ხელში და აწერილებოთ ჩვენი მდგომარეობა“.



ხელის-მოწერა „კრებულზე“

1873 წლის

გაუგზავნელად. გაფზავნით.

ერთი წლით —	5 მან.	6	„
ნახევარი წლით —	2. 50.	3	„
თითო წიგნი —	„ 50	„ 60.	

„დროება“ და „კრებული“ ერთათ ელირება: ერთი წლით 9 მანეთი და ნახევარი წლით 5 მანეთი.

შე

ხელის-მოწერა მიიღება

თვი ი ლი ს ში: „კრებულის“ ან „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში. აგრძოვე ივანოვის ბიბლიოთეკაში.

ქუთაისის: გ. კალანდარიშვილთან, სასულეურო საწავლებელში, და ს. მესხესას, სილაზე.

„კრებულის“ რედაქცია.